

მნათობი

საქართველოს
ბიბლიოთეკა

114
1935 1/2

11—12

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ. პოპია

კომუნა

გ. ქაპაზიძე
გილაშ სარიანი
ილიუზ ჩაჩინი
სოლომონ ტაროსი
პეტრო ხაჩიანი
ნ. ვარდუშვილი

პროზა

შალვა ღაღიანი
პ. ჩიქვაძე
ა. გილიაშვილი
ქ. მამსახურაძე

ლიტერატურის ისტორია

ვლ. ასათიანი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ა. ზვიზვილი
შ. ჩაღიანი

მოგონებანი

ი. მანუშვილი

ბიბლიოგრაფია

შ. ჩხეტიანი

9

3

5

პ/მგ. კადატორი: გიორგი ყურულაშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე
ნოე ჯომალეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ზა. მუხომბილი
ზალვა კადიანი
ბალაბტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლიო ქიაჩელი
პანელიშვილი ჩიტვაძე
დენა შენგელაია



კრედიტის მისაღებად: ტფილისი, შატაბლის ქ. № 13, ტელ. № 3-55-25.
გან. ნინოშვილის სახელ. შუქრალთა სასახლე.
კანტორის მისაღებად: ტფილისი, კიროვის ქ. № 7, პერიოდსექტორი.



საქართველოს
საქართველოს



ს. ა. კობახიძე

ლ. ბერიბა

მგზნებარე მებრძოლი

ახლა, როცა სრულდება ჩვენი პარტიის უდიდესი მოღვაწის, ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, პროლეტარულ რევოლუციის მგზნებარე და აღფრთოვანებული ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ავაზაკურად მოკვლის წლისთავი, — ძალაუნებურად იხსენებ გმირულ წარსულს ჩვენი ქვეყნისას, რომელიც რევოლუციის აღში სკვედდა დღევანდელ ნათელ ცხოვრებას.

ტროცკი-ზინოვიევის კონტრრევოლუციური ოპოზიციის ნაბოლარის ხელით მოკლული კიროვის საამაყო სახელი სამუდამოდ ჩაწერილია სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

1919 წელს ჩრდილო-კავკასია სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, ფრონტის ფართო ზოლი მიჰყვებოდა შავი ზღვიდან მთელ ჩრდილო-კავკასიას, მიდიოდა ვოლგასთან ასტრახანის მახლობლად და მიიმართებოდა შემდეგ ურალისაკენ. წითელი ასტრახანი ამოირებდა დენიკინს კოლჩაკისაგან და ხელს უშლიდა მათ გაეერთიანებინათ თავისი ძალები. ამავე დროს ასტრახანი იყო ერთადერთი პუნქტი, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ამიერ-კავკასიას უკავშირდებოდა.

ინგლის-საფრანგეთის ფლოტს ხელთ ეპყრა შავი ზღვა. დენიკინი თარეშობდა თერგზე და ჩრდილო კავკასიაში, ინგლისელები და ესერები — კასპიის გაღმა მხარეში. ამიერ კავკასია მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთს, და ამიერ კავკასიის ბოლშევიკები — სიქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ბოლშევიკები — კავშირს აბამდნენ ბაქოსთან, ხოლო იქიდან, უსასტიკესი კონსპირაციისა და სიკვდილის საფრთხის პირობებში — ასტრახანთან, სადაც სერგეი მირონის-ძე კიროვი ბრწყინვალედ აწყობდა და გწყოდა ბრძოლას საბჭოთა რუსეთის ყველა მტერთან.

მაშინ (1919 წლის თებერვალი) კასპიის გაღმა მხარიდან ინგლისელთა და ესერთა სისხლიან კლანჭებს გამოუსხლტა და ბაქოში ჩამოვიდა მიქოიანი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

ასტრახანის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობ-

და, რომ სწორედ ამ ხაზით და მხოლოდ ამ ხაზით იყო შესაძლებელი ბაქოს ნავთის გატანა საბჭოთა რუსეთში.

ნავთი კი მეტისმეტად საჭირო იყო. 80 მილიონმა ფუთმა ნავთმა, რომელიც ბაქოს ბოლშევიკებმა 1918 წელს გაგზავნეს, უდიდესი როლი ითამაშა წითელი არმიის ბრძოლაში. მაგრამ ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო. საბჭოთა რუსეთის სათბობის რესურსები 1919 წელს უალრესად მცირე იყო. ნავთი არ ჰყოფნიდათ. დონბასი სანახევროდ თეთრებს ეჭირათ.

ლენინი და სტალინი მწვავედ აყენებდნენ საბჭოთა რუსეთისათვის, წითელი არმიის საჭიროებისათვის ნავთის მიღების საკითხს. აუცილებელი იყო მთელი მეცადინეობის წარმართვა ნავთის რაც შეიძლება სწრაფად მისაღებად.

სერაეი შირონის-ძე, ამოცანად ისახავდა რა პეტროვსკისა და ბაქოს დაბრუნებას, ამავე დროს ყოველ ზომას ხმარობდა ბაქოდან ნავთის პროდუქტების, უწინარეს ყოვლისა, ბენზინისა და საცხი ზეთების მისაღებად.

ბაქოს მუსავატელთა რადიოსადგური მაშინ ფაქტიურად ბოლშევიკების ხელში იყო, რომელთაც იქ თავისი ხალხი ჰყავდათ. ეს კიროვს საშუალებას აძლევდა ხშირად დაკავშირებოდა ბაქოს და ბაქოს ბოლშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციას.

ბაქოს ბოლშევიკებმა 1919 წლის მაისში გააჩაღეს ბაქოს პროლეტართა ფართო მასების ბრძოლა ლოქუნგებით: „საქონლის გაცვლა გამოცვლა ასტრახანთან“, „ნავთის გაზიდვა რუსეთში“. ბრძოლა დაიწყო ბაქოს მუშების მაისის გაფიცვით. მარცხმა გაფიცვისა, რომელიც დამთავრდა საგაფიცვო კომიტეტისა და მისი მეთაურის მიქოიანის დაპატიმრებით, საჭირო გახადა სხვა ზომების მიღება ჩრდილოეთისაკენ ნავთის პროდუქტების გასაგზავნად.

კიროვმა უდიდესი რისკის გაწევით მოაგვარა ბაქოდან ასტრახანში ბენზინის გადაზიდვა „კირეიმებით“, უბრალო თურქმენული ნაგებით. 1919 წლის ზაფხულს და შემოდგომაზე კიროვმა ასტრახანში შექმნა რამდენიმე ათეული ნავისაგან შემდგარი მთელი ფლოტილია. ეს იყო საბიფათო, სიკვდილის საფრთხით აღსაფხვნელი წამოწყება. ამისათვის საჭირო იყვნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. კიროვი ამ საზღვაო ექსპედიციებისათვის პირადად არჩევდა ყველაზე საიმედო, გაბედულ ადამიანებს. ნავთის პროდუქტები მცირე რაოდენობით მიჰქონდათ ნაგებით, მაგრამ საერთოდ გადატანილ იქნა 20 ათას ფუთზე მეტი. ეს საკმარისი იყო ასტრახანის თვითმფრინავთა ესკადრილიისა და ავტოტრანსპორტის გამოსაცოცხლებლად და კასპიის სანაპიროზე წითელი ნაწილების ბრძოლის გასაგრძელებლად.

1919 წლის ოქტომბერს დენიკინმა მოახერხა ჩრდილოეთისაკენ წინაწევა, ვორონეჟისა და ორიოლის ხელში ჩაგდება.

ამავე დროს კასპიის სანაპიროზე და დაღესტანში ფართოვდებოდა კი-

როვის მიერ მოწყობილი მთიელთა აჯანყება მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. კიროვი უდიდესი სიმედგრით, განსაკუთრებულ შუქპოვერითა და მოხერხებით ამზადებდა ამ აჯანყებას, ერთის მხრივ, სამხრეთით, ბაქო-საკენ წინწაწევის ინტერესებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, რეპროდუქციისათვის ხაზზე დენიკინის განადგურების გასაადვილებლად.

დგებოდა გადამწყვეტი ბრძოლებისა და გადამწყვეტ გამარჯვებათა დღეები.

28 აპრილს ძლიერამოსილი წითელი არმია ბაქოში შევიდა. ბაქოში ჩამოვიდნენ ორჯონიკიძე, კიროვი და მიქოიანი.

1920 წლის 5 მაისს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს ორგანიზაციის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე კიროვი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „მიმდინარე მომენტი“.

„ჩვენ აქ, — ამბობდა კიროვი, — საფუძველს ჩაფუყრით ცივილიზებული ევროპისა და ევრეთწოდებული ჩამორჩენილი, უკულტურო აღმოსავლეთის ხალხთა დიად გაერთიანებას“.

ამავე სიტყვაში კიროვმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ნავთისათვის ბრძოლის საკითხი, საკითხი, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვს ამ „მაცოცხლებელ სითხეს“ „მეშურ-გლებური საშობლოს“ გასამტკიცებლად.

„თუ ახლა მაცოცხლებელი სითხე ყველა არტერიას დაუფლის, მაშინ უახლოეს თვეებში მოძრაობა გაცილებით უფრო სწრაფი, გაცილებით უფრო ენერგიული იქნება. ეს არის რუსეთის სამეურნეო ცხოვრების აღდგენის მთავარი საწინდარი“.

ნავთისათვის კიროვის ბრძოლის პირველი ეტაპი დამთავრდა.

დადგა ნა-თის დარღვეული მეურნეობის აღდგენისათვის კიროვის შუამავარი მუშაობის ახალი პერიოდი.

ეს პერიოდი უშუალოდ დაკავშირებულია კიროვის, როგორც აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელის, მოღვაწეობასთან.

1921 წელი. სამოქალაქო ომი დამთავრებულია. საბჭოების ქვეყანა ენერგიულად შეუდგა ომით მიყენებულ ჭრილობათა მოშუშებას, მშვიდობის მშენებლობას და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენას. თუ ნავთისა და ნავთის პროდუქტების საჭიროება მწვავედ იყო საგრძნობი საომარი მოქმედების პერიოდში, მისი დამთავრების შემდეგ ეს საჭიროება კიდევ უფრო მწვავე გახდა.

ნავთოვანი ბაქო ჩვენს ხელში იმყოფებოდა, მაგრამ ნავთის მრეწველობა სავსებით დანგრეული იყო. ნამდვილად რომ ითქვას, საჭირო იყო მუშაობის ხელახლა დაწყება. საჭირო იყო ბურღვისა და ექსპლოატაციის ახალი წესების შემოღება დიდად განვითარებული ამერიკული ტექნიკის საფუძველზე. საჭირო იყო უბრალო მიწების გადაგდება, ამოკასრვის შეც-

ვლა ღრმა ტუმბოთი და კომპრესორით, ნავთის მოტორის მაგივრად ელექტრომოტორის გამოყენება და ბურღვის წარმოება არა პირველყოფილი სარტყელი ჩარხით, არამედ სწრაფად მომუშავე — ბრუნვითი ჩარხით.

ასე აყენებდნენ საკათხს ჩვენი პარტია და მთავრობა, დაუტყუებლად ასე დაიწყო მოქმედება სერგეი მირონის-ძე კიროვის თავმჯდომარეობის ხელმძღვანელობითა და ენერჯით. არაიუ ნავთის მრეწველობის მრავალ ინჟინერ-ტექნიკოსს, არამედ ცალკეულ სპეციალისტებს, სამეურნეო მუშაკებსა და კომუნისტებსაც კი არ ესმოდათ „აზნაეთის“ რეკონსტრუქციის აუცილებლობა.

კიროვის მოუხდა ბრძოლა ამ ჩამორჩენილი კონსერვატიული ელემენტების ფარულ და აშკარა საბოტაჟთან, იგი ხან იძულების მეთოდებით მოქმედებდა, ხან დარწმუნების ზომებით.

და მხოლოდ კიროვის გასაოცარ შეუპოვრობას, ბოლშევიკურ სიმედგარეს და ორგანიზატორულ ნიჭს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი ბრწყინვალედ დამთავრდა.

ბაქოში კიროვის მუშაობის უკანასკნელ წელს (1925 წ.) ნავთის მრეწველობამ საბჭოების ქვეყანას 4.600 ათას ტონაზე მეტი ნავთი მისცა.

ეს ბაქოს ბოლშევიკებისა და ბაქოს ნავთის მუშების დიდი გამარჯვება იყო!

კიროვის ენერჯია და მუშაობის უნარი განსაცვიფრებელი იყო, იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. საკმარისი იყო სარეწაობებში კიროვის გამოჩენა; მისი ნოკლე დამაჯერებელი საუბარი მუშებთან, რომ მუშაობა უკეთ, უფრო სწრაფად, უფრო ორგანიზებულად წასულიყო.

კიროვი თავის ძირითად ამოცანად ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციას ისახავდა, მაგრამ ამავე დროს არ ავიწყლებოდა ყველა სხვა ამოცანაც, რომლებიც საბჭოთა აზერბეიჯანის წინაშე, მთელი საბჭოთა ამიერკავკასიის წინაშე იყო დასახული.

აზერბეიჯანის სოფელი მის ფიზიკურ ყურადღებას იქცევდა.

ჯერ კიდევ 1920 წლის მაისში, ბაქოს პარტიულ კონფერენციაზე კიროვიმა მკაფიო პოლიტიკური განკრძაობით დასახა აზერბეიჯანის სოფელში პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მუშაობის პროგრამა:

„... პირველი გადამწყვეტი ლაზვარი ჩავეთ ბეგებისა და ხანების წყობილებას: მშრომელი ხალხისათვის ყელა მიწის სრულიად უსასყიდლოდ გადაცემის დეკრეტი მხოლოდ პირველი ლაზვარია, რომელიც ბეგთა და ხანთა წყობილებას ჩავეციოთ. სწორედ აქ ჩვენ, კომუნისტებმა, უნდა განვაფიქროთ რაც შეიძლება მეტი ენერჯია, და გავაკეთოთ ეს უფრო ფართოდ, უფრო სრულად.

შემდეგი ლაზვარი უნდა იყოს აკრეთვე რევოლუციური ლაზვარი კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ყოველივე იმას, რითაც ამჟამად მდიდარია აზერ-

ბეიჯანი, ყოველივე იმას, რაც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნისათვის საცდუნებელ საგანს წარმოადგენს, ყოველივე ამას უნდა დაესვა გარკვეული მუშურ-გლებური საბჭოთა კომუნისტური ნიშანი....“

კიროვმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა კავშირის მებრძოლობის მეორე ბაზად გადაქცეულიყო.

ბევრი რამ გააკეთა კიროვმა თურქთა ნაციონალური კადრების გამოზრდის დარგშიაც. ასობით თურქ მუშაეებს, რომლებიც ამჟამად აზერბეიჯანში მუშაობენ, სრული უფლებით შეუძლიათ სერგეი მირონის ძე კიროვის მოწაფეებად და მის მიერ დაწინაურებულებად ჩასთვალონ თავი.

კიროვი კარგად იცნობდა ამიერ-კავკასიის რთულ ნაციონალურ და პოლიტიკურ ვითარებას. იგი იცნობდა ამიერ-კავკასიას და უყვარდა იგი.

1920 წლის ზაფხულზე კიროვი იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიურ საქართველოში, ტფილისში. აქ იგი იყო საბჭოების ქვეყნის ნამდვილი წარმომადგენელი, ლენინისა და სტალინის წარმომადგენელი, და ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოში.

1921 — 1922 წლებში, როცა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის — ფედერაციის შექმნის საქითში იდგა, კიროვი, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, რომელიც მაშინ ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა, ენერგიულად იბრძოდა ლენინ სტალინის იდეის განხორციელებისათვის. მგზნებარე, რკინის ლოგიკით აღსავსე სიტყვებში კიროვი დაუზოგავად აცამტყვრებდა ქართველ, თურქ და სომეხ უკლონისტებს, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შექმნისათვის.

უკლონისტები და ტროცკისტები, ყველანი, ვინც ცდილობდა პარტიის შიგნით ებრძოლა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხიზის წინააღმდეგ, ყველანი, ვინც აპირებდა შეერყა ჩვენი პარტიის ურდვევი საფუძვლები, კიროვის სახით ხედებოდნენ თავის მოსისხლე მტერს, რომელსაც საუხბოოდ ეხერხებოდა ემზილებინა მათი ოინები და მაქინაციები და შეუბრალებლად დაეცხო მათთვის.

სწორედ ამიტომ 1925 წელს, როცა დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, პარტია ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიციას მუსრს აგლებდა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კიროვი გადაჰყავთ მუშაობის იმ დროისათვის პასუხსაგებ უბანში — ლენინგრადში — ლენინგრადის ბოლშევიკთა ხელმძღვანელად.

როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თავლწინ გიდგება მისი დაუფიქარი სახე მტკიცე, უღრვე

ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო განჭობილი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სემელონიკო მუშაკის ნიჭი.

მეგობარი

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა მსხვილკვანძული, რომელიც წარმოდგენდა ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნისმის იდეების გამარჯვებისათვის.



შალვა დადიანი

ურდუმბი

რომანი*)

III

დავითი და ივანე კაბინეტში რომ შევიდნენ, ივანემ სთხოვა მთავარს:

— უბრძანე არავეინ შემოვიდეს, მხოლოდ პატოცკი დაიბარეო.

— პატოცკი?

— დიალ, საქარო იქნება.

დავითი ცოტა ჩაფიქრდა, მაგრამ მაინც ივანეს ნებას დაჰყვა.

ივანე სავარძელში კარგა მოეწყო, სათვალე გაიკეთა და უბიდან დაბეჭდილი ჩალათა ამოიღო ვარანცოვების საგვარეულო ღერბ-დაკრული.

ეტუბოდა შინაური ბარათი იყო: გრაფ ვარანცოვიასგან მთავარ დადიანთან შეგობრულად მოწერილი და არა კავკასიის „ნამესტნიკის“ ოფიციალი მომართვა.

ივანემ ჩალათა დინჯათ გახსნა და თვითვე დაიწყო კითხვა.

ვარანცოვი თითქო მორიდებით, მაგრამ შეუვალათ ურჩევ და დავითს— უარი სთქვი სამეგრელოს მთავრობაზე, ხელმწიფე-იმპერატორი შესაფერსა და კარგს პენსიას დაგინიშნავს, შენ მამულს მოუარე, საცა გნებაეს იქ იცხოვრე, შეიღები აღზარდე და უზრუნველათ იყავიო.

ხელიდან აკლიდა სახელმწიფო მართვა-გამგეობას, პირად ბედნიერებას უქადდა.

დავითისათვის ასეთი წინადადება არ იყო არც ახალი და არც უცნაური.

აგერ ივანე მუხრან-ბატონი, ეხლა რუსებისაგან „მუხრანსკით“ წოდებულ, მისი სიძე კაცი, გენერალი რუსეთი არმიისა, სულ ამას არ ჩასჩიინებს: „დავით, ეხლავ დასთმე შენს სიცოცხლეში სამეგრელოს მთავრობა, თორემ შემდეგ ინანებო.“

*) გაგრძელება. იხ. „ნათობი“ № 18.

ან და ბარონ ნიკოლაი, მისი ქვისლი დიდი თანამდებობის პირი თბილისში, ისიც ამასვე არ უმტკიცებდა?

მისი სიამამრი, ცნობილი ალექსანდრე ჰევჭავაძე, სანამ ცოცხალი იყო, ისიც ამასვე არ ურჩევდა?

გაახსენდა: ერთხელ, იქ, გორდს, სამეგრელოს მთავრობის სამსახურსა და სასახლეში, სამივენი ერთად რომ ჰყვანდა სტუმრათ: ალექსანდრე, ივანე და ბარონი. ერთხელ გენერალური თათბირი რომ მოუწყეს.

უმტკიცებდნენ: რუსის იმპერატორს შენ ვერ გაუმკლავდები, არც ნიეთიერი ღონე გაქვს მაგისათვის, არც ჯარი გაგაჩნია, ვერც დამხმარეს მოგვნი სადმე. ვერ ხედავ რა უყვეს ქართლში მაგრატიონებს, როგორ გააჩნიავეს მათი სახსენებელი, იმერეთის მეფე სოლომონი სად გადახაფრეს, გურიი და გურიელი როგორ მოაშთვეს ცეცხლითა და მახელითა. აფხაზეთის იმედს ხომ ვერ დაიკავევ, რადგან იქაური მთავარი ჰამუდბეი-მიხეილი პირადი მტერიც არის, ან იმას რა ღონე აქვს, სამურზაყანოც კი დაკარგული აქვს, იქ ეხლა რუსის ჩინოვნიკი ზის, სვანეთის დადემკელიანის მემდი ხომ ეს სულ უიმედო საქმეა—რა შეუძლიან? ერთად ერთი ის, რომ დროებით გაშავრდეს თავის მიუფალ მთებში, მაგრამ იმ მთებზეაც ავა თავის დროზე რუსის ზარბაზანი. მაშ სხვაგან საით უნდა გაიხედოს სამეგრელოს მთავარმა? ევროპისკენ? ეს ხომ სულ უსუსური მოსაზრება იქნება. და ასე.

ურჩევდნენ: დასთმე სამეგრელოს ტახტი, მთავრობა. მოუარე შენს მამულს, შეკმატე და შესძინე, შეამრგვალე ისე, რომ შემდეგში რუს-ხელმწიფემ მათორატი დაგიმტკიცოსო. ერთი პირველთაგანი იქნები შენის შეძლებით რუსეთის ამპერიაში, საშვილისშვილოთ შენი სახელი ძლიერი იქნება, მორკჰული და ბედნიერიო.

მაშინ ნაძვილი პასუხი არ გაუცია თავიანთ მოკეთეთათვის. „მოვისაზრებ, მოვიფიქრებო“ ამით მოიშორა. მხოლოდ მათი რჩევის ნახევარი კი დაიჯერა. იმ თავითვე შეუდგა „მამულის შერგვალებას“.

მთავარი საკითხი კი ღია დარჩა და...

აი ეხლა „ნამესტნიკი“ თან ურჩევს, თან ეკითხება როგორ მოიქცევი შემომითვალეო. თან მუქარა ეტყობა ამ მეგობრულ წერილსაც.

თუ არა?..

ჰო და რა იქნება „თუ არა“?

რუსი იმპერატორის ჯარის ხიშტები დგას ამ „თუ არას“ უკან.

მაგრამ რომ არის კიდევ მეორე იმპერატორი საფრანგეთისა? დავითმა ხომ იცის ზოგი რამ განზრახვები ამ იმპერატორისა? გრად დე როზმორდიოკი რომ წამდაუწყემ არწმუნებს—საფრანგეთის ხელმწიფეს შენზე კარგი თვალი უჭირავს, ის მალე ურჩენს რუსეთს და შენ ევროპას უნდა მოემხრო, ამას მოითხოვს შენი ქვეყნის ისტორიული ბედი, შენი პირადი კეთილდღეობაო. კიდევ ბევრი რამ იცის დავითმა ამ „ევროპული ბედისა“



სამეგრელოსათვის, მაგრამ ვიცი, რომ ახლა აქ არა ჰყავს გრაფი თავის გვერდით... არც არავინ ევროპიელი იმყოფება ამ ქაშიდ მის სასახლეში კარზე...

მაგრამ ამას როგორ იტყვის ვინთ. ის კი არა აგერ, ნაწილობრივ რომ ჩასვენებულა, ამ რუსის გენერალმაც რომ გაუფოს... რა უყოთ რომ სიძეა და სიყმაწვილიდან ნაამხანაგარიც... რუსის გენერალია თავით ბოლომდე-ამას ვერ იტყვის, ვერა. მაშ ვის?

საკითხის გადაწყვეტა კი პირდაპირ და შეუვალათ მოადგა კარზე.

ჰმ... გაეცინა გულში. კათოლიკე მისიონერები კარგა ხანია არ ყოფილან ჩემთან. აქვე ახლოს კი არიან... თავიღონში... მოდი იმათი აზრიც გავაგო ერთხელ კიდევ... ისინი ხომ ნაპოლეონის აგენტები არიან. საფრანგეთის დედოფლის ეგვიპტის კლვირებში. არ შეიძლება ახალი არა იცოდნენ რა...

მეტის მეტი გაჩუმება მოუვიდა დავითს. ვერ შეამჩნია, რომ ივანემ კარგა ხანია წერილი წაუკითხა და თვითონაც კარგა ხანია ნერვიულად დაიბრუნა ოთახში.

ივანე კი სათვალეზ ზემოდან გადმოჰყურებს, ხელში გაშლილი ბარათი შერჩენია და ელაუდება. დავითი მაინც მიდი-მოდის, ხმას არ იღებს.

ივანე ვერ ითმენს:

— დავით, ჰა, რას იტყვი? გეტყობა ძალიან აღელდი, მაგრამ განა შენთვის ეს აშკარა ახალია? რამდენი ხანია ამას გირჩევა შენი მოკეთებები, მაგრამ აქამდე ვერ იქნა ვერ შეგაგონეთ... სწორე გითხრა, არ მესმის რას აყოვნებ. ჰკვიანი კაცი ხარ და დარწმუნებული ვარ თავს არ დაილუპავ ბაგრატიონებისთვის, სოლომონ მეფესავით... ნუ აყოვნებ, დავით!

ივანეს ხმას შეემატა მუქარის რიხი.

პატოცკი შემოვიდა.

— ევითხოთ სტანისლავ სიგიზმუნდოვიჩსაც— შემოტრიალდა დავითი ახლად შემოსულისაკენ და ფანჯრის ჩარჩოს ზურგით მიეყუდა.

— რას მიბრძანებთ?— იკითხა პოლონელმა.

— აგერ ნამესტნიკი სწერს ჩვენ მთავარს წერილსა...— და წერილი წასაკითხად გადასცა ივანემ.

პატოცკიმ წაიკითხა და სახეზე არაფერი დაიმჩნია, მხოლოდ ჭროლა თვალეზი ძალზე აუთამაშდა, მაგრამ ესეც რომ არ დაენახათ კვლავ წერილს ჩაულრმავდა.

— წაიკითხეთ?— შეეკითხა მთავარი.

დიდლ თქვენო უმაღლესობავ!

— ჰო და ჩემ ალაგას რომ იყო, როგორ მოიქცეოდით, გრაფ?

— გრაფ?— შეიკვირვა ივანემ.— ბატონი პატოცკი განა გრაფია!

ჰო, კარგი ეხლა— ცოტა შეუბღვირა დავითმა.— ვიცი, რომ დეკაბრისტობის გამო გრაფობა ჩამოართვეს...

— თქვენ განა პოლონელი პატოცკი ხართ? — არ მოისვენებთ ივანემ და უხუელს თვალი თვალში გაუყარა.

პატოცკი ცოტა დაიბნა... თან გააკვირვა ივანეს შეკითხვამ... უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ დავითმა არ აცალა და კვლავ შეეკითხა:

— როგორ მოიტყუოდით მეთქი, გრაფ?

— მე რომ სახელმწიფო ჰქუა მქონდეს, მაშინ სამეგრელოს მთავარი ვიქნებოდი.

დავითმა ეს საწყენათ არ მიიღო. შეაჩერა:

— დაეთხოვეთ ამ ქათინაურებს.

ივანემ კი გულში გაიფიქრა: „ო, რა მამაძალი ყოფილა, ვიღაც არის“; თუმცა კარგად იცოდა ვინც იყო, მაგრამ მაინც მიაშტერდა პატოცკის. იმან კი ასე შემოუხვია:

— საკითხი უსათუოდ რთული გახლავთ, თქვენ, თქვენო უმადლესობავ, არჩევანი დიდი გაქვთ და თუნდაც თქვენი მეგობრის, ნამესტნიკის ცალმხრივ რჩევას ვერ აპყვებით...

ივანემ სათვალე მოახსნა. კარგად დაფინანსო ეს კაციო. სათვალეს მხოლოდ კითხვის დროს ხმარობდა, ისე კი შორმხედველი იყო. თან გულში ფიქრობდა: „რას ჩმახვს, ვიღაც არის. ევ ხომ ვაიანცოვია რუსეთის ინტერესების დამცველათ მოუყენა დავითსა“.

და თითქოს ამის საპასუხათ პატოცკიმ წარმოთქვა:

მე ხომ აქ დიდათ პატივქემულმა მიხაილ სიპიონაჩმა თქვენა რუსული კინცელარიის გამკეთ მოგახვიათ ჩემი თავი. მაგრამ იმავე დროს, მე არა ვპალავ, ისიც დამავალა, რომ რამდენადაც ჩემი გონება გაწვდება, თქვენს წინაშე მუდამ თვითმპრობელური რუსეთის ინტერესების დამცველი უნდა ვიყო, მაგრამ სიპართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც მე გავეცანი საქვერელოს თავისებურებას, მის ნიჭიურ ხალხს, ტერიტორიალურ მომარჯვებას, ზღვაში საკუთარ გასასვლელს, ნავთსადგურათა სიუხვეს, ევროპის სიახლოვეს, მე მგონია, რომ...

ივანემ რალასიც თქმა დააპირა, მაგრამ პატოცკიმ ხმას აღმალაურა:

— მომიტევეთ, გენერალო... თქვენო ბრწყინვალებავ. კარგათ მესმის, რომ თქვენთან ასეთი ჩემი ლაპარაკი დიდი გაბედულებაა, მაგრამ... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ დეკაბრისტებს...

აქ ცოტა ჩაახველა პატოცკიმ და, თითქო ამითი ხმა ამოიწმინდაო, განაგრძო:

— ჩვენ დეკაბრისტებს გაბედულება გჭკვევია და ამისთვის დავისაჯენით კადეც, თუმცა სასჯელმა ეს გაბედულება ვერ ჩაქლა ჩვენში და ამიტომ აქაც გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ საქვერელოს მთავარი შარტო რუსეთის წინადადებას ვერ დაეკრძნობა...

ეხლა დავითსაც გაუკვირდა: ამ დილით რას ამბობდა ეს კაცი, ხში-



რად ახსენებდა მთავარს, რომ იგი რუსეთის ქვეშევრდომია და მის სიტყვებში რუსეთს არ აწოდებდა სამეგრელოს.

მაგრამ ამბახეც თითქო ამ ეპაღ პასუხი მზად ჰქონდა პატოცკის:

— მართალა, თქვენა წინაპარმა, მთავარა გრიაკოლა, მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და შეპყვიცა ერთგულება რუსეთის ტახტს, მაგრამ განა პოლიტიკაში ფიცს რაიმე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მე რომ სამეგრელოს მთავარი ვიყო ევროპაშიაც მოვსინჯავდი ნიადაგს, რადგან მთავარმა ის უნდა ირჩიოს, რაც უწინარეს ყოვლისა მისი ხალხისთვის არის სასარგებლო და შემდეგ მისი ოჯახისა და პიროვნებისათვის...

ივანე გაოცებული შესტკეპროდა ამ უცნაურ კაცს და თანდათან ბრაზით ივლებოდა მისდამი.

პატოცკი განაგრძობდა:

— ნამესტნიკის წერილში პირდაპირ აღტერნატრეა დაყენებული. ორში ერთი აირჩიეთ, — ან უარი სთქვით თქვენს უფლებებზე, ან... მოძიტვით, მთავარო... ძალით გათქმევიანებთ უარსაო. მაგრამ ასე კი არის საქმე... ძალით თქვენ ვერაფერს გათქმევიანებენ. რუსის მთავრობამ არ იცის, რომ თქვენ საქიროების დროს ევროპა გაგვიმაგრებთ წელს. საფრანგეთი დაგეხმარებათ, ინგლისი ხელს შევიწყობთ, ოსმალეთი რა არის, ოსმალეთიც კი ფეხქვეშ გაგვეკებათ და ომის დროს ოსმალეთი უგულბებელსაყოფი არ არის...

მთავარმა გაიარ-გამოიარა. შემდეგ იქ მყოფთ ზურგი შეაქცია და ეზოში შეგროვილ ხალხს დააშტერდა.

ივანემ კი როგორც შეამჩნია, რომ მათ დავითი არ უყურებდა, პატოცკის შეჭარბით თავი გაუქნა და ჩურჩულით უსაყვედურა:

— Хорошо! Хорошо, нечего сказать!

პატოცკიმ ამის საპასუხოდ ტურებზე ორი თითი მიიღო და ამითი აშენო გაბუჭდით, ხელს ნუ შემიშლითო, ეშმაკურათ თვალის ჩაქნევაც შეპკადრა და თვითონ შემპარავის კილოთი განაგრძო:

— ან და შეადარეთ რუსეთის და ევროპის წესწყობილება. რომელი ურჩენია სამეგრელოს, რომ შეითვისოს? რუსეთში ჯერ კიდევ მძვინვარებს ბატონ-ყმობა, მაშ ამაში კარგს რას ისწავლის სამეგრელო...

ივანე უკვე დამშვიდებული უკლებდა ყურს პატოცკის, მხოლოდ ხშირად წამოეჩრებოდა ფრაზა: „ო, რა მამაძალი ყოფილა, რა მამაძალიო“ და გულში სიცილით კუჭუჭებდა.

პატოცკი განაგრძობდა:

— რუსეთში არ არის ზუსტად ჩამოყალიბებული კანონები და არ არსებობს საჯარო სამართალი. აქაც რა აქვს სამეგრელოს შესათვისებელი? რუსეთი არ წარმოადგენს კონსტიტუციური სახელმწიფოს. მე მოვახსენებთ ამ ეპაღ ხალხის წარმოადგენლობაზე. ინგლისში კი მოგეხსენებათ, დაუწერლად აქვთ ესე ვითარი...

და მიჰყვა და მიჰყვა პატოცკი, მაგრამ ივანემ აშკარად იცოდა, რომ არ გასჭრა ხერხვა — დავითს ვერაფერი წამოაცდევინებდა.

ის კვლავ ეზოს გაჰყურებდა, თუმცა პატოცკის სწრაფი კარგა ისმენდა. მაგრამ აგერ ეზოში თვალი შეჰქრა ჯოლორია დგებიას, მაშინვე შემოტრიალდა და ზარი დარეკა.

კარებში ჩაჯუნავე გამოიჯვინა.

— ბატონებო, უკაცრავად, ხალხი შელოდება და...

— დავით! პასუხი უნდა გამატანო. — უხუმრად მიმართა ივანემ.

— დასწერს პატოცკი.

პატოცკი შეშფოთდა:

— არა, მთავარო, რაც მე აქ ჩემის გულ-ახდელილობით მოგახსენებ მაგას ვერ დავწერ...

— როგორ შეიძლება! ღმერთმა დაიფაროს! — ჩააქერა ივანემ.

— არის ერთი გამოსავალი — და თვალებში კვლავ ციმციმი უწყებს პატოცკის. — რომ ცხვრებიც გადარჩენენ და მგლებიც მიძღრები იყვნენ, მივწეროთ ნამესტინიკს: თქვენ თანახმა ხართ მის წინადადებაზე...

დავირემა თავი აიღო და შეაჩერდა.

— არა, ეს არაფერი — ვითომ როგორც ბავშვს ისე დაუყვავა პატოცკიმ — მხოლოდ სამაგიეროთ წლიურად თხოულობთ ოცდაათი ათას მანეთს პენსიას...

— როგორ, ვაჭრობა დავიწყო? — იწყინა დავითმა.

— არა. ამას ისინი ვერ მოგცემენ და საკითხიც ღია დარჩება.

— კარგი. მოვიფიქრებ.

და თავით უჩვენა, რომ აღარ მპირდებო. პატოცკიმ თავი დაუქრა და მაშინვე გავიდა, მაგრამ მისთვის საკმარისი იყო დავითის ასეთი პასუხი, რომ ტფილისში წერილი ეფრინა ნამესტინიკისათვის — დავითი ყოყმანობს, ოცდაათი ათასი მოითხოვა პენსიით და თუ ცოტას დავიცდით საქმე ჩვენ სასარგებლოთ გადაწყდებაო. თან მეტად აგინებდა: ჰკვიან კაცად მოაქვს თავი და აქამდე ვერაფერი წამოვაცდევინე, მაგრამ ევროპისაკენაც, უფრო საფრანგეთისაკენაც უჭირავს ცალი თვალი, თუმცა ჩვენ ცოცხალი ან მკვდარი სად წაგვივაო. და ისე იყო ეს დაბეზლების ქალაქი შედგენილი თითქო ვიღაც გავარდნილ ყაჩაღზე იყოს ლაპარაკიო.

ივანე მაინც დარჩა დავითთან და ეხლა გიორგი ჭკადუაშელის შეთქმულებაზე მოითათბირეს. გადაწყვიტეს, რომ პეტრე დადიანი აღარ გაეშვათ არსად, სასახლეში მძევლათ დაეტოვებინათ. შეთქმულთათვის კი შეეტყობინებიათ, რომ ივანე მუხრან-ბატონი თავის მცირე ჯარით აქ იმყოფება და დამხმარე ძალას ამ დღეებში მოელის კიდევ გურია-იმერეთიდანო. ეს ყოველ შემთხვევისათვის. უნდა გაეგდოთ ასეთი ხმა. მოსაჩვენებლად კი, საგარეო სამოციქულოთ გაეგზავნათ სწამივ დაბარებული მიტროპოლიტი, რომელმაც ჭრისტეს სახელით უნდა ელაპარაკნათ ღმობიერებასა, სათნოფ-

ბასა და სიკვარულზე და იმავე დროს პეტრესთან უნდა გაემართნათ ვაჭრობა, რომ ოღონდ მის ძმებს ვანდგომილება მოეშალათ და მთავარი მათ ამისათვის დაუბრუნებდა წართმეულ მამულებსა და ყმებზეც.

ეს იყო უმთავრესი. ეს ვაჭრობა უნდა ჩატარებულყოფილიყოს „და ორ გამოცდილს სიძე-ცოლის-ძმას, თვითაც ანგარებით ალესილს, მუხრან ბატონს და დადიანს, ღრმად სწამდათ, რომ ეს ხერხი გასჭირდა. სხვა კი ყოველივე იყო ამათ და მოჩახული. ორთავეს აზრი კი ის იყო ბთავარს „ხელი შეეჭრა“, მაკრამ ისევე შეთქმულების ხარჯზე.

ხოლო ყოველივე ეს უსაიდუმლესათ უნდა დარჩენილიყო და თუ შეტყობება მოხდებოდა, ხალხის თვალში ეს უნდა მიეწერნათ მხოლოდ და მხოლოდ შუამავალ მიტროპოლიტებისათვის.

ი თ

X

ლიბარტიადან დაბრუნებული მხიარული მოდოდა უტუ. საჯინიბოსთან შეამშნა, რომ კარგა ნოზრდილი წრე შეკრულიყო და ხმამალა გუგუნებდა.

რომ მიუახლოვდა, იცნო მურზას ხმა.

გაპყვიროდა:

— არა, ეგ ტყუილა მოუფიქრებია ჯოდორიას. იმას „ვილარდე“ *) ვინმე ვაყი ნუ ვგონივარ. მიყიდის რა, პიოუტყვი ვგონივარ, საქონალი თუ რა?

— დამშვიდდი, ყმაწვილო, — უფრკურებდა შავის მხლე ნანეიშვილი. — ვითომ პირველად გესპის, რომ ახნაური კაცს ყიდულობდეს.

— კი, მაკრამ რა უფლება აქვს?

— უი, შენ კი გაიხარე! — მწარე სიცილით მიაყოლეს მურზას ყოველი მხრივ.

— რას ქვია უფლება აქვს!

— უფლებას ვინ გვიკითხება!

— არ გვეკითხება და ნახავს მის სეირს. — იმუქრებოდა მურზა.

— კარგი, ნუ იმუქრები, შენთვის უარესია. — შეუბრუნა კვლავ ნანეიშვილმა.

— მაინც რა მოეწონა ჩემი, რა? — და თავი ჩაჰკიდა მურზამ.


— ეჰ, ჩემო ძჰაო! — წამოდვა ნაბიჯი უბუკესმა მეჯინიბემ — ვაკეცობა არ უნდა გამოგეჩინა, მახარია. *)

ცეკვაშიაც თავი არ უნდა გესახელებინა...

— მართალია, — დაუკრა კვერი მეორემაც — შენებურ ალანისთანა* ბიქს ვერ გაუშვებს...

*) ჩაჩერისებური

*) სიბაზღლო.



ეს დიდი სასჯელი იყო. კაცი უნდა მოწყვეტილიყო ყველაფერს და ისეთ ალაგას წასულიყო, საცა, როგორც იტყვიან, ლეკმა-ბერიც სანატორელი გაუხდებოდა.

ივანეს არაფერი უთქვამს. განაგონობით იცოდა, რომ შეგუბონების ღენტები კატორღაზე უარესი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე უნდა მოქცეულიყო მთავარი, რათა რუსის ჯარის სახელი ძირს არ დაეცა.

მოიყვანეს ერთი ბერი.

ბრალდებოდა „უჯეროთ შობილის“ ყვით წაყვანა.

დაკითხი დიდათ გაურისხდა: განა მე არ ჩამოვმართვი ბერებს უფლება უჯეროთ შობილთა აყვანაზე?

ბერმა გაბედა:

— წინეთ ესეთი იყო, მთავარო, ჩვეულება: უჯეროთ შობილები ბერებს მიგვყავდა.

— მერმე და მე რომ ავკრძალე? მე რომ ისევ დედებს დავუტოვე ესეთი ბავშვები აღსაზრდელათ?

— არ ვიცოდი, მთავარო, მაპატიე!

— არ იცოდი! განა კანონის არ ცოდნა შეიძლება?

— ბერი გახლავართ. ლოცვანის მეტი ხელი არა მიჭირავს რა.

— მმ... ყმების დაჭერა კი კარგათ გცოდნია!..

— მაპატიე...

არ აცალა. ბრძანა:

— ჭაქვინჯის ციხეში. ერთი წელი.

აღრიალებული ბერი გაიყვანეს.

ივანე მთავარს მიუბრუნდა:

— ეს როგორი კანონი გქონია დავით? კარგი, ბერებს არ აძლევ უკანონოდ შობილებს, მაგრამ საწყალ დედებს რაღას ერჩი, რომ ბავშვების აღზრდა მათთვის დაგივალებია... მათ თავიანთი სირცხვილიც არ ეყოფათ?

დავითმა არა უპასუხა-რა. მოხელეებს უბრძანა:

— შემდეგი!

მუხრან-ბატონს კი უზენაეს სასამართლოს წევრმა, ტაია პატენისქვამ, აუბსნა:

— თუ გვეცოდინება მამა ვინ იყო, ბავშვის აღზრდაში იმასაც ვადებინებთ წილს.

— და თუ არა?

— მაშინ მთავარი თავის ბაზინიდან აძლევს ცოტას... მაგრამ უჯეროთ შობილის მამა ყოველთვის ჩნდება ხოლმე.

ივანემ ჩაიციხა.

— შენ სადაური ხარ? — ამასობაში ეკითხებოდა მთავარი ახლად შემოსულ ერთ წითურ კაცს.

— კორცელიდან, აზნაური...

— მით უარესი ზენთის. აზნაური ხარ და ქურდობ?

— ტყუილი მოუხსენებიათ, მთავარო...

— ხმაი.. ეგ დამტკიცებულა. გავაგონეთ დღეს...
 შაოთ.

დამნაშავემ იატაკზე ფორთხვა დაიწყო:

— მთავარო იქ ხომ დავიღუპები... ან ციებ ცხელება მომკლავს, ან გველი დამკინს, ან შორიელი...

— შეისრულეთ!

ეგც აღრილდა. ცოლშვილის შებრალებაზე დაიწყო მოთქმა, მაგრამ ციმ-ციმ გაიყვანეს.

— დავით! — დაუძახა ივანემ და შემდეგ მოახერხა დამტკიცებული ფრანგულით გადაცემა: — ცხენს ვერ მორჩეხარ და უნაგირს ამტკრევ... შენ რუსეთზე ხარ გაბრაზებული, ვარანცოვზე... შეიძლება მეც შემიღურო, როგორ ვანიბნდა და სამთავროს დათმობა შემომთავაზაო, მაგრამ ეგენი რა შეაში არიან!.. მაგათზე ჯავრს რათა ყრილობ!

დავითმა ცუდათ შეხედა. პასუხი არ გაუცია და ივანეც გაჩუმდა.

კარებში შემოიშარათა ჯოლორია ღვებია.

ვეშაი კაცი, ავაზაკური გამომეჩვეულებისა. მშვენიერი შავი წვერი მკერდზე სცემდა. მხოლოდ წარბი ჰქონდა შეკრული და ბოროტად შეკურებდა მთავარს.

ცოტაზე წამოვიდა და დადგა შეტპოვრად.

— დალაქი!

ბრძანა მთავარმა.

ყელამ თავი მოიბრუნა. მთავრის ერთგულ ჩაგუნავას გარდა, არავინ იცოდა დავითის საიქ უმლო.

ჩაგუნავას მომარაგებული ჰკოლიყო დალაქი. მყისვე შემოიყვანა.

დავითმა კვლავ გასცა ბრძანება:

— სიხოვეთ ჯოლორიას. იარაღი მოიხსნას.

მრიხანებამ გაიღვრა ჯოლორიას თვალებში, მაგრამ იარაღი მაინც შორილილებით აიხადა.

და არ შეიმჩნია შეურაცყოფა. თავი მაინც ამაყად ეჭირა.

მაგრამ აგერ ანიშნა დავითმა და ორმა მკლავლონიერმა შინაყმამ ხელები გაუბაწრა ჯოლორიას. შემდეგ ძალით დასვეს სკამზე და ფეხებიც მაგრა მიუბნეს.

ეხლა კი აგმინდა ჯოლორია:

— რაა მერჩი, დავით! თუ ჩემთვის რამე აგიტეხია იცოდე, რომ არ შეგრჩება ჩენისთანა თავადიშვილის შეურაცყოფა.

— უჭედურებაც ეგ არის, რომ „მაგისტონა“ თავადიშვილი ხარ და აი რეებს ჩადიხარ: აგერ გურალები! დაუძახეთ.

შემოიყვანეს და ჯოლორია რომ ასეთ დღეში დაინახეს გუროლებმა, უფრო თანამად დაადასტურეს:

— ჩვენ ყვება, მთავარო, ამ ჯოლორიამ ჩვენი ხედვრი დასტურება. ძალა იხმარა, ხატხეაც დააფიცა და ისინიც შიშით შეპატივდნენ ნაკის გადახდას.

— ევნიც ჩემი ყმები არიან და მათი ყმებიცა. — ბრდღვინაედა შე-ბოქალი დგებია.

— მარტო შენ გინდა ჭამა, ჯოლორია? ამათ რითილა ირჩინონ თავი?.. დაუძახეთ ქალებს.

გლები ქალები შემოვიდნენ. ამათ კი ველარ მოითმინეს და ჯოლო-რიას ასეთ დანახვაზე სიხარული ველარ შეიკავეს:

— უჰ, ხელი შეარჩინა ღვერთმა ვინც შენ ასეთ დღეში მოგაქცია!.. მოჰყენენ და მოჰყენენ.

— ამან იყო, პატენი დადია, ჩვენი ქმრები ისე გატანჯა, ისე გააწვალა, რომ საწყლები ადგნენ და კახეთში გადაიხვეწნენ. ახლა უნდოდა ჩვენც მის „დობორე“-ში წავეყვანეთ, მაგრამ განა არ ვიცით „რა თავს სტკივა“ ჩვენი იქ წაყვანა?.. უნდა მოახლებად გავგზადოს და სამსახურში სული ამოგვარ-თვას.

მოდგნენ და მოდგნენ:

— შენ არ იყავი, პატენი ჯოლორია, ჩვენ ქმრებს ასე კი არ შეუკრავ-ვდი პატიოსნად ხელებს, — ხუნდზე დასვამდი, თავსა და ფეხებს ხის ფი-რებში გააყოფინებდი და შემდეგ მათრახებსაც არ აკლებდი. ვენაცვალე ეხლა პატენი დადიას, რომ ჩვენი გულის ბუზარი ამოუყრია...

— ეს კიდევ არაფერი თავადო — ხმა იმიღლა ისევ დავითმა — შენ ქალებსაც აუპატიურებდი თურმე შენს გლებებში.

— დიდა, დიდა, დიდა!.. წყეული, წყეული მაგის თავი — ყველაზე უფრო — ასრიბინდა ერთი — გაუხარელი მ.გისი თავი, როგორც მაგან არ გაახარა და ბედი დაუწვა ძილხანა...

— ტუხიას? — გამოართვა მეორემ.

— ეკაიას? — შეენაცვლა ეხლა მესამე.

— ცატოს?

— ჰეჩეს?

— რისკას?

— მზეხას?

— პოპინეს?

— აჰა, აჰა, აჰა! — გასწიოდნენ ქალები.

მაგრამ მთავარმა შეაჩერა ნიაღვარი. ივანემ სიცილ აყოლებით ჩაი-ლაპარაკა:

— ეს მთელი მარტიროლოგიაა დაღუპულ ქალწულები.

კიდევ შემოიყვანეს ვილაც ჩილაჩავა, რომელიღაც მღვდელი, თურ-

ქეთში გაყიდულ ქალ-ვაჟის მიხრწნილი ბეზია და ყველა ისინი მოუხრბობდნენ ჯოლორიას მიერ შათ აწიოკებას, აოხრებას, შევეწროკებას და სხვა ათასგვარ სიღუბეებზე.

მაგრამ ეტყობოდა, რომ ჯოლორიას ყველა ეს ცოცხალი, თითქო სინდისის ქეჯნათ წარმომდგარი არსებანი, სულაც არ აწუხებდნენ.

ის მხოლოდ თავის მდგომარეობით იყო გაბრაზებული და ამის გამო თუ იყო, რომ ხშირად კბილებს საზარლად გააკრატუნებდა.

მთავარი კი შვევრ-მეტყველებდა:

— მო და ეხლა რა გიყოთ თქვენ: სულ ერთი ხაროთ თავადიშვილები: უსამართლობა, ძალმომრეობა, განუკითხაობა... აღარც ღვთის შიში გაქვთ და აღარც ღვთის მიერ დადგენილის თქვენის მთავრისა... სულ ყველას საკუთარი კანონი გაქვთ შემოღებული... განსაკუთრებით შენ, ჯოლორია... და ეხლა აბა რა უნდა გიყო! მხოლოდ შენი შთამომავლობის გულისათვის, შმაგი კორძიას პატრიესკემისათვის ცუდს არას შეგამთხვევ, სამაგიეროთ ისეთ რასზე კი მოგიწყობ, რომ სამუდამოდ დაგახსომდეს...

და ანიშნა.

დალაქმა ბასრა მაკრატლით ჯერ მარცხენა მხარეზე იშვიათი შავი და გრძელი წვერისა ჩამოუგდო.

ერთი საზარლათ დაიგმინა ჯოლორიამ.

მეგრელ კაცისთვის და ისიც თავმომწონე თავადიშვილისათვის ამაზე დიდი შეურაცყოფა არა იყო-რა.

„ბეაქე“ — გრძელი წვერი — ეს წმინდათა წმინდა რამ იყო. იქა-აქ პეტრე დადიანივით ზოგიერთი თუ იპარსავდა წვერს ძველის ქართულის ჩვეულებით, თორემ მეგრელს წვერი ვ ეკაცობის უმაღლეს ნიშნათ მიაჩნდა და დიდათაც ფარეზობდა.

ეს იცოდა ივანე მუხრან-ბატონმაც და ამიტომაც შეეცადა ჯოლორიას გამომზრებოდა:

— ოპ, ეგ არაფერია, თავადო! დავითი მეტად ლმობიერი ყოფილა. მე უფრო სასტაც განაჩენს მოველოდი მისგან თქვენი ესოდენ შეცოდებისათვის, თორემ წვერის გაკრეჭა და გაპარსვა ეგ რა? აი მეც ხომ წვერ-გაპარსული ვარ...

ჯოლორია გაილურსა მიმკედარინებულ მხეცივით და მეტის მეტი სობრაზით თვალებიც კი დახუჭა.

ამიტომ ვერ დაინახა, რომ მისი ფუშუშუშა წვერის ნაჭერს ერთმე გლეხის ქალმა ფეხი დაადგა და გათელა კიდოც.

— Ну бог с ним!.. — წარმოსთქვა დავითმა და გავიდა სასამართლოდან.

მას გაჰყვა ივანეც და კიდევ რამოდენიმე.

ფეხის ხმაზე ჯოლორიამ თვალი გაახილა და ეხლა კი აღმოხდა უწმინწური გინება მთავრის მიმართ.

დალაქი თავის საქმეს განაგრძობდა.

ტაია პატენისკვამ კი ჯოლორიას გინება შეუწერა და გააფრთხილა, რომ ასეთი სიტყვები მას სასჯელს დაუზღვიებდა, მაგრამ ჯოლორიამ პირობით შეუტია:

— შენ ის გიჯობს შენი პატარა ძმა დუტუ გააფრთხილო, თორემ თავს წააგებს...

ტაია ვერის მიხედა და გაკვირვებული შეაცქერდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში.)



გიორგი კახაიძე

კუზპინი აღესაზი

ადრინდელ ლექსებს მღეროდა მარტო
 ბომა მუჟსიკე თავადის კართან;
 ქალაქში დიდი ნალეელის პატრონს
 ცოტა წყალობდა ბავშვების გარდა.
 აგონდებოდა ბატონის კეტი,
 როზგი და დედის დამკენარი ლოყა...
 ამ დროს მოვიდა საფოსტო ეტლი
 და ჩრდილოეთის ნიაფი მოჰქვა.
 ჩამოხტა კაცი წუთილის მსგავსი
 და მეჟუსიკეს აჩუქა რალაც...
 ირგვლივ მოაველო თვალები ბასრი
 მგზავრებს, ხეებს და შენობებს მაღალს.
 დახარა თავი, დაიძრა ყუჩად
 და მოედანი გადაჰტრა ვიწრო.
 არ აბრწყინებდა მუნდირით ქუჩას,
 მაგრამ ქალაქმა პოეტი იცნო.
 მტრებთან ჭიდილით მას აკლდა ღონე,
 თუმცაღა გზაშიც შეჰყროდა სურდო.
 დაშორებული სასახლეს, ჭორობს —
 საჭიროებდა გარემოს მყუდროს.
 არ ვიცი, შემდეგ ვისთან ან როგორ
 დროს ატარებდა, ცხოვრობდა იგი.
 ხედავდენ მხოლოდ ხელოსნის გოგოს
 ეზოში ხშირად პუშკინის წიგნით.
 ამბობდენ კიდევ: მგოსნისთვის თურმე
 საამოაო სამხრეთის ზეცა;
 უმღერსო დილით ზაფხულის სტუმრებს:
 ვარდებს, ფოთლებს და მზიარულ მერცხალს.

წასვლის წინ დიდხანს ის იდგა ზღვასთან
თმაგაწეწილი, მკვუნვარე სახით.

ისმენდა დროთა შოთველ ხის და
წყლის აოდრობის იღუპალ ძახილს.

გონებით კვრეტდა სურათებს ნახულს:
ონევის, დილით გამოსულს გარეთ,
ბესარაბიის მინდვრებზე ზაფხულს,
დაღაბებს და ბოშების კარებს.

ხედავდა: როგორ ფურქლავდენ სადღაც
დეკაბრისტებთან გაგზავნილ წერებს;
აიშალნენ და მოსდევდენ ტალღას
ფრინველებივით ლიცეის წლებიც.
მედნიერების კვალს თითქოს მისწვდა
პოეტმა ისე გაშალა ხელი.

შეირბა, იკრძნო ფეხებქვეშ მიწა
და შეაშფოთა ბალახი ხველი.

თვლით გაკაწრა ლაქვარდის სარკე,
ქება მიუძღვნა განცდათა ლაღადს.

ღრუბელს გახედა მიჰავალს ცალკე
და გაიხატა უფერივ რაღაც.

წასვლს დრო იყო. დაცხრა და მყისვე
დაემშვიდობა შეპართულ ტალღას;
დაემშვიდობა გარეოს ცისფერს,
დაადგა ბილიეს და გაჭვია მ. ლლა.

გული დაანდო და ფიქრი მტეი
გაის, მკზაერობათა ხალისის შემქნელს.
ის ჩრდილოეთში წავიდა ეტლით
და არ უნახავს ადესა შემდეგ.



კანტელეიზონ ჩხიკვაძე

მურზაყან დაღეშქელიანი

რომანი

თავი მეორე*)

1. შორაპანში

მესამე დღე გადის — გზაშია მურზაყან დაღეშქელიანი. ნამესტნიკთან მიეშურება სვანეთის სამთავროს მემკვიდრე. კნეინა კეარიაშაც ისე უჩია: წადი ნამესტნიკთან, დახმარება სთხოვე, შენის მხრით მორჩილება აღუთქვიო.

გზა საოცრად გაგრძელდა. წუხელ ვახშმობისას ძლივს მოატანეს შორაპანამდე. ღამის გასათევად ვილაც მიკიტნის დუქანში შეჩერდნენ. მურზაყან ჩვეული არ არის მოგზაურობას, სად არგინდ. ღამეს გაათევს დაღლილობა ისე არ აწუხებს, როგორც უცხო ხალხთან შეხვედრა. მურზაყანს მარტოობა უყვარს. კეტნად ხე უიალი და ოცნება. გზაში კი მიღეთის ხალხს შეხვედები. გაგეცნობა, გაეცნობი, გამოელაპარაკები, დაუმეგობრდები კიდევ. მურზაყანს არ ეხალისება არც ვინმეს გაცნობა, არც საუბარი, არც ხალხში ყოფნა. ის მხოლოდ სვანეთზე ფიქრობს. ოცნებობს უშბას ზღაპრულ სიდიადესა და მშვენიერებაზე. ოცნებობს მეუღლე ადილხანზე. ჯერ თავლობისთვე არ სოეთავებინა. უდროო დროს მიატოვა ტფილისში გამგზავრების გამო.

დღეს უთენია წამოდგა მურზაყან (მთელი ღამე თეთრად გაათენა და წამდაუწუმ სახარების ოდენა სარკმელში იტკირებოდა, როდის გაათენდებო). ეზოში ისე გამოვიდა, კბილი არაფერზე არ დაუდგამს. მიდამოებს დაუწყო თვალღერება. წუხელ ღამით მოვიდნენ შორაპანში და სიბნელეში არაფერი არ დაუნახავს. გაუგონია კია: შორაპანი დიდი სავაჭრო ქალაქი.

„დიდი ქალაქი“! გაოცებული შესცქერის მურზაყან ყვერით გადახუ-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 10.

რულ ხელისოდენა დუქნებს, სავაჭრო ფარდულებს და ოგეს აქციებს/ დუქნების წინ კოჭკი, ტალახი, ღორების საბანაო. დუქნების სვეტიზე შეკაზმული ცხენები მიუბამთ სოფლებიდან ჩამოსულ მოჭიფველებს. მოედანზე ხალხი მოგროვებულა. ისმის დაუსიფთაველი შანის კონკოლი და ხმაურობა.

მურზაყან მოედანზე გავიდა. ურმებზე გაშლართულ რუმბენს დააკვირდა. ეუცნაურა აქლემების დანახვა. შეეხილა კიდევ. თავრიზიდან მოჰყავდათ დასაპალნებული აქლემები, რედუთ-კალეში ცმურებოდენ.

ცნობისმოყვარე სოფლელები შორი-ახლო უვლიდენ კუზიან ცხოველებს და ჩუმჩუმად იცინოდენ. აქლემები თითქო გრძნობდენ ლაზლიანდარა ხალხის ქირდვასა და დაცინვას. პასუხად ყროყინებდენ, იფურთხებოდენ.

მურზაყანმა ზურგი შეაქცია უდაბნოს რაინდებს და ყაფანისკენ დაიძრა. პირახეველ დედაკაცებს სავაჭრო გაეშალათ და შორიდან უთვალთვალებდენ ბაზარზე გამოტანილ საქონელს. მუშტარს მორცხვად ეჭურჩულებოდენ. ოღონდაც ხელი გაიცილონ და ნახევარ ფასად მიაჩვენებენ მუშტარს წვითა და დაგვით მოწვეულ ქირანახელს, სისხლის ფასად გამოზრდილ პირუტყვსა და შინაურ ფრინველს. სცხენიათ ვაჭრობა. ფული კი ესაჭიროებოდა. ჩარჩებსა და დალალებს სწორეთ ეს უნდათ. ჯერ გამყიდველ დედაკაცების ვინაობას შეიტყობენ. გამოეცნაურებიან და შემდეგ ჩამოგდებენ სიტყვას ვაჭრობაზე.

მოათავებენ თუ არა ვაჭრობას სოფლელი დედაკაცები, პირბადეს აიხსნიან, ვისაც შეძლება აქეს, ტანისაპოსისა და ფეხსაცმელს გამოიკვლის, შიღის მეწვრილმანე ებრაელებთან და იქ უკვე დიდის თავმოწონებით ყიდულობს ხის სავარცხლებს, საპონს, ფერუმარილსა და ბრუციან სარკვებს. ზოგი ხაშსა და მოთელილ შალს ევაჭრება. ზოგი ქმართან ერთად ქმარბანჯალს და წულა-მესტებს სინჯავს.

მურზაყან დაეხეტება აერიაწულეზულ ბაზარში. უსაზღვრო ცნობის-მოყვარეობით აკვირდება დამორცხვეზულ სოფლელებსა და მეწვრილმანე ებრაელებს.

— თათრის ქალებია? — მოკრძალებულად ჰკითხა მურზაყანმა კობტად ჩაცმულ იმერელს, ეტყობოდა აზნაურს.

— არა ყვაწყილო... ქართველებია. ვაჭრობენ და ხომ მოგხსენებათ... იმერელმა მარჯვენა ხელი ისე შეაკეცა, გეკონებოდათ გახურებულ ღირას ეთამაშებო. შეტრილდა და მელვინეს შეევაჭრა.

— რა ღირს ფოხალი ღვინო?

— სამ აბაზ ნაკლებ რაფერ გავეყიდო, ბატონი, სტამბოლიდან მაქვს ჩამოტანილი, — საყვედურის კილოზე უპასუხა მეურმემ, რომელსაც წამდა-უწუმ ეკითხებოდენ ღვინის ფასს, ყიდვით კი არავინ ყიდულობდა.

ფასი ემწუთბა აზნაურ მუშტარსაც, უბზოდ შეტრილდა, იქვე გვერდით ვარიებს დაწვდა და შინჯვა დაუწყა: მძიმე თუ არისო.

„წაირყვნა ქვეყანა. ვკრობა ფებს იკიდებს. ფული ძალადი შედის. ჩქარა ქაოველები ფულში ცოლზეილს გაიმეტებენ... უღვაშებსაც“, — გაიფიქრა მურზაყანმა და ყაფანს გაშორდა.

ჯარისკაცები მეურმეს შემოსეოდენ გარშემო და უწმოზე ბადიებით სვამდენ ღვინოს. „ამათ რა დარჩება შეუხრავი... გარდამთიელნი!..“

* * *

ბაზრის ბოლოში ბუკი დაჰკრეს.

თვალი გაახილეს სამიკიტნოებში მთვლეზარე მგზავრებში.

— დროა, მოემზადეთ! — აღუდღუნდა ლამენათევი მიკიტანი.

თვალი გაახილა ალექსანდრემ. მურზაყან რომ ვერსად შენიშნა, ნესტორ აბდიბა შეანჯღრია.

წამოიშალენ მურზაყანის მხლებელნი. მურზაყანის საძებრად გაექანენ.

— ბატონიშვილო! — ძლივს მოიბრუნა სული აბდიბამ.

— რა მოხდა?

— დაგეძებდი, ბატონიშვილო! არ დაგვაყოვნდეს.

ბუკი გაიძეორეს.

ათიოდე დილიეანი უკვე ჩაეწკრივებიათ ტფილისში მიმავალ შარაზე.

მურზაყანა ზიზლით შეხედა ჩამტვერიანებულ დილიცებს. სამი დღე გზაშია სვანეთის სამთავროს მემკვიდრე და ჯერ შორაპანს არ გაშორებია. ტფილისში როდისღა ჩალწევს. რაც უფრო წინ მიიწევს, მით უფრო ეტყობა მოწყება და უკუნებობა. ადილხანის გახსენებაზე წელი წყდება, თითქოს წელკვამა გაჰკრაო.

— წამობრძანდით, ბატონიშვილო! — მოკრძალებით მიმართა ნესტორ აბდიბამ.

ცხენებმა ეყენები ააეღარუნეს.

— მოვდივარ, — დინჯად უპასუხა მურზაყანმა. მიბრუნდა და ცხენებშებმულ „დროშკას“ შეხედა.

მედროშკე ჯერ არ ჩანდა.

„გასკდება და ვინ იცის, სადმე ხევში გადაგვჩეხოს“, — აბურდღულდა მედროშკის საქციელით შეწრიალებული აბდიბა. დღეს დილით ორჯერ გააფრთხილა, ღვინოს ერიდუო, მაგრამ მიეტლე და გაგონება?!
მურზაყან მედილიცნეთა ბიუროს წინ შედგა. გასწვრივ მდებარე დუქნის აბრას დააკვირდა:

„віньи погріб“

= Салхино =

Е. Цвируриановых. —

ძლივს ამოიკითხა მურზაყანმა ოსკული წარწერა. ბრაზით გააფურთხა და დუქნისკენ დაიძრა.

2. თუქსუსა კანდელაკი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინა დილიენები დაიძრა.

შარავზა ბუქსა და კორიანტელში გაეხვია.

მურზაყანის „დროშკა“ შუაში დგას. მან განგებ შეარჩია შუა ადგილი. გაგონილი ჰქონდა: სურამის უღელტეხილამდე აბრაგები ძარცვავენ მგზავრებსო. შუა ადგილი უფრო საიმედოდ მიიჩნია.

ბაზრის ბოლოში ჩოჩქოლი ატყდა. უცებ ყვირილი და გინება მოისმა. ღრიანცელს, სკამების მტვრევა და შეშების ლაწა-ლუწი მიემატა. შეგროვდა ხალხი.

მურზაყანმა თვალი მოიჩრდილა. თავპირგლეჯით გარბიან ხმაურობის ადგილას. არდაგებამთარებული მედუქნის ბიჭები ზორიანლო უტრიანლებენ თავშეყრილ ხალხს. ცალი თვალით დუქანში იჭვრიტებიან, საიდანაც ისმის გინება, ჯამ-ჭურჭლის მტვრევა და მსხვრევა.

— გამიშვით! — დაიღრიალა ჩამუროვით ჩარგვალბულმა ვაჟკაცმა და ხანჯალამოწვდილი ქუჩაში გამოვარდა.

— თუქსუსა ჩხუმობს!

— თუქსუსა კანდელაკი დამთვრალა! — წამოიძახეს მედუქნის ბიჭებმა და დაეღვებაში მთელს ბაზარს მოედო ეს ამბავი.

აჭრილდა დარბები. გამოკეტეს ყაფაზები და დუქნების კარები. ერთ წუთში მთელი ბაზარი დაიკეტა.

თუქსუსა გავეშებული დარბის ბაზარში და ხან ერთს ყაფაზას შემოჰკრავს ალაბიან ხანჯალს, ხან მეორეს. ყვირის, იგინება.

— გამიშვით, — კვლავ დაიღრიალა თუქსუსამ და ახლა მურზაყანის მედროშკეს გამოუდგა. შემოეხვიენენ თუქსუსას. გზა გადაულობეს.

მედროშკემ დრო იხელთა და თვალის დახამხამებაზე გაჩნდა დროშკასთან.

— რა ამბავია? — ძლივს მოასწრო მურზაყანმა, რომ ხანჯალამოწვდილი თუქსუსაც იქ გაჩნდა.

— შენი კვდარი და ცოცხალი... შე ჯიბიდან გავარდნილო!

გავეშებულ მოჩხუბარს მურზაყან გადაეღობა წინ. რა გინდაო, ჰკითხა დინჯად.

თუქსუსა შედგა. ხანჯალი დაბლა დაუშვა. მურზაყან ორსამჯერ შეათვალთვალა და ბრაზით ტუჩები მოიკნინტა.

— რა გაჩხუბებს, ძმობილო?! — ღიმილით გაუშეგორა მურზაყანმა.

— მატყუარა მამიძალი... სამი დღეა წაყვანას მპირდება და დღესაც უარით მისტუპრებს. „პაჩოტინი პასაფირები“ მყავსო, მე შენ გიჩვენებ „პაჩოტინს“... ნამუსზე ხელაღებულო!

მურზაყან ლმობიერად შეხვდა მოჩხუბარ თუქსუსას. მისი ტანადობა თვალში მოუვიდა. ეუცნაურა კიდევ. უცხო ქვეყნებში არ უმოგზაურია

მურზაყანს, მაგრამ არც სვანეთში და არც აფხაზეთსა და სომხეთში მსგავსა ტანადობის კაცი არ შეხვედრია. დაბალი, ჩაკურთხებული, მოგრძო ფეხებზე ულაზოდ ადგას მიწალეთა ლაზგის მსგავსი ტენიერ კუნთოვანი და კაპარგულა. ბეჭების სიჯანეში მურზაყანს არ ჩამოუვარდება მსგავსი კი — საქმირბოც ვერ წვდება სვანეთის ტახტის მემკვიდრეს.

— სად აპირებ, ძმობილო? — დინჯად ჰკითხა მურზაყანმა.

— ოხკრი ვინმეა, კნიაზო, — დასწრო ჩედროსკემ, — დადის აღმა, დაღმა, მექთად ჰქმს, მექთად ქეიფობს... დახარჯავს და ფულის მიგვიტოვებს. ხეჯალს იშიშვლებს. ჩუბს ასტეხს... და გათავდა... დანახარჯი ყინულზე იწერება.

— იი ბიჭი ყოფილა... ფულის გადახდა რა ვაჯაციის საქმეა... ფულით ვაჭრები რყვიან ქვეყანას... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მურზაყანმა და თუქსუსას მიუბრუნდა: დაჯექით.

დაიბნა ნოჩხუბ. რი. შეოცხვა კიდევ. ხანჯალი ფიცხლავ ჩააგო, მაგრამ შეთავაზებულ ადგილზე დაჯდომა მაინც ვერ გადასწყვიტა. სირცხვილში ჩაგარდა მოულოდელი პატივისცემით და თვითონაც შეიფერა.

— დაჯექი, ძმობილო! — გაუმეორა მურზაყანმა და დროშაკი დაიძრა: გზა ჩხრიმელას ნაპირებს აედევნა. შესვენებული ცხენები ფთხუნით გავიდნენ ბაზრიდან. ცხენების ფხვინვას ზედ დაერთო მედროსკის პროფესიული სტვენა და წრუბუნი, ეგვინებისა და ხარაზინების უღარუნი, ზანზალაყების წყარუნი.

გაიღვიძა მოდუნებულმა შიდაძომა. სოფლის გოგო-ბიჭები სტვენითა და ყიყინით გამოუდგენ დროშას. თხიფსელას ტოტიდან გამოკრილი ხელთოფებით თხემლას კეირხილა დაუშინეს მგზავრებს. ბავშვები ყურშეკვეული იყვნენ მგზავრებზე თავდასხმის ხშირ შემთხვევებს და ახლა თვითონ თამაშობდნენ „აბრაგობის“.

მურზაყან უსაზღვრო ცნობისპოყვარეობით გაჰყურებს ჩხერიმელას გაღმა-ვაშოლმა ნაპირებს.. ციკაბო ფერდობებზე შაშვის ბუდესავით ჩადგმულ ფაცებებსა და საქონლის კონალებს.

აქა-იქ შეღებილი ხის ოდებიც იტაცებს მგზავრის ყურადღებას. შორიდანვე ეტყობა, რომ ოდებში ყუბის პატრონი ახნაურები ცხოვრობენ, ფართო და კოხტად შორთულ ეზო-მიდამოებიც პატრონებია.

მურზაყან თვალს არ აშორებს ერთმანეთზე გადაჯექულ სერებს. სერებიდან კარჩალებზე გადმოვარდნილ ჩანჩქერებს, ზოგან მოხრდილ წყალვარდნილქსაც. ალტაცებულია უღელტეხილის სიმშენიერით. მოხიბლული მკენარეებისა და ტყეების ნაირ-ნაირობით. აქაურობას სვანეთს აღარებს და ჩუჩუხად იღიმება. ერთი რამ აოცებს მურზაყანს: ასეთ ფერდობებზე მოსახლეობის გამართვა და მოსახლეობა შორის სრული უგზობაა. სვანეთი ბარს მოწყურტილია, გზები არ ჰქონია და არც ახლა აქვს, მაგრამ სოფელი სოფელთან მკიდროდ არის დაკავშირებული. აქ სახაზინო შარა გადის,

მაგრამ სოფლები შარავნით ვერ სარგებლობენ. მთავრობის მიერ დადგენილი ქათმებივით შეყვანულნი, მოწყვეტილნი არიან ქვეყნის სურათი მ.ჯის-
ცემას.

„როგორც ჩანს, სიმდიდრით ვერც ზემო იმერეთში დაიქნენნი“, — გაიფიქრა მთლენარე მურზაყანმა და დროშის წონასწორ ქანაობას საკუთარი ტანის მოძრაობა ააყოლა.

თუქუსსა კანდელაკი დარ ხვენილი იჯდა აბდიბას გვერდით. ცნობისმოყვარე მოხუცი შეკობავებით არ ასვენებდა შემთხვევით მიტმასნილ თ.ნ.მგზავრს. კანდელაკი ენაძვირობდა, მაგრამ მოხუცსა აბდიბამ მაინც ბეჭერი რამ გამოარკვია თუქუსსა კანდელაკის პირადი ცხოვრებიდან. იმერეთში დაიბადა თუქუსსა. მიქელადის მოჯალაბის ოჯახში. თუქუსსა შეიდა წლის თუ იქნებოდა, როცა მიქელ ძემ თუქუსსას მაინც ოჯახი სამეგრელოს მთავრს, ლევან დადიანს, მწვერში გაუცვალა. დადანი გოგო-ბიჭების ხარკს აძლევდა თურქეთის სულთანს. ცამეტ წლის თუქუსსა სულთანის სახარკო „თუქუსების“ რიცხვში მოხვდა. სულთანმა დაიწუნა თუქუსსა: უღამაზო და ტრაპიზონელ მუშაულეს მიჰყადა მონად. უნაო ტანადობის გამო თუქუსსა იოლად ასცდა სულთანის ჰარახანას. ტრაპიზონში ცხოვრებას ადვილად შეურიგდა. თუქუსსაც სწორედ აქ შეარქვეს მეტ სახელად. დავაჯაცებისას მკვლავს გამოცდა განიხრახა. მიბეგვა ზედამხედველი, გაუსხრტა დარაჯებს და ნავთსადგურში ამოჰყო თავი. აქ თუქუსსა მის ბედში მყოფ ქართველებს დაუმიგობრდა, შეადგინეს აბრაგთა ძლიერი ჯაფუი. გახშირეს თავიასხმა. ნადავლით რომ ხელი მოითბეს, მენავე თურქი დაიქირავეს და საქართველოში გამოეშურხენ.

თუქუსსა სამეგრელოში დაბრუნდა. ეახლა ლევან დადიანს და ახატობა სთხოვა.

თავდასხნილი თუქუსსა დაეხეტება აღმა, დაღმა... ქეიფობს. ჩხუბობს, რუსის კანონ სამართლას ეწინააღმდეგება. როცა დაიქურე და ხედავს საქმე წააგებულაო, პურმარილით ცდილობს სასჯელის თ.ვიდან ამორებას. არც ქრთამებს გაეცმას თავილობს. არც თავდასხმასა და ძარკვა-გლეჯს იერიდება. შეძლებულ ფაქრებს, სადაც მოახლებს, იქვე წაუთაქბას... შეახლებულ ჯიბებს შეაბარაქიანებს და ქეიფს განაახლებს. ამ რამდენიმე დღის წინათ ქუთაისში ვიღაც ებრაელი გამარცხა თუქუსსამ. გზაკვალის ასანენვად ტფილისისაკენ დაიძრა. სწორედ ამიტომ ასტეხა დღეს ჩხუბი. ბედმა გაუღია და სენეთის უფლისწულის გვერდით მოიკალათა. აბრაგებს თითქმის ყველას იცნობს თუქუსსა. ყველასთან ახლო მეგობარია.

აბდიბას ცოტათი გულს მოეშვა, იქნებ გასაქირში გვიშველოსო. თუქუსსას მაინც შეეკითხა, ამ გზას თუ ეტანებიან აბრაგებიო.

— ეტანებიან, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, — რიხით უპასუხა კანდელაკმა და ახლა აბრაგობასა და აბრაგებზე ჩაჰოაგდო სიტყვა.

მოხუც აბდიბას შიშის ტრუნტელი უვლიდა ტანით, მაგრამ გულს მაინც

ინაგრებადა, თუქსუსას გვერდით არაფერი გამოიქრებდა. ამ ფურცლებში წასთვლიმა კიდევც.

კანდელაკს, ცოტა არ იყოს, ბრაზი მოერია: ამიტომაც წაიწივარა არ დამათავებინაო.

3. ღამიკურობა კავკასიის და... და გადავდგამი!

თმაშევერცხლილი ნამესტნიკი მაგიდაზე გაშლილ კავკასიის სამხედრო როკას დაკურებს. სტრატეგიულ პუნქტებს ფერადი ფანქრით ხაზავს და ზავშივით ილიმება.

კავკასიის კარგად იცნობს ნამესტნიკი. ყოველი კუთხე მოვლილი აქვს, ნაბრძოლი და სისხლით მორწყული. პირველად ორმოციოდე წლის წინად ესტუმრა ის ამ ქვეყანას. ესტუმრა გრაფ ვორონცოვის გვართა და პორუჩიკის ჩინით.

ჰაბუკი ოფიცერი მთელის არსებით მიენდო იმდროინდელ მთავარმართებელს თავად ციციანოვს. შეჰფიცა ერთგულება და გაანაღდა კიდევ. შეუტია განჯას, ზაქათალას და თავი ისახელა. ერევნის მოხორების შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში. მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ცვლილება თვითონ გრაფის პირად ცხოვრებაში მოხდა. წარსულიდან მას მხოლოდ გვარია შერჩა ამ უქანასკნელად. გრაფის ნაცვლად თავადს უწოდებდნენ. გამხდარ მხრებს გენერალ-ადიუტანტის ჯინჯილები უმძიმებს. ლეიბგვარდიის უბრალო ოფიცერი დღეს კავკასიის ნამესტნიკის სავარძელში ზის. ჩვეულებრივი ხმლის ნაცვლად ლალ-ზურმუხტითა და ბრილიანტებით შეფრქვეულ ოქროს ხმალს ატარებს. მუნდირის საყელოს გიორგის ჯვარი უმშვენებს. მარცხენა მკერდი ძლიერ ძლივობით იტევს ჯვარ-მენდლებს, ორდენებსა და წარჩინების სხვა ნიშნებს. ბრილიანტებით შემკულ ნიშნებს შორის იმპერატორის პორტრეტი გამოირჩევა, სამეფო გვირგვინითა და ორთავიანი არწივით. ჩანს, თავგანწირულ ბრძოლებს უქმად არ ჩაუვლია.

მხოლოდ ახალგაზრდობა გაუფრინდა წარჩინებებზე ფეხდაფეხ გამოდევნებულ გრაფს. თვალსა და ხელს შუა გაჰქრა სიკაბუჯის კაშკაშა დღეები. მაჰარივით აწიშინებული სისხლი დაოკდა და რაინდული სუნთქვით ამოძრავებულ გულმკერდს ციფრ ჯვარ-მენდლებისა და ორდენების სიმძიმე დააწვა.

ჩინორდენები გულს უხარია, მაგრამ დროგადასული სიხარული სისხლს ველარ ათბობს, ძარღვებს ველარ ახურებს.

ოქროს ხანა ომებში გაჰქრა და დარჩა ოქრო, ოქროს ჯვარმენდლები. კალარა ნამესტნიკი დაუძღურებს გრძნობს და პირისახეზე შეპარე-

ბული ნაოჭების უფრო ეშინია, ვიდრე ნაპოლეონის ჯარის შემოტევა აფრთხობდა დუნაის ნაპირებზე, სამი ათეული წლის წინათ.

თეთრი გიორგი და ოქროს ხმალი დუნაის ნაპირებზე დაიშინა ვორონცოვმა, ოქროს ხმალი მხრებს ამძიმებს და ნაოჭებს მაინც ვერაფერს შეეღის.

„მოვხუცი“, — ჩემად ოხრავს ნამესტნიკი.

დღეს სააღლუმო ტანსაცმელშია ვორონცოვი. სამხედრო რუკას დაკურებს და ჯვარ-მენდლების წკარუნი ფერფლწაყრილ მოგონებებს აღვიძებს მის ხანდაზმულ გულში.

„ველურთა სამეფოა კავკასია. ქაჯთა სათარეშო. სადღაც „ქაჯეთის ციხეც“ არსებობს თურმე. გავტეხეთ კია... თუმცა... შამილი ჯერ კიდევ თავისუფლად დანავარდობს მიუვალ დაღესტანში. გუნების მწვერვალზე ფეხი უდგას და ბარს ზიზლით დაკურებს. რა დაბალი მოჩანს რუკაზე გუნები. ჩემის ფიქრით, ეგერესტი და მონბლანი უფრო ადვილად ხელმისაწვდომია, ვიდრე ეს ჯუჯა გუნები. იმამი შამილ! რაც გინდა სტევი, შამილს ვაჟკაცობას ვერაფერს უძრახავს. დაღესტნის ლომს შევარქმევდი მე შამილს. მის გამაგრავს კი... — ნამესტნიკმა გამზდარი თითებით პირჯვარი გამოისახა, — ლერეთია ჩვენი შეწე! რა დროს მოვხუციდი! ჯერ დიდი ჩეჩნეთიც ხელმიუწვდომი დაძრია. ზაქათალაში ჰაჯი-მურადი დათარეშობს. ჩახუნდარა აბრაგი. აულღებელია ინგუშეთი, ყაბარდო...“

ნამესტნიკმა წითლად შემოხაზა დაუპყრობელი ქვეყნები. „სამეგრელო-აფხაზეთიც არ არის საეზებით დამორჩილებული. სვანეთი ხოპ... არა, სვანეთს ჩქარა მოეუგრებ კისერს. დადეშქელიანების ურთიერთი მტრობა მშვენიერ ნაყოფს გამოიღებს... სამეგრელო-აფხაზეთის მთავრებს კიდევ უფრო ჩქარა გაეანადგურებ“.

გაიღიმა ქალარა ნამესტნიკმა. Так-с! — აღმოხდა უნებლიედ და მალლა აიხედა. კაბინეტში სხვა არავინ იყო. დახაზულ რუკას კვლავ გადაავლო თვალი ვორონცოვმა და მხერა ისევ დაღესტანზე შეაჩერა. მაგარი სიმაგრე დაღესტანი იყო, მისი აზრით. მთავარი საფრთხე: იმამი შამილ! დაღესტნის ლომი შამილ...

„ვაგლახ სიბერეც! — გივლო გულში ვორონცოვმა. — არა, ისევ ჩემი სტრატეგული გეგმა, თორემ... მთიულეთი აულღებელი დარჩება. გამაგრდი გულო! საცაა დავიპურობ კავკასიას. საქთაფროებს მოვსპობ, მთავრებს გადავსახლებ და... გადავდგები“...

ნამესტნიკი რუკას მოშორდა. ფანჯარასთან მიდგა და აერიამულეებულ სასახლის ბაღს გადაავლო თვალი.

„კავკასიას დავიპურობ და... გადავდგები. მოვასვენებ დაქანცულ სულსა და ხორკს, — კვლავ დაუდასტურა თავის თავს ქალარა ნამესტნიკმა, — გადავდგები, დიახ, გადავდგები“!

4. პატიოსანი სიტყვა

ფაქრებში გართულ ნამესტნიკს აღუტანტა გამოეცხვია, სვანეთის მემკვიდრე გეაბლათო, ძოახენა.

ვოონკოვი გამოკოკაღდა. ჩაცვნილი თვალები აუციმციმდა. ქაბუკივით მოტრიალდა და ბუნდიროს გასაწორებლად ძარები შეათამაშა.

— სთხოვეთ, — მიპართა გაშემებულ აღუტანტს.

ლაშილით შეეგება ნამესტნიკი ავანეთის მკვიდრეს. მოწიწებით მიესალმა, მზრებზე ხელი მოხვია და მაგრების სავარძელში თითონვე ჩასვა.

გაუფიქრდა მურზაყანს ვორონკოვის უბოალოება, ჭარბი სტუმართმოყვარეობა, შინაურულობა და, რაც ძთავარი იყო, ნამესტნიკისათვის შეუფერებელი თავმდაბლობა.

გაჩაღდა სიუბარი.

მურზაყან გულახდილად მოჰქვა საჩივრებსა და საყვედურებს. ოხვრითა და მძაფრი სულიერი ძლეულარებით მოუთხრო ნამესტნიკს სვანეთის ამბები. ამახილა თათარყან და დემეტრიანეს ვერაგობა და გაუტანლობა. მურზაყანის სასახლეში დატრიალებულ უბედურება. ბუბია დიგორხანის ტრადიკული სიკვდილი. სასახლის აობრება, გადწევა და ტახტის დაქარგვა.

გარინდული უსუნდა ნამესტნიკი მურზაყან და დემეტრიანს, თითქო პირველად ესმოდა ეს ამბავი, თითქო მას დღემდე წარმოდგენა არ ჰქონდა და დემეტრიანის სასახლეში დატრიალებულ უბედურებაზე.

მურზაყან მოფრიდებლად განაგრძობდა საყვედურებსა და საჩივრებს. თათარყანზე რომ გული იჯერა, ახლა დავით დადიანს მოდგა: საბალახოს ბეგარას არ მაძლევსო, ჩემი შინაყმებია გადაბირებას ლამობსო, — ჩიოდა მურზაყან.

— შინაყმების? — განკებ ჩამოართვა სიტყვა ნამესტნიკმა.

— დიხ, შინაყმებას. ჯერ კიდევ მამიჩემის სიკოცხლეში გადაიბირა რამდენიქ სვანი... ახლა თათარყანის ვერაგობით დამგროთხალ სვანებს თავშესაფარი გაუჩინა. დავით დადიანი, მოკებსენებათ, სასახლეს იშენებს ოდინში და გადბევეწილ სვანებს სახურხაებზე აქუშავებს. ახატობას სთავაზობასო, აბოაენ... სამოსახლოს და უფასო ხეტყეს, მოსახლობის გასამართავადო. ერთის შეხედვით, ქველმოქმედებათ მოტყენება კაცს მეზობელ მთავრის ასეთი საქციელი, მაგრამ თუ სიამაღვილეს ჩაუფიქრდებით, თვალმაქცობას დაკინახავთ.

ნამესტნიკმა თანაგრძობის ნიშნად ამოიოხრა და, როცა მურზაყან მორჩა საჩივრებსა და საყვედურებს, ნაწვევ უებად დაიწყო:

— დიდად ვწუხვარ, ბატონიშვილო, თავადი თათარყანის საქციელის გამო. თუცა... რა გაეწყო... მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმერატორის ხელისუფლებას ახრად'არა აქვს ჩაეროს სამთავროთა შინაურ საკითხებში. ისე, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, სათანადოდ გიშუამდგომ-

ლოთ მისი უდიდებულესობის წინაშე, რათა ტახტი დაგვიბრუნდეს. თქვენი სრულწლოვანად გაადომისთანავე, მოხარული ვარ, რომ სვანეთის ტახტის მემკვიდრე, ვანსვენებული მამის გზას არ ღალატობთ და მისი უდიდებულესობის ხელისუფლებას ნიპართავთ დახმარებისა და მფარველობისათვის. პრწყინვალე თავადი მიხეილ დაღეშქელიანი იმთავიდანვე მომზრე იყო დიდ რუსეთთან მკიდრო კავშირისა და, როგორც მახსოვს, მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა მგვობრული ხელი გაუწოდა მაშათქვენს... ერთგულებისათვის სათანადოდ დააჯილდოვა კიდევც.

მურზაყან შეიკმუხნა. მას არაფრად არ ეპიტნავა რუსეთთან მგვობრული ურთიერთობისა და ერთგულებაზე სიტყვის ჩამოგდება... მაგრამ რაკი ნამესტნიკი შეპირდა: გიმუშამდგომლებ, ტახტი დაგვიბრუნდესთო, გულში სიხარული ჩაეწვიეთა.

მურზაყანს თვალწინ წარმოუდგა სვანეთის სამთავრო. სასახლე, ცაქხვის ქვეშ გამართული სამთავრო სასამართლო. ზის მირონცხებული მთავარი, მურზაყან მთავარ მოსამართლის სავარძელში და ირგვლივ ხელქვეითი სვანები ახვევია. ზოგს სასჯელიდან ათავისუფლებს მთავარი, ზოგს ბეგარას ადებს, ზოგსაც როზგებს... მაგრამ როზგი... როზგით დასჯის წინააღმდეგია მურზაყან. ახსოვს ერთხელ გურჯინი გაროზგეს მურზაყანის თვალწინ. სამთავრო ტყეში ნადირობა გამხდარიყო გაროზგვის მიზეზი. წამოაწვინეს ლომივით ვაჟაკი. შარვალი ჩახადეს და... დასცხეს ხორკლიანი წიკბლები. ჯერ ზოლები დაიხატა სხეულზე. ზოლები ერთმანეთში გადაიხლართა. ამორცვდა... აიფრფტა. შემდეგ დასკდა და.. მურზაყანს გააეკროლა. სისხლის ნალღარი თვალწინ დაუდგა. არა, როზგს მოსპობს მურზაყანი. გაროზგვის არავის მიუსჯის და სასჯელიც თავისთავად მოისპობა. თავადებსა და აზნაურებს კი... პირდაპირ აუკრძალავს შინაყმების გაროზგვინებას. თითონაც კეთილად იცხოვრებს და ქვეშევრდომებსაც კეთილ ცხოვრებას მიანიჭებს. ასე ფიქრობს დღეს უწლოვანი ბატონიშვილი.

დარბაზობამ დიდხანს გასტანა. არც არავის დაურღვევია მათი მყუდროება. ნამესტნიკი დღეს არავის ღებულობდა. სვანეთის მემკვიდრე ბედნიერ გამონაკლისს შეადგენდა ამ შემთხვევაში.

ჩქარა ოფიციალური დარბაზობა შინაურულმა მასლაითმა შესცვალა და წათამამებულმა მურზაყანმა ახლა უფრო დაწვრილებით უამბო ნამესტნიკს თათარყანის და მისი შვილების ავკაცობის ამბავი. განმეორებით სთხოვა ნამესტნიკს დახმარება და თავის მხრით სრული მორჩილება აღუთქვა.

— გაძლევეთ პატროსან სიტყვას, ბატონიშვილო! — დაუდასტურა ნამესტნიკმა და გადაწყდა: ბატონიშვილი აღეკანდრე გაეგზავნა პეტერბურგს სამხედრო ცოდნის მისაღებად, ხოლო მემკვიდრე მურზაყან სამთავრო ტახტზე დაესვა. მურზაყანის სრულწლოვანება და ხელმწიფე იმპერატორის დასტურიდა აკლდა შეპირების განაღდებას.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ველამ სარიანი

ისტორია დაწერილი კლდეზე

აქ არის ხევი — ძველი, ქვიანი.
მდინარე მარდი მუდამ ჩხრიალებს,
და დინამიტი ქარიშხლიანი
კლდეების მკერდში სჭოქს და გრიალებს.
უნდა აფიოთ ეს ბარი მალლა.
უროს ხაჟური, ოფლის წვეთები
და უშიშარნი ამ ხეში, ახლა,
ჩვენ ვქვნით ძორაჟკას თავგამეტებით.
ამ ველურ ხევეში ჩვენი სიმღერა
ტრიალებს, როგორც შეპტევი ქარი,
შენდება ახალ ცხოვრების კერა
და მე ერთ კლდესთან მაქვს საუზარი.
კლდე ჩემს პირდაპირ დგას მოღუნებით
შემომცქერის დაეანგულ სახით,
თითქოს მოზვაკდებ საუჯუნენი
და ძირს დაგორდენ მძიმე ცახცახით.
ახალი გრძობით, ახალ იერით
მე ძველი ძეგლის წინაშე ვდგავარ,
და მე ვკითხულობ ვაი მეცნიერი
ძეგლის უხსოვარ თავგადასავალს.
წარსულს ვიგონებ სიმღერის ხმაზე
და ისტორია ჩემ თვალწინ დგება,
სასტიკმა მეც მ დაწერა ქვაზე
ამაყ სიტყვებით თავისი ქება.
— როცა მე ომით დავიპყარ ტახტი,

ქვეყნის მფლობელი ვაგხდი მ.მატი —
 ხელში ავიღე ძლიერი ლახტი,
 ტყვედ ავიყვანე ამდენი კაცი.
 მე ჩამოვიხრჩვე მრავალი ხალხი,
 ტიკები ამოვიღე მათი კანიდან.
 მე ეს ქვეყანა სისხლიან ტალღით
 წავლექე. დარჩა ნაცარი, ზმანება.
 მაგრამ გასულა ურიცხვი ემი,
 გასულა ბევრი საუკუნეები,
 მათ აულოკავთ მეუ სითაპამით
 ეს სისხლიანი ქეთა ბრძოები.
 ახალი გრძნობით, ახალ იერით
 მე ძველი ძეგლის წინაშე ვდგავარ,
 და მე ვკითხვლობ ვით ზეცნიერი
 ძეგლის უხსოვარ თავგადასაცლს.
 და ახლა ერთი კლასი მიწული
 სწერს ისტორიას თავის მარჯვენით.
 ის ჰქმნის მომავალს — თავგახწირული,
 დაუძლიეელი, მაღალი რწმენით.
 იგი სწერს: — ველურ ზღეში მოვედით,
 სავსე რომ იყო „ზნელ ეშმაკებით“,
 ჩვენ გამოგვედეთ ახალი ბედი
 აწ ჩაოქრობელ მზეთა აგებით.
 ჩვენ ჯავამდიდრეთ ეს დანგრეული,
 ძვილი ქვეყანა; ოფლი დავლვარეთ,
 ჩვენ მოვსპეთ მტერი ბრაზმოორელი,
 ჩვენივე სისხლით შევღებეთ მხარე.
 შევწუსრეთ ირგვლივ სალი კლდეები
 და იდინარეთა შევცვლეთ რკალი,
 რომ აღმობრწყინდნ სინათლეები
 და გააჩაღონ სიციცხლის ალი.
 დიდი ქარხნები აქ დაიჩაზმა
 და შენობები სჩანან მაღალი.
 დაე, გაიგოს ხვალინდელ კაცმა,
 რომ ბრძოლის ცეცხლში იშვა ახალი
 ხვალინდელ კაცმა იცოდეს მაინც,
 რომ ბევრ ანხანავს ერგო სიკვდილი,
 ქება-დიდება გაბედულ რაინდს —
 ვინც არ დამტკბარა ზეიმის დღით.
 ზუმაღ მალეღვებს ფიქრი ათასი



და ისტორიის მედგარი გეზი,
რომელსაც ახლა მშობიელთა კლასი
სწერს ზემს გულში და ქალარა კლდეზე,
ურო! ასწიე ზეცამდე ბარი.
უხვად დაეღუპროთ ოფლის წვეთები,
როგორც გრიგალი ვართ უშიშარი —
ვაგებთ ძორაპქესს თავგამეტებით!



თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილის.



ლიხე ჩარანცი

მოგავლის კალატოზებს

(თავი პოეზიდან)

წდით კიდემდე,
სოფლებიდან ქალაქბამდით,
სად მინდორ-ველს თუ
ჭაღაქის თაოს ნისლი ებინდა,
ყოველ კუთხიდან,
დაძახილზე დიდი ბელადის,
დაიძრა ხალხი —
ქარხნებიდან, გვირაბებიდან.
დაიძრა ხალხი,
 უთვალავი,
 ყიჩინის ხმებით,
თ გლეხით მოაქვსთ
 ალიოხი უბრწყინვალესი.
ჰე, მოდის რაზმი,
 ქანაობენ ფოლადის მზრები,
წინ მოუწოდებს განახლებულ შრომის ხალხსი.
აქ წინად იყო
 ქვიშნარების უდაბნო მზარე,
აქ მრავალ წლობით
 ცაბკახებდა ჰაერში ხელი—
მეფე სიკვდილის.
და სიმღერებს უსმენდენ ქარებს
მხოლოდ მოხუცი არაქსი და
 ეს ზანგა ძველი.
მეფის რუსეთის ამ განაპირს,
აქ, სად ხანების!
 იყო სამთავრო,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქროდა ქარი ყვითელ გორებთან,
ხანგრძლივი გვალვა,
როგორც ვეფხი ცეხლის თვალებით,
ცხელ ქვაზე იჯდა ამღვრეული
და აზმორებდა.

ქშენდა უდაბნო ულმობელი,
დამლუპველი და,

ჩალავდა სიცხე:

— ხალხის დოვლათს და ნაამაგვეს.

აქ სხვა ცხოვრება დაწყებულა ამიერიდან,
მშრომელი ხალხი ამწვანებულ ქვეყანას აგებს.
აქ მზის სხივებით გაივსება

ყურძნის მტევანი,

ამოანათებს ყვავილები ველზე ურიცხვად.

ჩემო დამკვრელო,

ო, შენს გარდა შექმნას ვერავინ,

ეგ სიხარული,

ახალ ყოფნის ეგ სიმღერანი,

გააღე კარი

ბოლშევიკურ გაზაფხულისა.

ო, შენ მდინარეც, ონავარო,

კლდეებს ქვეშ გაჭრით

რომ გამოძვერი,

საბრძოლველად მოდიხარ უხვი.

შენი სხეულის დგანდგარში და

ჩუხჩუხის ხმაში

მე ვესალმები უდიდესი ბრძოლების ქუბილს.

შენი ხმის ნაცვლად

ამ ჩუხჩუხში სხვა ვიცან გრგვენა,

არტერიებში ბეტონისა

ღელვა ზღვაური,

შრომაში გართულ,

წარჩინებულ დამკვრელთა ენა

შორს გალაშქრებულ ლეგიონთა ფეხის ხმაური.

ამ ვრცელ არმიებს მოუწოდა

მებრძოლმა კლასმა,

და ეს ჩუხჩუხი,

მათ ფოლადის ნაბიჯებიდან

შედგა, შექურდა,

თვალუწვდენი გუგუნებს მასა

და სიმღერა ბით წინ მიიწივს გამარჯვებულთ,

მე შენს ჩუხჩუხში გავიგონე —

სიერცეებს გაღმა,

შორს, დასაელეთით,

აყიეინდა ხალხი უღევი,

ჩვენთან მოდიან,

ძველს ანგრევენ

და ბრძოლით გაჰყავთ

ელვარე გზანი მომავალი გაზაფხულების.

მე ამ ქუხილში ბელ დის ხმას

ვგრძნობ როგორც იმედს,

გადამწყვეტ ომში რომ მიგვიძღვის

წან ქედუხრელი, —

ჩემო დამკვრელო მეგობარო,

ეს არის — მიძმედ

აგრიალეზა, უდიადეს, ბრძოლის ქუხილი.

თარგმანი დ. გაჩეჩილაძის.



სოლომონ ტარონი

გაუდა ჩიბუხის შესახებ

— დილით წამიყვანეს,
გავხდი მსხვერპლი ციხის,
მაგრამ იქ ვ-პოვე
მე ჩიბუხი თიხის.
ვის დავიწყებებარ,
ჩიბუხო, ნეტავი?
გაჩნია ლაქები
სისხლიანი, ავი.

— ო, მე ჩიბუხი ვარ
შენი ამხანაგის,
და ბევრი ამბორი
მახსოვს მისი ბაგის.
მაგრამ ის დამარცხდა —
გულადი და მარდი.
ჩიბუხს დაუტოვა
მან უაიტყვო დარდი.
ჩვენ აქ მოგვიყვანეს,
იყო განთიადი.
იგრძნო მან მოწვევის
სურვილი დიადი.
ორ საათის შემდეგ
შემოვიდა შავად
კაცი ბოროტ გულით,
ჰკითხა შემპარავად:
— გული ბოლშევიკის
თუ განაგრძობს ქუბილს?
თუთუნით გავაესო
მსურს შენი ჩიბუხი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხელი წაიღო
 მან ჯიბისკენ მალე,
 სწრაფად ამოიღო
 საგანო ბრწყინვალე.
 მაშინ გაფიგონე —
 აგრიალდა ტყვია:
 და ჩემი პატრონი
 იატაკზე გდია.
 ზვი წაიყუანეს
 სადღაც დაუნდობლად,
 და მე კი, ჩიბუხი,
 დავრჩი მარტო, ობლად.
 — შენ მარტო არა ხარ,
 ო, ჩიბუხო წყნარო,
 უიმედობისგან
 აღარ გაიბზარო!
 ერთხელ მზე ამოვა,
 დაგვიდგება დარი,
 ციხიდან გამოვალთ
 ორივე მოლიმარი.
 გეწევი, ჩიბუხო,
 მთართოლვარე ტუჩებით,
 და გვალერსები
 სიყვარულით, გზნებით.
 გეწევი და ვაჩნევ
 შე თუთუნის წვაში
 შის გულს, აფეთქებულს
 ბრძოლით და განგაშით.
 იმ გულს, რომ ცოცხლობდა
 ამაყ, უტყუბი,
 იმ გულს, რომ დაიმსხვრა,
 ვით მრისხანე მეხი.

თარგმ. ვალ. გაფრინდაშვილის.



აკაკი გელიაშვილი

ზ ვ ა ვ ი

მოთხრობა

მთა დადიანში თითქოს ქრებოდა ზეცაში და დილის სინათლათ გაშ-
კრთალებული ცალგვერდა მთვარე მხოლოდ კლდოვან ნახნაეებს უნათებდა
ამ ზღაპრულ კოშკივით ამართულ მთას. ჩამოღარულ იქით აქეთ გაფანტულ
ნაპრალებში სიბნელე ჩაგუბებულყო და სადღაც, სიღრმეში, მხოლოდ მდი-
ნარე.

ყასბულათმა ცოტა ხანს შეისვენა. ქვაზე ჩამოჯდა. თოფი მუხლებზე დაი-
დო და დადიანს გახედა.

მიმქრალი ვარსკვლავები შეშინებულვით ციმციმებდნენ და ეს თეთრ-
თავა, აფხაზეთამდე ჩამწყრივებული მთები, იდგნენ ჩუმით, თითქოს სამყა-
როს დარაჯობდნენ, რომ შემდეგ გაათენებისას აშლილიყვენ და აქლემბივით
კუზების რხევით გადგომოდნენ უდაბნოს გზას.

გრილმა სიომ დაბერა.

ყასბულათი ისევ გასცქეროდა დადიანს. უყვარდა ეს მთა, რადგან, ყო-
ველი ნაპრალი ნაცნობი იყო მისთვის, ყოველ ქვაზე დაუბრჯებია ფეხი. აი
იქ, კედლებივით ამართულ კლდეებზე გასულა და ისეთ ქვაზე, ქუდიც რომ
არ დაიდება, დაუჩოქია და ჯიხვი ამოულთა ნიშანში. ერთხელ აი იმ კედ-
ლის ქიმიდან, შავად რომ გადმოკიდულა ნაპრალის პირას, იქიდან მოკლა
ჯიხვი. თითქოს მთას აეკრას ხელი, ისე ავარდა ჯიხვი პაერში, ერთი ხუთ-
ჯერ მაინც გააკეთა ყირა და ყინვარზე დაეცა. ძლივს ჩამოვიდა მაშინ იმ
კლდეზე ყასბულათი, ყინვარის ნაპრალში, რქებით ჩაკიდული ჯიხვი აშოა-
თრია, გაატყავა, აქრა და ნელ ტყავში კობტად შეახვია. შემდეგ ამ ხუთ-
ფუთიანი ტვირთით ნელა დაუყვა ამ დანის პირივით ბასრ ქედს ჩამოვი-
და ამ, სვეტივით აყირავებულ ლოდამდე, შეისვენა და ქვემოთ გზა რომ
ორად იტოტება იქედან გადავიდა... ოჰო! ეს რა არის?

ფრთხილად წამოიწია და დააკვირდა. ლოდებს იქით ჩასაფრებულ ბან-
ჯგვლიან ცხოველებს მოკრა თვალი. მოგონებების ძაფი სწრაფად გაწყდა
და ყასბულათი ყურადღებად დაიძაბა. ისევ უძრავი სიჩუმე სუფივდა და
ბანჯგვლიანი, დათვის მაგვარი ლანდები უძრავად იყვნენ. შეიძლება კიდე-

ვაც ელანდება ყასბულათს. რას გაარჩევ მთვარის შუქზე. იქნება დათვებია ან ტყის კაცები. ყასბულათი არ იყო ცრუმორწმუნე, მაგრამ მინც უსიამოვნოთ გააეროლა, სწრაფად წამოიჩოქა და თავისი ელვარა ბმერიკული ვინჩესტერი ფეხზე შეაყენა.

— ჰეი... — გასძახა ყასბულათმა.

ბანჯგვლიანები შეირხენ (ეს აშკარად შეამჩნია ყასბულათმა), მაგრამ არ უპასუხეს.

— კაცი თუ ხარ მიპასუხე, თორემ გესვრი.

ისევ სიჩუე. ყასბულათმა სწრაფად შეპართა ვინჩესტერი, ბანჯგვლიანის ზურგი ნიშანზე დასვა და — ბ:ც: ზზიუუ... — დაიწვილა სიბებში გაფანტულმა თოფის ხმა.

ერთ წუთს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კოლოს წუთისაც კი გაარჩედა კაცი. მგონი იქ ხევში მდინარეც კი გაჩუმდა. შემდეგ ყასბულათმა უცბათ გაიგონა მამაკაცის კენესა და აშკარად დაინახა ორი, დათვისტყავებში გახვეული მონადირე. ერთ მათგანა მარცხენა ზაჯაზე წაველო მარჯვენა ხელი, ხოლო მეორემ წამოიჩოქა და მთვარის შუქზე გადმოიელვა ყასბულათისაკენ მოშვერილმა შევერცხლილმა ჯაზაირმა.

— არ ესროლო ყასბულათია — დაიკენესა დაჭრილმა და თოფს მხარი გაუკრა.

მეორე შტერდა და თოფი ძირს დაუშვა. ყასბულათი წამოდგა ზტზე. კადირბი იცნო ხვით. თავისი ცოლისძია კადირბი. გაშრა ყასბულათი, ეს რა უბედურება დააწყდა თავს. ნუ თუ მძამეთ დასჭრა. კადირბი ფეხზე ველარ დადგა, ქვებზე გაწვა და მისი თანამგზავრი სულ დაიბნა, ხან აქეთ ნიაწყდა, ხან იქით. ყასბულათი კი თითქოს გაჯაქვული იყო. ქვასავით გაშეშებული; თითქო ამ აყირავებულ ქვებს ერთი ადამიანის მაგვარი ლოდი მიმატებოდეს. შემდეგ უცბათ მთაში მოულოდნელად მოწყვეტილ ქვასავით დაეშვა ყასბულათი ქვემოთ. თითო ფეხის დაკვრით გადაეგლო ლოდებს და მოწყვეტით ჩაჯდა კადირბისთან.

— კადირბი...

ყბები აუცახცახდა. არ იცოდა რა ევითხა.

— კადირბი...

— ნუ გეშინიან ცოცხალი ვარ, ხელში მომხვდა ტყვია. აბა! შემიხვიეთ როვორმე...

ყასბულათმა თოფი განზე გადაავდო, სწრაფად მოიხსნა ჩანთა, სადაც ყოველთვის ინახავდა ოდესლაც ბიძაპისის მიერ, ქუთაისში გერმანელ ჯარისკაცთაგან ნაყიდ, პატარა სამგზავრო აფთიაქს.

სახელო დანით შეაჭრა და მაჯა მოუსინჯა. მაჯის ზემოთ ძვალი გატეხილი აღმოჩნდა. სისხლი შავ ზოლებად ჩამორბოდა ხელზე და თითებიდან უზმოდ წვეთავდა ძირს.

გასაოცარი სამშვიდით შეუდგა ყასბულათი საქმიანობას. სადღაც გა-

პქრა აღეღება. მითარით წამოღებულ არაყით, კრილობა მოზანა და იოდი წაუსვა. შემდეგ ზედ სისხლის შესაჩერებელი ყვითელი ბაგა დაადო და ბინტით მკრად შეუხვია.

— არყის წყნელები მომიტანე — მიუბრუნდა ყასბულათი ჯანსუყს და სანამ ის წყნელებს მოიტანდა ცოტა შეისვენა.

— გტყვი? — კითხა კადირბის.

— ძალიან. პირველად იმდენად არ მტყვიოდა. ახლა... უხ! სულ მხარ-
ში მტებს... აი აქ... ფეთქავს.

— კაცო რატომ ხმა არ გამეცით...

— რა ვიკი. სისულელე ჩვენი. ჯერ შევეშინდა. მერე დავაპირეთ ხმის გაცემა, მაგრამ ამ დროს გაფარდა კიდევ და...

ორივე გაჩუმდა.

ცალგვერდა მთვარეს საიდანაც ქსოვილივით თხელი ღრუბელი წამოპარეოდა და შარავანდათ შემოიკალეოდა.

— ახლა ჩვენ მოსისხლეები ვართ — დაარღვია სიჩუქე ყასბულათმა — რა არ შევითხვევა კაცს... დაიქცეს ჩენი ბედი...

— მოსისხლეები ვართ, თუტკა რა შენი ბრალია. ჩვენ არ გაგეცით ხმა... ა! ო... უხ! მე კი არ ვეძაებ სისხლს. რა სისულელეა, კაცს შემთხვევით გაგივარდა თოფი, მაგრამ ჩვენი სოფელი ხომ იცო, ჩვენი ქალები მაინც სულ აფეცილებენ...

— ნეტავ ეგ ხელი კარვად მოვიჩჩეს და ვნახოთ შემდეგში რაც იქნება, იქნება.

ჯანსუყმა წყნელები მოიტანა. ყასბულათმა ოთხი პატარა რიკი პრტყლად გათალა, გატეხილ მკლაფზე ოთხი მხრით დაადო და თასპით მაკრად შეკრა.

დამთავრა თუ არა დოსტაქრობა, ყასბულათი უცბათ მიხედა თავის ასეთ სიმშვიდეს და ძალიან გაუკვირდა. ცოლის ძმა დაჭრა, მისი გვარი მოსისხლედ გაიხადა და თითქო არაფერი არ მომხდარიყოს. დადიაში ისე წყნარად იქტირებოდა ზემოდან, შხარას კალთაზე შეგროვილი ბოლთა ღრუბლები ზანტად ღელავდენ და ყასბულათიც არავითარ აღეღებას არ განიცდიდა. როდესაც ჯანსუყი მხარში შეუდგა კადირბის და წასასვლელად მოეზადენ ყასბულათმა ასადგოვად წამოიწია და გოცებულმა მუხლებზე დაიხედა.

იჯდა და მუხლები ისე უთახთახებდა, რომ ერთმანეთს ეხლებოდა.

საკვირველია. არც შიშს განიცდის, არც აღეღებას და ამ მუხლებს რა მოსდით. სკადა რომ შეეპაგრებია, მაგრამ ვერ შესძლო. მუხლები უფრო და უფრო აუთახდახდა. გაბრაზდა ყასბულათი. საკუთარ თავზე გაბრაზდა. რა მოსდის. შიშა მაინც განიცდიდეს, ან გული უცემდეს. ასე წყნარად ზის და ეს მუხლები სულ უმატებენ კანკალს. კბილების კრაქუნიც არ შეკლის.

— აღექი, წავიდეთ. — ჩაულაპარაკა კადირბიმ.

ყასბულათი ვერ ადგა.



მზე დადიასის წვერს ასცილდა, აიწია მალა, გადმოჰყვანა კალწვეთიან სოფელ ცხვიმარს და უცბათ გააცხელა სოფლის შუა გულში მარტყნისა ჩამოსაჯდომი ლოდები.

მათელი სოფელი მოჯარდა. როდესაც ჯანსუყვა კადირბი მოიყვანა და ლოდზე ჩამოაჯინა, დაფეთებული ადილხანი თმებგაშლილი გამოვარდა. კადირბის მუხლებთან ჩაჯდა და მორთო კივილი.

რად გაუშვი ცოცხალი... დამინახინჯა ქმარი... ცალხელი გაგხადა.. ვოი! მიშველეთ ნათესავებო.

კადირბი ჩაეთრებული ტუჩებით წყნარად ბუტბუტებდა:

— იმისი რა ბრალია, ზომ არ უნდოდა... განგებ კი არ უსვრია...

მეზობლები თავჩაჭინდრული შესცქეროდნენ კადირბის.

— როგორ თუ არაა იმის ბრალი — უმატა კივილს ადილხანმა — რაღათ მინდა ცალხელი ქმარი, როგორღა უნდა იმუშავო, დამეკცა ოჯახი...

ადილხანს ქალები შემოეხვიენ. თანაგრძნობის ნიშნად იმათაც დაიწყეს წუწუნნი, კადირბის ხელი მოუსინჯეს და აყაყანდნენ. ყველა ცდილობდა ერთმანეთზე ხმამალა გამოეთქვა თავის მოსაზრება და ისეთი ღრიალი ატყდა, რომ სახლებში მიტოვებული, აყენებში ჩაკრული ბავშვებაც კი აყვირდნენ.

— რომ მოეკლა ბარემ ის სჯობდა.

— რაღათ ვარგა, ცალხელი კაცი, მაინც აღარ წერია ცოცხლებში.

— ამოიღეთ ხმა, ასე უნდა შეირჩინოთ სისხლი..

მამაკაცებიც აყაყანდნენ. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. განსაკუთრებით ახალგაზრდა ჯატუს შეუტიეს, რომელმაც ქალების წინააღმდეგ გაილაშქრა. კადირბიც ეთანხმებოდა ჯატუს, მაგრამ საერთო ღრიალცულში მისი ხმა არვის ესმოდა, და, როდესაც გაკავასებულმა ქიონამ თავისი ლეჩაქი ჯატუს თავზე შემოახვია, ჯატუს მამამ ხანჯალზე ხელი გაიხვია და შვილისკენ მიიწია.

— ამ სიბერის დროს მარცხვენ შე წუნკალო! ხალხო ამ საქმეს ასე ნუ გაუშვებთ, სისხლი ავილოთ.

— ავილოთ, ავილოთ.

ეკლის ჯირკვივით დაჯღარკული ქაუზა ქვაზე შედგა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იყვირა.

— ხალხო! ფიქვებში ჩოფლიანები ტყეს კრიან. რა უნდათ იმათ ჩვენ ტყეში. ისინი არღვლიანების სისხლს ღვრიან და ტყეს უნდა კრიდნენ წავიდეთ დაეზოცოთ...

— წავიდეთ, იმათი რჯული და სახსენებელი...

ათიოდე არღვლიანი გაიბნა სოფელში. შაშხანა თოფები გამოარბენინეს და ისევ მოედანზე შეგროვდნენ.

— აბა წავიდეთ.

— არეინ დარჩეს...

აურზაურით და ყვირილით შეუდგენ დაკიდულ აფრთხილებულ ჩოფლიანებთან, მათზე აღრე, კედირბის დაქრის ანბაგმა წიასწროს და ტყეში არაეინ არ დაუხედათ.

წასულიყვენ ჩოფლიანები. წაქცეული და ნახეგრად გათლილი ხეები მიეტოვებინათ და გაპარულიყვენ.

ხელცარიელი დაბრუნდენ უკან საომრად გამზადებული არღლიანებში. ხოლო როდესაც მხე დასავლეთისაკენ გადაიხარა და გრილმა სიომ დაქრა, მათი აღელვებული გრძობებიც ნელნელა დაცხრა.

ახლა გაახსენდა ჯანყვასაც. ქაუსასაც, ბიზურხასაც და ყველას, რომ მათ ჩოფლიანების ადგილებში ზეგ თიბვა უნდა დაეწყოთ. თუ ისინი აღღლიანების ტყეს კრიდენ, საშაგეოროდ სათიბებს უამობდენ.

თავის ტყეში კარგი ვაქეცები არიან ყველანი, მაგრამ რომელი მათგანი შეებედავს ჩოფლიანების სათიბებში შესვლას. კვაბივით გაუპობენ შებლს ჩოფლიანები გათავებედებულ მოსისხლეებს.

არღლიანებს სათიბებში აღარა აქვთ.

თითქოს საქონელიც დანადღლიანდა ისე ზანტად და გულსაკლავი ღმუთლით ბრუნდებოდენ უკან თავების ქიანით წაბლისფერი მოზერები, ცულლუტი თებები და მუღამ მიწის მუწინავი ცხკრები. თითქოს იმათაც იგრძენეს რომ ზამთარში საყვები აღარ ექნებოდათ და სოფლის მოედანზე შეკრებილი სენები მღუმარედ გასცქეროდენ მოდენილ ნახიოს.

დაღამდა. მთები ისევ სინათლეში იყვენ აზიდულნი. სოფლის მოედანზე ისევ მდუპარედ ისხდენ, დაღონებული გლებები ლოდებზე, ქანდაკებზე ბივით ისხდენ ყველანი უძრავად, მხოლოდ სიბნელეზე უფრო ბნელი ბიზურხა ამოლებდა ჩიბუხს და ჩიბუხიც ყოველ მოწყვებზე ციციანათელსავეით ანათებდა.

ისხდენ ასე ჩემად. და ვერც ერთი ვერ შედევა ბზის ამოღებას. ერთმანეთს უცდიდენ. ყველას ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა თავში.

მათ სათიბები აღარა აქვთ. ადათის უაზრობასა და დამღუპველობას კარგად მიხედენ ყველანი. მტრობით არ უსერიო ყასბულაის. შემთხვევით დაქრა კადირბი. სისხლი დაიღვარაო და ახლა ორმა გვარმა ერთმანეთს უნდა უდარაჯოს ქერდულად საფარიდან, და რომელიც მოასწოებს ის იქნება გვირი. გვარის სახელის არ შემრცხენი. ძალიან გვირობა კია მოსისხლის მიპარვით მოკვლა. ქალების ბრალია სულყველაფერი. ისინი ერეკებიან გონში ჩაკარდნილ მამაკაცებს სისხლის აღებისაკენ, რადგან თავიდანებზე, იმათ ვითომ უფრო ეწვიოთ გული. ახლა იქ, იმათთან შექნება ერთი უბედურება. ასტებენ იქაც ერთ ვაი უშველებელს და ასე დაუსრულებლად. როდის უნდა მოეღოს ამას ბოლო.

ამგვარ ფიქრებში იყო გართული ყოველი მათგანი და ვერაეინ ვერ მნათობი* № 11—12.

ბედავდა ხვის ამოღებას. ყველა ერთმანეთს დარაჯობდა — იქნება რომელიმეს დაესწრო სხვებისთვის და ეთქვა ამის შესახებ, მაგრამ პირობობა ვერავინ ვერ გაბედა და ისხდნენ ასე ჩუმად.

ბიძურხამ ისევ დატენა თავისი ჩიბუბი და კვეს-აბეჭდი გაჰკრა. ყველამ მოიხედა. კაცზე ჩამოკრული კვესი ნაპერწყლებს ისროდა.

თოვლიანი მთები ჩაქვრენ, ჩაბნელდნენ და მხოლოდ შხარას მწვერვალი ოდნავ ანათებდა, შორს ზემოდ სადღაც ვარსკვლავებთან. როდესაც მთვარემ მოპირდაპირე მთების მწვერვალები გაანათა, შუქი თანდათან ძირს დასწია და დადიანის წვერიდან გადახედა სოფელს, მოედანზე უკვე მარტო ბიძურხა იჯდა და მღუპარედ თავდახრილი იაეც ამოლებდა ჩიბუბს.

* * *

ორი კვირა გაგრძელდა შუამავლების მოლაპარაკება და როგორც იქნა დამთავრდა.

ახლა ყასბულათის სახლში სუფრას უსხდნენ შუამავლები, ოჯახის უფროსები, ყასბულათის ბიძა დავითი, ძეები ნათესავები და სოფლის მასწავლებელი ადსილი სწერდა პირობას რეულოდან ამოგლეჯილ ქაღალდზე.

— ...აპიტომ დავით ჩოფლიანის ოჯახი უხდის კადირბი არღვლიანს... ასე არა? — შეეკითხა ადსილი ზორვებს (შუამავლებს).

— ჰო! — უპასუხა ერთმა მათგანმა.

ყველას დაეძაბათ კისერი და ჩასცქეროდნენ ქალაღს, სადაც იწერებოდა დავითისა და ყასბულათის ოჯახის განადგურების საბუთი.

— ...უხდის კადირბი არღვლიანს ერთ შორს ფულად, რაც შეადგენს...

— ...ჩვიდმეტ ათას მანეთს, — უკარნახეს ზორვებმა.

ყასბულათმა ამოიოხრა და გული ამოატანა. სხვებმა თავები უმიჯნოდ გაიქაიეს. ქალებმა სტყვენიტ მოიხოცეს ცხვირი და თავსაფრით ამოიწმინდეს თვალები.

— ...ჩვიდმეტ ათას მანეთს — ერთი თვის ვადაში. ამის გარდა დავით ჩოფლიანი, როგორც არის ოსტტი და ყასბულათის ბიძა, ვალდებულია აუშენოს კადირბი არღვლიანს ორსართულიანი სახლი თავის მასლით, გაუწყოს იატაკი, ქვრი, კარ ფანჯრები, საბურავი და ჩააბაროს იგი კადირბი არღვლიანს ერთი წლის ვადაში. თუ ეს პირობა დაირღვეს და არ შერულდეს ჩოფლიანების მიერ, მაშინ შერიგება ჩაშლილად ჩაითვალოს და ორივე ნხარე დარჩებიან ერთმანეთის მოსისხლედ, ნხოლოდ თუკი ჩოფლიანებმა პირობა პირნათლად შეასრულეს მათ შორის მოსისხლეობას. დგილი აღარ ექნეს. დღიდან ამ პირობის დადებისა ჩოფლიანებმა და არღვლიანებმა შორის მოსისხლეობას ადგილი აღარ ექნეს და არღვლიანებს ნება ეძლევათ ჩოფლიანების ადგილებში ბალახი დათიბონ, ხოლო ჩოფლიანებმა არღვლიანების ტყეებიდან მასალა და შეშა განოზიდონ. ამიერიდან ორივე გვარი შერიგებულია სამარადისოდ, რასა შინა ხელს ვაწერო...

მოაწერეს ხელი. არაყით სავსე ყანწმა რამდანჯერმე ჩამოიღია სუფრა. მორევება მჭერმეტყველური სიტყვები წარმოსთქვე, რომ შერიგება მშვიდობიანად დამთავრდა და უსურვეს ყასბულათს, რათა მშრმა მასეთი სუფრა მისდღეში არ გაშლილიყო იმის ოჯახში.

შემდეგ ადათის მებრ, კერიაზე წყლი გადაასხეს, ციციბლი ჩააქვრეს, ბოლისაგან შავად აპრიალებული ჯაჭვი მოხსნეს და წაიღეს.

წავიდნ მორვები.

დღევრეილი სახით შესცქეროდნ ერთმანეთს ბიძა ძმისწული და ფიქრობდნ, მწარედ ფიქრობდნ, რომ მათ აღარ ეყოლებათ ხარები. აი ის უხარბაზარი ყრაჩული ხარები, თითო არშინი რქები რომ აქვთ, ეს დინჯი და ქვიანი ხარები. აღარ ეყოლებათ ბალყარული ძროხები ყოველ გამაწველაზე თითო ხია კასრს რომ ავსებენ. აღარ ეყოლებათ ცხვრები, ღორები, თხები. უნდა გაყადოს ყასბულათმა თავისი საყვარელი ამერიკული ვინჩესტერი, რომლის გულისთვისაც თავს შეაქლავდა ყველას, ვინც არ უნდა შეეკიდებოდა. აღარც ის პრიზმატიუი ბინოკლი ექნება ყასბულათს, დადაშის კლდეებში, წერტილებივით გაფანტულ ჯიხვებს ზედ თვალებთან რომ მოუყვანდა. ძველი ხელობის ვერცხლის ქაჩარიც უნდა წაართვას თავის ცოლს, ის ვერცხლის ქამარი, რომელშიდაც ვილაც უცხო მოგზაურმა ორმოცდაათი თუმანი აძლია.

ყველაზე უფრო თოფი ენანებოდა ყასბულათს. თავისი ლაპლაპა, ვინჩესტერი მურსაც და მოჯარისაც თვალებს რომ უბრმავდებდა. რამდენი ჯიხვი და არჩვი მოკლავა ყასბულათს ამ თოფით. ზამთრობით, როდესაც თოვლი ფარავდა ყველაფერს და კოშკებსაც კი ყელამდე წვდებოდა. რამდენჯერ წასულა ყასბულათი, თბილამულებით ამ ციციბო კლდეებზე სანადიროდ. მხარზე ყოველთვის თავის პრიალა ვინჩესტერი ეყიდა, რომელსაც ისე ენდობოდა, როგორც თავის ბიძა დავითს. არ სოდეს არ უღალატებდა და ტყვიას ბკედში გა ძვრინდა. რამდენი წვალემა და სიხარული უნ ხავს ამ მთებში თავის თოფთან ერთად ყასბულათს. ზამთარში ღამით, როდესაც მაჩუბში გაცილებით უფრო ბნელა ვიდრე გარედ, როდესაც ყველანი აბოლებულ კერძას უსხედან გარემო და ყვებიან ზღაპრებს ან ითუბისოდენა მღვებებისა და ურჩხულების შესაებ, რამდენჯერ შეუტანია სიხარული ყასბულათს ამ ბნელ მაჩუბში, როდესაც ენა გადმოგდებული და თვალმხუჭული ჯიხვი სოხანეზე დაუდია. დამჯდარა ხოლმე კერიასთან, სველი ბანდულები გაუშვრია და უამბნია გამზიარულებულ ოჯახისთვის, ზღაპრითთ საშინელი ამბები, ვიება კლდეების, გრილა ზევეების, ქარბუქისა და ხადირია ნახტომების შესაებ. თბილოდა მაშინ გუზგუთა ციციბლთან და უყვარდა ყასბულათს თავისი გაჩქარტლული მაჩუბი და აბოლებული კერია.

ახლა...

...მოსისხლეები შერიცდნ. მის კერიას ადათისამებრ წყალი გადაას-

ხეს, ცაცხლი დაუქვრეს და ის ჯაჭვი, რომელზედაც ქვაბებს კიდებდნენ, ისიც კი მოხსნეს და წილეს.

არ იყო დამნაშავე ყასბულათი, არ იყო. რატომ ვერ ვიხსენებთ ეს ქალბმა, მაგრამ ადითი! ძველი ადითი?! სად უნდა გაეჭვივებოდა... *გვინებდა: ყვითელი*

— ეს თივები ჩამოვხიდოთ და ბარემ წავალ ცხვირში, შეუდგები საქმეს— ყრუდ ოდნავ გასაგონ ხმით ჩაულასარაყა დავითმა ყასბულათს.— შენ ხარები წაიყვანე ლებში ან ქიორაში, იქნება იქ უფრო პირიანად გაყიდი, თორემ აქ ჩალის ფასად მოინდომებენ. გვიშოვეს დრო...

— ახლავ შეუდგები სახლის შენებას?

— ახლავ. რაღას დაუცადო. ოთხ თვეში მოვასწრებ თუ არა არც კი ვიცი. კაცები უნდა დავიხმარო, თუმცა ახლა ვის იშოვნი. დღეში თუზნათაც არავინ წამოვა, თიბვაა ვის ეცლება...

— რამდენი ხანია ჩვენთვის ვაპირებდით სახლის აშენებას. ათი წელიწადია ამ ხის მასალას ვაგროვებ და ახლა ყველაფერი ეს იქ უნდა ჩაუზიდოთ... ებ! რაზე შეურიგდით, ასე თუ დაგვიმხოზდენ, ისევე სიკვდილი ჯობდა... რას გვიზამდენ. იქით ნუ გავივლიდით და...

— არა, შვალო, არ ვარკა. გაუძლოთ რაგორმე ამ გასაჭირს, თორემ ვინ იცის, რომელ ჩვენგანს ან ჩვენს მეზობელს გამოასალმებდენ წუთი სოფელს.

— განგებ ხომ არ მისვრია უცაბედად მომივიდა და...

ველარ დაათვა ყასბულათმა სიტყვები, ველარ მონახა, თუმცა გულში კარგად გრძნობდა მოსისხლეების უსამართლო მოპყრობას. ეპ! ეპ! ეს ბიძამისსაც კარგად ესმის და ირიტოშაა, რომ ასე უდრდტვინველად შეურიგდათავისი ოჯახის განადგურებას.

რამდენიმე დღის შემდეგ ყასბულათმა გარეყა ხარები ლებისკენ, ხოლო დავითმა აიკიდა ახის გულა, სადაც ეწყვა ხელჩო, ხეშტარა, შალაშინი, მოკლე ტარიანი ხერხა, წერაქვი, ბურღვი და სამი კართოფლის ხაჭაპური.

ნისლიან დილას გაუდგა დავითი გზას ცხვირისაკენ.

* * *

კადირბის ხელი სრულიად მოურჩა, მაგრამ სამავიგროდ გული ატვირდა. სულ გამოიცვალენ მისი მოგვარებები. სადღაც გაქრა მათი ნათესაური გრძნობა და ყოველი მათგანი ცდილობდა როგორმე ეწყენინებია ან გული მოეკლა კადირბისათვის. რაც უფრო ლამაზდებოდა და მთავრდებოდა კადირბას ახალი სახლი, მით უფრო მიუქარებელი ხდებოდენ მეზობლები და ამღვ-ეული კადირბი ხან სად დაეხატებოდა და ხან სად. ქალები სულ გათავებულდენ. ბრაზიანი თვალებით შეცქეროდენ ადილხანს, რომელმაც განათლებულ ქალივით გრძელი, აბრეშუმის კაბეტი დაიკრა, მესტიიდან აღის-



ფერი ბერეტი ჩამოიტანა და ამასწინათ რომ ინეწერების ექსპლექტამ ჩაი-
რა, მაშინვე თავზე ჩამოიკვა და წინ სულ მანქვით ჩვეყვეთქვექლაქელ
ყმაწვილებს. არ! იცოახ ქალებმა, იმით არაფერი გამრქსრქსრქსრქსმ ადი-
ლხანი სულ დავითთან ტრიანლებს, სულ სხვანაირად ეფერება და ასეც კი
ამბობენ, რომ ღამე ქართთან კი არა დავითთან წვებაო. იახც ახალ ბოდის
სახლს რომ იწენებს, დლაპარაკებასაც კი არ კადრულობს ქალებთან. ერ-
თი, ქონა. ქალი არ იქნება თუ კადირბის არ გააგონა საქვეყნოდ რა ამ-
ბებს ჩადის მისი ცოლი.

ეს სახლი, ახალი ორსართულიანი ღამაში სახლი უფრო და უფრო
მშვეინდებოდა. მთელი დღეები დაღლაღვით აეკუნებდა ხელწოსა და წე-
რაქვს დავითი, რახდავდა ხეებს, თლიდა კიბის ქვებს და რაც უფრო მშვე-
ნიერდებოდა სახლი, მით უფრო ულახათოდ გამოიყურებოდენ კბილებ
ჩაფცქვნილი ბებერი კოშკები და თვალდათხრილი დაბზარული ნაწებები.

მეზობლებიც უფრო და უფრო იღუმებოდენ და ახლა კადირბის აღარც
კი ერიდებოდენ; იძის გასაგონად უყვე თავისუფლად ღამარაკომდენ ვაე-
კაცის სინდისზე სისხლის, ფულში გაცკლახე, ცოლის პატიოანობაზე...

თივები ყველახ მოზიდული ქონდა და ახლა ყოველ საღმოს არხეინად
გროვდებოდენ სოფლის მოედანზე. ისევე გაახსენდათ ძველი ადათების სიმ-
ტოცე, თავიანთი კოშკების სიდიადე და სიამაყით მსჯელობდენ იძის შესა-
ხებ, თუ აუღებელი ქვეყანაა სვინეთი.

კადირბი კი უფრო და უფრო იპრღვეოდა. თანდათან დაეკარგა სალი
აზროვნების უხარი და ბავშვივით ქირვეული გახდა. სრულიად უშიზებოდ
ცხარდებოდა, აღარავის აღარ იკარებდა და თავის მეგობარ ჯანსუყთანაც
კი ერიდებოდა შეხვედრას. კორებმა მია ყურამაყე მიაღწია. თუქცა პირ-
ველად არც კი მიატკია ყურადღება. მაგრამ გულში მაინც რაღაც არასა-
სიამოვნოდ გაქრა. არ დაიჯერა, მაგრამ ეჭვი მაინც დაიბადა. ამღკრეული
თვალებით დაეებ ზებოდა მთელი დღეები და აქ ამღკრეულ თვალებში სოფე-
ლი სულ სხვაგვარად ჩანდა. სახლები თითქო გაბრტყელდენ, დაბნელ-
დენ და უცნაურად დაივრახენ. სოფელელებიც რაღაც ჯოჯოებს დაემსგავსენ
და სიარტლის დროს ტბაში თავდაჯიოა ჩაკიდულ, ძსუბუქი ნიავეთ აღივ-
ლივებულ ლანდებივით ირხეოდენ და იცვლიდენ მოხაზულობას.

დრო მდლიოდა, სახლი მთავრდებოდა და ეს ჯოჯოები კი უფრო და
უფრო საშინელი ხდებოდენ. საოკრად აღებდენ ყურებადგე გაჭრილ პირს,
ბიხითობდენ და ჩხოდენ.

დადიანის კლდეებზე საბრალოდ ქიოდენ როკოები და შემოდგომის
ქარი ქვეშა მთებიდან ერეკებოდა სიცივისაგან ვალურჯებულ ღრუბლებს.
ცივმა წვაშქებმა მოუხშიოეს და სვანები სახლებში შეიყუყენ. მხოლოდ შებლ-
ჩამოსველებული კოშკები იდგვენ მოწყენით.

ხანდახან როდესაც მხე გამოანათებდა, სვანებიც გამოდიოდენ გარეთ.
აზებოდენ მხეზე, იშმეშნებოდენ და თუ მათთან კადირბი მივიდოდა, უსია-

მოვნილ ილუშებოდენ. რა უნდა რომ მორბის ამ ცივ მოედანზე, შემადან-
დი კარგი აქვს მის ახალ სახლს. დაჯდეს და უცქიროს, თუ როგორ უმ-
შვენდება შენობა. ცოლსა და სისხლს თუ გაყიდის—კაცი სასახლეშიც კი იმ-
შენებს. ახლა ღარც დავითი ჩქარობს სახლის მოთავენას. დღეს იძახდა
მარტო კარებები უნდა აგვიდო და ამ დღეებში ღვთის ჩემს საქმეს მოვრ-
ჩებო. სახლი აუშენა, მაგრამ ვალში მაინც არ დარჩა. ვინაკვალე სულში
ვაქციე ის ყოფილა. წავიდეს ახლა კადირბი და დაიტრახაბოს სახლი ავაშე-
ნებინეო. ხე! ხე! იციან გლეხებმა, ყვლაფერი იციან.

წელში მოხრილი დავითი აივანს ქვეშ სეჯის ხეს თლის და მაროლა-
ფიქრობს ამ დღეებში წასვლას. მორჩა ამ წამებას. დღეს კარებებს აპი-
დებს და ხვალ ან ზეგ მორვებთან თანდასწრებით ჩააბარებს სახლს კადირ-
ბის. მძიმედ დააწვა ეს უბედურება დავითს, მაგრამ მის ქალარას ბევრი თე-
თრი მაინც არ მომატებია. გული უკვე არბენიათა აქვს დავითს. ფულადი
სასყიდელიც გადაიხადეს და სახლი როგორც იქნა დაამთავრა. არც იმდე-
ნად წყდება გული დავითა, რადგან რაც არ უნდა იყოს მოყვრები არიან-
და თავისიანიათვის არ ენანება ამდენი ჯაფა. მართალია, ბევრი გაჭირვე-
ბა უნდა გადაიტანოს კიდევ, რომ თავისი ოჯახი ფეხზე დააყენოს, მაგრამ
არა უშავს რა, ყვლაფერს დაძლეეს თურმე კაცი. ერთი რამ აკვირებს
დავითს. რაღაც არეულია ამ ბოლო დროს კადირბი. სულ მოწეშულია.
გუშინ ცოლს ცემა დაუპირა. მთელი დღე დაეხეტება უთავბოლოდ. ეს სახ-
ლიც თვალის დასანახავად ეჯაკრება. თუშკა შეიძლება მეტი სინანულით
მოდის. განა კადირბის უნდოდა წითი ოჯახის დაქვევა, სისხლის აღება
მეზობლებმა აიძულეს, თორემ თითონ სულ უარზე იყო. ფული რომ ჩააბა-
რეს თითონ არც კი მოუყიდიო ხელი, ადილბანა ჩაითვალა და სკივრში ჩა-
კეტა. სახლის აშენებაზედაც, როგორ შეელოდა კადირბი. მთელი დღეები
ზიდავდა ქვებს, ზელავდა კირს, თლიდა ხეებს, თუშკა ეს სრულიადაც არ
იყო მისი ვალდებულება. მას შეეძლო დამჯდარიყო და შორიდან ექიბრა
დავითის ქაახწყევრისათვის. სრული უფლება ჰქონდა, მაგრამ კეთილი ბი-
ჭია კადირბი. ეჰ! არ ენანება მისთვის, არა...

გაუთლელი მორი დავითის თქალწინ უეცრად აყარავდა, შევდევ და-
დიში ნელა ჩამოკურდა თვალეთან, შეინიქა, გასკდა, ატრიალდა, ყუ-
რებში სწრაფად გაიერილა რორ... ჰააა!!

... და ტყვიით შეზღვაობილი დავითი გაუთლელ მორზე გულადმა-
დაცა.

ტყისკენ გარბოდა ფეხშიშველი კადირბი თოფით ხელში და უკან მის-
დევდა ქალების ცივი კივილი.

* * *

ლატალიდან გადმოვიდენ ფარჯიანები ცხენში და დავითი წააღვინეს-
თავის სოფელში. მათ გვარს არაფერი სადავო არ ქონდათ არც არღველია-
ნებთან და არც ჩოფლიანებთან.

არღვლიანები გულმოდგინეთ ეშველებოდენ ფარჯიანებს, მტკობელ სოფლის საზღვარზე მიაცილეს მიცვალებული და გზაში სულ ერთმანეთს შეჩიოდნენ.

— რა გვიქნა ეს კადირბიმ. სამუდამოდ გადაგვიტანა ჩოვლიანები, შეგვარცხვინა ხალხი...

— ჯერ ძალით შეგვარიგებინა თავი დავითთან, ოჯახი დაუქცია და ახლა რყვია ჰკრა და... ეპ! რაღა ვთქვათ, რაღა ვთქვათ...

ფარჯიანებიც ჩუმად თავის ქნეკით ეთანხმებოდნენ.

საზღვართან აღვლინები უკან გაბრუნდნენ, ხოლო სოფლის გავლის შემდეგ მიცვალებულს ჩოვლიანები ჩამოეგვენ. არაკის არ ახ.ოკს ასეთი გულწრფელი გლოვა. მთელი სოფელი ძაძებში იყო ჩაკმული, ზოიალითა და გამბული კვილით შეაოფრტყენ მარხილს, რომელზედაც ესვენა დივითი.

მოხუცმა ანთუყვა მოიყვანა ლამაზი ნასუქი მამალი, მივიდა ფარჯიანებთან დაიჩოქა და აკანკალებული ხმით დაუწყა ხე...წნა.

— შეილებო, ეს ერთი თხოვნა შემისრულეო, ძველ ადათს ნუ დამიკარგავთ. დავითის სული იქვე ტრიალებს, შეილებო, წაიყვანეთ ეს მამალი, წაიღეთ ეს ჩანგი იმ ადგილას, სადაც დავითი მოგვიკლეს და წამოიყვანეთ იმისი სული, ნუ ჩამატანთ საფლავში იმის დარდს...

ფარჯიანები ისევ უკან გაბრუნდნენ მოხუცის დავალების შესასრულებლად. დავითი კი წაასვენეს სოფლისაკენ — და ყველანი უკან გაყვნენ. ქალები სახეს იკაწრავდნენ და თმებს იგლეჯდნენ.

ყასბულათი ჩუმად იყო. არ ტაროდა. მხოლოდ მიწას დასცქეროდა და ისე მიაბიჯებდა მარხილის უკან. სახლშიდაც არ გაუღია ხმა, როდესაც მიცვალებული მაჩუბში დაასვენეს და ქალებმა ზარით მოთქმა დაიწყეს.

ნუთუ კადირბიმ ეს ჩაიდინა. მას ალბათ ახლა მთავრობა დაეძებს, მაგრამ იპოვნიათ კი? არა, ყასბულათის მეტი მას ვერაუკინ იპოვის. ყასბულათი დაუწერს მას განაჩენს. ოჯახი გაუნადგურა, ტანზე პურანგოც კი გახადა და სახლი ააშენებინა. მაშ ეს ქონდა გულში კადირბის, არა? მაშ მიჯომ არ უნდოდა ვითომ სისხლის ძიება, რომ ასე მუხანათურად მოქცეულიყო. კარგი კადირბი, კარგი.

მესამე დღეს დაასაფლავეს დავითი და თავდაბრილი ყასბულათი მხოლოდ მაშინ ატარდა, როდესაც ადათის მიხედვით, როგორც პირველ მოსისხლეს, უნდა თოფით სროლით დაეფიცა, რომ სისხლს აიღებდა.

ყასბულათს თოფი არ ქონდა.

ზარივით აზმუელდა ყასბულათი, დაემხო ახლად დატკეპნილ საფლავს და ქვეყანა შეზარა იმისმა ხმამ.

— დავით!.. ფიცს ვერა ვდებ დავით... მაგრამ არ გეწყინოს, ჩემობიძა... გი.ისხლებ...

ეპ! ისევ ანთუყვი, ბებერი ანთუყვი, თორემ სხვები სულ აღარ ვარ-

გიან. ერთი ხელის აქნევით ააწყვიტა თავის ეგნატეს რუსული ნოკლე კარაბინი და ყ სბულათთან მივიარდა.

— ჰა, შევლო, ყასბულათ... გამიგონე, შეხედე... *მარქენსული*

ყასბულათმა ძლივს აიღო თავი. ჯერ კარგათაყვერგაზრდა, მაგრამ ბოლოს მიუხედა მოხუცს, აქვითინებული გადაეხვია, მოკლე წვერები დაუყოვნა და შექდევ კარაბინი ხუჯურ დააქუხა საფლავთან.

ახლა ყასბულათი ნამდვილი გმირი იყო. მეგვარეების თვალში, როდესაც ვაეყატურად გამართული ცალი ხელით ისროდა კარაბინს ჰაერში და ყოველ გასროლაზე თითონაც სკექავდა:

— გისისხლებ...

* * *

პატარა ქეოო შეშინებული მიაწყდა კოშკის კედელს და ჯამი ხელიდან გაუვარდა. ანთებულ თვალებით შეეკეროდა დამონძილს, წელში მოხრილ კადირბის.

ადამიანის ლანდი იყო კადირბი, მეტი არაფერი. თვალების მაგივრად რალაც შავი სიღრმეები გამოიქვირებოდა, ლოყები შეე რდნილი ჭონდა და ტანის მოსი სულ შემოფლეთოდა. შარვალი წვივებამდე შემოძნძილი ჰქონდა და ტიტველი ფეხები მთლად დაკაწრული და დასისხლიანებული. ლოდზე ჩამომჯდარი იყო და მკერდით მიყრდნობოდა თოფის ლულას.

— რა? შევეშინდა — დაილაპარაკა ლანდმა. — ნუ გეშინია კადირბი ვარ. — დაუძახე ყველას აქ მოვიდენ...

ქეთომ ჯამი არც კი აიღო. თავვამეჭრებულად მოკურცხლა შინისაკენ. მველვლობის შექდევ კადირბი არავის აუ უნახავს. ხელისუფლება დავებდა. მთელი მიდამოები სულ გადაატრიალეს, მაგრამ ყველსაც კი ვერ მიაგნეს. დაეძებდენ მოსისხლეობიც და ეძებდა ყასბულათი, მაგრამ უშედეგოდ. უყვე საბოლოოდ გადასწყვიტეს რომ კადირბი ალბათ სადმე გადაიკარგა და სრულიად მოულოდნელად სახლებიდან გამოცვენილმა მეგვარეებმა ის ლოდზე ჩამომჯდარი დაინახეს.

ნელ-ნელა შეიკრიბნენ მის გარშემო. შემოეხვივნენ და როდესაც სიკოცხლით სავსე კადირბის ნაცვლად მისი ლანდი დაინახეს, შეებრალათ.

— გამარჯობა კადირბი — ყრუდ, გაუბედავად მიესალმა ბიმურზა.

კადირბიმ ხმა არ გასცა. ჩაღრჩავეებული თვალებით დასეკეროდა მიწას და წყნ რად სუნთქავდა.

მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს და თავები გაიქნიეს.

— ყველა აქა ხართ? — უცბათ აიღო თავი კადირბიმ და ისე მძაფრი უცნაური ხვით იკითხა, რომ ყველა შეკრთა.

— რას შეკრთით მეგვარეებო — რალაც სარკასტიული ტონით განაგრძო კადირბიმ. — დავით ჩოფლიანი თქვენ ხომ არ მოგიკლავთ, მე მოეკალი. მე... აი ამ თოფით... ახლა ხომ კმაყოფილი ხართ. ხომ კარგი ვაე-

კაცი ვარ, რომ შემთხვევით ნასროლ ტყვიის გულისთვის ჩოჯლიანების ოჯახი ძარს დავექი და გავანადგურე. ხოვ კარგი ვაქცაქე ქვეყნის დავით ჩოჯლიანს სახლი ავაშენებინე, სულით ხარკამდე გავჩუქე მისთვის ნანს ვამუშავე და ჩემს სახლში სტურად მოსული აი ამ თოჯით ძიპარვით მოვკალა. ვარგავარ თუ არა ვაქცაქად. ვასახელე თუ არა არჯულიანების გვარი. ბიძურხა რას გაჩუქებულარ მიპაუხე, ვანა შენ არ იქაი, რომ სულ იმას ჩოდა კადირბიმ სისხლი გიყიდაო ა? თუქცა ეს სისხლი შენ არ გამაყადვირე? ვანა თქვევ არ ამალეზინეთ ფული ამ მაჯადან გამოდენილ სისხლში? მერე სახლი რომ ამიშეხეს თქვენ იმან დეგობრმავით ძვალეზი არა? მერე თქვევ იკოდარ რომ ეს სახლა ლოდავით ჩაწვა გულზე. თქვენ იკოდით, რომ ის ფულეზი, როდესაც მოიტანეს მე თვალითაც არ მინახავს, იკოდით რომ ჩემსაქით უბედური სოჯელში არ დადიოდა? როდესაც უარი ვოქი წორზე თქვენ კინ დამ მომვალით, ბიძურხამ ხანჯალზექ კი გაისვა ხელი და ქიონამ ლეჩაქი კინდამ მომახვია თაქზე. მერე... მერე ქიონამ... აქეთ გამოდი ქიონა, რას იმალები, მე ახლა ყველავერი ვიცი. თქვენმა ქივევ თანდათან ამიყოლია. დაჯარგე ჩემი ახრიც, გონებაც და თქვენ ხმას აეკვი. სულ გადავირიე სანამ ეს საუბედურო თოჯი არ გავარდა და მაშინ... მოულოდნელად გამეხილა თვალეზი. ათი დღე-ღამე დავებეტებოდი ტყეში მშიერ მწყურვალი და როდესაც ღამ-ღამობით მარტოდმ რტო, ვარსკვლავებზ შევექეოოდი, უკვე დავმშვიდდი და ყველაფერი ნათლად წარმომიდგა თვლწინ.

კადირბი შედვა: ისეე მიწას ჩააცქერდა. ყველანი ჩუხად იდვენ გამშრალნი და გაქვევულნი. ვერკერთი ვერ ბედავდა ხშია ამოღებას და ამ სახარელ დღემილში ყველა რალაც განუხაზღვრელ შიშს განიცდიდა.

კადირბი ერთხანს ჩუხად იყო და უცბათ გაეცინა, რალაც უხმოდ, საშინლად და ყველას ტანი აუბუძვა ამ სიცილმა.

— ჰა! ჰა! ჰა! ჩემს სიცილებში ორ სიტყვას ძლიეს ვაბამდი ერთმანეთს და საიდან გამოჩნდა ამდენი ლაპარაკის ნიქი. რას მიცქერით? — უცბათ მკაცრად შეუტია სუყველას. გვარის დ მამშვენებელი ვაქცაქი სოფელში დაბრუნდა და გინარიათ არა? რატომ სიმღერას არ ამბობთ, რატომ სუფრას არა შლით. აი წავედეთ ჩემ ახალ სახლში, გავშალოთ მავიდა, ლენის მაგივრად დავითის სისხლით გაგიმასპინძლდებით, თქვენ რომ ძალიან გწყუროდათ... ჰა! რას იშმუნებთ. მე გიყი არა ვარ, არა. არასოდეს არ ვყოფილვარ ისე ქკვიანი, როვოც ახლა. შე სიცივით არ მოხსელია ის, რომ აქ დაებრუნდი. მე მხოლოდ მოვედი, რომ თქვენთვის ანგარიში გამესწორებია. მე ერთი ლარობა მაშინ გამოვიჩინე, როდესაც დავითს ტყვია ვერსროლე, მავრამ იმ ლარობას ახლავე გამოვისყადი... თქვენ.. ჰა! დე დავითის სისხლი თქვენს კისერზე იყოს და მისი უსამართლო მკვლელობა მუდამ სამარცხვინო ლაქად გაჩნდეთ ყველას, ვინც მიძელა და...

ტიტველი ფეხის ცერი გაუსვა სასხლეტს. თოფმა დაიქექა და უკან

გახტა. ტყვია მარცხენა ძუძუდან მარჯვენა ბიკში გავარდა და ორ ჩაბნე-
ლებულ სიღრმეში მხოლოდ ძაშინ იელვა შეტრიალებულუკან მდებარე. ტუ-
ჩის მარცხენა კუთხიდან გველივით გადმოცურდა და სვეტდროში ჩასჭიპდა
სისხლის წითელი ზოლი.

მთელი თვე დარაჯობდა კადირბის დაღვრემილი ყასბულათი მესტიის
საფადმყოფოსთან, და, როდესაც ფერდაკარგული დასუსტებული კადირბი
გარეთ გამოვიდა, ყასბულათმა თოფი ქვაზე დაანარცხა და ძასავით მოე-
ხვია თავის მოსისხლეს.

ორივე ატირდა.

ერთმანეთს არაფერს ეუბნებოდნენ, მაგრამ ორივე ნათლათ ხედავდა,
თუ რამდენი განიცადეს მათ.

იღმასკომის შენობაზე ფრი-ლებდა წითელი დროშა.

ორივე იწეებდა ახალ ცხოვრებას.



პეტრე სამსონიძე

უმეტესი განთიადები

მამის ხსენება

1.

მამე, ოცი წლის წინათ დამტოვე,
ჯერ კიდევ ბარტყი ბუდეში მჯდარი...
მრისხანე ქარი მირხვედა რტოებს —
გავმკლავებოდი სად მქნდა ჯანი...
მრისხანე ქარი მირხვედა ტოტებს
ბავშურ ოცნებას უწყალოდ წეწდა...
ფრთა გაეშალა ბნელ მიკოტებს
მათი ხმა გულზე ლოდვიით მეწედა...

2.

პირველი წილი გავიდა... შეიდეგ
მე შევიბოშულე გადასაფრენად...
დავაგდე ბუდე და იქვე შევიდეგ:
ქარს ყვავილები ძირს დაეფინა...
ქარს ყვავილები ძირს დაეფინა
და ცახცახებდნენ ნაზი ხეები...
პირველად ვიგრძენ: საბრალო ფიქრმა
გამოიშვირა ჩემსკენ ხელები...

3.

დილის ვარსკვლავი უცებ ჩამიქრა...
დაღამდა... ბნელში ვერ ვიხედები...
პირველად ვიგრძენ საბრალო ფიქრმა
გამოიშვირა ჩემსკენ ხელები...
პირველად ვიგრძენ: სოფლის გაცნობამ
გული გაქაწრა ბასრი კლანჭებით:
იმდროინდელი ავი-კაცობა
ყოც ცხოვრების მსაკრებელი...



4.

და დამეჯახნენ შავი ტალღები
 შავი ტალღები შავად მდინარნი...
 მსოფლიოს ომის გამაღებლები,
 იყვნენ მსოფლიოს ყველა მდიდარნი...
 ველები, მთები და ქალაქები
 მოფენილიყო დაზოცილებით,
 ომის სახელით მოლაქლაქენი
 ტყემოდენ თავის დიად ცხოვრებით.

5.

— უსამართლობა... უსამართლობა—
 აღმოხდა მაშინ გულით ძლიერად...
 — ეი, შეკარით სისხლით დათრობა,
 ვის გაუხდიათ თავის ძიგბათ...
 ჰეი, შეკარით გადარეულნი
 და საჯიყეთში შერეკეთ ყველა...
 ვინც სხვისი სისხლით გამდიდრებული,
 ცელიან სიკვდილს ამეფებს ქვეყნად...

6.

— უსამართლობა... უსამართლობა...
 მსოფლიოს მგესლავ ჭირად სდებია...
 — ძმებო, — ნივართე ახალგაზრდობას—
 სასაკლაოზე ხარებს დენიან...
 მაგრამ ხარებიც სიკვდილის შიშით
 ღმუიან, თხრიან რქებით ია ჯაკს...
 რა ბედანაა?! თუ გსურთ, ვინ გიშლით,
 ტყვია შინაურ მტარვალს მიართყათ...

7.

ვთქვი ეს თუ არა, წითელი დროშა
 გავიბე მკერდი — ჩავიდე გულში;
 დაღვრილი ცრემლი თვალს შემოაშრა
 და ვაგაკურად მოვკვამშე მუშტი.
 დაღვრილი ცრემლი თვალს შემოაშრა
 და გადავსძახე ბაძოლის ველზე მყოფთ: —
 ძმებო, აღმართეთ წითელი დროშა...
 — ძმებო, ნუ ესვრით თქვენს მოძმეებს თოდს...

8.

ხომ ხედავ მაშავ! რასაც ამბობდი
 იმ გზას დავადექ შენი შეილი მე —

ნამუხარზე ხომ მუხა ამოდის
 რტოებს ამაყად მალლა რომ იშვერს,
 ან სად სმენილა: კაცს პატიოსანს
 თაფი მოეხრას მტარვალობის წინ...
 მე თვით ბუნებამ მშობა იმ მგოსნად
 სიმართლისათვის მუდამ რომ იწვის...



9.

დღდა ბუნებამ მშობა პოეტათ —
 ვერღერო დღეებს ქარიშხალიანს...
 სანამ ბრძოლაა: — სხვა სიტ. ბოეებს
 მე გავუბივარ, ვით გვიღს შხამიანს...
 სანამ ბრძოლაა: ლექსს დიაკური
 სიფერ-მკრთალე ნუ დაეუფლება...
 სანამ ბრძოლაა: ლექსს ვაქციური
 ქონდეს სიტყვა და თავისუფლება...

10.

კმარა, ძვირფასო, იმას ვამბობდი
 წითელი დროშა ჩავიდე გულში...
 მე შენმა შვილმა — შებრძოლმა მოდგომით
 მაგრად მოგვეშე ფოლადის მუშტი.
 და დავიწერე გოლის ფოცარზე
 უძვირფასესი სახელი ლენინ,
 ლენინ — უკვდავი ვით სილამაზე,
 ვით სიდიადე ვარდებით ფენილ...

11.

და აღსდვა მუშა... აჯანყდა გლეხი...
 აფრინდა მალლა წითელი დროშა,
 ის საუკუნის ძლიერი რბევით
 თვით ევრესტასაც კი გადაშორდა.
 გადაშორდა და აჰა თვრამეტი
 წელი სრულდება ჩვენი სიპტიკის...
 ქვეყანა იბრძვის თავგამეჩებით
 სოციალიზმის გამარჯვებისთვის.

12.

ჰაუ, რამდენი სიძნელეები
 გადაგვლახეს ამ ხნის მანძილზე.
 ზოგი ამბობდა: — ჩავიდ რებით,
 ან ვით ავიტანთ ასეთ სიმძიმეს...

ზოგი ამბობდა: — საუკუნის ტვირთს
 ველარ გაუძლებს წელიწადები. —
 რა დაგიმალო, ერთხელ მეც კი ვთქვენი
 ჩვენ ეს სიმძიმე დაგვეკემს, წიგნდები
 13.

მაგრამ როგორც თვით ეს ბევრჯერ გითქვამს:
 კაცი ბჭობდა და ბელადს კი საქე
 აელო ხელში... ხომალდი მტკიცედ
 ოკენეზე მიყავდა მარჯვედ...
 ზღვა კი ღმუღოდა... ტალღები ტალღებს
 ეხთქებოდნენ გააფთრებულნი...
 მაგრამ ბელადი ველარ დაღალს
 და შორს ილტვოდენ ქანც წართმეულნი...
 14.

დღეს კი სინათლე მზეობრ ანთია
 და ნანაობენ ნ.ხ. ხეები...
 ჩემი ფიქრები ახლა არ თრთიან,
 პირიქით, იმათ მე თვით ვეხები.
 ჩემი ფიქრები ახლა არ თრთიან
 ყოველდღე საქვე საქმიებს ბადებს,
 და პოეზიაც დაგვიტვირთია
 შემოძახილით განთიადეზზე.



ზარიტონ ვარდოშვილი

კოლხეთის სიმღერებიდან

ბორცვიელდება დიდი ხნის ნა+ერა
ციებით დამკნარ მშრომელი ხალხის,
ჭაობის ფაშიე გამოიფატრა
და გაითხარა მალალი არხი.

იქ, სადაც იყო დამპალი ფშანი
ქვეწარმავალთა ბუნავი ბნული,
ილპოკენდება ბალნარი მწეანე
და აყვავდება ყვავილი მწველი.

სალაში მშრომელთ!
დაჰკარით ბარემ,
არ შეწყდეს ბრძოლა დღითა და ღამით,
დე გაჯანაღდეს კოლხეთის მხარე
გასიებული ციების შხამით!

დე, გაიწმინდოს თვით ზეცის თალი
აორთქლებული ნესტიან ნისლით,
იშვას სიკოცბლე ახალი, სალი
და სიხარული ჩქეფდეს ხალისით.

დაჰკარით კადვე,
მედარ მოქნივით,
ვლარ სკოკლობდეს ჭია მწამლაეი,
ნელმა ფაზისმა ტალღების ხივი
პონტოს შეურთოს ნაღველი შავი.

რომ განახლებულ დედა-ბუნებას
საუკუნეთა შორჩეს წყლული,
და ილარ გრძნობდეს დაძ ბუნებას
ნაზი კოლხეთის ღამაზი სული.



მთვარის მოტაცება

რომანი*)

გვ. „ფშა, ლაშარია!“

როგორც კი გზა გაიხსნა, თემურიც აღარ დადგა დევის ქვაბში, რადგან ყველიერის აღების კვირა მოახლოვდა. სიტყვა ჩამოართვა თარაშს, მურყვანობისთვის მახვშის კოშკში მობრუნებულიყო. სწორედ ამ დღისთვის დაბრუნდა ემხვარ დევის ქვაბიდან. ქორა მახვშის ოჯახში ძაღლები და ბევშეები ლა დარჩენილიყვნენ.

მოხუცი გურანდუხტ ჩალიჩობდა შინ.

ორლობეში არზაყან შეეგება. თარაშის დანახვაზე იგი ადგილიდან მოწყდა, ჯიქურ მიეჭრა თარაშს თვალგაბრწყინებულად.

„რა მოჰკალი თარაშ?“

ეკითხება იღუმალი ტონით, მზარზე ხელი დაადო ემხვარს.

თარაშს იამა ძმობილის ეგზომ ტფილი შეხვედრა. გუდა-ნაბადე გადმოიღო და შუნის ტყავი დააგდო მიწაზე.

„სად არიან შინაურები თუ იცი?“

იკითხა თარაშმა.

„დღეს რალაც ხატობა ჰქონიათ მურყვანობა, ყველა გაიკრიფა. დილიდან საურმა ამიყოლია მომკლა არყის სმით. მერმე თავათ სადღაც გაჰქრა.“

არზაყანმა ჯიხვის ტყავს ხელი დააელო, მახვშის დარბაზისკენ გაუძღვა ემხვარს. შესავალთან გურანდუხტ დამჯდარიყო ჯირკვზე, ძროხას წველიდა, ხუთი ბავშვი გარს მოსხლომოდა რძითსავსე გობს, საუზ-მობდენ.

სამი გველი გობს მოდგომოდა და ერთს ზედ კიდზე დაელო თავი. ყველა ხედავდა ამას, არც ერთი ბავშვი ადგილიდან არ იძვროდა. არზაყან შეძრწუნდა ამის შემხედვარე. უცხო პირების დანახვაზე ორი გველი ხვიმრისკენ გასრიალდა, მესამე უკუდგა და ბავშვების ფეხებთან გაინაბა.

„ეს რა საზიზღრობაა“ ეუბნება ხმამალა არზაყან ზემამაია ემხვარს. ემხვარმა ხელი მკლავზე მოუჭირა არზაყანს, დარბაზში შეჰყვა. არზაყანმა მოუსვენრობა შეაჰჩნია თარაშს. ეკითხება:

*) გაგრძელება. იხ. „ნანათობი“ № 10

ვის ეძებო, მისოუსტ?

თარაში აიმღერა.

ლამარიასო.

„ლამარია ხატობაზეა წასული.“

მიუგო არზაყანმა.

„შენ არ იცი არზაყან სად არის ხატობა? არა, არზაყანს არ სცოდნოდა.“

კოშკიდან გამოვიდნენ. მცირე ხანს მდუმარედ მისდევდნენ საჭინლის სკორეთი მოთხუნულ გზას. ფუნისა და წივის სუნით აქოთებული იყო ჰაერი.

„საოცარია, როდის და მუშაობს ეს ხალხი? ამდენი ხატობა, ამდენი დღესასწაული, ღვთის დღე, შვედრის დღე, თხუნელის დღე და რა ვიცი კიდევ რისი.“

სჩივის არზაყან.

გაზაფხულის ნაზი დღე იყო. მორცხვად იჭვრიტებოდა ღრუბლების მოთეთრო ბლონდიდან. მზვარეზე თოვლი გამდნარყო. ჩრდილებსა და ოლებში, მთის ფერდობებზე აქა იქ დარჩენილიყო ფერწასული ტალები თოვლისა. სახნავეების კიდებთან ჯერაც სიმწვანეს მოკლებული მოლის ბუსუსს ამოეყო მიწიდან თავი. ცარცისფერი ღრუბლები ისე მოფენილიყვნენ ცაზე, როგორც თხის ჯოჯი ტაფობზე.

თარაში ემხვარ ოცნებობდა იღუმალ, ცას შესცქეროდა, მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა არზაყანის გვერდით, თავისი ბავშვობა აგონდებოდა, როცა ისინი გაზაფხულის პირზე ჭალებში დაიწყებდნენ ყიალს. ნერგების ყლორტები შეწითლებულიყვნენ, კუკურებიდან ამოსკდომას ლამობდა მწვანე. შესცქეროდა ემხვარ ამ სურათს ახარებდა განახლებული ვეგეტაციის სიზანტე. მას მარტოობა მოსწყენოდა დევის ქვაბში სიამოვნებას ჰგვრიდა სიყრმის შეგობართან გასეირნება. არზაყანს სულ ახლოს მოჰქონდა თავი და ისე ებაასებოდა დედამისის გაზრდილს. მხოლოდ ახლა შეამჩნია თარაშმა არაყი მოკიდებოდა არზაყანს, ყურები გაწითლებოდა.

„შენ ბეერსა სვამ არზაყან უკანასკნელად.“

„აბა რა უნდა ჰქნას აქ კაცმა. ეს მესამე დღეა მე და საური ესვამთ. ესვამთ დაა ნიშანში ვისვრით. არა, მისოუსტ მე შენ არ გეთანხმები. ცხოვრება შრომისა და ბრძოლისათვისაა გაჩენილი.“

„ვინ როგორ და მე აქ კარგად ვგრძნობ თავს, მიუგო მისოუსტმა. მწარა თამბაქო ამოიღო ჯიბიდან და გაზეთის ქალაქში გახვია.“

მცირე ხანს მდუმარედ იარეს ხნულების პირად. არზაყანს ორივე ჯიბეში ჩაედო ხელი. თავჩალუნული მიჰყვებოდა ყანების სამანს. მიწას დასჩერებოდა.

„ეს მართალია, მისოუსტ, ლამარიას ირთაო თურმე? მზითევს იმზადებს ლამარია აქ.“

თარაშმა სახე აარიდა არზაყანს და მიუგო:

„როგორ ვითხრა, მე გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ ლამარეასთვის ჯერ არაფერი მიკითხავს. თემურმა მითხრა, სიძედ მინდობენო, შენც და ვეთანხმე.“

„შენ სეროიზულად ამბობ ამას მისოუსტ?“

„ბიჭოს, სეროიზულად, აბა რა სახუმაროა...“ სთქვა და პირში დაგუბებული ბოლი გაუშვა ერთბაშად. არზაყანს გაეხარდა ეს. მყისვე თამარ შარვაშიძეს მისწვდა მისი ფიქრი. ერთ წუთში წარმოიდგინა როგორ ჩაეა იგი ოდიშში და.... მაგრამ ეს სიხარული არ შეიმჩნია, ვითომდაც გაკვირებულმა შეხედა თარაშს:

? ? ? ? ? ? ? ? ? ? ? ? ?

„რად გიკვირს?“

„როგორ თუ რად მიკვირს. კაცო, რა შენი საქმეა გაუნათლებელა ქალი? ვკონებ წერაკითხვაც არ იცისო ლამარიამ ხეირიანად.“

„მე სწორედ იმიტომაც მომწონს ლამარია.“

„მერე აქ აპირებ დარჩენას მისოუსტ? რა გაგაძლებინებს შე კაცო აქ?“

„ეჰ, ჩემთვის სულ ერთია ჩემო არზაყან, რა აქ, რა იქ. მე კარგად შევეწყვე თემურს. ჩინებული მონადირეა. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ჭორა მახვმის ლასკარში შევალ და ვიცხოვრებ.“

„ლასკარი რა ეშმაკია?“

„ეს თქვენებური გაერთიანების პირველყოფილი სახეა. განსხვავება მაინც დიდი. ლასკარში მხოლოდ სისხლით ნათესაეები შედიან. თქვენ თუ წახედით ტარბებს წორს გავუგზავნი და შევირიგებ. თემურიც ასე ამბობს: ტარბებს წორს უგზავნისო ჭორა მახვში.“

„შენ მართლაც აპირებ ამ გაზაფხულზე ტფილისს წასვლას? მორღუ რას ფიქრობს?“

„მამა გადამკიდებია, თორემ მე აქამდის წავიდოდი. ტფილისს წავალ. შესაძლოა ჩერკეზეთს წავიდეს მამა.“

„მე ასე მგონია, შენ შენი შრომის მოსათავებლად აპირებ აქ დარჩენას.“ ეუბნება არზაყანი ემხვარს.

„გარწმუნებ არა, მე აღარ მიწევს ბარისკენ გული. გულწრფელად გეუბნები: მიწა მომენატრა. მოუთმენლად მოველი, როდის დაიწყებს თემური ხენას. მინდა მიწის სურნელებით გაეძღე. ახლა ძალიან ვნანობ მიწათმოქმედება რომ, არ შევისწავლე ევროპაში. არ ვიცი, ეგებ ნაადრევი ქალარის ამბავი იყოს. მიწის ძახილი გახშიანდა ჩემს გულში. წელან, დევის ქებაიდან რომ მოვდიოდი, ვნახე: მოხუცებული სენი ხნავდა. ძლივს მიყვებოდა აღმართში სახნისს. გამოვართვი აჩაჩი, მთელი საათი ვხნავდი. ახლად მოხნულმა მიწის სუნმა საამოდ გამამბრუა. მომავონდა: როგორ გეასწავლა მორღუმ მე და შენ ხენა.“

„გაბსოვს ფარცხიდან რომ ჩამოვარდი მისოუსტ?“

„როგორ არ მახსოვს. მე ისიც მახსოვს ნიკორას შუბლზე რომ კობი ჰქონდა და ცალი რქა მოტეხილი. როგორი ბედნიერად ვეცადით არზაყან! როგორ მსუბუქად დავდიოდით თურმე მიწაზე! გრძელად იტყის ახალი სიხარული და სასწაული მოქონდა ჩვენთვის. ადამიანებიც ისე კეთილი და მშვენიერი შეჩვენებოდა! ახლა გული გამიჭკვედა და ადამიანებიც შემძავდა. შესაძლოა, ასაკს თან მოჰქონდეს ეს ყოველივე. კაცმა რომ სთქვას, კი არ შემძავდა, ადამიანისადმი რწმენა დავკარგე“.

„აბა რასა ჰგავს აქაურობა? სევანთში ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი რევოლუციის გუთანს. აქ ძალიან ღრმად უნდა ჩასწვდეს სახნისი ნიადაგს, თორემ ეს ხალხი დაილუპება უთუოდ“.

ილუპება უთუოდ.“

თარაში უსმენდა, სდუმდა და არზაყანმა განაგრძო:

„ხომ კარგი ვაჟია საურ, მაგრამ მისი კომკავშირობობა ზერელე ამბავია.“

„მე არ ვამტყუნებ საურს. მიუგო თარაშმა, ასეთ გარემოცვაში მართო საური რას გააკეთებს? მერე შენ როგორ გვინია, ადამიანის გარდაქმნა ასე ადვილია? ყოველ ჩვენგანს რომ დააკვირდე, ვინ იცის რამდენი კულტურის ნალექს არ იპოვნი. აქ იგივე ფენების ამბავია, მთების ფორმაციაში რომ არჩევენ გეოლოგები.“

არზაყანმა უკან მოიხედა.

საურ წამოსწეოდათ. საურმა მზარზე ხელი გადახვია არზაყანს, თარაშს მიესალმა და ორივეს მიმართა:

„წამო საქმისაჲს ნორთეჲს ვუყუროთ. რა გვენალელება არაყს ვეასმევენ.“

„საქმისაჲ რა ჯანაბაა?“

იკითხა არზაყანმა. საური შეეცადა, მაგრამ ვერ ატყუნა.

თარაში მიეშველა: დღეს მურყანობააო, კოშკის დღესასწაული. ამ დღეს ნაყოფიერების ღმერთს — ფალოსს ევედრებიანო სევანები. მერე უამბო თუ როგორ ირჩევენ სოფლები ორ მეთაურს: საქმისაჲს და ყვენს.

არზაყანი გაჯანჯლდა: მეზარებაო ამ პამპულობის ყურება, მაგრამ საურმა ხელი წაავლო, ხნულები გადაიარეს და იქვე მოსახლე სევანის კოშკს მიაშურეს.

ფემურის სასიძო მოვიდაო, მთელი ოჯახი გამოეგებათ ახლად — მოსულუნს. საქმისაჲს მორთეა მიატოვეს. საური დაწინაურდა. განუმარტა შასპინძლებს: თემურის სასიძო წიგნსა სწერსო სევანური მურყევანობისთვის. უნდა ეუჩვენოთო სტუმარს საქმისაჲს მორთეა.

თარამ ემზვარს არ იამა, ასეთი რამ რომ განაცხადა საურმა, მაგრამ და-

დღედა. წრეში დამდგარმა ახალგაზრდებმა ზურგში მჯდარი ნოდარს, გრძელ სატყევიან, ქერა სვანს, მერმე ორი ვაჟი მიიღვა ნოდარს. ნოდარი უარზე იყო, იცოდა ეჩოსავით მოღერებულ კამარქვან შუქსა.

ყოველ წელიწადს რად უნდა ვიყვეო მე საქმისაჲ, ხსლოსა ქვემოთ დანიშნეთო. მე ყვენად დამაყენეთო. მაინც შეუმურეს სახე ნოდარს. ტანზე ძონძები გადააცვეს, თავზე ტყავის გულა დაახურეს. ქამარზე არყის ხისგან ვაკეთებული ასო დაჰკიდეს მამაკაცისა. ნოდარ იჯლანება, პამპულობს.

მერმე გაიმართა არყის სმა. მახვშის კათხა მიართვეს „პრაფისორს“. თარაშს არ უხაროდა, სვანებმა რატომღაც „პრაფისორი“ რომ შეარქვეს. ერთი წრე შემოიარა არყის კათხამ. არზაყანი ჯერ ნაზობდა, მერმე თავითაც შევიდა არაყში. წარამარა სკლიდა და თარაშს გადაულოცავდა კათხას.

დარბაზში ბნელოდა, სუფრის გარშემო დამსხდარი სვანები იცინოდნენ, როზროზობდნენ. თარაშმა უცნაური რყევა შეიცნო, ერთ წუთში მის გარშემო შეირყნენ და აცეკვდნენ ნივთები, გარს მომდგარ მოჭეფეთა სახეები ისე ტორტმანობდნენ, როგორც უვარვისი კინოფილმის ფიგურები.

ახლა სხვა ოჯახში გადაჰყენენ ჩამომრებ საქმისაჲს. ძაღლების ყეფა, ბავშვების ჟივილ-ხივილი, ქაღების ტყარცალი, მამაკაცების როზროზი ეს ყოველივე ურთიერთში აირია, თარაშ ემზვარს მუხლები დაუძძიმდა, თვალ ყურს აღფენებდა ყვენის მორთვას.

ყვენად უზარმაზარი, ჭოლოკივით გრძელი სვანი აირჩიეს. თავზე ჩაჩი დაახურეს ყვენს, მასაც სახე შეუმურეს, ხის დაშნა წელზე ჩამოჰკიდეს. მერმე აღვა საქმისაჲ, მოიხსნა ქამრიდან ხის ასო, სცემდა ქამარზე ყვენს და სვანურად ეუბნებოდა საძაგებელ სიტყვებს.

ყვენის მოახლეებმა მუხის შუბები აიღეს. საქმისაჲს მოახლეები ხის სადვისებით ჩხელეტდნენ დიდსა და მცირეს. მთელი სოფელი მოგროვდა აიყარნენ და ლამარიას ეკლესიის მახლობლად დაბანაკდნენ მუხის ქვეშ.

„არზაყანი რა იქნა საურ?“

ეკითხება თარაში.

არზაყნი ჰღიერ დათვრა, ახლა აქ იყო, არ კი ვიცი სად წავიდაო. ამბობდა თემური, თავითაც შეჭიკჭიკებულოყო საური. თარაშმა წრე გაიარა, ამოდ ეძია არზაყან.

მზე გადავიდა. ჩრდილის ზოლები გადაეფოფრნენ სოფელს. აღმოდებული ღრუბლების კოშკები დაზეინულიყვენენ კავკასიონზე.

თარაშ ემზვარ ქაღების წრისკენ მიიწეედა ამ აურზაურში. უნდოდა ლამარიას მიახლებოდა. შინ მისვლამდის გამოლაპარაკებოდა როგორმე სწუხდა, ლამარიას დობილები და რძლები რომ გარს ეხეიენ.

ისევ ასტებეს ყიფინი. თარაშ ემზვარ წაქეუულ კოშკისკენ გაემართა. კოშკი წააქციეს და ახლა ფერხული გაიმართა. თარაში ცოტახანს თვალს

ადევნებდა ფერხულს. ისევ საური გაჩნდა მის გვერდით. როგორც იქნა საურს გაეპარა და ქალების წრე გაიარა, მაგრამ ლამაზი ვეკველვარსად იყო. ისევ მოეჭრა საური, თარაში მიხვდა. საური ფრთხილად ტარებები არ წაწყდომოდნენ სადმე თარაშს.

საურ სატევარს ხელს არ ამორებს ისე დასდევს თავის სასიძოს: უცებ ჩხუბი ატყდა. საური იქითკენ გაეშურა. თარაში ქალებს მიუახლოვდა, ლამაზი არსად სჩანდა.

შელამდა, ფერხული მოთავდა. ხალხი სოფლისკენ გაემართა სიმღერით. თარაში თავნაქინდრული მიდიოდა ბრბოში. სამი ძმა ლაფარიანი გამოიყენა თარაშს. მოურიდებლად აქებდნენ ლაფარიანების სასიძოს. თემურისაგან გაგვიგია კარგი მონადირე ყოფილხარო.

შეზარხოშებული ყმაწვილკაცების და ქალების ჟივილხივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

აქ მალალ ხის გარშემო თოვლის მურყვანი — კოშკი დაემზადებინათ.

კოშკის მახლობლად ყენი წამოწვა ნაბადზე. თავისი დედოფლები შეიმწყვდია ნაბადში.

ეძიძვილავება, ეალერსება ქალწულებს.

მოახლეებმა უშეღებელი ხაქაპური მიართვეს საქმისაჲს.

ადგა საქმისაჲ, მოიხსნა ხის ასო. ლამაზის სახელობის ეკლესიისაკენ პირი იბრუნა.

ხის ასოთი დაემუქრა: ასე და ასე გიზამო. შერე გადააფურთხა: „ფუჲ, ლამაზია, ფუჲ, ლამაზია“.

ნიაძაბა მკახე ხპით.

ამასობაში ყენს დასძინებოდა.

საქმისაჲ მიეპარა, ნაბდიდან გამოათრია ყენის „დედოფლები“. ძუ-ძუმკერდზე ელაციკება და ურცხვად ჯღლიმავს ყენის „დედოფლებს“. ყენმა გაიღიძა, „დედოფლები“ რა ევლარ ნაბა, ზედწამოიჭრა, ეძგერა საქმისაჲს და შეიბნენ ყენი და საქმისაჲ.

თარაშ ემხვარი ბრბოდან გავიდა. ცაცხვის ძირას ლამაზია შენიშნა. მზე მოკიდებოდა ლამაზის სახეზე. ეს ძლიერ შეენოდა. იგი გოგობიკე-ღის ძიძვილაობნს განრიდებოდა, მოკრძალებულად იჯდა მახეშის რძლებს შორის. თარიშის დანახეზე უარესად გაწითლდა ლამაზია. თავი დაბარა, მანც ჩემად და ცბიერად შესცინა თავის საქმროს მომშვილდულ წვირლ წარბებს ჭვემოდან.

უცებ ვაისმა ყიფინი.

თარაში შეკრთა.

საური გვერდით ამოუღდა ემხვარს. საქმისაჲმ ყენი წააქცოლა.

უფროსი სამთა შორის, მოხუცებული კობტა ლაფარიანი ვაოცებულს იყო: სად ისწავლეო ასეთი სროლა ნასწავლმა კაცმა?

კოტა ლაფარიანი ნაეღლი კაცი აღმოჩნდა, მე არ მინანჯესო ასეთი ნაწაეღლი და თავდაბალი კაცი.

„შენი ძმა სად არის?“

კეთხება კოტა ლაფარიანი.

თარაში მიხვდა არზაყანს რომ კითხულობდა კოტა. იამა ძმებს რომ უძახოდნენ სვანები მას და არზაყანს.

წრულს ჩვენსკენ, ლაფარიანებისკენ წაიჭკაო კოშკიც და ხეცა. დოვლათიანი მოსავალი გვექნებაო. ამბობს კოტა ლაფარიანი. წორსაც კარგს მიგცემთო ტარბებს. ჭორი მახვში მე მაგზაენისო სამოცოქულოდ ჭაიშელ ტარბებთან. კიდევაც არ შეგვირიგდეს, უბატონოდ ხმას ვერ გაგვემენო ტარბები. თარაში მადლობას ეუბნება, უკან იხვეს შეუმჩნეულად. ლაპარაკის დროს პირი პირთან მოჰქონდა კოტას.

გზაზე ისევ ატყდა ჩოჩქოლი. თოფი გაეარდა.

ლაფარიანს ესროლესო, დაიყვირა ვილაცამ. კოტა ლაფარიანმა სატევარზე ხელი გაივლო, ორივე ძმა მას გამოუდგნენ. თარაში ერთხელ კადვე თვალი მოჰკრა სამი სატევრიანის ლანდს და ხე მოისაფრა.

როცა უკანასკნელმა ლანდებმაც ჩაიარეს, თარაშ ემხვარ სოფლის შარას მიჰყვა. უკვე ხნულზე აღარ მიდიოდა, მაინც ბორძიკობდა მთელ სხეულზე არყის მხურვალება შემოგზნებოდა.

მიღას და დიჭრობს, ლამარიას ცბიერ ღიმილს ეგონებს. თვალწინ დაუდგა ჭორფლიანი ქალის ვნებიანი სახე, მისი მკერივი სხეული ინატრა, ჯიხვის ფეხებით წვრილი ფეხები მოიგონა. და ისე სწყურია ლამარიას აღერსი თარაშ ემხვარს, როგორც ღვაშ ჯიხვს მთავე წყლის მოსმა.

ასე დაფიჭრებულს უვლია, უვლია,

მახვშის ძაღლების ყეფამ შეაკრთო, ძაღლებს მოეფერა კოშკის კბეები აირბინა.

არზაყანისა და თარაშისთვის შეკეთებულ ოთახში სინათლე ბეუტაედა. ქალის ხმა შემოესმა ტალანშივე თარაშს.

შეკრთა.

აქ სხვა ქალი არასოდეს ამოსულა მის დროს ამ კოშკში. მიაყურა, ლამარიას ჩურჩული შეიცნო.

დაიხარა.

კარის ქუჭრუტანაში შეიხვდა.

არზაყან და ლამარია კედელზე მიმდგარან. არზაყან მკერდზე ელაციება ლამარიას. მერმე მივიდა სულ ახლოს. ცალი ხელი იდაყვს შემოდ წაეღო მკლავში, ცალითაც თავი გადაუწია, აკოცა ტუჩებში.

ლამარიამ ოდნავ გაიბრძოდა, თავი მკერდზე მიაბჯინა არზაყანს. არზაყანმა კისერზე, თმის ძირებში აკოცა ქალს. მერმე ნიკაპზე ხელი წაავლო, მისწვდა ლამარიას ტუჩებს. დიდხანს თავბრუდასხმულნი ჰკოცნი-

დნენ ერთიერთს და ასე წაიჭყეოდნენ საწოლზე. ამ წუთში კრატე, წაე-
პოტინა სიბნელეში თარაშს.

საური იღვა მის წინაშე.

თარაშმა თავი შეიკავა.

„საურ მოხვედი?“...“ ეს ჩაილაპარაკა ჩურჩულით.

პაპა გეძახით, ვგონებ მოციქულებს უგზავნის ტარბებს, ახლავე მო-
დითო.

ბუტბუტებს საურ, ენას ძლივს აბრუნებს.

თარაში და საური მდუმარედ ჩამოვიდნენ კოშკის კიბეზე.

ახლავე მოვალო, უჩემოდ ნუ გააგზავნითო მოციქულებს, ახლავე
მოვალო გაინფორა თარაშმა და მინდვრებისკენ გაუღდა გზას.

სოფელი უკვე აღარ სჩანდა, როცა თარაშ ემზვარ შესდგა. ახედა
ცა. ჯიხვის რქასავეთ გადრეკილიყო მთვარე.

„ფუჟ, ლამარია!“

და ესა სთქვა თარაშ ემზვარმა, ძალიან ხმამაღლა, თითქმის ისეთივე
ზიხლიანი ტონით, როგორც საქმისაჲ ამას ამბობდა:

„ფუჟ, ლამარია, ფუჟ, ლამარია“

მთვარეს მცირე რამ ღრუბელი გადაეფოფრა, მოთალხო ღრუბელი.
ღრუბლებიდან გამონაეონი სხივები ისე ციმციმებდნენ, თითქოს კალოზე
აბნევენო ბრეს.

დიდხანს, დიდხანს დადიოდა ხნულებში მარტოხელა, უჭულო კაცი
და ხმამაღლა ესაუბრებოდა საკუთარ ლანდს.

64. მზიანი

იმ ღამეს გათენებამდის იხეტიალა ემზვარმა. ყამირი ვიწრო ხეც
მისდევდა, მთასა და მთა შორის ჩრდილიანი ზოლი ჩაწოლოლიყო, მხო-
ლოდ იქ სადაც მთა მთას ეყრებოდა, ზედ ტაფობის თავზე დაეღაეებდა
ცისკარი. ემზვარს ვიწროდ ეჩვენა ეს ხეობა

იარა,

იარა,

იარა,

ახლოს ეგონა ტაფობი და ცისკარი, ამ ხეობაში სულ შეხუთულს.
უთენია გაურკვეველი გრუხული შემოესმა სამთო ქვემეხების გრილის
დარი. არა, ეს არა ჰგავდა ქვემეხის გრიალს. კიდევ დაიგრუხუნა ზედიზედ.
ადრიანი გაზაფხულის შეხი არისო.

ცას ახედა, მტრედისფერი ცა ჰყვავოდა შორს, მოელვარე ვარსკე-
ლავთა ბაიებით მოჩითული. კვლავ დადუმდა ყოველივე და ისეთი ნე-
ტარი მყუდროება დამყარდა ქვეყნად, მთების ჩრდილებით მობურვილი
შემოგარენი გრაფიურასა ჰგავდა თალხი ფერებით შესრულებულს. ახლა

ისფერ ცაზედ მკაცრი ხაზებით გამოიკვეთა დივრანგნული მთებისა და ეს ორივე შავი მთა ისე მოსწოლოდნენ ურთიერთს, ვერძლით, როგორც ორი ვოლიათი ძმა ბძოლის ველზე დასვენებულნი. ისევე ვაისმა გრიალ—გრიალი, ახლა კი მიხვდა ეძნეარ, სულ ახლოს, ვერტიკალურად მომდგარ ნაძენარიან მთების გადაღმა ლალუმებს აფეთქებდნენ.

რა ახლოს მისულანო, გაიფიქრა და მყისვე ქორა მახვშის უძრავი სახე წინ დაუდგა, ბებერ ლომსავეით დაღრენილი და ამრეზილი.

არყისაგან მიღებული მხურვალეება გამოუნელდა, ახლა ძილი მოღნდა ისე საოცრად, მზადაა, იქვე ხნულში წაიქცეს. წინ ტრიამელი მინდორი იყო, ხეს ეძებდა, ბუჩქიც არსად სჩანდა. მოავონდა: წიფელას რომ გაუარა წელან. უკან მოიხედა და შორს, ძლიერ შორს უკან დაეტოვებინა ის წიფელა. უჩქარა ნაბიჯს. ძილი წამწამებზე ეპოტინება. ძილს წამწამებთან დაუგია პოტიკი. და მიდის მაგრამ უნებლიედ თვალი ეხუჭება და ახლა ყოველივეს შურიტ შესცქერის, ამ მთას, იმ ხევს და იმ ნაძენარს, ყოველივეს, რასაც ძილი დაუფლებია. მიიღწევს იგი წიფლის ძირას და დაეცემა მყისვე მიწაზე.

აღისფრად აყვავდნენ მოთეთრო ღრუბლები ცაზე პაერში ნათელში წინწკლებმა დაიწყეს ციაგი. აფრინდა მის ფერხით ტოროლა ცისკენ.

შეერთა თარაში. ტოროლის ამბავი მას წიგნებიდან ჰქონდა გაგებულნი და ახლა როცა თავათ დაინახა როგორ აიქრა ცაშიეს პატარა შიკრიკი განთიადისა და გაზაფხულისა.

იამა ფრიად.

ამ გაზაფხულს განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდა თარაში. მან იმდენი ნებისყოფა გამოიჩინა, რომ თავათვე ამოავდო თავისი ცხოვრების დღეთა მდინარეება ჩვეულებრივ კალაპოტიდან. და ახლა ამ ბნელ ორწოხებში დადიოდა იგი ნახევარ ბნელში და არ იცოდა რას მოუტანდა ცხოვრება.

წინად ჩვეულებრივი ანდაზა იღვა მის წინაშე, სხვათა ცხოვრებიდან გადმოღებული.

იცოდა წინასწარ: კაცი საშუალო სკოლას რომ გაივლის მერმე უნივერსიტეტში შევა. უნივერსიტეტს გაათავებს ავად ან კარგად, მერმე სამსახურში უნდა შევიდეს, მერმე ცოლი შეირთოს, ბავშვები გაზარდოს და უთუოდ მოკედება ადრე თუ გვიან. ეს გზა ათასებს და ათიათასებს გაუვლიათ. ეს ამბავი გარეკანშემოცვეთილ ბულვარულ რომანსა ჰგავს, ათას კაცს გადაუფურცლავს, გადაუქითხავს იგი, არავის არაფერი შეუნიშნევს, არც შეუმატნია მისთვის ისე გადადის ეს წიგნი ხელიდან ხელზე.

თარაშ ემხვარის გზა არც იმათსას ჰგავს პარიზიდან რომ ჰაიტში გადასახლებულან და მონმარტის კაფეებში მზატვრებთან, მწერლებთან, ჟურნალისტებთან ლაყბობას წითელკანიან ველურებთან ცხოვრებას არ-

ჩვენს. არა, თარაშ ემხვარის ვზა არც შატობრიანის გამაღობის ვზა, არც შოპასანის გულაცრუებულთა ეტლი, იგი ისევ თავის მონათვე ტომთან მივიდა. აქ მას მოსწონს ცხოვრება, პაერი უფრო უხდენს მას ვიდრე სხვებს. იგი აქ არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც.

ასე ფიქრობს თარაშ ემხვარი.

ლამარია მოავონდა ამ წუთში, რა უყოთ რომ ლამარიაც ისევე მატყუარა აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთი სხვა ქალიც, მაგრამ არიან ამ სოფელში სვანის ქალები, თამარი ერქმევა მას თუ ქეთინო, ეს სულერთია. მას ისეთი ქალი უნდა ცოტა სიყვარული მისცეს, მოკლული ჯიხვის ოთხად ამოღებაში უშველოს, ცერცვი მოუხარშოს, ქსელის ბეჭეა იცოდეს, პატივებისა და ჩოხის ქსოვა, გერვა და გამოჭრა ემარჯვებოდეს. ეს სულ მცირეოდენი რამეა და ასეთი რამეები ყოველ სვანის ქალს ეცოდინება უთუოდ.

ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა, ახლა მეორე ტოროლა ავარდა ცაში და მახლობელ ჩიგენარშიც უკვე გაისმა ტყის ჩიტუნების აღტაცებული ჟივილი.

დაიმუხლა თარაშმა წიფელის ძირას, სატევარი შეიხსნა, ჩოხა გაძრო და მიწაზე გაფინა. დაწვა.

გაცხოველდა წიფლის შტოებში ჩიტუნების ფუსფუსი და ჟივილი.

ორი ტინჭრაქა დასდევდა დედალს. ისინი ისე სწრაფად დაფარეშობდნენ პაერში, სამი მოძრავი წერტილი მოსჩანდა მხოლოდ. მერმე მესამე ჩამოცილდა ერთმა თავხედმა დატყვილა საწყალობლად და გაპჭრა ის მესამე. დედალი ქვესავით დაენარცხა მიწაზე. იმ წუთშივე თავს დაესხა მაშალი და ემხვარის ცხვირწინ დაპებლა.

თარაშ ემხვარს ისევ ლამარია მოავონდა ამ წუთში, მისი ცბიერი ღიმილი, მერმე მისდია ფიქრს. ცხადლივ დაუდგა თვალწინ როგორ ურცხვად ეხვეოდა იგი არზაყანს იმავე კოშკში, სადაც მრავლგზის ამოსული უჩუმრად ღამე. იმავე საწოლზე, სადაც თარაშ ემხვართან იზიარებდა ზამთრის გრძელი და ბნელი ღამეების ვნებას.

ასეთი რამ თავის დღეში არ მოსვლია თარაშ ემხვარს, მან უდიდესი შეურაცყოფა შეიწყო, პირდაპირ ფიზიკური ტყივილი შემოგზნო. გულის არეში ახლა მზად იყო, ეს სატევარი აეღო და ოთხში ამოეღო თავისი ძიძაშვილი.

თვალეები მოიფშენიტა, ზურგზე დაწვა, ცას შეაჩერდა, ენდროსფერი ღრუბლები მოსდებოდნენ, ცას ენდროსფერი კი არა, მთლად სისხლისფერი. და შეურაცყოფილი ხვადის ბნელი სისხლი აჩქამდა მის ძარღვებში. მკვირცხლად წამოიჭრა, ჩოხა გადაიგდო, სატევარი წელზე შემოირტყა და აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვა ხნულებს მახვშის კოშკისაკენ.

ქორა მახვშის კარმიდამოში ჩქამიც არ ისმოდა. ხარები იწუნენ ეზოში და ზანტად იცოხნებოდნენ. ძაღლებსაც კი ეძინათ წინა ღამეს ყვეფით

მოქანცულთ. კოშკის კარები ღია იყო, ორიოდე ნაბიჯი გადადგმულა კიბის საფეხურზე თვალი ჰკიდა არზაყანს. მას კვირისთავებზე მკლავები შემოეხვია და ზედ დაეყრდნო თავი. ახალოხს ამარა იქვე არზაყანს, არც ქამარი ერტყა, არც სატყეარი. ემხვარს უადგილოდ მოერეწა ასე შილი-ფად მთვლემარე კაცთან ომაზიანად შეხშიანება.

ერთი კი გაიფიქრა: ეთქვა ძიძაშვილისთვის, ადღე, იარაღი გამოიტანეო, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა. სწორედ ამ წუთში თავი აიღო არზაყანმა და დაწითლებული თვალებით ამოხედა და თარაშ ემხვარმა შენიშნა: ისეთი დაღეული, საცოდავი სახე ჰქონდა არზაყანს, თარაშ ემხვარ დაიბნა. აღარ იცოდა რა ეთქვა მისთვის, ან რა მოემოქმედნა?

„შენ ვის უცდიდი აქ?“

გკითხება ემხვარი.

„როგორ თუ ვის? შენ გიცდიდი. მე მეშინოდა ოსმანს არ ჩაეკეტა კოშკის კარები. ამიტომაც აქ ვიჯექი მთელი ღამე და გიცდიდი.“

„შენ კიდევ არ გამოგინელდა არაყი?“

„საურის ოჯახი დაიქცა, არ მომეშვა, წუხელ ნაშუალამევს კიდევ მასეა. ახლაც მამოყინებს, არც შეძინება.“

„არც მე შეძინება, ადექი, მაუზერი გამოიტანე, ხევისაკენ წავიდეთ, ნიშანში მაინც ვესროლოთ.“

არზაყანს ეუცნაურა, უთენია რა დროს ნიშანში სროლა არისო, მაგრამ მოაგონდა: ნამთვრალევეზე სროლა რომ უყვარდათ მას და მისოუსტს ამით ახსნა, ექვიც არ შეპარვია სხვაგვარი არზაყანს. გაეხარა სროლი რომ უხსენეს და თარაშს მიუბრუნდა:

„ხევისაკენ წავიდეთ, თუ კლდეებისაკენ?“

„ხევისკენ, ხევისკენ, თორემ კლდეებისკენ თხები დაუდით მეზობლებს.“

თარაში იღვა, ესმოდა როგორ არბოდა კოშკის კიბის საფეხურებზე არზაყან მარდათ. ჯიბეში ხელი ჩაიღო, თავისი ბრაუნინგი ამოიღო, ორი ტყვია დარჩენილიყო სავაზნეში. მოსწია, პირში მისცა მორიგი ტყვია, და გაიფიქრა:

„ერთი მას და ერთი მე.“

მერმე კოშკის ტალანიდან ჰაერზე გამოვიდა. ამოიოხრა, თითქმის ხმამალა სთქვა:

„ერთი მას და ერთი მე.“

არზაყანმა კიბე ჩამოიბრინა. მორბის, ხელში მაუზერი უჭირავს ბალღვით უბრწყინავს სახე დასჩერებია ყორნისფრად მოლაპლაპე მაუზერს. თარაში შესტყერის, გაოცებული. მხოლოდ ათი წლის წინად თუ უნახავს ასე გახარებული არზაყან.

„დაეჯღღეთ ცოტა ხანს, ცუდათა ვარ.“

ამის თქმა მოასწრო თარაშმა, იქვე გდებულ ლოდზე მოიკეცა.

არზაყანმა სახეში შეხვდა ემზეარს. იგი საესეებით გადიოდა უკლებლივ ერთ წუთში. იჯდა და ცხვირსახოცი თოფლს იწმენდა ყერიმალის ახლოს.

„რა მოგივიდა მისოუსტ?“

ეუბნება მზრუნველი ხმით, შუბლზე ხელი დაადო. თარაშს გული აუჩვილდა. თანაც ეუცნაურა ასეთი საქციელი. ეუცხოვა: სულ ხუთიოდე წუთის წინად ხანჯლით აკუწვას რომ უპირებდა სიყრმის მეგობარს. ბავშვობა მოაგონდა ემზეარს, როცა სულ მცირე მიზეზის გამო აიშლებოდნენ ძმობილები და მერმე ისევ წამოავლებდნენ მშვილდისარს ხელს.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი. ისხდნენ კოშკის შესავალთან მყუდროდ შეკუთულნი. მოხუცი გურანდუსტი გამოსულიყო დილაღრიან, ხელში ვარკლი ეჭირა, ვარკლზე რამდენიმე პაწია კვერი დაეწყო.

კოშკთან მჯდომარენი არც კი შეუქმნევია გურანდუსტს, ისე ჩაუარა სათხეს, აჩქარებული ნაბიჯით თბილნარისაკენ წაეიდა, არყის ხის ნამორებს ამოეფარა.

თარაშ ემზეარი დაინტერესდა: სად მიჰქონდა გურანდუსტს შესაწირავი კვერები? ახალმა აზრმა გაიელვა მის თავში.

„წამოდი არზაყან საოცარი რამ უნდა გიჩვენო, ოღონდ ხმა არ გაიღო იცოდე.“

ეს უთხრა არზაყანს და თბილნარისაკენ გაემართნენ ორივენი.

პატარა ციკნებს თავი გამოეყოთ სათხედან. ფარეხის კართან შავი თხა იდგა ლანდივით, აპარპალებდა დემონიურ თვალებს. ისეთი საოცარი გამომეტყველობა ჰქონდა თხას, თარაშის ფიქრი ბერძნულ პანს მისწვდა. გასაგებიაო, ფიქრობს ძველი ხალხები დემონიურ არსებებს რომ უკავშირებდნენ თხას.

კიდევ მიხვდა შავ თხას, ისე უციმციმებდა თვალები ამ ცხოველს, თითქოს შეშფოთებული ეკითხებოდა მზერით: სად მილიხართო?

უხმოდ მიეპარნენ არყის ნამორებს თარაში და არზაყანი. გურანდუსტი ოციოდე ნაბიჯზე ჩაჩოქილიყო. ვარკლი წინ დაედო.

ახლა თარაში ამჩნევს პატარა ეზოს ფიქალებით შემორაგვულს. ორი მხარი თუ ჩქნებოდა ეს ეზო. შიგ შუა გულში პაწია ქვის სახლია, სწორედ ისეთი, როგორსაც ბალღები გაუკეთებენ ხოლმე თავიანთ ტიკინებს. ფიქალი ეხურა, სამ ფიქალს მიწაში ჩარჭობილს, ერთიც წინიდან მიეფარებიანთ კარის მაგივრად ფიქალი ოდნავ გამოწველიყო, ასე რომ შავად მოკიადე ხერელის პირი მოსჩანდა. გურანდუსტი იჩოქებდა, არყის ნამორებისკენ ზურგშექცეული, ლოცულობდა გურანდუსტი. საწყალობელი ხმით წარმოთქვამდა წელში მოდრეკილი:

„მეზირ, ლემეზირ, შენი სტუმარი ვბრ, შემიხვეწიე, შემობრალე, ქანი მრთელი მომეცო, გული მხიარული, შენი წყალობით გამახარე, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე.“

დიდო უფალო მეზირ,
 ბოროტი და ვნებიანი ამაშორე, დამიცივი ყოველ ვნებისაგან,
 ყოველ ბოროტებისაგან, ავი თვალისაგან და ხარბმსმცნველსა ბა-
 ტონო, უფალო მეზირ.“
 მერმე ხმას დაუწია გურანდუხტმა, სავეებით უაზრო ლექსებზე გა-
 დავიდა.

„ღერბეთ ამშარჯუ დიდაბ“...

ანსალა, მანსალა
 მიწი ბაძვარი,
 მიწი გარგარიტა
 ასთი ორჯაო,
 მიწი ასკალი,
 მიწი გარჯანა.

ღერბეთ ამშარჯუ დიდაბ...“

ხმა გაცმინდა,

დიდხანს იყო ასე დაჩოქილი და თარაშ ემხვარი ხედავდა: მიწას დასჩერებოდა გურანდუხტი, აცმამცუნებდა ნაზამთრალ უნაბსავით დამ-
 კენარ ტურტებს, ხელს იფარებდა ხანდახან პირზე, მიწას დასჩერებოდა და ისევ იმეორებდა თავის უცნაურ „ანსალა, მანსალას“.

მერმე წამოდგა, კაბის კალთები დაიბერტყა, კვერები მიწაზე დას-
 ტოვა, ვარცლს ხელი წამოავლო და შინისაკენ წაფოხრიკდა.

არზაყან და თარაში მიწაზე გართხმულნი შესცქეროდნენ ამას ყოვე-
 ლივეს, ახლა დაწინაურდნენ, არყის ნამორები ისაფრეს. ახლა არზაყანიც დაინტერესებულყო თუ რა მოხდებოდა.

მეზირის პაწია საკურთხეველიდან ძერასფერი გველი გამოსრიალდა: თავკისერი მოიღერა, იქვე დაგდებულ კვერს წასწედა, ასავსავებდა ორ-
 კაბიან ენას, მზეზე აციმციმდა ორი, გამხვრეტი თვალი.

„აჰა, ეს არის ქორა მახვშის მეზირ? მე და საურს გვინდოდა გუშინ წინ მისი მოკვლა. კინალამ ჯამში ჩამიძვრა ის ოხერი.“

ესა სიტყვა არზაყანმა და მუხურის ტყვიით თავი წაუწყვიტა მეზირს.
 „რა ჰქენი არზაყან?“

დაიყვირა ემხვარმა. იგი არ მოელოდა, არზაყანი ნამთვრალეებზე-
 დაც თუ მოიმოქმედებდა ასეთ რამეს. არზაყან იცინოდა. თარაში მიხვდა,
 უკვე შეეკამათების დრო რომ აღარ იყო. იცოდა ქორა მახვში თვით სტუ-
 შისაკ რომ არ შეაწედა ოჯახის „მფარველ ლეთაების“ მოკვლას.

ხელი წაიღო არზაყანს და

„თავს ვუშველოთ თორემ დაგვბოცავენ იცოდე“

და კოშკისკენ გაიქცნენ გამალებულნი. გუდანაბადის და თოფების
 გამოტანა მოასწრეს ძლივს.



გურანდუხტი დარბაზში არ იყო შესული როცა მუჯუჭუჭმა დაჯგრი-
ალა. გორებიდან ძაღლები გამოცვივდნენ. მუხლებზე მუჯუჭუჭმა გურან-
დუხტს, მაინც მიბორიალდა არყის ნამორებამდის და რა ნახა თავწაწყვე-
ტილი „ღვთაება“ მიწაზე გართხმული, ხელები თავში წაიშინა, შემცხადე-
ბულსავით შორთო კივილი. უკვე პერანგისამარა თემური, ოსმანი და
თენგიზი გამოცვივდნენ მახეშის დარბაზიდან. ხუთი სატევეარამოწედილი
ვაფი უკან მოსდევდათ. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. კაც ზემამაია ყვე-
ლაზე ადრე მიხვდა, რომ ასეთ „უკულმართობას“ მისი ვაფი თუ მოიმოჭ-
მედებდა.

მიწა გასქდომოდა და შიგ ჩაეტანა, ეს ერჩია კაც ზემამაიას ამ ამბის
შემსწრეს. თავზე ხელები შემოეწყო, იჯდა წელშიმოდრეკილი მოხუცი
და სოხანეს დასჩერებოდა. უნდოდა ამდგარიყო, საკუთარი სატევერით
მოეკლა შვილი, მაგრამ საურს უკვე მოესწრო ამბის თქმა: არზაყანი და
თარაში სვანეთიდან გაქცეულანო. საურიც თან გამოჰყვა სატევერიან
ძმებს, თავათაც სწუხდა ვითომ, თანაც გულში უხაროდა მეზირის სიკ-
ვდილი.



ჭორა მახეში მთელი ღამე უფუნებოდ იყო, სწორედ იმ ღამეს
წამოტორტლა საურმა: ლაღუმების სროლა ნაწისქვილართან ისმისო
უკვე, ახლა მეზირის მოკვლა რომ გაიგო ერთი წამოვარდა საწოლზე
ოთხით ზედ შედგა, დაიხოქა, ხელები ცისკენ აღაპყრო, მერმე თავპირში
დაიშინა: დაიღუპაო ჩემი ოჯახი დაიგმინა და მისი უზარმაზარი სხეული
დაეცა ისევ საწოლზე.

მცირე ხანს ასე იწვა პირქვედამზობილი. ყურები უწიოდა. მერმე წი-
ვილმა გაუარა, საშინელი ხმაური შეიცნო. იწვა ჭორა მახეში და მოეს-
მოდა მთების უცნაური გრუხუნნი, გრუხუნებდნენ მთები, იღეწებოდნენ
მის შემეცნებაში სვანეთის შეუვალი მყინვარები. სულ ხუთიოდე წუთის
შემდეგ ამაოდ ეძებდა საური მაჯისაცემას მის მარცხენაზე.

P. S.

ასე ასრულდა წინასწართქმული ლაფარიანების მახეშს: სწორედ იმ
დღეს, როცა ჭორა მახეშს ძველებური ქელები გადაუხადეს შვილებმა,
შვილისშვილებმა და შვილისშვილის შვილებმა, სვანეთის გზის მეღალუ-
მეთა ბრიგადამ უზარმაზარი კლდე ააფეთქა არწივთა სავანედ წოდებუ-
ლი, ეს კლდე პირდაპირ შესცქეროდა სათოფურებში ლაფარიანების მახ-
ეშის ძველთა ძველ კოშკს.

65. მამის თვალი.



„კოლხელები მიცვალებულენა, ვუჭანაშენსა მცებენ,
ამოკრავენ და ხეებზე დაკრძებულნი ხელსა მათსა“
ელიან. *Variae historiae*

დევის ქვაბისკენ მიმავალნი არზაყან და თარაში ჯერ კიდევ „ყვი-
თელ კლდებამდის“ არ იყვნენ მიღწეული, როცა კოკისპირულმა წვიმამ
მოუსწროთ ხრიოკ და ურწყულ კლდეების თავზე. არსად უბრალო ბუჩქი
არა სჩანდა თავშესაფარი, არც მონადირის ქვაბი რაიმე. ყვითელ კლდეებს
ეძახიან სვანი მონადირენი ამ ადგილს, რადგან აქ მთელი კლდეები გო-
გირდის ფერია. ამ ადგილას მონადირე ხელცარიელ კაცს რომ შეხედება
ნანადირევი უნდა უწილადოს უთუოდ. წინა დღის ნასევამებს მოშვიდათ,
ვილაც თოფიანები შემოხედნენ. თარაში შეკრთა მათ დანახვაზე.

ეგონა მღვერები იყვნენ. მონადირენი აღმოჩნდნენ. ექვს კაცს ერთი
ჯიხვი მოჰქონდათ და ერთიც ნაბადში გახვეული მკვდარი. ამხანაგი
კლდიდან გადავარდნობდათ.

ჯიხვის ბარკალი უწილადეს. ფიჩხი არსად იყო მახლობლად ღონე
მოიკრიფეს და ისევ დევის ქვაბს მიაშურეს.

სამი დღე იწვიმა. როცა ნაბუჭარი ხორცი გაუთავდათ, გაჭირვება
კარზე მოადგათ, მთელი დღე სხედასხვა მიმართულებით გადაიკარგე-
ბოდნენ, სალამოს მობრუნდებოდნენ დევის ქვაბში და მშვიერ ბაღლებსა-
ვით ერთმანეთს შესცქეროდნენ ხელში.

არზაყანი იგავმიუწვდომელი მსროლელი იყო. იგი დაენაძლევებოდა
კაცს, ამ ბელურას მთუხერით ყელს გამოეჭრი, ან კანქს მოეტეხავო, ეს-
როდა და უთუოდ შეაისრულებდა დანაჰადს. მაგრამ განა ნადირობა მარ-
ტო სროლის საქმეა, ისიც სვანეთში ნადირობა!

აქ ხასიათის დიდი დისციპლინაა საქირო, ამიტომაც შეუმუშავებიათ
სვანებს საუკუნოების მანძილზე სასტიკი რიტუალი ნადირობისა. არსე-
ბობს მთელი ნუსხა იმ მოქმედებათა, რომელიც დასაშვებია, ან არ დასა-
შვებია ჯიხვზე ნადირობის დროს. არსებობს მთელი ლექსიკონი ნადირო-
ბის დროს ტაბუ დადებულ სგნებისა და მოქცევისა.

დასასრულ ჯიხვზე ნადირობის დროს მთამსვლელობა უნდა შეგე-
ძლოს. ბარში გაზრდილი არზაყან მთას ვერ ეგუებოდა. თარაშმა კარგი
სკოლა გაიარა, ორიოდე თვე თემურის ზედამხედველობით ნადირობა-
ში. მართლაც ისე ემორჩილებოდა თარაში თემურს, როგორც ძველი
დროის შევირდი თავის ოსტატს. ეს ზომ ასეა, ვისაც შევირდობა არ გაუ-
ვლია, იგი ვერასდროს გახდება ოსტატი.

კარგად ისროდა ეშხვარიც, მუჯრასაც მარჯვედ ხმარობდა, წრიაპე-
ბით კლდეებზე ხოხვაც ისწავლა, ზომ დიდ ქალაქებში იყო იგი გაზრდი-
ლი, მაგრამ თვალი და სმენა უჩვეულოდ მახვილი ჰქონდა და სვანეთის

კლდეები ყოველ სეზონში ჯიხვისფრად ირთვებიან ხოლმე, ან უკეთ რომ ეთქვას, ჯიხვის ბეწვის ცვლა ეფარდება მკედარი ბუნების ფერადების მეტამარფოზას. და ფრიად დაკვირვებული თვალის მქონე კლდეებში განაბული ჯოგის თვალი, მისივე ფერის კლდეების ფონიდან რომ გაარჩიო.

ერთი ზადი ჰქონდა თარაშის ნადირობას: იგი ნერვიული იყო და სულმოსწრაფებულად ესროდა ხოლმე. გარდა ამისა, როცა ჯიხვი ან არჩვი შეეფეთებოდა, იგი ისე უზომოდ აღტყინდებოდა ამ ლალი და მშვენიერი ცხოველის გამოჩენისას, თვალს მიაყოლებდა ნადირის მშვენივრით დასატკბობლად. და ძალზე შორს გაასწრებდა მაშინ ოტეშული ცხოველი.

ხანაც გარინდება შეიპყრობდა ამ დიდებული ბუნების აპოთეოზის მკერეტელს, ფიქრებში გართულს წამოუფარდებოდა ახლოს ნადირი და ვიდრე თოფს გამართავდა, ჯიხვს უკეთ ცხრამთა ჰქონდა გადალახული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც საშუალო სევან მონადირეს თამამად შეეტოქებოდა ემზვარი. მაგრამ ყოველთვის არა, როცა კარგ გუნებაზე იყო იგი.

ახლა არზაყანთან ერთად დევის ქვაბში ამოსულს გუნება გაუფუჭდა ფრიად. ერთხელ გვიან მოვიდა დევის ქვაბში სამიოდე როჭო თან მოიტანა. არზაყანს ცეცხლი გაეჩაღებინა. პირალმა იწვა და ეძინა.

თარაში შევიდა. მის პირდაპირ წამოჯდა ლოდზე.

ზის და შესცქერის ცეცხლს. ისევ ის ღამე მოაგონდა. არზაყანის პირტუჩის დანახვისას ღამარია თვალწინ წამოუდგა. ისევ წაგვიდა გულზე გაწბილებული ხვადის სიძულვილი.

ან ახლა ან არასოდეს.

ადგა. გაიარ-გამოიარა ქვაბში. მართლაც რალაც საოცარმა წერამ გადაჰკიდა თარაშ ემზვარის ბედი არზაყანისას. ვინ იცის ეგებ რაკი ორივენი ერთი და იმავე ქალის ძუძუს თანაზიარნი რომ იყვნენ, ამან შეაჯიბრა ისინი ერთი მეორეს.

გარეგნულად თითქოს მაშინ დასცილდა მათი ცხოვრების ეტლები ურთიერთს, როცა თარაშ ემზვარ ევროპას წაეიდა. მან ქვეყანა მოიარა, სამეცნიერო ხარისხი მიიღო, სახელი მოიხვეჭა და შინ დარჩენილი არზაყან მაინც განავრძობდა მასთან მეტოქეობას. ახლა მოაგონდა თამარი.

თარაშმა ზომ ყოველივე იცის, თუ როგორ ირყეოდა თამარი მასა და არზაყანს შორის. ძაბულის მიმართაც ზომ უზომოდ ეჭვიანობდა არზაყანს, კაროლინას თვალეზით სჭამდა. და ისე გამოდიოდა ყველას, ვინც კი თარაშ ემზვარს ასე თუ ისე უყვარდა ან მოსწონდა, ყველასკენ შურიანი თვალით იმზირებოდა არზაყანს.

ისევ დაჯდა თარაში ცეცხლის პირად და დოღი მოაგონდა. აქაც ისევ შეეტოქენ ისინი ურთიერთს, როგორც ხათუნას ძუძუების გამო, სათა-

მაშობის, პატარა მოზერის, მამამძღის მიერ მისთვის თქმულ მშობლი-
ლი კვიციის გამო, ვირი ხომ ვირია, მამის, ჯანსულის მიერ ნაჩუქარი ვირი
„ნიკოლაშა,“ ამ ვირის გამოც ეტოტებოდა არზაყან თქმულს...!!

ახლა თარაშის ცხოვრება ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში აპირე-
ბდა ჩადგომას. ლამარია სწორედ სამისო ქალი იყო, ენებანი, მორჩილი
და თავდაბალი, უპრეტენზიო, ქარგვა იცოდა ლამარიამ, ქსელის ბეჭევა,
შალის მოთელვა, ქსოვა კერვა და სანაჭებო ოსპის წვენის გაკეთება.
ერთი სიტყვით ლამარიას ყოველივე სიქველე მოეპოვებოდა, ყოველივე
რასაც მოითხოვდა თარაში ქალისაგან. თემურას და მის ოჯახსაც კარგად
გეგუებოდა თარაში.

შეირთავდა ლამარიას, ტარბებს წორს გაუგზავნიდა.

როცა თარაში დღეის ქვაბში რჩებოდა ზამთარში, არზაყან აღბად
მის საცოლესთან ნებავრობდა იქ მახვშის კოშკში, იმიტომაც ეზარებოდა
დღეის ქვაბში ამოსვლა, აღბათ ამიტომ...

ეს კარგი, აქ ლამარიასაც მიუძღვის წილი. ლამარიას თუ არ შეირთა-
ვდა, უმცროს დას ქეთინოს ხომ მიათხოვებდენ თარაშს. თემურმა თავათ
შეაძლია ქეთინო. ეს იყო ოღონდ თემურს ჯერ უფროსი ქალის გათხოვე-
ბა ერჩია. რომელიც გინდა აირჩიეო.

ქეთინო კაცმა რომ სთქვს ლამარიაზე უფრო ლამაზია და თავშეკავე-
ბულიც, ახლა მეზირი მოჰკლა არზაყანმა და ქორა მახვშის ოჯახი სამუ-
დამოდ დაუკარგა თარაშს.

არზაყან გაეჭკია, თავათ დარჩენილიყო? გლახაკივით ფიცი უნდა
მიეცა: მეზირის მოკვლაში წილი არ მიდევსო. მერმე ვინ იცის დაუჯერე-
ბდნენ თუ არა? სამეგრელოში ანდაზად იტყვიან, სვანივით იცისო გუ-
ლისმოსვლა. შესაძლოა, არზაყანს რა ვერ მოიხელთებდნენ, თარაში მოკე-
ლათ მის მაგიერად.

ვინ იცის ეგებ დედის ხსენის ბრალი იყოს ეს ყოველივე. თავათ ხსენ-
ში ლებულობდეს ადამიანი ისეთ ფერმენტს, ვისთანაც მას გაიზიარებ,
იგი იყოს უპირველესი შენი მეტოქე. დატყუებების სიძულელი მგალი-
თები მოაგონდა თარაშ ემზვარს, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ
ელანდებიან ურთიერთს ფეხებში. იფიქრა იფიქრა და ბნელზე ბნელი ამ-
ბები წარმოუდგა თვალწინ. ეგებ ეს შართალი იყოს, ამ ხსენის მომწოდე-
ბელია პირველი ქალი, რომლის გარშემო ეჯიბრება ხვადი ხვადს, რო-
გორც მამალი როჭო როჭოს ებრძვის დედლის გულისათვის? ეგებ ამიტომ
ებლანდებოდეს არზაყან მას ფეხებში? ეგებ ამიტომ გადაუდგება არზა-
ყან მას, როგორც კი ქალისკენ გაიწევეს თარაშის გული.

აწი თავისი დამოუკიდებელი გზა უნდა თარაშ ემზვარს და საკუთარი
ჭირადი ცხოვრება, ისეთი, რომელშიაც სხვა ვერ შეერევა. ახლა კი
დროა გაწყდეს ის არტახები, რომელთაც მისი ცხოვრება არზაყანისას გა-
დასკვნა.

თავზე წამოაღდა ემზვარი მძინარეს. უნდა შესძახოს თავი დაოტავიო. მივიდა, დაცუტქდა მის გვერდით ხმადაბლა დაუძახა: „აღეჭ არზაყან!“ არზაყანს ტკბილი ძილი მორევია. წეეს გულზე ხეცისძინისძინისი.

„და მართლაც რა საცოდავია მძინარე ადამიანი! შენ—საქონისა იელვა ფიქრმა თარაშის გულში. ყაჩაღიც რომ იყოს იგი, ქვეყნის დამქცეველი ავაზაკიც ისეთი მართალი სახე აქვს, თითქოს ჩივლი იყოს აკვანში ჩაკრული.“

ძილში ყოველ ადამიანს ყრმისა და მიცვალებულის ალაღმართალი სახე აქვს“.

ახლა ხელი უბიძგა თარაშმა არზაყანს. შეანჯღღრია, მაგრამ მკედრული ძილით სძინავს არზაყანს. ქუთუთოები შეუთამაშდა, ზემო ტუჩი აუტოკდა და ისე საწყალობლად დაიკენესა, როგორც მძინარე ბაღს სჩვევია, გაღვიძებისას.

წარბები ასწია, ბალივით გაებუშტა ტუჩპირი და მოაგონდა თარაშ ემზვარს როგორ ეძიძვილაეებოდა დილით საწოლზე მის გვერდით მწოლარე არზაყანს პატარა მისოუსტ. და რაღაც საოცარი გულისტკივილი შეიცნო თარაშმა თავისი ტკბილი, ტკბილი ბავშვობა რომ მოაგონა.

ახლა ნაზად ხელი ხელზე წაავლო არზაყანს და ხმამაღლა ჩასძახა: ყაიღვიძეო.

არზაყანმა თვალი გაახილა თუ არა იკითხა: თუ რამე მოჰკალიო მისოუსტ? და ასე სულმოსწრაფებულად იკითხა, თარაშს შეეცოდა.

როჰო მოვკალიო.

არზაყან მოიღუშა, ქირვეულ ბაღსავით ადუღლუნდა. მე მეგონა ჯიხეს მოიტანდი, შენ თემური ხომ არ ვიკლავდაო ჯიხეებს?

თარაშმა იწყინა საყვედური.

„მაშ ჯოჯის თვალი ვინ მოჰკლა?“

„იმ მწერალმა ჩვენთან რომ ნადირობდა“

„იმან მე მესროლა შე ტუტუტო.“

არა გებუმრებიო სთქვა არზაყანმა და ისევე შერიგდნენ.

ერთ საღამოს ემზვარმა დაიქაძნა: სანამდის ჯიხეს არ მოვკლავ ცოცხალი არ დაებრუნდებიო. და უთენია გავიდა ქვაბიდან.

მთელი დღე უგუნებოდ იყო არზაყან. ნესტიან ქვაბში წოლამ ნაიარები ვანუაზლა. საქმლის გაკეთებაც დაეზარა. მთელი დღე მშვიერი იწვა ქვაბში და ფიქრობდა.

სვანეთში დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ქორა მახემის ოჯახში არ მიესვლებოდა, დევის ქვაბში სანამდის ეცხოვრა სხვისი ხელების შემყურეს?

ამიტომაც ამ დღეს გადასწყვიტა არზაყანმა როგორც კი თარაში ქვაბში მობრუნდებოდა, მეორე დღესვე დატყარით გადასულიყო ქუთაისში.

მერმე ტფილისში სამსახურს იშოვნედა, ინსტიტუტშიაც მოწყობოდა როგორმე.

და ტფილისისათვის ფიქრმა თამარი მოაგონა. აქაც ვახლდა ნაიარევი. ეს სახელი „თამარ“ ათას იღუმალობათა შემცველია არზაყანისათვის. არაფერი არ იცის არზაყანმა რა ბედი ეწვია თამარს?

სად არის?

როგორაა ან რას აკეთებს.

ეგებ ინსტიტუტში შევიდა? ან გათხოვდა, ეგებ ისევ ზუგდიდს მიუბრუნდა და ეს ზამთარი ბაბუა ტარიელის, შარდონ ალშიბაიას და შლუღუკაიას საზოგადოებაში გაატარა!

სადაც არ უნდა იყოს თამარი, უთუოდ მოსძებნის მას არზაყან. ტფილისში თუ არაა, ზუგდიდს ჩავა. ამას უთუოდ ასე იზამს არზაყან. ამ სურვილს ტარბები კი არა, მთელი ქვეყანა რომ ადუღდეს, მაინც შეისრულებს.

ეგებ გათხოვდა თამარი? გათხოვდა. მერმე რა?.....

ვისიც არ უნდა იყოს იგი ამჟამად, მაინც არზაყანის უნდა გახდეს თამარი. ასე სწერია ბედისწერის იღუმალ წიგნში.

ახლა ძაბული მოიყვანა; რას შვრება ნეტავ ბედშაევი? ან დედა ხათუნა რა დღეშია?

ჩაიმაზი გაახსენდა. უეჭველია, ჩაიმაზი და ლიჩელი იბრძოლებენ, ვიდრე რაიონში ნამდვილი წესრიგი არ დამყარდება.

სადაც არ იქნეს არზაყან, ცალი თვალი მაინც ოჭუმისკენ ექნება.

ამ გეგმებს ერთი დაბრკოლება აფერხებდა ეს იყო თარაშის ამბავი. ზოლოს და ზოლოს თარაში მისვამო, არზაყანის გამო გადაეკიდა იმ წყეულ ტარბებს. ახლა მისი აქ დატოვება ხომ უხერხულია არზაყანისათვის? ესეც არის, თუ წამოვა ტფილისს წამოვიდეს. ვინ უშლის ამას თარაშ ემხვარს. თარაშის აქ ყოფნა მარტო სისხლის ღერის მორიდების ბრალი როდი იყო, არც თარაში იყო ისეთი ჯაბანი ვილაც ტარბების შეშინებოდა. ვადასწყვიტა მოლაპარაკებოდა თარაშს წასელამდის ეს ყოველივე ქამორკვია. მამა ჩერქეზეთს გადავიდოდა ცოტა ხნით. მერმე შეეცდებოდა არზაყან ხელისუფლება ჩაერია ამ საქმეში და ტარბები აელავმა.

ფიქრობს არზაყან.

ინანა: მამის პანიკას რომ აპყვა და მთელი ზამთარი დათევბის ბუნაგში გაატარა უსაზმნოდ. აუტანელი გახდა მისთვის ცხერის ტყაბუქის სუნი, წივის სუნი, ეს სუნი უდის ლამარიანსაც, ანწლის არაყი, თხის ხორცი სენებების ხმამალალი როზროზი, ქორა მახეშისა და მისი ვაეების ჯლოყინი.

სინათლე მოენატრა არზაყანს. სუფთა საწოლი, სუფთა სამოსი, სუფთა

ჭალაქი, ელექტროს შუქი, წვერის გაპარსვა, რბილი ვაგონი, ასტროტომოს-
ხმული ქუჩები, გაზეთები, წიგნები, კულტურა.

ესაა ნამდვილი ცხოვრება. ამ ბნელოში რა ცხოვრებაა? მთელი ზამ-
თარი გამომწყვდეული ხარ ამ მთებს შორის, მთელ კაცობრიობას მოწყვე-
ტილი და გარიყული. მამა რომ წინ აღუდგეს არზაყანს?

რა უყოთ მერმე. მამას ჯერ ძველი ამბები არ დაეიწყნია. მის შეგნე-
ბაში ჯერაც ძველი დროა, როცა სისხლის მაძიებელნი თავზარსა სცემდ-
ნენ მთელ სოფლებს, მთელ გვარს. ესეც არ იყოს არზაყან ვერაფერი უა-
საკო ქაბუკია, მამის ჭკუაზე რომ იაროს... ყველაფერს აჯობებს არც ელ-
აპარაკოს მამას, ისე წავიდეს, თორემ ყაყანს ასტლხავს ბერიკაცი.

ამ ფიქრებში ჩასძინებოდა. შეღამებულზე უკვე საესებით ბნელოდა
ქვაბში, როცა ფეხის ხმა მოესმა, ფეხის ხმა და ოხვრა. ძილში მოშინოდა
არზაყანს და იამა კიდევაც.

თარაში მოსულა, რაიმეს მოიტანდა უთუოდ.

თვალის გაუხელებლად შეეხმინა. თარაშ ვაყვაცი იქნები, თუ ახლა
ჯიხვი მოვიტანიო.

„რაო, მოგშივდა?“

ეკითხება თარაშის მაგივრად ქვაბში შემოსული კაც ზეამბაია.

„მომშივდა საშინლად, მომშივდა.“

„აბა ცეცხლი სჭამე, ცეცხლი.“

უპასუხა მამამ.

არზაყანმა ხმა იცნო. გადაბრუნდა და დაღუმდა. დიდხანს იჩალიჩა
კაც ზეამბაიმ და როგორც იქნა კერაზე დაბნეულ ფიჩხებს თავი მოუყარა.
ცეცხლი გააჩალა.

„კი მაგრამ ბიჭო, ასეთი უსეინდისობა თუ შეიძლება? დაიწყო კაც
ზეამბაიამ: კაცმა პატივი გცა, მიგვილო და ასე ღორულად მოიქეცი. შეი-
ძლება ასეთი რამე? ახლა სად აპირებ წასვლას? გშია არა? მიბრძანდი და
ცხელ ქვიშტარებს მოგართმევს გურანდუხტი. ჭირს გაქმევენ, ჭირს“.

არზაყანს ჯიხვის ქურჭი თავზე წაეფარებია და გაღურსულ ყურს
უგდებდა მამისგან ჭირდვას. და მოჰყვა კაც ზეამბაია თავიდან მისი სა-
ყვედური ისე ძველი, და მოსაწყენი იყო, როგორც დაუჯდომელის სა-
კითხავი. ახლა მაინც სულ თავიდან დაიწყო, ჩამოსთვალა სათითაოდ, კომ-
კავშირში როგორ ჩაეწერა არზაყანი, ბევრი მტრად რომ მოიგო,
კოლექტივი როგორ შემოაღებინა სოფელში, ტარბების სისხლის ამბე-
ბი მოჰყვა და ამას სხვა დანარჩენი უბედურება. არზაყან სდუმდა და ეს მო-
მეტებულად აბრაზებდა ბერიკაცს. იგი სწყევლიდა, ლანძღავდა არზაყანს,
ის მერჩიაო, შენს მაგივრად გველი დამბადებოდაო დედაშენს, ისა სჯობ-
დაო სისხლად ქვეულიყავიო დედის მუცელში.

„კარგი მამა, იკმარე ახლა რა კი მე ამდენს გაწუხებდი, აწი აღარ
შეგაწუხებ.“



ერეკნული

ესა სთქვა არზაყანმა, გვერდი იცვალა.
ბოლოს მოსწყინდა ბერიკაცს ბუზლუნი.
თარაში სად წაყვინდა იკითხა.

აქ დღემილი უხერხული იქნებოდა, ამიტომაც მიუგოვალ ჩვენს ქანადროდ წაყვინდა, ამით დაკმაყოფილდა კაც ზეამბაია, უკვე ბნელოდა გარედან. სწუზდა რად იგვიანებსო. ახლა განსაკუთრებით ამისთვის უნდოდა თარაშის ნახვა: გკითხა მანაც თუ დაიდო წილი ამ შლეგთან ერთად ნეზირის მოკვლაში? ამასობაში ჩასძინებოდა და საზარელი რამ დაეისმრა ბერიკაცს.

ამ ტანჯვაში იყო კაც ზეამბაია როცა ფეხის ხმა გაიგონა. თარაში მოსულაო გაიფიქრა, თვალი გაახილა. ხედავს: არზაყანს ტანზე ჩაუცვამს და სადღაც მიდის.

კაც ზეამბაიამ ჯერ აცალა, მერმე ხედავს ნაბადი მიწაზე დაავო არზაყანმა და კეცავს.

ნაბადი დაკეცა, ჩექმის ყელი მუხლებს ზემოდ გადაიწია და ფაფახი ჭაფურთხა ხელის გულზე. კაც ზეამბაიამ თავი აიღო.

„სად მიხვალ ბიჭო?“

მიაძახა.

„სად მივალ? ეს მე ვიცი.“

კაც ზეამბაია საწოლიდან წამოიჭრა. გაუმეორა კითხვა.

„მე შენ გეკითხები: სად მიხვალ მეთქი?“

„ტფილისს მივდივარ, ახლა რა გინდა!“

„როგორ თუ მე რა მინდა? შენ რომ ტარბებმა რამე მოგწიონ მაშინ ვინ იქნება პასუხისმგებელი შენი სისხლისთვის.“

„ჩემი თავისთვის მე ვაგებ პასუხს.“

„შენ თუ მე?“

„მე?“

„მე და შენ ვინ ვაგვეო?“

„ვინაც ვამაჩინა.“

„ვინ ვაგაჩინა შენ? მე ვაგაჩინე და იცოდე... ჩემი სისხლი...“

არზაყან დადუმდა და მამამ განაგრძო:

„შენს მოკვლას მე არ დავეძებ, შენი სისხლი რომ დაღვარონ, მე სისხლი უნდა ავიღო. რადგან შენ ჩემი სისხლი გაქვს მობარებული.“

აღვა არზაყან და ქუდს ხელი წამოავლო. წამოდგა კაც ზეამბაია და გაშიშვლებული ხანჯალი გამოიღო სასთუმალიდან.

წამოიწია გამხეცებულმა მამამ და მყისვე უკუიქცა არზაყან, მუხერზე გამოისვა ხელი. დაიგრილა დევის ქვაბმა და როცა ირგელიც დამდგარი ვეამლი გაიფანტა, კაც ზეამბაია კერის პირად ეგდო სისხლში გათხურული. მარჯვენა წარბთან გამოსვლოდა უპიდან ამოვარდნილი თვალი. და ეგ თვალი ისეთი გამხვრეტი მზერით შესცქეროდა მამისმკვლელს, თითქოს-სულ-

ში უბირებსო ჩაწვდომას. ველარ გაუძლო შემწუნებულმა არჩაყანმა ამ სურათს, ნაბადი გახსნა და ზედ გადააფინა მიცვალებულს.

ახლა წასვლას დაადგა არზაყან ისევ, მაგრამ ვერ მიხვდა კვლადართან, უნაბალოდ წასვლა არ ივარგებდა, ხოლო ნაბდისთვის ვერ ეძლო ხელი, რათა კვლავ არ შემოეხედნა სისხლში მცურავ ცალთვალა მამას.

ამ დროს მოისმა გაურკვეველი ხმაური. არზაყანმა ხერხეს მიაყურა. ორთა საუბარი ისმოდა, ერთ ერთად თარაშის ხმა შეიცნო.

შეკრთდა, ეგებ მილიცია მოეყვანათ თარაშს.

დაფიქრდა: საიდან გაიგებდაო ამას ყოველივეს თარაში?

ამასობაში მოისმა ხერხელიდან:

ჩვენა ვართ, ჯიხვი მოგვაქვსო.

ბოლოს თარაშმა და საურმა შემოაფირიეს ჯიხვი.

არზაყან გახევებული იდგა მათ წინაშე. მონადირენი ხმამალლა იცი-ნოდნენ. მათ ჯერ არ დაენახათ ნაბდის ქვეშ მდებარე ცხედარი.

გამოიკრვა: არზაყანის საძებრად წამოსული საური თარაშს გადაპყროდა ორშემბის კლდესთან მონადირეს.

არზაყან არ დაიბნა. საყვედურის კილოთი მიმართავდა თარაშს:

სად იყავი კაცო, შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩვენ ეს საქმე არ მოგვივიდოდაო.

თარაში შეკრთა.

რა საქმე, რა მოხდაო?

მამა მოგვიკლესო.

ვინაო? იყვირა შეშფოთებულმა ემზვარმა.

არზაყანმა მგლოვიარე სახით დაიწყო:

„შენ რომ წახვედი, მეორე დღესვე ამოვიდა მამა, მერმე ის იყო შენ-დაგავიანდა, აიჩემა საწყალმა ეგებ რაიმე გაუჭირდაო, მივაკითხოთო. როკოების მთასთან არ ვიყავით მიღწეული, სამი ვინტოვკიანი მეჯოგე თავს დაგვესხა. მე მგონია ჯვარელი ტარბები უნდა ყოფილიყვნენ. სროლა აგვიტეხეს. მე ჩემი მალხერი და მქონდა.“

არზაყანი დადუმდა. თარაში მიწას დააჩერდა.

„მერმე ის იყო მოგვიკლეს... განაგრძო არზაყანმა და ნაბადს გადახედა. სენი მონადირეები წამოგვეწიენ,“ თორემ ველარც მე გადავრჩებოდი.

„უეჭველად ტარბები იქნებოდნენ ამბობს საური. ლამარიობას კოხტა ლაფარიანს ეკითხებოდნენ, ჭორა მახეშთან ზომ არ სტუმრობენო? პაპი ზემი მოლაპარაკების დაწყებასაც აპირებდა უკანასკნელად.“

თარაშ ემზვარმა ნაბადი გადახადა მიცვალებულს.

მუხლი მოიყარა, მარჯვენა მკერდზე ემთხვია მოწიწებით

მერმე დასხდნენ სამივე მღუმარედ.

„რას აპირობთ ახლა?“

იკითხა საურმა და არზაყანს შეაკერდა. არზაყან სდუმდა და მის ნაცელად გაზრდილმა გაიღო ხმა:

„ოდიში უნდა წაგილოთ, აბა რას ვიზამთ სხვათაგანს? ვინც ვინც უნდა რამდენჯერმე მთხოვია, თუ მოგვედო, აქ არ დამტოვოთ, ოდიში წაიღეთო ჩემი ძვლები.“

ესა სთქვა ემხვარმა და არზაყანს გადახედა. არზაყანმა ტარბების წინაშე შიში მოისაფრა. სახიფათო არისო ცხედრის წაღება. საერთოდ მას ასე უნდოდა: ლაფარიანთ კარში ჩაეტანათ ცხედარი და იქ დაეფლოთ. მერმე თარაშს დაეთანხმა მაინც.

„შენ ახლა ერთი ცხენი მაინც უნდა გვიშოვო საურ, ამბობს თარაში.“

„ჩვენებს თქვენ სახელს ველარ გავუმხელ. პირიქით, ლაფარიანთ კარში ხმა დავარხიე: სვანეთიდან გადაიკარგნენ მეთქი. ისედაც არც ერთი ლაფარიანი თქვენ ცხენს არ გათხოვებთ. საერთოდ ჩვენ სოფელზედ გავლასაც არ ვირჩევთ. ისე სხვას არავისა ჰყავს ჩვენს სოფელში ცხენი. ხვალ ზევ ეგებ ჯოკიამ ჩამოიაროს, ის თუ გიშოვნით...“

სთქვა საურმა. სათოფურებიდან გაიხედა. მცირე ღუმილის შემდეგ განაგრძო:

„ახლავე ვადასწყვიტეთ რას აპირებთ, თორემ შე მაგვიანდება“ ერთი საკითხიც მოსაგვარებელი იყო: სად შეენახათ ამ ორ სამ ღლეში მიცვალელებული, ისე რომ ნადირს არ გაეფუჭებინა. ახლა გაზაფხულია, სუნი აუღინდებაო ცხედარს, ამტკიცებდა საური. სხვა ჭვავიც არსად იყო შემოგარენში. მაშინ ძველკოლხური ჩვეულება მოაგონდა თარაშ ემხვარს. გადასწყტა: ყვითელ კლდეებამდის ჩაეტანათ როგორმე მიცვალელებული სამივეს. იქ სადმე ნაძვებზე დაეკიდათ ნაბადში გახვეული.

იმავე ღლეს ნაშუადღევს ძლივს ჩაიტანეს მკვდარი. უზარმაზარი ნაძვი მოსძებნეს, თოკებით დააკიდეს ზედ.

ჭვავში მიბრუნებულ არზაყანსა და თარაშს კრინტი არ დაუძრავთ. დამღურებულსავეთ წამოწვნენ. ცას ჯერ მრუმე ღრუბლები წამოესიენ. დაიგრუბუნა. პაერი შეტბორდა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. თარაშ ემხვარი თავდაღმა იწვია და ხენეშოდა. არზაყან გატრუნული იყო. სდუმდა და ფიქრობდა მომავალ უსიამო ღლეებისათვის. მერმე ატყდა ელვითა-ტება. სათოფურებიდან შემოჭვრეტდა ხეობაში დაკვეცილი ნათელი, გამოაკენდა ცას ოქროს კბილებს და კელავ ჩამოწვებოდა ცაზე დაკიდული ბნელი. მრუმე ღრუბლები წარბმოდულნი მიისწრავოდნენ შავი ზღვისაკენ.

ატყდა ქუხილი, გაანათა მყინვარწვერები, მერმე დაეცა სადღაც მებო და აბლავლდნენ ჭიუხები და მყინვარები.

არზაყანს მოაგონდა ამ თავსხმაში ნაძვზე დაკიდებული მამის ცხედარი. გული აუჩქოლდა, მოაგონდა საცოდავი მამა ბნელში დაკიდული,

ორივე ხელი თვალეზზე მიიკრა და მერმე ელაღდნენ სიბნელეში (ცეცხლის რკალები და ჭიუხები გრუხუნებდნენ დაუცხრომლად.

ნაშუალამეცს აყვირდა არზაყანი:

რომელი ხარო? არ მოხვიდე თორემ გესვრიო.

თარაში წამოდგა, გააღვიძა არზაყანი. დააშოშმინა. არზაყანმა თავი აიღო, იკითხა რა ამბავიაო? დაემხო პირქვე და სიზმარი სიზმარს გადაეხა ისევე.

მესამე დღეს საური ამოვიდა დევის ქვაბში. ცხენი მართლაც ეშოვნა ჯოკიას. როცა ყვითელ ქვებთან მკვდარს მიაკითხეს, მაღალი ნაძვი შავად შესუდრულიყო არწივების ხროვით დახუნძული. საშინელი გნისი იგდა ნაძვენარში. ყივოდნენ მახლობელ კლდეებზე მომდგარი სვაეების, ბოლობეჭედების და არწივების ლეგიონები. ყორნები და ჭილყუაეები მელნისფერ ტალღად გადაჰქეოდნენ ნაძვენარებს, დამშეული ქორები ცას გაჰკეოდნენ, წრეებს ხაზავდნენ ეთერში, ირავს აკეთებდნენ ცაში დამშეული ყივოდნენ, ცას შესჩივოდნენ მათაც რომ არ ერგოთ ნადავლი.

თარაშ ემზვარს გაბუძვა ამ საზარელი სურათის მნახველი. იგი პირველი ავიდა ნაძვეზე და როცა ცხედარს ხელი შეახო, შეიძრა მთელი ტყე მრავალ ათას ნისკარტს აღმოხდა შემზარავი კრიახი და ყივილი.

ნაბადი საესებით დაეფლითათ ჭანგებს და ნისკარტებს. ხორც-შემოძიძენილი ჩონჩხი ძირს ჩამოიტანეს დიდის ვადეაგლახითა თარაშმა და არზაყანმა.

ჯოკიამ ცარიელი ძელები ჩაჰყარა ხურჯინში, გუნებაში გაეხარდა კიდევაც, მის ცხენს რომ არც ისე დიდი ტვირთის ზიდეა მოუხდებოდა. მეოთხე დღეს ეს ძელები ოქტუმში ჩამოასვენეს კაც ზევაშაიას ვაჟმა და გაზდილმა.

მხოლოდ მეოთხე დღეს, რადგან გზა და გზა მოსავლელ შარებსა და ბილიკებს მიყვებოდნენ ღამით, ხოლო დღისით ნაძვენარებში ემალებოდნენ ტარების მრავალრიცხოვან გეარს.

66. დედალი ბელურა.

დღე კოხონას ტყეში დაიღამეს. და ოქტუმში ღამით ჩავიდნენ თარაში და არზაყანი. თარაშს აღარ შეეძლო ემზირა, თუ როგორ შეიმცხადებდა ძიძა ხათუნა ამ შუალამეში თავის ქმარს. ანტიტომაც ჯამსულისეულ სასახლესთან გასცილდნენ ურთიერთს ძიძაშვილი და გაზრდილი.

არზაყანმა ცხენი ააჩქარა და მიჰყვა სოფლის შარავზას. ტბილად ეძინა სოფელს. მუქლევგო ღრუბლების ხნულში ძლივს დაჩოჩავდა უღონო მთვარე. სთვლემდნენ გზის პირად დარგული ნერგები, აკაციები და ტორიფები, ჭოხებიდან ბნელი გამოსცქეოდა მთვარიან ღამეს. მხოლოდ რღლმორეული ძაღლები ჰყეფდნენ და ჰყეფდნენ აქა-იქ. აყეფდება სადღაც ძაღლი, დადუმდება, ახლა მეორე გაეზმურება მას და მერმე გაიშო-

თება დუმილი თემზარაზე და ძეწნების წვეროკინებო ელახენ მთეარის შუქზე მოლაპლაპენი..

დაუქედავი ცხენის ფლოკეების ტყაბუნი გაისმის მხაროდ. ფიქრს მისცემია არზაყან და აღარ იცის ეს ყოველივე ფიქრია, წარმოდგენა თუ სიზმარი? და როცა ხურჯინი ქუსლზე შემოეხლება, მაშინ რწმუნდება, რომ ეს არც ფიქრია, არც წარმოდგენა და არცა სიზმარი. ეს ნამდვილი ამბავია, ნამდვილი.

შვილს მამა შემოაქვდა დევის ქვაბში ახლა ერთი მუჭა ძვლები მი-
აქეს მოხუცებულ დედასთან. ეს ასეა და ამას ვერაფერი დაუდგება წინ. ცხენი წაიფორხილებს, შეინჯღრევა ხურჯინი და არზაყანს ცხადად შე-
მოესმის სეაეებისგან დაძიძგნილი ძვლების რაჩხუნი და ეს ხმა ისეთი სა-
შინელია და აუტანელი, თითქოს მიწის ქვეშ რაჩხუნობდეს ათასი მიც-
ვალეზულის ძვლები.

მალე, მალე უნდა მივიდეს არზაყან შინ, მოიცილოს ეს საშინელი მოვალეობა, მიცვალეზული მამის ძვლებისა თრევა. როცა თარაში გვერ-
დით მოყვებოდა ეს ასე უცნაური არ იყო. ახლა მარტოკა ზის არზაყან
ამ დაფეხილ ცხენზე და მანძილი აღარ ილევა.

შხარი ხომ არ აეჭვა არზაყანს?

ეგებ ცნობიერება დაკარგოდეს არზაყანს და ვადგომოდეს უღვეველ
გზას, რომ ასე იაროს წყეულივით და ისმინოს მამის ძვლების საზარელი
რაჩხუნი.

ჭიშკართან შეაყენა ცხენი. მაგრამ ეს ჭიშკარი მამისეულს არა ჰგავს.
მუხის ყავარი ქარს გადაუტლია, სვეტები თითქოს წაკიდებულანო, ერთს
მხარმარჯენით გაუწევია, მეორეს მხარმარცხნით და გაუჩაჩხავთ ზედ და-
კიდული კარები.

ან რა საჭიროა ამ ადგილას ჭიშკარი, მარცხნითაც შარა შეუბამთ და
მარჯვენითაც და ნაჭიშკრალი დგას ისე შნოსათვის. მესრები დაურღვე-
ვიათ, ალბად დედას შეშა შემოკლებია ამ ზამთარში და ცეცხლში დაუ-
წვავთ მესრები. ეზოში შევიდა და ძაღლებიც აღარსად სჩანან. ეგებ ტარ-
ბებს დედაწულანად ამოეწევიტოს ოჯახი?

კაკლის ძირამდი მიალწია. კაკალიც გადაუჭრიათ და მავნოლიის ხე
ქარსა და თოვლს დაუღეწია. რამდენიმე კობიტიც ძირში მოუჭრიათ. სა-
ერთოდ ნაპარტახალს დამსგავსებია კაც ზეამზაიას ოჯახი. ოდა-სახლი
კიდევ სდგას და სამზადიც გამოკეტილია. არც ერთი ძაღლი ხმას არ
იღებს. ცხენიდან კაცს გააფუჭებდნენ სხვა დროს ზეამზაიას ძაღლები,
მთელ სოფელში სიავით განთქმული. მამისეული ოდა-სახლი შეძლებუ-
ლი ჰქონდა არზაყანს ამიტომ სამზადს მიაშურა.

ჰეჰო, დაიძახა, მაგრამ ბაიბური არ ისმის. ჩამოხტა ცხენიდან, სვე-
ტზე მიაბა, ხურჯინი ჩამოიღო. კარებს მიაღდა. შიგნიდან დაკეტილია
სჩანს ვილაც კიდევ დარჩენილია ცოცხალი. არ იცის ვის დაუძახოს, რად-

გან არც ის იცის: ვინ დაიჩენილა ცოცხალი. მათრახის ტარი მიაჩაბუნა და აფხაზურად დაუძახა მასპინძელს.

კიდევ დააბრაზუნა, მაგრამ ახლა მაღუზერის ტარისა: *მე ვარ, მე, გამიღეთ კარი.*

„რომელი ხარ?“ მოისმის ქალის ხმა ისე შორიდნებში, თითქოს ქიდან ამოსძახაო ვილაცამ.

„მე ვარ, მე, გამიღეთ კარი.“

შენ რომელი ხარო, შეგკითხა იგივე და ახლა დაბულის ხმა შეიცნო არზაყანმა.

მაშ კიდევ აქ ყოფილა დაბული? ეს გაიფიქრა და მოუთმენლად მიაწვა აჭრიალებულ კარს.

ესმის არზაყანს, თუ როგორ მოადგა დაბული კარს. ურდულს ხელი წაავლო, მაგრამ გაღებას მაინც არ აპირებს და ათრთოლებული ხმით კვითხება:

შენ რომელი ხარ?

„მე ვარ არზაყანი, ვერ მიცანი ქალო?!!“

დაბული შეშფოთდა. მატყუებსო ვილაც ეს გაიფიქრა და სანახევროდ გამოღებული ურდული ისევ გაუყარა კარს.

„სთქვი მართალი, ვინა ხარ? მე კარს ვერ გაგიღებ ამალამ ქუჯი.“

კიდევ დაუმოწმა არზაყანმა ვინც იყო, მაშინ გაიღო კარი და დაბული გაიშოთა სახანეზე პირალმა.

არზაყან წაქცეულს მიეჭრა. ხელში აიტატა. ტაბტზე დააწვინა გულ-შემოყრილი ქალი. მერმე დიდხანს ეფერებოდა, კოცნიდა. საკინძე გაუხსნა, წყალი მოუტანა პეშვით, ასხურა გულმკერდზე, საფეთქლები დაუწილა.

მე ვარო შენი არზაყან, ნუ გეშინიაო.

თვალს გაახელს დაბული. გაოცებული შესცქერის არზაყანს როგორც მოჩვენებას, როგორც მკვდრეთით აღმდგარ მიცვალებულს. მერმე თვალზე ხელს დაიფარებს და სტირის. ისევ მოიწმენდს თვალებს, მკლავში ხელს წააკლებს. სინჯავს ხორციელია თუ მოლანდებია?

აიღებს არზაყანის ხელს, ჰკოცნის, ჰკოცნის, მკერდში ჩაიხუტებს და ისევ აუფარდება ქვითინი.

აღდა არზაყან, ცხენს მივხედავო, წაილულლულა.

ხურჯინთან ბებერი მურა მისულა, დაყუნცულა იქვე და ყნოსავს თავის პატრონის ძვლებს. გაუწყრა არზაყანი ძაღლს, ცხენი ბოსელში შეიყვანა. ხურჯინი შინ შემოიტანა და ისევ დაბულის მიუჯდა საწოლთან.

წამოდგა დაბული. სახეზე ხელი დაუსვა, ეუცხოვა მისი გაბურძგნვითი, შავი წვერები. სიზმარში ნანაბი ფერმკრთალი სახე მოაგონდა და მიწისფერი წვერები. და უკვირს სადღაა მზიარული, აღერსიანი არზაყან? ეუცხოვა ეს თვალეზნაცვნილი გაჩეჩილი მამაკაცი. მერმე დაუფარდა

ფერხით, მუხლებზე მოეხვია და უკოცნის მუხლის თავებს. *ეცნაურა არ-
ზაყანის სუნია.*

არზაყანმა ააყენა ქალი. გვერდით მოისვა. *მზარზე: ჩუღუქვადახვია.*
ძაბული თარაშის მოკითხვას აპირებდა, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე და-
იჭირა. მამა სად არისო? მამა იკითხა თარაშის ნაცვლად.

„მამა იქ არის, ძლივს ჩამოვიტანეო.“

ამბობს არზაყან და ზურჯინისკენ უთითებს. ახლა ისევ შეეპარა ძა-
ბულის ექვი, რომ ეს შვეწვერიანი კაცი არზაყანია და არა მოჩვენება. ან
არა და ეგებ შეიშალა, ფიქრობს. შესცქერის არზაყანს და თვალები გაუ-
განიერდა ძრწოლით ატანილს. კიდევ შეეკითხა: რა უყავითო მამა?

სახეში შეაქქერდა.

არზაყან შეაერთო ამ დაეინებულმა კითხვამ. ეგებ გულთამხილავი
გახდაო ეს ქალი და საიდუმლოს შემცველი მისი გული შეიკუმშა უცნაუ-
რად ამ დაკითხვისაგან.

მე რას ეუზამდი, ძაბული, ტარბებმა მოგვიკლესო მამა.

„დედაუ“ დაიკვილა ძაბულიმ და თმებზე გაივლო ხელი. რა ეუთ-
ხრათ ახლა დედა ხათუნას? ტარბებმა მოგვიკლეს თქვენ სად იყავითო შეი-
ლი და გაზრდილი? გრცხვენოდეთ, ორმა ვაეკაცმა ბერი კაცი ვერ იპა-
ტიეთო?

არზაყანს შერცხვა. ოდნავ შესცვალა თარაშისადმი ნაამბობი შეთ-
ხზული ამბავი. მარტო დაუხვდენო ნადირობის დროს მთებში. ვერ მივუხ-
წართო მე და თარაშმა. მერმე დასვა ძაბული და წკარილად უამბო თუ
როგორ ეწამენ დევის ქებაში არზაყანი და თარაში, როგორ გაიტანეს მიც-
ვალბებული ხეზე „აფხაზური წესისამებრ“, მერმე როგორ ჩამოასვენეს
ოქმეში დიდის ვაფვაგლაბით. და ამ ამბების თბრობამ კვლავ მოაბრუნა
არზაყანის გულში იმ საშინელი დღეების აგონია, კვლავ განუახლდა სი-
ხადეში გადმოყოლილი სიზმრის სიმძიმელი, სისხლით გავსილი დევის ქე-
ბი დადგა თვალწინ და წითელ მორევში მცურავი ცალი თვალის მხედავ-
სილი ციმციმი.

ანაზღვეულად აღტყინდა არზაყან, ძაბული საწოლზე გადააწვინა და
გრძნობააღრეულმა დაუწყო კოცნა.

გაოცდა არზაყან როცა ძაბულიმ ტუჩები წაართვა, ხელიდან გაუს-
ხლტა ვაჟს და მკლავები გაუკავა. ევედრებოდა: ჯერ გონს არ მოვსულ-
ვარ, ამაღამ ხელს ნუ მახლებო, ხელის მოწერამდის ხელს ნუ მახლებო.

არზაყან უარესად გაცოფდა. ეგებ შენ სხეის ელოდი მიტომაც შეკ-
რთიო ასე უცნაურად, ეგებ ქუჯის უცდიდიო ამაღამ. ან თარაშ ემხეარის
სიყვარული ჩაგრჩაო გულში?

ნუ გეშინია, თარაში ცოცხალიაო, ხელიდან მე გამშორდი, მისი საყ-
ვარელი გახდიო, ეგებ მისთვის ინახავდეო უბიწობას?

ძაბული აღაშფოთა არზაყანის ასეთმა უსამართლობამ. რა შუაშია-

ქუჯი ან თარაში? ქუჯიმ ღომი გაგვიწყობა შემოდგომაზე. თავზედად მომეტყაო, სილა ვაქამე და გაუაგდე შენი სახლიდან. რაც დედასა და მამასა ვადამყოფოში წაიყვანეთო, ორ სამუჯერ მოეთრაო ღმერთს. ესაა მისი იძახოდო, კარის ვალებას მემუდარებოდო, მაგრამ ხმასაც არ ვაეცემდი, ისე წაეთრეოდო ისე. ძაბული იფიცავდა არზაყანს, თავის გარდაცვლილ ძმებს, არასოდეს უბრალო ფიჭრითაც არ მილაღატნიაო შენთვის.

„აბა თუ ასე ერთგული ხარ ამალამვე გახდი ჩემი ცოლი.“

ეუბნება არზაყან და ჰკოცნის ძუძებზე, ყელზე და სახეში. ძაბული ხათუნას მზეს აფიცებდა, მამის სულს და უმცროს ძმებს, ხელისმოწერამდის ხელს ნუ მახლებო, თორემ თქვენ მამაკაცები ყველანი ერთნაირი ხართ, ქალს ნამუსს ახლით და მერმე სხვებისკენ ვაგვექცევათო თვალი. თარაშ ემზეარ რა სახსენებელია, მე გულშიაც არ გამივლიაო არასოდეს მისდამი სიყვარული.

ისევე ეკვეთა გაცოფებული არზაყან ქალს, წამოაქცია საწოლზე. ღონწართმეულმა ძაბულიმ ბალიშიდან გადააგდო თავი, გაუფითრდა უარესად სახე და მინებდა ვაჟის უსაზღვრო ენებას.

* * *

უთენია წამოდგა არზაყან. ღამენათვე ძაბულის მკვდრული ძილით ეძინა. დახედა. ტანჯვისიერი ეხატებოდა სახეზე ქალს. უკანასკნელ წელს ძლიერ მოეტეხა ძაბული, თმაში ქალარა გარეოდა ახალგაზრდა ქალს, დაწვების მახლობლად ნაოჭები გასჩენოდა, დაღუულიყო ზაფრისგან მისი გათქვირული, აყვავებული სხეული.

არზაყან ეზოში გავიდა. სავსებით გაპარტახებული ეჩენა იქაურობა. ოდასახლისთვის ყვეარი აედრო აქა იქ ქარს. ეზო შუაში გაეყოთ, გადმოღმა მხარეს არსად მესრები აღარ სჩანდნენ. კიდევ შეებდა მაგნოლიის ხეს, შეებრაღა შტოებჩამოღეწილი მაგნოლია, მისი ბავშვობის უტკბილესი საჩრდილობელი. მაგრამ ეს იყო აუტანელი, საითკენაც არ მიიხედავდა ყველაფერი მამას აგონებდა. ეს გადაქრილი კოპიტები, ძირში მოკვეთილი ალვის ხეები, ეს ლელვის ხეები, ის ახალგაზრდა მუხები, ყველაფერი მამას აგონებდა. აუტანელი ეჩენა ეზოში გავლა. ახლა თხილნარისკენ ვაეზართა. შეწუხდა: ხიდი რომ წყალს წაეღო.

წვიმებს გადაერიათ მდინარე, აქონრილიყო ეს პატარა ხევი, ამღერეული მიდუღუნებდა თხილების, კოპიტების, ძეწნების ქვეშ.

დაჯდა არზაყან და წყლის დენას აყოლებს თვალს. გაღმიდან ყანჩის ყიპყიპი შემოესმა. ბელურები ქვილით დასხდნენ რიყზე და თეთრი ქვა მოხედა არზაყანს თვალში. მოაგონდა წარსული. მაშინაც აქ იჯდა გულშემოყრილი არზაყან.

67. ზანზომოაარული მივიწოდ.



ვარდანიძე-ემზვარების უკანასკნელ ნაშეიერს მოხუცებულმა მწერელმა და ბებერი, მწვერის მეტი არაეინ დაუხედა შინ. ცრხტრის მამლას და-
ყრუებულყო, მწვერისთვის ფეხი მოემტვრიათ მეზობლის ბიჭებს. წინა-
რების ნათესაების, სურათები და დარჩენილიყვენენ ცარიელ კედლებზე.
უკანასკნელი ნოხებიც ვაეყიდნა ცირუნისა დედა მათის დასამარხავად.

კაც ზემამაიას ძელებს ვაცილებით მეტი პატივისცემა დაუმოწმეს
ოქუმელებმა. აფხაზური ქელები ვადაუხადეს. ხათუნამ ძალად გამოაწერი-
ნა საეადმყოფოდან თავი. ოთხმწკრიად დასხდნენ თმაგაშლილი მოტი-
რალები, შუაში კუმო დაასვენეს და ცხედრის ნიშანი.

მოვიდნენ ადანიები, მალანიები, მაქაცარიები, მალაზონიები, ფიფი-
ები, ზეიები და ვეიები. შეეჩობიანი, უქულო მოზარეები ზარის ვალო-
ბით და თავში ხელის ცემით მიმოდიოდნენ ქიშკარსა და ეზოს შორის.
დაბალი, დაბალი ხმით ვალობდნენ ზარს, უკულმა შეეკამეს ცირა, შეე-
ბით შემოსეს, კაც ზემამაიას იარალი თავუკულმა დაჰკიდეს. მოსთქვამდა
ხათუნა და მოტირალმა ბერძნული ზოროს დარად „ავამ ვა“ს ეუბნებოდ-
ნენ მოძახილად. ბართაიებმა ხათუნას დედულეთიდან ხარები მორეკეს.
რქებზე სანთლები აუნთეს ხარებს, ატირებული ქელეში და ჯამუ წინ
მიუძლოდნენ, მჯილებს იცემდნენ პატარები მკერდზე, შესუდრული ცენი
თავზე დაყენეს ცხედარს, მერმე სამჯერ შემოატარეს ეზოში ცენიცა და
ცხედარიც და მოთქმითა და ზარით ვაიყვანეს ეზოდან. დედა მათი კი
ცირუნისა და ემზვარების ქვრეებს მიუცილებით სამარემდის. თარაში
არც კი წასულა დედის საფლავის სანახავად. მან შინ გამოიგლოვა დედა.
როცა ნაშუადამევს შინშესულს მოთქმით შემოეგება ცირუნია, მათი ქალ-
ბატონი აღარა გყავესო, დედის ოთახში შევიდა თარაში, დაცარიელებუ-
ლი საწოლის წინ დაიჩოქა.

მე მოვკალიო დედი, ქეთინებდა ბალღევით. არც ცირუნისა, არც
სხვა ვინმეს ამის მეტად არ უნახავთ მტირალი თარაში ემზვარი.

მეორე დღესვე შავები ვადააკრა გულმკერდზე მის ახალოს, ქამარსა
და სატევარს. იმ დღიდან წვერიც არ ვაუბარსავს. დამწუხარდა თარაში
ემზვარი. მისი სული საშინელმა ნალველმა და გლოვამ მოიცვა. ჩამოქნილ
სანთელივით ვაყვიოთლდა და ვაშრა. ლანდივით დალოდავდა ოქუმელ
სასახლეში. ხანდახან ცირუნისა ვაეპარებოდა, ვარდანიძე-ემზვარების სა-
ვარეულო ციხეში წამოჯდებოდა ლოდზე და მიეცემოდა მწუხარე ფიჭ-
რებს. ცირუნია დაიძინებდა, შინ მობრუნდებოდა. ყველგან დედის მიერ
ხელშენაელები სავნები ზედებოდა თვალს. მისი ხელით ნაქარგი ყურის
ხალიშები, სამფეხა სკამი, დედის ფოსტლები, საქსოვი ჩხირები, ყანისნაღ,
წემსის ბალიშები, ძველი დოღბანდი, და ოქრო-მკერდით ნაქარგი გულის-

პირები, სათითურები, მავრატლები და ვენეციური პირის საჩქე და ეს ტბრალო ნიეთები საშინელი სეკდით ავსებდნენ მის სულს.

„ქართლის ცხოვრება“ ნახა მაგიდაზე გდებული, ვედაშეფეჟჟჟჟ ღედის სათეალე იპოვნა შიგ. უკითხავს, უკითხავს ბედშავს ~~საქართველო~~ „წამთრის მოსაწყენ ღამეებში, თამარ მეფის სიკედილამდე მიულწე-ვია და სწორედ აქ ჩარჩენია სათეალე. თარაშ ემზვარსაც აქამდე უყვარდა ამ წიგნის კითხვა. თავათვე ამბობდა: მერმე აღარ ღირსო იმის ამოკითხვა, თუ როგორ მოსრეს, ივარაჟყვესო ქართლი. მერმე იწყებოო წარტყვეენა, დედაწულთა კალოებზე ლეწვა, ნგრევა, რღვევა და გათახსირება, გვირგვინით და ტახტით მოვაქრე მეფეების თავგადასავალი, გადაგვარებული, ჩხიკინა ფეოდალების ხელით წაბილწული ქართლის ისტორია, გამასხარებული „მეფეთ მეფეთა“ ტრაბახი, უნიჰო, მოშაირე ბავრატონების იწილბიწილო, იწით წვერებშელებილი „ყოვლად ქრისტიანი მეფეების“ ოინბაზობა და თეჰრანსა და ტფილისს შორის გამართული დოლის ამბავი. ეს ოპერეტული ერისთავები, და ივარაჟშოლი საქრისტიანო, მოკენწლავე მამლებივით წაკიდებული ფეოდალები და მონებით მოვაქრე ქრისტიანული ეკლესია.

აილო თარაშმა ღედის სათეალე, ვახედა.

როგორ გროტესქული სჩანდნენ საგნები, მთელი გარემო ქანაობდა შუშის გაღალმა. მერმე საესებით შეიბურა ღედის სათეალე, ცირუნის ფეხისხმა მოესმა, სათეალე ჩამოილო, თვალი მოიწმინდა. წიგნის ფურცელა დაიწყო თავათ.

დაჯდა ცირუნია სამეფეა სკამზე მის ფერხთით. და დაიწყო:

ღლედაღამ ჰიშვარს შესტქეროდაო განსევენებული, დიდსა და მცირეს ევედრებოდა, ჩემი მისოუსტის ამბავი ხომ არ ვაგიგიათო რაიმე? ან ვახეთებში თუ რამე სწერიო? მერმე ხმა დაავდესო ოქლშში, სამნივე დაგხოცესო ტარბებმა.

ერთი ბათმანი სიმინდი ღა შეგვრჩა იანვარში, წისქვილში წავილეო ამბობდა ცირუნია. პოებრუნდი, დამჯღარიყო შუა ოთახში შიშველ იატაკზე, ესემც ნათელი დაადგა მის სულს, შენი ტანისამოსი დაედო წინ, და მოსთქვამდაო. მე შევირისხეო, ნუ გმობთ მეთქი ბატონო ღმერთს. პაინც არ იშლიდა, ნათელი დაადგა მის სულს. მერმე ის იყო შაბათ ღანეს თავი დაიბანა, ილოცა, ჩაწვა. მივედი დილით, დიდხანს ვაღვიძე. ადექით მეთქი სულე, ხმა არ ვაილო, ნათელი დაადგა მის სულს, ისე სპეტაკად და კახტად ეძინა, როგორც მას სჩვეოდა, ნათელი დაადგა მის სულს. წინა ღამეს სწერდაო რალაცას უხანო, ვგონებ შენ გწერდაო, არ კი იცოდაო საღ გამოეგზავნა.

თარაშმა მღუმარედ მოუსმინა ცირუნისას, მერმე ადგა, მაგიღებზე ევია ნაწერი, უჯრები ვახსნა, ბიბლიოთეკების თაროებიც დასინჯა ყველ-

გან. ერთად ერთი უჯრა დაკეტილი დაუხვდა, ურთხელის კარანდის უჯრა. იქვე ხელს მოხვდა სბინინის „საქართველოს სამოთხე“ რა გადამალა, დედის ნაწერი იპოვნა.

ეპილოგი

ასეობით უფრო მეტად დაღმეკილი იყვნენ, ვიდრე ეჭვით მოწერილ ბარათებში. მთელი წერილი ისეთი სანახავი იყო, მელნით ქანგვასვრილ ფრინველებს უვლიათო მოყვითანო ქალაღმზე. ანები ისე დანჯღრკული იყვნენ, ნეკსერის ქარები შეპყრითო თითქოს, მანების, ძიღების წიღების კლერტოები ღრიანკელს დამსგავსებოდნენ, თანებს, ონებს და ინებს ძლივს ლა არჩევდა ურთიერთისაგან თარაში.

ჩე გვაგანინო ჩემი გულის იმედად, არ მჯერაო თუ ოდესმე მოკვდები შეიღო. სიკვდიღს რა უნდაო შენთან, მე მაქვსო შენს მაგივრად სიკვდიღისთვის გაწვდიღი თავი. შენ არ გიყვარდაო ჩემთვის ბარათების მოწერა, შეიბრალეო უბედური დედა. მე მალე წაეღო აღბათ ამ ქვეყნიღდან დედა, შენთვის ვიღოცავო უკანსკნელ წუთებში. შენი ხელნაწერი, შენაღდი შრომა, საწერი მაგიღის უჯრაში სძვესო, შენ მთხოვეღი კათალიკოსის ეტრატის მოძებნას, შენს მზეს ვფიცავარ ვერსად ვიპოვენო, შესაძღო არის ურთხელის კარადაში იყოს, კალატოზი წასუღო ტფიღისს, მაინც გთხოვე არ დაამტვრიო, თუ გიყვარდე ურთხელის კარადა, ცოღს შეირთავო აღბათ ოდესმე, მას დასჭირდებო ურთხელის კარადა. მე გთხოვე ვევედრებოდა დედა, კიდევაც რომ იპოვნო არ წაიკითხოვე კათალიკოსის ეტრატი. ვარდანიძე—ემხვარები, ესე მსმენია, ერიდებოდნო ამ ეტრატის კითხვას. ჩემი ერთად ერთი სათხოვარი ესაა, ცოღი შეირთო შეიღო, ნუ ამოსწყვეტო ვარდანიძე-ემხვარების ძვეღთა ძვეღ გვარს, ნუ მიბაძავო ერაშხუტ ემხვარს, რომელსაც ორიოდე ბრუციანბ მეძებარი დარჩენია და ერთიღ ფოღადისფერი ქარი.

ამასა და ბევრ რამეს ამგვარს კიდევ სწერდა ანდერძად დედა, კიდევ სთხოვედა ცოღი შეირთო, უსათუოდ ჩვენებური ქაღი, წერიღის დასასრულში იმეორებდა: უკანასკნელ წუთებში ვიღოცავო შენთვის.

თარაში ადგა. ურთხელის კარადასთან შეღდგა. გამობრუნდა. ირგვლივე მოიხეღდა. უკვე აღარ შეეძღო ამ საგნების მზერა. უქუღოდ გავიღდა სახღლიღან, საგვარეუღო კოშკისკენ მიჰყვა ბალახით შემოსიღ ბიღიკებს. აქ უარესი ნგრევის სურათი წამოუღდა ემხვარს. თავჩამოღეწიღი ქონგურები ლა დაუხვდა, ნესტიანი, ბნელი თაღები, დანგრეული კედღები და ჩამოღეწიღი გვირაბები. გაედრიკა ეკღესიღის ნავი საუკუნოების სიძიძემს და ოქემს, საშინელი სიმაღღლიღან ძირს დაშეებუღიყვენენ ჩუქურთმიანი ძეკიდღრები. ბარელიეფები, გრანიტის სვეტები შექანებუღიყვენენ.

„აუ,“ დაიძახა თარაშმა ტაძარში, შესვღისას, ისე როგორც ბაღღოზაში სჩეღოდა. ბნელმა თაღებმა ძვეღებურად გამოსცეს მგრგვინავი ეხო და შერმე დაღუშდა დაქცეული საკურთხევეღი. შარავანდგახუნებუღი ურისთავებისა და ებისკოპოსების გადარეცხიღი ფრესკები, უშვეღებუღ

სიმალიდან დაშვებული თავკიდურები, ფასადის ჩუქურთმები, ხუცური წარწერებით დალადრული ფიქალები, საფლავის ჯვრები, დაცურებულა ლოდები. ხელიკები დაშლიგინებდნენ სუროში, ავრესსა და მხვარას დაე ბურდა ბასტიონები.

დიდხს იჯდა, რომელიღაც ვარდანიძე-ემხვარის დაცურებულ ლოდ-ზე. მერმე ფერდობი ჩაიბრინა, ვალავნის კიდესთან უშველებელი ნაპრა-ლი შენიშნა ფუძეში. უკანასკნელი მიწის ძვრიდან გკეთებული. ძელის ნა-ჭერი აიღო, ქვითკირის ნაპრალში გახირა, ჩამოინგრა მთელი კედელი და საზარი სურათი წარმოუდგა მყის. ორასზე მეტი ჩონჩხის ფეხები გამოჩ-ნდა მიწიდან.

ჩუქურთმიან თავკიდურზე ჩამოჯდა. ვასცქერის მწკრივად ჩარაზ-მულ წვივევს და ბარძაყებს და ფიქრობს ვარდანიძე — ემხვარების ბნელი წარსულისათვის. დედის ნაამბობი მოაგონდა, ერთ შათვანს ხუთასამდე მო-სისხარი შეუპყრია თურმე, თავები წაუჭრია და ცხედრები იქ მარბიოთ სადღაც ვალავანში. თარაშ ემხვარს მართებულად შემოაკვდა ჯამლეთ ტარბა, პაპა მისის ნაყმევი და სამაგიეროდ მთებში მოუხედა ამისათვის გა-ხიზნა. იანგარიშა თარაშ ემხვარმა მაშინ გადასული საუკუნოების სი-შორე და ვარდანიძე — ემხვარების დაქვეითების მანძილი.

ზის ახლა საგვარეულო კოშკის დაქვეულ თალებს ქვეშ და ვარდა-ნიძე-ემხვარების ცხოვრებას ჯამს უკეთებს თარაშ ემხვარი. საუკუნოები ანდგარან ამ კოშკის პატრონთა და მათ ნაშიერთა დასამზობლად, პროგ-რესს, ისტორიას და ცივილიზაციას მათ წინააღმდეგ შეუტრავთ პირი.

აქ მჯდარა ალბათ რეა საუკუნის წინ ვარდანიძე-ემხვარების დიდი წინაპარი; კარნუ ჭადაქის ამლები გმირი ვარდანი. დაქვეულია აწ კარნუ-ქადაქი, მისი ამლებიც, ასალებად წარმგზავნელიცა. მოდის ახალი საუკუნო, ახალი ხალხი, ლალუმების სროლით გზას მოიკაფავენ. და ვარდანიძეთა უკანასკნელ ნაშიერს, შემოუვლია ხმელეთის პირი; იარა ჩრდილოსკენ, ია-რა დასაველისკენ, ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გულმეცნიერებს და მოძ-ღვართ მოძღვრებს შევირდათ მიეზარა, უსმინა ხანგრძლივად, სიბრძნის ოსტატებს, შეიცნო თითქმის საიდუმლო ვარსკვლავეთისა, ძველ ეტრატე-ბშიც ბნელი სიბრძნე ამოიკითხა. ქედმოდრეკილი დაიჩივდა ბიბლიოთე-კებში, სემინარებში და სალექცია აულებში იგი ხანგრძლივად, იგემა კიდევ უმაღლესი კულტურის რთველი, მაინც ის დარჩა თარაშ ემხვარ, ვეღარ გაასრო სამი წლის ბალს თარაშ ემხვარს, ბამბუკის ჯამზე და-ხატულ მამალს, შავ მამალს რომ უპირებდა ერთხელ შეპყრობას. ეს ასე იყო და მას შეჰდევ შეიცვალა რა.

გუშინ არ იყო განა ეს ასე? გუშინ, გუშინწინ ჭაბუკი ამირანი ეგ-ონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი. უცდიდა მერმე დღეს და

სათს, ასე ევონა, როცა იქნება ძალს გვირაბიდან გამოვლინდა ეს ამის შემდეგ თვით შესძრავდა იგი ქვეყანას.

ქვეყანა ისევ იგივე დარჩა რალაც ძლიერი და სძულს მისი სანახაობა, როგორც შავი ზღვა გრივალისაგან შემდგომებული. თარაშ ემზვარ კვლავ სეირნობს ამ ზღვის ნაპირზე, დღევანდელის, მიწის ძვრების მაცურებელი.

სამშობლოს, იდეებს მან არ აუფო ჯერ გუშინწინ დიდი სახატე? პირველი მოგვი თავათ იყო, მოგვიც და მრევლიც. ახლა ეს ცნებები ცნებებად დარჩნენ. სახატე დარჩა ისევ სახატედ და მან დაჰკარგა ლოდინში ძალი. და ჩვენს ამირანს გვირაბისთვის ვერ მოუგნია სადაც მან ძალა შეინახა დღევანდელ დღისთვის. ახლა კი ესმის თარაშ ემზვარს, ვინაც დღევანდელ დღეს ვლარ არგო, იგი ვერ არგებს ვერც მომავალ საუკუნობს.

მუდამ თავისებური ფილოსოფია ჰქონდა ემზვარს აჩემებული: შორს უნდა დაუდგეს ამ ცხოვრებას ძე ხორციელი, ცხოვრებისთვის რომ შეჰქმნასო თვითონ რაიმე, ერთი სიკვდილით უნდა მოკვდეს კაცი ამ ქვეყნად, რომ თავის საქმით კვლავ შესძლოსო მკვდრეთით აღდგომა.

ეს იყო მისი შეცდომა უმთავრესი და უპირველესი. მიტომაც ბოლოში მოიგდეს იგი ამ ცხოვრების სავესე ნადიშზე. მერმე ის იყო მისი ოცნება რჩან ხარსავით განზე წაეიდა და ცხოვრება თვის გზას მიჰყვა, ცხოვრება დარჩა მზღვარის გადაღმა. მან ვლარ შესძლო ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისთვის, ვლარც ეპოქის მდინარების აღლოს აღება.

უშველელი ანგარიში წარმოუდგინა თარაშ ემზვარს დღევანდელობამ. წინაპრების მიერ დაღვრილი სისხლი მძიმედ დააწვა მის ბედის სასწორს. ახალი ეპოქა, ძველისთვის განკითხვას ითხოვს. ამას ყველაფერს ცხადლივ ხედავს თარაშ ემზვარ, როგორც იმ ჩონჩხებს, იმ ბარძაყებს, იმ ძვლებს, იმ წვივებს. მის წინაპართა გულქვაობის მსვეერპლად გაწირულთ, შავი მიწიდან გამოუყვიათ ეგერ ფეხები, დღევანდელობამ ანგარიში წარმოუდგინა განა მარტო მას? მის წოდებას, მის გვარს, მის ჯილაგს.

აჰა, ლალუმების სროლით მოდის მისკენ ახალი ეპოქა, და ასეთ დროს დაქცეულ პალატების ჩრდილში წამოშდარა თარაშ ემზვარ და უცდის ამ წუთს, როცა თავზე წამოეშეყვება ეს ქონგურები, ეს თალები, ბასტიონები.

ყველამ დასტოვა ძველი ნიჟარა, მას კი ჰგონია, არ შეცვლილაო რაიმე ეპოქაში, ეს დრო და სიერცე მოჩვენება არისო მხოლოდ. გავეჰყვიო ამ ეპოქის განმკითხველ რისხვას, მთებს მიაშურა, გაიხიზნა მიუვალ მთებში.

ასე ეგონა: იქ შევექმნით ახალ ცხოვრებას. რა გამოადგება თურმე მთებსაც უწია რევოლუციამ, იქაც შექრილა გადასულის უცხო ნაკრევა. იქაც შექრილა ლალუმების გრილაგრიალი.

ეროვნული
გინჯი

მ. თვალახვიული პიქტი

„დაძობდა, დონე წაელისა
ფგავს შერულთა ხუნდითა,
მთელი ფგავს საესება
წითლითა იაგუნდითა.“

შარვაშიძიანთ ბილნარშიაც მობრუნდა გაზაფხული. ალუჩა აყვავდა კიდეც, ვაშლის ხეს კვირტები გაეფურჩქნა, თამარის ფანჯრის პირისპირ მდგარს. როცა სიტხე დაეცემოდა, ბალიშებზედ წამოაყენებდნენ ავადნაყოფს. აქიდან ხედავდა თამარი როგორ მოირთო გაძარცული ბალი. აღუბლებნა თეთრი ჭოლგები შეუშვირეს მზის გულს. ფუტკრები საამური ქუტუნით ეგებებიან განთიადებს, შეღამებულზე ძილისპირულს ეუბნებიან მთვლემარე ბაღს, იდუმალი ოცნებით გართულს. შაშვი მზიარულად ქაბ-ქახებს მზის ჩასვლისას აკაციებში, დილას და სალამოს ბულბულები უსტ-ვეხენ ისე ტკბილად, ისე საამოდ, როგორც შარშანდელ აპრილის დღეებში.

თამარს გასაოცარი სიზმრები მოუტანა ამ გაზაფხულმა, უცნაურად ტკბილი სიზმრები.

თამარს თმები გაეზარდა ვითომც, თეძომდის სწვდება ნაწნაეები ახლაც და როგორც კი დილას წამოაყენებენ, კედელს მიყრდნობილი ხელს შეივლებს თმებზე, რწმუნდება ჯერ დაბწნა არ შეიძლება და ეს ამბავი უზომოდ აწუხებს. მის შემეცნებაში უცნაური ხარვეზები გაჩნდა რატომღაც, ნაწყვეტნაწყვეტად აგონდება წარსული თამარს. ეგებ თარაში მოვიდეს საიდანმე და ნაწნაეებიანი უნდა დაუხედეს მიჯნურს. ისევ ძილს ნატრულობს, როგორც კი სიტხეს დაუკლებს, ნატრულობს საამურ სიზმარს, მზადაა სინამდვილე აღარ იქნეს მეტად და მთელი ცხოვრება გახდეს სიზმარი. დღეების სათვალავი დაჰქარგა, რადგან ისინი ძლიერ ჰგავდნენ მოწყენითა და ტანჯვით ურთიერთს. ხანდახან ეწყობა საშინელი კოშმარები, მაშინ კი ბნელი დაეფლდება როგორც სიტხადეს, ისე ზმანებასაც.

ხანაც მის გონებას ნათელი ეფინება და მაშინ სიზმრებიც ტკბილი აქვს თამარს. და ეზმანება: ყოველ დღე მოდის თამარის სანახავად თარაშ ემზვარი, ისევ ისეთი, როგორიც იყო. მუდამ წვერგაპარსული, ფრჩხილებდაყვარული, პარიზული პარფუმის სუნი ასდის მის კოსტუმს, ცხვირსახოცს, ზამშის ხელთათმანებს. ჩვეულებრივად როიალთან ჯდება თარაში და

უამბობს ისევ თავის მგზავრობის უცნაურ ამბებს. ცხელათა სტუდილოზს თამარი მის მოვონებას.

როგორი იყო?

როგორი ხმა ჰქონდა? ზოგჯერ უმწეოდ ეჩვენება შესწივება. გულის ტკივილით იგონებს თამარი ამ უცნაურად მარტოხელა და მოწყენილ ვაცს. მართლაც, რაც უნდა მოეღზინა თარაშ ემხვარს, სწორედ ის მგლავნდებოდა თამარის თვალში, რის მიჩქმალვასაც თვით სცდილობდა ეს ვითომდაც „უღარდელი ადამიანი“. და მხოლოდ, ახლა აგონდება რატომღაც თამარს თარაშის ეგზომ უცნაური აზილება.

ჰმ, თურმე განზრახ ატარებდა თარაშ ემხვარ სპორტსმენისა და მოლხენილის უღარდელ-ნიღაბს. ისე სჩვევოდა სიარული, თავის დაჭერა, თითქმის ყოველდღე სანადიმოდ ემზადებოდა. ნიღაბი, ცარიელი ნიღაბი ყოფილა თურმე მისი ბერძნული სიყვარული მზისადმი, მისი მოლხენის და ნადიმის ფილოსოფია.

პირველ ხანებში კაროლინაც ასე ამბობდა: დიდი, დიდი პოზიორიო თქვენი ემხვარი, მისი კულტურა მოჩვენების ამბავი არის. ისე კი ბნელს და უკულტურტ აზიელს ჰგავსო.

ფულურო ხეს ჰგავსო თარაშ ემხვარი. ფესვებმომპალ, უნაყოფო ფულურო ხესა, მისგან კეთილი რამ ნაყოფი არ იქნებაო, მის სიახლოვს ვინ შესძლებსო გადარდილებას?

ყველა აძაგებდა ამ დაბში თარაშ ემხვარს, შარდინ ალშიბაიჟ, ბაბუა ტარიელ და თვით ხერიპსიც, მასწავლებლებიც ვერ იტანდნენ ამ „ამპარტავან ვაცს“. და ნანობს თამარი ახლა თვითონაც რომ შეჰკადრა საყვედურები ერთ საღამოს თარაშ ემხვარს. გულარძილი ხარო რომ ეფხენებოდა. უცხოობაში დაგრჩენიო გული. თარაში თვითონ თავის თავსაც აძაგებდა ხოლმე, ცილსა სწამებდა ხშირად თავის თავს. უგულო ვარო, და უზიავი. სიძულვილისაგან გულგამოკმული.

არსებითად კი სულ სხვა იყო თარაშ ემხვარი, ასე ფიქრობს ახლა თამარი. გულტფილი, ნაზი და თავმოდრეკილი. მარტო ეს რად ღირს ლუკაია რომ ასე უყვარდა. არასდროს იგი არ აგრძნობინებდა ბედზევ ლუკაიას რომ იგი ლენჩია და ქრისტეს გლახაკი. მუდამ ისევე ესაუბრებოდა, როგორც თანაწროს, ძველ ამბებს, ზღაპრებს და შელოცვებს გამოჰკითხავდა.

დეე, ყველას სძულდეს თარაშ ემხვარ, ვანა მარტო აჰ, ამ ზუგდიდში. თუნდაც მთელი ჭვეყანა აღსდგეს მის წინააღმდეგ, აძაგონ იგი, მოსვარონ ლაფით, ეს სულერთია. მას ეყოფა ტახტად თამარის სიყვარული და უმწიკლო გული.

ტფილისში ამას ყოველივეს ვერ გრძნობდა თამარი. ეს რომ შეეგნო მის უმცირესს პირვეულობას თავის ცხოვრების კანონადაც კი მიიმჩნევდა.

ვაჰ, რომ უკვე გვიანაა ეს ყოველივე. მუხთალმა ბედმა ვადაჰკარგა თარაშ ემხვარ. ნეტავ რაიმე შერჩენოდა მის სამახსოვროდ, თუნდ ცხვირ-

სახოცი, ან ბეჭედი, ან ის წიგნაკი, მისი დღიური რომ დღეობდა თამარმა თარაშს. შხოლოდ-საცოდავ ლუკაიას ჰქონია ბედი, მისი კონსტანტინე სამახ-სოვროდ რომ შერჩენია.

ახლაც ავერ ზის ლუკაია ლაბაძეა, ცერიტინება ზამთარს წესხანდელი სიზმრების გამო. ღმერთმა იცოდეს, მართალია, თუ მონაგონი.

სიზმარში ვნახეო თარაში შურივე, შავი წვერები მკერდამდის სცემდაო, თეთრი ეცვაო, რაშივით ცხენს მოაგვლეებდა, მიწა ზანზარებდაო ამ ცხენის ფლოქცების ქვეშ. თეთრი სიკეთის ნიშანიაო, კარგად იქნებაო თარაში შურივე, მალე ჩამოვა, შენც მორჩებიო ამასობაში.

სახეზე წამოწითლდა თამარი, თვალის უბეები გაუფანჩირდა, ბალიშები გამოაცალეს. ისევ დააწვინეს ავადმყოფი ლუკაიამ და კაროლინამ. ოთახში ჭაფურის სუნე სდიოდა.

სული შეხუთება ფანჯრები გააღეთო, დაიგმინა თამარმა და დახუჭა თვალი.

თამარის ავადგახდომის შემდეგ ტარიელ შარვაშიძემ მაგრად დაგმანა ოჯახის კარები. იგი თართოდა თავის ოჯახის პრესტიჟისათვის. აიძუდებდნენ ექიმები: გადარჩებაო.

ეს არ კმაროდა, „ოჯახის წმინდა სახელი“ ყოველივეს ერჩია ბაბუა ტარიელს. სიკვდილს უფრო ატრე შეურიგდებოდა ნახუცარი. ვიდრე თავის „უმწიკვლო“ ოჯახის შებლაღეს.

ექიმი ხომ დატუჭა სწორი დიაგნოსისთვის ახლა ხერიპსმაც ხომ იგივე დაადასტურა. გარკვეულად არაგინ არაფერს ეუბნება, მღვდელს, მაგრამ მან ყოველივე განსკერტა უკვე. თარაშ ემხვარს აბრალებს ყოველივე უბედურებას. გულზე მჯიხის იცემს ბაბუა ტარიელ, რად არ გავაგდეო ჩემი სახლიდან ის წყვეული ემხვარი, ჭალებმა დააქციესო ოჯახი, ემხვარებს ჯერ სისხლი ემართათო შარვაშიძისა, ახლა ახალი უბედურება თავზე დაატყდა მის ოჯახს ისევ ამ წყვეულ ემხვარის წყალობით.

ლანძლავდა, ავინებდა ლუკაიასთან თარაშ ემხვარს და მის პირველად ამ ოჯახში შემომყვანს კაროლინას. ახლა ხმამაღლა ვერ ბედაეს ამას, რადგან ხერიპსმა გააფრთხილა ავადმყოფი ვერ იტანსო ემხვარის ცუდად ხსენებას.

ან რა საკადრისია, ამბობდა ხერიპსი; ახლა რომ გამოდგე და ლანძლოო კაცო, შესაძლო არის ყოველივე გამოსწორდესო. ამან ცოტახანს დაამშვიდა კიდევაც მღვდელი. მაგრამ დაბრუნდება თუ არა, ლუკაია დაბო-დან.

„რას ამბობენ?“

ექითხება მღვდელი. და თუ რაიმე ჭორისთვის ყური მოუკრავს ლუკაიას, ეს შიშის ზარსა სცემს ბაბუა ტარიელს და ეჩვენება ვილაცას ბოროტი ენები არ ისვენებენ. ეს უნდათ როგორმე ჩირქი მოსცხონ მის უმწიკვლო ოჯახს.

რას ამბობენ? ეკითხება იგი კრუსუნა ძველ „ქენინებს“ მამილებს, დეიდებს და ნათლიებს, და არც კი ესმის მოხუცებულს, რომ ამ კითხვებით უარესად აფორიაქებს ჭოროვანების ცნობისმოყვარეობას.

ეჭიმებს კარამდის მისდევს, ყველას ევედრება, ანხმსენს უზაფერი წამოცდეთ სხეასთან. და ამ გზით ხშირად თავათ ხელს უწყობს კიდევაც მითქმა მოთქმის გაერცელებას. ამიტომაც ლუკიას და დამას ხმა გაავრცელებინა დაბაში, თამარს ყვავილბატონები სჭირსო და ერიდონო ბავშვების პატრონებმა. თამარმა ძიძა ინატრა თავისი, ძიძა ჩამოაყვანინა გურიიდან ბაბუა ტარიელმა. კარგი ჩონგური იცისო ძიძამ და ყვავილბატონებს უყვარსო ჩონგური.

დაჯდება უსინათლო ძიძა თამარის სასთუმალთან და ტკბილად ამღერებს თავის ჩონგურზე:

„ბატონებო, მოფოხეთ ბატონებსო, რა კარგი ბატონებია,
ია და ვარდი გლენია, თფორი თხაჲ და თხის ფოჯი მოფის.
თიკანს მოუბტუნებენო, ვაეხარდათ ბატონებსო,
ფცხად პირი იბრუნესო, ბატონებო, მოფოხეთ ბატონებსო.“

ყოველ დღე უკრავს ამ სიმღერას ძიძა, ყოველ დღე მოაქვს ლუკიას იაიას წყალი.

წითლად შემოსეთო ოთახი მოითხოვს ძიძა, რადგან ყვავილბატონებს უყვართო წითლად შემოსილი ოთახი. ლუკია ამშვიდებს ძიძას, უკვე შემოსეთო ყველაფერი გარშემო წითლად.

წააელებს უსინათლო ძიძა თავის გაზრდილს დამკენარ ხელს ხელზე და ტკბილი ჩონგურით, ძილის პირულით, ძველი ზღაპრებით მიყავს თამარი განვლილ ბავშობაში ისევ.

ხელის გულზე ნაზად მოუცაცუნებს:

„იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტილო
ჩიტმა ნაზა ფესვანტილე.“

ნაშუალამევს სიცხემ უმატა თამარს და ეჩვენება:

იღება ფანჯარა და შავადმოსილი დედა შემოდის. შემოვა, მის სასთუმალთან დადგება დედა, ხელში თამარის მიერ დაკარგული ჯვარი უჭირავს. თამარი მონდომებულია როგორმე ასწიოს ქუთუთოები და შეხედოს სახეში დედას, მაგრამ სამისოდ ღონე არ პყოფნის.

ძიძა ატყობს შფოთავს თამარი.

გამოულებს ხელს, ნაზად უცაცუნებს ხელის გულზე.

„იწილო, ბიწილო“

დაიწყებს ძიძა.

და უამბობს ძიძა ტკბილ ამბებს სიყრმისას ავითმყოფს.

ის როგორ იყო ბატის ქუკების შეპყრობა რომ უყვარდა თამარს?

ოთხყურიანი სამყურას ძებნა. ბედნიერების მომნიჭებელ ყვავილის ძებნა. და თამარის წინაშე გადაიშლება ბავშობის მისის ტყბილი წილი. მის გზებზე ია და ვარდი იყო ფენილი.

დაგოგავს მოლზე ბამბის ქულასავით თეთრი და სპეტაკი გოგონა, პაწია ნაწნავეები წელამდის სწვდება. „იქით არ წახვიდე“, ეუბნება ძიძა, ლოყაზე უკაცუნებს პატარას, იმ ხაროში „ამუ“ „ამუ“ ცხოვრობს, ტურა, ტურა, დიდი ტურა.

იმ ხრამის გადაღმა ფულურო მუხაში ჭოტი სცხოვრობს. ამ ჭოტს საყვარელი მოსტაცა მთვარემ.

ზის ღამლამობით ეს ჭოტი თავის ფულუროში და მოელის მთვარიან ღამეს, საყვარელს დაეძებს მთვარიან ღამეში და უხმობს ჭოტი საწყალობლად თავის დაკარგულ საყვარელს.

თამარმა თვალი გაახილა, შესცქერის შავებით მოსილ ძიძას დავსილ თვალებში.

„ყოფილან, ყოფილან, ყოფილან, ღვთის უკეთესი რა ყოფილა, ან რა იქნებოდა“ დაიწყებს ძიძა.

მზე და მთვარე მეგობრები ყოფილან ოდესღაც, ორივენი ჩვენსავით დადიოდნენ თურმე მიწაზე. და ისინი ურთიერთს რომ გაპყრიან, ამაშიაც სიყვარულს სდებიან წილი. შეპყვარებიან თურმე მზესა და მთვარეს ვინმე ქვრივის ერთად ერთი მზეთუნახავი ქალი.

ბრახობდა დიაცი, ორივენი უსაზმნოდა რომ ეამიკებოდნენ ქალწულს და არც ერთი აღარ უპირებდა შერთვას. დაითხოვა ქვირემა მზეცა და მთვარეც. არ დადგათო ამიერიდან ჩემს სახლში ფეხი. ერთს საღამოს ძროხას ეძებდა დიაცი ტყეში. მიუსწრო. ყვავილების ტახტზე დაესვათ მისი ასული, ოქროს დანკანებით ხელში ეჭირათ მზესა და მთვარეს, ემსახურებოდნენ თავიანთ მიჯნურს.

ღამაცადეთო დაეჭადნა დიაცი და ამ დღიდან ეძებდა შურიგების შემთხვევას.

ერთხელ ფურს სწველიდა ბინდისას ქვრივი, მზეთუნახავი იქვე იდგა თურმე, ეალერსებოდა დესიაგან ახლადგანალოც ხბოს.

სიყვარულს სწვევიაო, ასე გონებას უბნელებსო გამიჯნურებულთ. შემოიპარნენ მოულოდნელად ქვრივის ეზოში მზე და მთვარე. პირველად მზე მიეჭრა მზეთუნახავსა. ჯერ ხბოს დაუწყო დრუნჩხე ფერება. მერმე ხბოს პატრონს მოეაღერსა. მთვარე იქვე დგა შურისაგან გაფითრებულნი. მოუქნია მაშინ დედაბერმა სავსე ნიგა მზეს უსირცხვილოს და ზედშეასხა ტფილი რძე.

გათეთრებული მზე ცაში აიჭრა, ხოლო მთვარე იქვე იცდიდა, სთქვა მე დამრჩაო მზეთუნახავი. მოფოცხა ქვრივმა ძროხის ფუნა პეშვით, ესროლა სახეში მთვარეს. მოკურცხლა ზღვესკენ პირგამურულმა მიჯნურმა, მაგრამ მზემ სახეზე შეახმო მთვარეს გზადაგზა ფუნა.

იმ დღიდან, ასე ამბობს ძიძა, მზე ასე გათეთრებული დაჯილოვბსო ცაზე, ამიტომაც მეგრულად „ბეა“ მზესაც ჰქვია და ძროხის ^{რძესაც}, ხოლო მთვარეს ფუნის ტალღები ზედ რომ ატყვია, ამას ჩვენი ^{ჩვენი} ~~ჩვენი~~ ^{ყოველი} ხელდავსო.

გასცქერის თამარი ფანჯრიდან მთვარეს. მისი ფიქრი თარაშა და არზაყანს მისწვდა რატომღაც.

თვალი დახუჭა ისევ თამარმა და შემოდის შავებით მოსილი დედა. ისევ ამოუჯდება გული ავადმყოფს.

ძიძა მიეახლა ხელების ფათურით, გაოფლიანებულ შებლზე მოვალერსა.

„დამშვიდდი გენაცვალოს ნენა, დამშვიდდი ცავე“.

უებნება, ბალიშს გაუსწორებს. და ჯდება ძიძა და დაბალი, დაბალი ხმით ამღერებს:

„შოე ნანა,

შოე შეილო,

შეილო ცისკენ ფრთავაწვდილო.“

მღერის თავდახრილი ძიძა, გამოღამებული თვალეებით დასჩერები სადაფებით მოოქვილ ჩონგურს და სიცხის ბურანში წასულ თამარს ასე ჰგონია, თითქოს იგი მართლაც პატარა გამხდარიყოს და მართლაც ბატონები „მობრძანებულები“ მარვაშიძეანთ სასახლეში.

„შოე ნანა,

შოე შეილო,

შეილო ცისკენ ფრთავაწვდილო.“

ეჰ, სიყვარული თუ სიშმაგეა, მაშ ვინ ყოფილა თავით ეროსი? ვინმე თავაწყვეტილი, შმაგი მონადირე, მამაკაცური გულქვაობის აბერით მოსილი.

მცდარი აზრია, ვარდისფერი თითები ჰქონდეს ეროსს, ვითომღაც და ნაზი ფრთები. ან დადიოდეს იგი ფრთხილად თავმოდრეკილ ჭალწულთა თმებზე.

ეს მართალია, მშვილდისარი ხელთ უპყრია ამ ტლანქ მოისარს. იგი არ ზოგავს არც დედოფლის, არც მხეველის გულსა. იგი დედოფალს ნაწნავებით მტვერს ახვეტინებს, ხანდახან მხეველს დედოფლების „ტახტზე აიყვანს“.

არც ისაა გასაგონარი თითქოს ეროსი აჯილოდობდეს გამიჯნურებულთ სიყვარულის ტკბილი ნაყოფით. იგი პირიქით, სიკვდილსავეით უნაყოფოა, თავით სიკვდილზე უტლანქესი, უმამაკესი.

და სიყვარული სწყურია ეროსს მუდამეამს, როგორც მოსისხარს მოსისხარისა სისხლისა დაღვრა.

ასეთი არის თურმე ეროსი.

და ეტრფის იგი არა იმას, ვინც ხელთ მოიგდო, არამედ ^{არამედ ერთ/} ვისაც ნატყორცილი ააქდინა, ვისაც ვერ მისწვდა.

მამალ ჯიხვსა ჰგვას თურმე ეროსი, თავის მეტოქეს ^{მეტოქეს მადივეს} მატადან უფსკრულეთში გადაამტყორცნელსა, მამალ შეველსა ^{შეველსა} ჰგვას ხშირად ეროსი, მაკე შენებს რომ ერჩის რქებით და არც კი აცლის ნუკრის მოგებას.

ასეთი არის თურმე ეროსი.

მთვარეს ეტრფისო ეროსი მუდამ, მთვარეს და ლამეს, არც თუ შზეს და დღეს (ერთხელ შზეცა და მთვარეც, როგორც ვიცი თ მან გააბრეყვა). მუდამ ბნელს ეტრფის თურმე ეროსი, არც თუ სინათლეს, ოცნებისაგან მთვრალს ეძალება და ამიტომაც გაურბისო ის ფხიზელ თავებს.

ასე ამბობენ, როცა შწუხრისას ფსიქეს ცაზე შიაქროლებდა, თურმე თვალები აუხვია თავის მიჯნურს თან გატაცებულს.

ასეთი რამე მეც ოდესღაც ამომიკითხავს, ძველი შითოსიც ასე ხატავს ტრფობის ღმერთს — ეროსს.

69. რისკის კაცი

„ღუშაში შე ტულრეგო“, — შესძახა გვანჯ აფაქიძემ კამათელს და ზედ ცხვირისწინ დაუსვა ღუშაში თავის სიძეს, ჯოტო გვასალიას. შაშის ღია კარი გადაიარა, გვასალიას თეთრი ქვების რკალში მომწყვდეულმა, სამი ჭვა მოუკლა ზედიზედ და სამშვიდობოს გავიდა.

გახელდა ჯოტო გვასალია, ორჯერ ახალა კამათელი ნარდის კიდეს, ორჯერვე გადალახა იგი, მესამეჯერ ჩარუსე დაისვა, თუმცა გვანჯ აფაქიძის თეთრი ქვები გზას უღობავდნენ. შაინც ირისკა და გადაასწრო.

გვანჯ აფაქიძემ გაიციანა.

„რისკი უნდა ყველაფერს, ჩისკი უნდა, რისკიმეც რისკის კაცი ვიყავი მუდამ“.

მერმე აიღო გვანჯ აფაქიძემ კამათელი, მუჭში მოიმწყვდიე. ტუჩთან მიიტანა, თითქო ულოცავსო. გააგორა და დასწყვიტა:

„ფანჯი ჩარუ თუ გიყვარდე“.

ფანჯი ჩარუს ნაცვლად ღუშაში მიიღო, ერთი თეთრი კიდევ მოუკლა სიძეს და ისეთი ხარხარი მოართო, როგორიც ძველ თავადებს სჩვეოდათ ზოლმე.

„კი მარტ რათ ამბობ მაგას გვანჯ ბატონო?“

შეეკითხა ჯოტო და თავისი მკედარი ჭვა აიღო ხელში.

„შაში ბეში“, შესძახა გვანჯ აფაქიძემ გაჯიუტებულ კამათელს და როცა იაგანი მიიღო, ქვემო ლაში გადმოაბრუნა გაცბუნებულმან, დაფანჩული წარბები ზეასწია და ასე მიუგო ჯოტოს:

„რატომ ვამბობო? ამას იმათ ვჩივი მახარია, კაცმა თუ არ ირისკა, ისე ვერაფერს გახდება ცხოვრებაში“. ეს სოფელი კამთლის მღერასა ჰგავს

მახარია. მთავარი ესაა: კამათლის სროლა გემარჯვებოდეს, დროზე რისკი შეგეძლოს, დღეშიც დროზე უნდა დაისვა, თუმცა ეს ყველაფერი გვიან მოსულ დღეშიც დროზე მოსული იაგანი სჯობია, მტარ-გამხარობა პედმა მახარია, დღეშიც დროზე არ დამიჯდა.

რა ქნას კარგმა მონარდმა, თუ დღეშიც არ მოუვა. დღეშიც არ მომივიდა, ახლა იაქეები მაინც უნდა გამოვიყენოთ.

ასეა ასე მახარია, უნდა ირისკო კაცმა თორემ ქე დარჩები კერასთან. მე რომ არ შერისკა, არლანს არ ჩაეისძიებდი, ეს სასახლე უკვე აწერილი იყო. ახლა აქ რაიონის საავადმყოფო იქნებოდა, ჩალმაში და არზაყანი იმდენს მიხრიკებდნენ, აქედან გადამასახლებდნენ. მაშინ ველარც შენ ვახდებოდი ჩემი სიძე“. ასე სთქვა და თვალი თვალში გაუყარა გვასალიას, ცბიერად გაუღიმა.

„გულნაკლული ხომ არა ხარ ბიჭო ჯოტო? აა?“

„დუსე“ დაუძახა გვანჯ აფაქიძემ და განაგრძო:

„დღეშიც არ დამიჯდა დროზე, თორემ მე ახლა „ცარსკოე სელოში“ ვიქნებოდი გამოჭიმული. პრინცესა მაურატს ჩემი ბედის კარტები უკვე ჩაწყობილი ჰქონდა, შტალმაისტერი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გაგხდებოდი. მერმე ის იყო ამ რევოლუციამ მომისწრო და დაფუჩა ჩემი ცხოვრება“.

„დღეშიც“ დასჭყვილა გვასალიას ბიჭმა და ხელმოცარულმა ისე მაგრა დაპყრა თეთრი ქვა ნარდზე, მთელი მაგიდა აზრილდა.

„მაინც უნდა ეცადო მახარია, განაგრძო აფაქიძემ, დრო გაითვალისწინო, თორემ გლახა სიძესავეთ რომ იძახო, ჩემი თოხი თუ არ მოვიტანიოთ, ვერ გაეთოხნო, ქვე დარჩები კერისთან მჯდარი ნაცარქექია. ჭრისტე ამბობდაო, ასე სწერია საღვთო წერილში, მოყვასმა მარჯვენაში რომ გაგარტყას, მარცხენა მიუშვირო. მე ჭრისტესთან რა ხელი მაქვს, მე ადამიანის მურტალი ცოდვებისათვის ჯვარზე კი არა; მწიფე მსხალზედაც არ გავიღოდი მახარია. და მე ვიტყოდი: კაცმა რომ მარჯვენა ყბაში გაგარტყას, უნდა გაუჭნო და ისეთი ლეწო მარცხენაში, ოთხიდან კბილი გამოუცვივდეს ყბიდან. შენ ეს ამბავი ჯერაც არა გაქვს შეგნებული ჯოტო ბიჭო“.

„რატომ ამბობ მაგას გვანჯ ბატონო?“

„როგორ თუ რატომ? შენ ღონე ვერ მიატანი საქმეს. ჩალმაში დაზოგე იმ ღამეს. უნდა გაგეცა ი გველის წიწილი. ზამ გუებნებოდი მუცელში ვსროლე მეთქი!“

„მუცელში ვსროლე, მაგრამ ღამე იყო და თქმში მოხვდა მაგ მაძადლს“.

„ღამე იყო? მერე რა რომ ღამე იყო? შენხელა რომ ვიყავი, ღამით

უკეთ მიჭრიდა თვალი. ღამით დავუხვდი მე გლეფთერ დადიანს და პირში ვახალე სამი ტყვია, ღამე შევეტაკე თემრავ შარვაშიძეს და ვუთხარე: „წავაძალე ლეკურით თავი. ერთი ორი ესროლე, დაგიცდებოდა? ახლა ხომ გკონდა კიდევ? ახლა ხომ ზედავ ისევ წამოაყო ჩალმაშმა თავი. ისევ ლიჩელისთან გააბა კავშირი გააფთრებული ებრძვიან არლანს. თუ ჩვენს სიძე დაამარცხეს, იცოდე არც ჩვენ დაგვაღებება კაა დღე“.

მცირე ხანს დადუმდა აფაქიძე, ნარდის კიდეს გადაცდენილი კამათელი კვლავ გააგორა და ეს ჰკითხა გვასალიას:

„რაო, რა სიტყვა ლომკაც ესევანჯიამ? უთუოდ მოვალო? უკვე ექვსი საათია მახარია“.

„უთუოდ მოვალო, ასე სიტყვა გევანჯ ბატონო“.

გევანჯ აფაქიძემ კამათელი ძირს დასდო. მიიხედ-მოიხედა, ვრცელ ბივანს თვალი მოაეღო და განაგრძო:

„ახლა ხომ გესმის ჩვენ რა უნდა ვქნათ, მახარია. მთელი ბობოლები ფეხზეა. სატყვერებს ღვსავენ. ახლა ჩვენი ნავთი უნდა დავასხათ ცეცხლზე. რას დავკარგავთ? უნდა შევავლიანოთ ბობოლები. მთელი ზამთარი ასე ამზობდენ: ტყე გაიფოთლოს და მერმე ჩვენ ვიციით. ტყე უკვე გაიფოთლა დაყენება არ გვმართებს. ლომკაც ესევანჯიას დიდი გავლენა აქვს აფხაზეთში. მორწმუნე ბობოლებზე. თუ ჩალმაშმა და ლიჩელიმ გაიმარჯვეს, ცენტრს ჩარევენ საქმეში. ბოლშევიკები ხომ იცი, ძალზე ჰყვიანები არიან. უნალვე კომისიას გამოგზავნიან ტფილისიდან. ყოველივეს გამოიძევენ. სჯალიანის წერილი ხომ ნახე?.. გარდა ამისა. ტფილისში ახალი მდივანი დაეჯდარა ცეცხლში. ამზობენ მთავარი კაცი. მე მგონია ჩვენ სიძეს მოხსნიან თუ რამე არ ვიღონეთ. ახლავე გამოსვლები მოვაწყობინოთ ლომკაც ესევანჯიას. გუშინწინ ბევრი ვეთათბირე დავითანზე. ბობოლებს უსატყვეოდ, ჩოხის ამარა გამოვიყვანოთ კობორას ტყეში. ლომკაც ესევანჯია ყველას დააფიცებს დიდ მუხის ძირას“.

„რატომ უსატყვეოდ?“

ჩააგლო სიტყვა ჯოტო გვასალიამ.

„უიარაღოთ სჯობია, ხანგლებითა და კაქის თოფებით მაინც რას გააწყობენ?“

„მერე?“

„მერე და არლანი რაიონის ძალებით ჩააქრობს ბობოლების აჯანყებას. ამას უთუოდ კაა თვალით შეხედავენ ზევით. იმ დილისთვის მე ზუგდიდს წასვლას მოვიმიზეზებ. შენ და ლომკაც ესევანჯია საყვირს გამოატანიებთ.“

„მერე ვინ დაჰკრავს საყვირს?“

გევანჯ აფაქიძემ ორივე კამათელი დააჯუფთა. შუბლზე მიიღო. ამბობს:

„ეს მართალია, საყვირის პირველად დაკვრას ყოველი კაცი ვერ გაბედავს. ვის მივანდოთ? ღმერთმა ყოველივე კამა გავგვხსენოს. ლუკაია ლაბაზუას მივცით საყვირი. ლუკაია მაინც გადარეულია... ვასოვს არაფერს მოსთხოვს. ეს კამა აზრია შენმა მზემ, კამა აზრია, ლუკაია ლაბაზუა მნათედ ნამყოფია, ამისთანები ქე იცის.“

ამასობაში ჯოტო გვასალიას თავისი ქვები სამშვილობოს გაეპარებინა საკითხავოდ, ერთად-ერთი თეთრი ქვა დარჩენოდა აფაქიძის ორ შავ ქვას შორის. „იაგანი“.

დაიძახა გვანჯ აფაქიძემ. მკვდარი ქვა ხელში მისცა ჯოტოს და თავისი კარები გადაკეტა.

კიბის კარი გაიღო და ზესნა ამოვიდა თავშალ წამოსხმული. ფეხმძიმობას უცნაურად დაემშვენიებინა ზესნას ისედაც მშვენიერი თქმობები და გულმკერდი. იგი ოდნავ ქშინავდა სულმოუთქმელად კიბეზე ამოსული. ლოყები შეფაქლდა ოდნავ. კახურ ვენახს დამსგავსებოდა ზესნა, სექტემბრის მიწურულში ფერადებით და ნაყოფით სავსეს.

„ახალი ამბავი გავიგეთ ბაბა? მიმართა ზესნა აფაქიძემ მამას. არზაყანი და თარაშ ემხვარი ცოცხალი ყოფილან.“

გვანჯ აფაქიძემ თვალი მოსწყვიტა ვაგორებულ კამათელს, გველის ნაკბენივით წამოიყვირა:

„რას ამბობ ქალო?“

„დედის სულს გეფიცები, ცოცხალი ყოფილან.“

„ეჰ, ჭორებია, შარდინ აღშობაიას მორიგი ჭორია ალბად“.

ესა სიტყვა გვანჯმა და ისევ გაავგორა კამათელი.

„დედის სულს გეფიცები, მე თავით ვნახე რაიონში არზაყანი და ემხვარი.“

„შენ მართალს ამბობ?“ წარმოსთქვა უკვე გაოცებულმა გვანჯ აფაქიძემ და მარჯვენა მკლავში ხელი სტაცა ზესნას.

„მართალს გეუბნები, აბა ტყვილის რატი გეტყობი ბაბა?! ხვალ მარხვენო კაც ზემამაიას“.

„ვის მოუკლავს ეგ ეშმაკის ფეხი?“

„ტარბებს მოუკლავთ.“

„აწი არზაყანი მოეკლათ მაგ მკვდარ ძალღებს ბარემ?“

„თარაშ ემხვარს ველარ იცნობ, რომელიმე ზემამაია გეგონება, ან ტარბა. წვერი მკერდამდის აწევს, თმა გაელაღებია, დაბერებულა, მოტეხილა ბედშავი. სავსებით დაშრეტილი, გამხდარი მიფრატუნებდა, შეგებრალემა რომ ნახო.“

„ეჰ, ვარდანიძე-ემხვარების ცოდომ უწია მაგ საწყალს.“

„რა ცოდომ ბაბა?“

შეკითხა ზესნა, რადგან მას მუღამ აინტერესებდა ამ „უცნაური“ კაცის ბედი.

„დღედა შენისგან შინც არ გაგინოგია? ვარდანიძე უმბეზრებო/კათა-
ლოკოსს დაუწყევლიო ეშმაკთან თანაზიარობის გულისთვის შეთორმეტ
საუკუნეში, ასე ამბობენ და მე რა ვიცი“.

ზენამ დარბაზის კარი შეაღო.

ჯოტომ თვალი გააყოლა თავის ცოლის დასრულებულ თეძოებს. უნ-
დოდა თან გაყოლოდა, ეკითხა ექიმმა რა გითხრაო რაიონში, მაგრამ სი-
შამპოს მოერიდა და უცბად გააგორა კამათელი საკუთარ დამარცხებაში
წინასწარ დარწმუნებულმა.

„ჯოტო ბიჭო, ახლა ხომ ხედავ, უარესად გართულდა საქმე. სჩივოდა
გვანჯ აფაქიძე. ახლა ის სახე ძალღი არზაყანი ისევ მხარში ამოუდგება
ჩალმაზს და ლიჩელის, უთუოდ რამეს მოსწევენ. აი დაიხსნამე ჩემი ნათ-
ქვამი. ჩალმაზი გველივით გამჭრიახია. არზაყანი თავზე-ხელაღებულია.
ლიჩელი ნაკატორღალი.“

„შაში სე“შესძახა გვანჯ აფაქიძემ კამათელს. დღესე მიიღო, ოთხი
ქვა ააღავა.

მერმე ისევ მიიხედ-მოიხედა და თითქმის ჩურჩულით მიმართა ჯო-
ტოს:

„ახლა კი უნდა დაეჩქაროთ ეს ყოველივე იცოდე.“ ესა სთქვა და
სახეში შეაშტერდა თავის სიძეს. 28 აპრილისათვის გადმოვიტანოთ ეს ამ-
ბავი. მეორე დღეს გლახობა გოხარას ტყეში გამოვაყვანიოთ ლომკაც
ესვანჯიას“.

გვანჯ აფაქიძე დადუმდა. კამათელი ხელში აიღო. კიდევ ერთი იაგა-
ნი აკლდა და მარსით უნდა ეჯობნა სიძისათვის, სწორედ ამ დროს, ჩაბა-
ლახით თავშებურვილი, თეთრწვერიანი მოხუცი მიაღდა აივნის კიბეს,
სტუმარი შინდის ყავარჯენს ეყრდნობოდა, სვენებსვენებით მიყვებოდა
განიერ საფუხურებს ბატონკაცური სასახლეს კიბისას. გვანჯ აფაქიძემ
წარდის თამაში მიატოვა. ჯოტომ სწრაფად ჩაირბინა კიბეები, მხარზე ხე-
ლი მოხვია და აივანზე ამოიყვანა სტუმარი.

ჯოტო გვასალია უკვე ფეხზე იდგა. იგი დიდის მოწიწებით შემოეგე-
ბა ლომკაც ესვანჯიას. მართლაც ბეჭვანიერ ახოვან მოხუცს ისეთი რიდის
აღმძვრელი გარეგნობა ჰქონდა, როგორიც თემის მეთაურს შეშვენის
ხოლმე. უარესად მშვიდ სახეს ენერგიულ გამომეტყველებას აძლევდა
შალალი, კავკასიური ცხვირი. ზანტად აფახურებდა დაფანჩულს წამწამებს
ვეიმრისფერ წარბების წრდილში.

ზღვისფერი დიდრონი თვალეები ჰქონდა, შავ მასრებამდის სწვდე-
ბოდა თოვლივით სპეტაკი წვერი. შეეტარიანი ზორბა სატევარი ომაზი-
ანობას კმატებდა მის ღვეურ აღნაგობას. ძერასფერი ჩოხა ეცვა და სირ-
მებმოვლებული ჩაბალახის ბალთები დაუდევრად გადაეგლო მხრებზე.
ოდნავ, სულ ოდნავ მოედრიკა წლებს, ქადარსავით მხარგამართული ბე-

რიკაცი. და როცა ჯოტო გვესალაღა ლომკაც ესევანჯიას პირისპირი წარს-
დგა, ჯოტოს უნიკაპო, წუწკი ცხვირპირი უცნაურად დანჯღნანა—მესი აღ-
ნავ აბა მთლად დაჩიავდა და დაილია. ძერასფერ ხონას მანქანაწარხიდან გა-
მოწვდილ გრძელ თითებს ისე მოემლაუტა წელში მოდრეკილი ჯოტო გვა-
საღლი, თითქოს ამ თეთრი, მშვენიერი ხელის შეხების ღირსადაც არა
სთვლისო თავისთავს.

გვანჯ აფაქიძე გვერდით უდგა მოხუცს და ეს ორი ახოვანი მოხუცი
ჯუფთებად მოეჩვენა ჯოტოს.

„როგორ ბრძანდებით ლომკაც ბატონო?“ მიმართა აფაქიძემ სტუ-
მარს, საკმაოდ დანჯღრეული სკამი წინ დაუდგა. ოსტატურად მიჩქმალა
ირონიული დამოკიდებულება.

„დეთასა და თქვენი იმედით არა მიშავს რა გვანჯ პატიოსნტუა“—
წაილულლულა ლომკაც ესევანჯიამ.

ნერმე დაჰკითხა მასპინძელმა სტუმარი მთეარე რას გვიქადისო. დარი
იქნებაო თუ აედარიო, გიორგობას თუ აპირებო ეკლესიაში წასვლას. წვი-
მები იწინასწარმეტყველა ლომკაც ესევანჯიამ მთეარის მოქცევის მესაი-
ღუმლემ. ამასა და ამგვარ რამეებს გკითხებოდა გვანჯ აფაქიძე ლომკაც
ესევანჯიას, რადგანაც არავენ და არაფერი გააჩნდა მას. არამც თუ ნათე-
ხავი, თანაკბილაც არ შერჩენოდა 120 წლის მოხუცს. თითქმის ასი წლის
მანძილზე გიორგობის წინა დღეს ილორის ტაძარში ამწყვდევედნენ ლომ-
კაც ესევანჯიას. მეორე დღეს დეგარდებოდა და „ამცნობდა“ ხალხს წმინ-
დანის ნებას. დიდმუხის ქურუმიც ესევანჯია იყო, დროისა და აედარის
უშუალო მცნე. ეს ყოველივე განუზომელ ზეგავლენას ანიჭებდა ლომ-
კაც ესევანჯიას ცრუმორწმუნე ხალხის თვალში. ექიმბაშიც იგი იყო, ბა-
ლახებით მკურნალი. შესანიშნავი დოსტაქარი და შემლოცველი. თანაბ-
რად ებრძოდნენ ლომკაც ესევანჯიას როგორც ძველი დროის ქრისტიანი
მისიონერები, ისე ახალი დროის ექიმები.

ბევრი რამ ანსხვავებდა ლომკაც ესევანჯიას გვანჯ აფაქიძისაგან.
აფაქიძე შესანიშნავი მსახიობი იყო, ყოველგვარი ნიღაბის ტარების ოს-
ტატი. ყოველგვარ აზრს თანაბარის სიწრფელით აღვიარებდა, ყოველგვარ
საბატეს თანაბარის სათნოებით აწერდა პიროგვარს და ყოველთვის ისე
იქცეოდა, ძე ზორციელი ვერ მიუხვდებოდა გულში გავლელულ ზრახვას.
მასში უცნაურის პარამონიულობით შეზავებულიყო უდიდესი ცინიზმი და
უაღრესი შიამიტობა. ეს იყო მხოლოდ, მუდამ ერთი რამ ამოძრავებდა მის
ნებნისყოფას და მის საქციელს: გვანჯ აფაქიძეს განუზომელად სძაგდა
დღევანდელიობა. არც თუ გუშინდელი, ან ზვალინდელი დღის სიყვარუ-
ლით მოსდიოდა ეს, მას სძაგდა ყოველივე რაც დღევანდელი დღით დატ-
ყობაში ხელს შეუშლიდა.

რაინდის პოზა უკვარდა აფაქიძეს ეამიდანამეზე უაღრესად მზდალს.
მუდამ გულუხვობის გამოჩენას ლამობდა, იგამოუწვდენელად კრიყანგი,

ფარისველურად ლოცულობდა ეკლესიაში და შემთხვევა რომ რაღაცემოდ აღმერთსაც კი შეანთხევდა გულზე მოწოლილ გესლს.

ლომკაც ესევანჯიას უყვარდა თემის თავისა და მოკვების მთავალი პოზა. მას სათანადო საბუთიც ჰქონდა საამისოდ. პირველადვე უყვარდა ანუ ვაეცაცა ამას შესწირა თავისი სიჭაბუკე, ვაეცაცობა და სიჭარმავე. საშუალო საუკუნოში რომ ეცხოვრა მას, იგი სექტების, მწვალეზლების და განდგომილების თავგაცი იქნებოდა უეჭველად.

პირად ცხოვრებაში ხელისმოცარვამ იგი რელიგიის ექსტაზში გადააგდო. ოცდა ხუთი წლის ჭაბუკს, რომელიდაც ანჩაბაძის ქალი შეუყვარდა. ქალეაფი ერთად იზრდებოდნენ, რადგან ლომკაცის მამა ანჩაბაძის მოურავი ყოფილიყო. იმ დროში ესევანჯიას ვინ მისცემდა ანჩაბაძის ასულს. ქალი რუსის მოხუციბულ გენერალს მიათხოვეს და როცა აფხაზეთიდან მიყავდათ გემით, იგი ზღვაში გადაეარდა და თავი დაიხრჩო.

ეს იყო და ეს. ამ დღიდან ლომკაც ესევანჯიას სხვა ქალისთვის არც კი შეუხედავს. სულიერად ბერად აღკვეცილმა პირად ცხოვრებას ზურგი შეაქცია. ეს ბოღმა მიხრწნილებაშიაც გადაჰყვა ბერიკაცს. ახლაც შემთხვევას ეძებდა როგორმე იოლად წაეღო თავი, რადგან მიწიერი ცხოვრება მიიმე კირთებად უჩნდა ამ ნახევრად წარმართსა და ნახევრად ქრისტიან მოკვს.

გვანჯ აფაქიძესთან ბოლშევიკებისადმი სიძულვილი აკავშირებდა ლომკაც ესევანჯიას, ეს იყო მხოლოდ უკანასკნელს რელიგიური მოტივები ასულდგმულებდა უპირატესად. რომანტიკოსები შიამიტობით წააგვანან იმ ბუზს, ჭკვიანი ობობის მიერ ოსტატურად დაგებულ ქსელში რომ გაჰყოფს განუკითხავად თავს. და ახლაც, ლომკაც ესევანჯია მოსულიყო აფაქიძის სახლში, რათა აფაქიძის მიერ გაწყობილ პოტიკში ფეხი ჩაედგანებასით.

70. მისეჟინი

სწორედ მეორე დღეს დაიწყო საგაზაფხულო წვიმები ოქტომში. ემზარიანთ სასახლის სახურავს თქემმა გაატანა. დაბობლაედა ცირუნია, ტასტებს, ვარცლებს და ქვაბებს დგამდა კუთხეებში. ფანჯრების რაფებიდან თხლიშინით გადმოდიოდა ლეარი.

თარაშ ემზვარმა წაძინებაც ვერ მოასწრო, ქარი ამოეარდა, დარაბები შირეუგვა. მერმე ლობეების ლიწინი ატყდა, ბებერი მწვეარი ხილნარისაკენ უტევდა. ენიშნა ემზვარს არზაყანის მიერ წინადლით ნათქვამი; ტარბები განსაკუთრებით შენზე არიანო ამრეზილი.

ამიტომაც გაიფიქრა თარაშმა: ეგებ ტარბები დამესხანო თავს. ბრაუ-

ნივგი სასთუმალიდან არ გამოუღია, ისე ადგა და აღენიღა მუხებშიანა მწვევარს.

საბაზიერო სახლისწინ დაყუნცულიყო მგელიკა, ეწვეს კვერთღე ამღერულ მთვარეს და ყმუოდა საწყალობლად. თარაში შანა მწვევარს მალღმამ ყმული მიატოვა, მუხნარისკენ შეუტია. იწვა შეზღონგზე გულზე ხელდაქლობილი ემხვარი, იწვა და უცდიდა ტარბებს.

აივნის კარი არახუნდა, წევს გაუნძრეველად თარაშ ემხვარ, ნატრობს: მოვიდოდნენო მოსისბარნი ნეტავი. იგი აქვე იწოლებდა, ხელსაც არ მიაკარებს თავის ბრახუნინგს მოვიდნენ და დაღვარონ მისი სისხლი და მისი ერთადერთი სანატრელი ესაა, ის უბედური ლუკაია ლაბახუა მაინც აქ იყო. რომ ანდერძი მაინც წაუკითხოს თარაშ ემხვარს.

გახედა კედელს, ერამსუტ ემხვარის ლანდს მოკრა თვალი, იღგა ფერგამერთალი მალღლი ვაყკაცი, ლანდების სამყაროს მარტოსული სტუმარი. და ახლა გაიგო თარაშში თუ რად წააკითხვინა ერამსუტ ემხვარმა დავითნი დიაკონს, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო.

უცებ ისეთი ერთობლივი ქშულილი გაისმა, თითქოს შავი ზღვა საწოლიდან წამომდგარა და მობუზუნებსო ხმელის წასარღვენელად.

წვიმა ტლამუნებდა სახურავის ყაყარზე, ფანჯრებთან. მაგნოლის ფოთლებზე ისე ბარტყუნებდა, ბნელფრთიანი ფრინველები შესევნიანო მაგნოლის ხეებს.

რეჟრავის პირზე მერები გადავიდა, ოდნავ წასთელიმა თარაშში. მწვევარმა გამოაღვიძა. დიდხანს წყმეტუნებდა მგელიკა, მაგრამ თარაშს სევანეთი ესინმრებოდა, სევანეთში ძალღების ღრენა და წკავწყავი მობეზრებული ჰქონდა, ამიტომაც არად ჩააგდო მგელიკას წუხილი. მერმე ზედ კარის რაფას მიადო მგელიკამ ცხვირი და წვრილი, საწყალობელი ხმით დაიწყო წუწუნი. თარაშში შეიქცნო მგელიკა რომ იყო, თვალმოუფშვნეტად ადგა და შემოუშვა ძალღი.

კედლის საათის ისარმა ცხრა უჩვენა.

გამონტა საათიდან აეტრმატიური გუგული, ცხრაჯერ შემოსძახა „გუგუ“.

თარაშ ემხვარს ეამა გუგულის ხმა. მისი ბავშვობა გამომხტარიყოს თითქოს წარსულის მრუმე გვირაბიდან, კიდევ ერთხელ მოსჩვენებოდეს.

და შოაგონდა თარაშ ემხვარს ბავშვობის მზიანი დღეები, გუგულის მიერ ნახარები დღეები. მაშინ არ აწვიმდა სასახლეს, შამა პოლკში იყო და დედა ცოცხალი.

მიწვდებოდა თუ არა გუგულის ხმა. იღებოდა წაბლის მალღლი კარი, დედა შემოდოდა თარაშის ოთახში.

თვალს ხუჭავს თარაშ ემხვარი...

ოჰ, ნეტავ უკუქცეოდეს ეამი, წაბლის კარები გაიღებოდეს და ისევ შემოვიდოდეს დედა.



და ფიქრობს თარაში:

„ასი წლის რომ გაემხდარეყავი დედა და უცხოეთიდან მობოლუნებულს კარის ალაგთან დამეძახა: დედა შინა ხარ მეთქი ^{არჩქე შინა: წარო, მომიგვზდი, ასე ვიტყვოდი: ათი წლისა ვარ მეთქი.} ^{პინჯალირთქე}

ჯერ ათი თვეც არაა, რაც შენ წახვედი და ასე მგონია ასი წლისა ვარ მეთქი“.

თარაშკ წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა მაგნოლიების მოყვითანო მწვანეზე ვერცხლის წყალივით ცივლივებდნენ წვიმის წვეთები.

გვერდი იცეალა თარაშმა გერმის ბალიშებში თავი ჩარგო და ჩასთვლიმა ვილაკამ კარი შემოაღო. იატაკი აქრაქუნდა. მგელიცა წამოდგა, ახლადმოსულს მიეახლა. ცირუნია არ უნდა ყოფილიყო, დედისეული ფოსტლების ტკაპუნიც აღარ ისმოდა.

ეს ვილაკ, ფეხშიშველად შემოვიდა.

მერმე დანჯღრეულმა სავარძელმა მორთო ქრაჭენი.

„შენც ჩემსავით დაბერებულხარ საწყალო მგელიცა, ბეწვი გაგცენია, აღსუს, უნავირიანი ცხენი რომ აძლიეს ჯანსულს ცხონებულს შენთვის. შენც ჩემსავით კბილები დაგცენია, დაბერებულხარ საბრალო მგელიცა“.

მეორე ხანს ყურს უგდებდა მთელემარე თარაში ამ საუბარს. მერმე მოღობარი დადუნდა, ფშვინაფდა, ქშინაფდა ახლადმოსული, ატკაპუნებდა კედს იატაკზე ბებერი მგელიცა.

თვალი გაახილა თუ არა თარაშმა, ლუკაია ლაბახუი მყისვე მიეჭრა. საბნიდან გამოყოფილ ხელს დააცხრა და დაუწყო კოცნა. თარაშმა საყუთარი ჩარჯვენა გამოსტაცა ლუკაიას.. დააშოშმინა საწოლის წინ დაცუტქელი მოხუცი.

მოხუცებულყო ლუკაია საესებით.

წინაკბილები დასცვენოდა, გაღიმებისას წითელი ღრძილები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, ტუჩპირი გასისხლიანებული ჰქონდა თითქოს წვერები შეთხვლებოდა, უარესად გაყვითლებოდა, მიცვალბულის თმებს დამსგავსებოდა. უკვე გახუნებულ, ნაჩქარ კოსტაქომის საყელოზე ჩამოღვენთოდა ყურებიდან გადმოღვრილი თელგამი. მხარზე ხელი დაადო თარაშმა ლუკაიას, სავარძელში ჩასვა.

ისეე ზეწამოიჭრა ლუკაია. აღარ იცოდა: რა ეთქვა. რა მოემოქმედნა?

მადლობა უფალსო სულე, მშვიდობით რომ მოხვედითვ შენ და არ-ზაყან. ჩემი სიზმრები უტყუარია, თამარსაც ვუამბობდიო სიზმრებს.

თამარის ხსენებამ იღუმალი რამ იარა გაბსნაო თითქოს თარაშ ემხვარის გულში. ასე გამოდიოდა: უცხოთა შორის თამარის ხსენებას ერიდებოდა თარაში, არც სხვები ახსენებდნენ თამარ შარვაშიძეს ემხვარის

თანდასწრებით. ტაბუ ჰქონოდა თითქოს დადებული ამ სახელს მოვიდა ლენჩი ლუკაია ლაბაზუა, მოურიდებლად დაარღვია ტაბუ.

უეცარი ჟოჯოლა მოჰგვარა ემზვარს ამ სახელის გახშირებამ. ხმამალალი ფიქრით გაიმეორა თავისთვის ეს უცნაური სიტყვა. შეშინავე სახელი, როგორც ძველთაძველი კახურით გავსილი ქურისთავი. დამათროხელი, გონებისამღვრველი და ხელადმქმნელი.

და ეს სახელი თამარ საუკუნოების მანძილზე რეკავდა თარაშ ემზვარის შემეცნებაში, სათნო, ლამაზი და მითებით გაბრწყინებული, ციხეებს, კოშკებს, ფრესკებს, ყვავილებს, ადამიანებს და სოფლებს ამშვენებდა ოდითგანვე იგი, დაუშრეტელი ლეგენდებით, მზისა და სინათლის სავსებით მოსილი. ასეთი იყო მისთვის ეს სახელი ოდესღაც.

ახლა? ახლა რაღაც იღუმალა მწუხარებით სუნთქავს მის სმენაში სახელი თამარ. ძველი იარების გამხსნელია იგი, იღუმალა სევდით გავსილი. მაინც ეს უნდა თარაშ ემზვარს კიდევ და კიდევ ახსენოს ლუკაია ლაბაჭუამ თამარი, ოღონდ არ მიუხედვს ლუკაია, თარაში გულგრილად რომ ვერ ისმენს ამ სახელს: თამარ.

უნდა დაჰკითხოს ახლავე როგორ არისო თამარი, მაგრამ ვაჲ, თუ ლუკაიამ როყიოდ წამოტორტლოს რაიმე მოულოდნელი და საშინელი. თარაშს განაგონი ჰქონდა ცირქნიასაგან ყვავილბატონებით ყოფილათ შარვაშიძის ქალი სნეული, უკეთ იყოვო ამას წინად, მერმე ისევ შეუძლოდ შეიქნაო. ესეც ხომ ცნობილია: როცა ამბობენ „შეუძლოდ შექმნილაო“, აქ გაცილებით მეტი უნდა იგულისხმო, ვიდრე შეუძლოდ ყოფნა.

ლუკაია ისევ შინაურ ამბებს მიუბრუნდა, მაგრამ ემზვარმა არ დააცალა, ფრთხილი შეკითხვებით შემოაბრუნა ლუკაიას გულისყური.

განგებისად ბატარა თათია მოიკითხა პირველად.

თათია სოხუმს წაიყვანაო კაროლინამ გუშინ, შესაძლოა აქეთობას ოქუმში გამოვიარონო.

თარაშს ეაჲ ამის გაგონება. მაშ, კაროლინა თუ სოხუმს წასულა, ალბათ კარვად შექმნილაო თამარი.

მაინც შეეშინდა თამარი არ ახსენოსო ლუკაიამ და ასეთი რამ ჰკითხა უსაზნოდ:

„მღვდელმა როგორ გამოვიშვაო?“

თავით მღვდელს გამოეგზავნა თურმე ლუკაია ოქუმში, მაგრამ თარაშ ემზვარის სანახავად კი არა.

მერმე ამოიოხრა ლუკაიამ: ესა უთხრა რატომღაც თარაშს:

ნახუცარმა არ იცისო შენი ჩამოსვლა, ჩვენ უმაღავთ ამას ბაბუა ტარიელს.

ზუგდიდში ბევრმა გაიგო, მაგრამ არაეის სჯერა შენი და არზაყანის დაბრუნების ამბავი. მე არც წინად მჯეროდაო შენი სიკედლის ამბავი. სიზმრები გაიხსენა ლუკაიამ. თარაშს შეეშინდა ისევ სიზმრების თხრობა.



არ დაეწყო ლუკაიას, ამიტომაც ეს კითხვა: აქეთობას იყო ენგური?

ამ წელს მთლად გავივდაო ენგური. სჩივის ლუკაიას, მარტო სამი წინააღმდეგობაა კოლექტივისთვის, რამდენიმე ასეული ქვეყანა ენები წაუღებია, ბონდები და ხიდები წაუღია. გასულ კვირას რკინისგზის ხიდს დასტერებია. სამი დღე ასწორებდნენო გზის ოსტატები ხიდს. ბორნით გამოსული ლუკაია ენგურზე. კინაღამ წყალმა წაიღოო ბორანი.

ციურნიამ პირი დააბანინა თარაშს, მერმე საუზმე გააწყო მრგვალ მაგიდაზე. ლუკაია წასვლას დაადგა, თარაშმა მკლავში ხელი წაავლო, სუფრასთან დასვა.

ნიკაპამდის მისწვდა სუფრა ლუკაიას, მუთაქა მოატანინა თარაშმა. წამსკეპდა ლუკაია მუთაქაზე.

თარაშმა არაფი შესთავაზა. ჯერ უარზედ იყო, მერმე დალია, მოწამლულ თევზსავით პირი დააბანინა, აბროტინდა თვალისა და დენილი ცრემლები ხელისგულებით ამოიწმინდა. თარაშმა შენიშნა: უკვე მიჩვევდა ლუკაია ალკოჰოლს. იჯდა ლუკაია, პეშვით იყრიდა გაუფცქენელ ლომინარს, ნალექი კალთაში უცქვივოდა. არყის გრაფინისაკენ გაუბრბოდა ლომინარისდგერი თვალეები.

ალკოჰოლმა გამბედაობა შემატა თარაშ ემზვარს: მაინც თამარი არ იკითხა.

კაროლინა რად წაეიდა ზუგდიდს?

გამოარკვია, თათიასთვის ოპერაცია უნდა გავკეთებინათ სასწრაფოდ, ჯირყვლების ოპერაცია.

ახლა კაროლინას ხსენებაზე ლუკაიამ უბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს ეძებდა რალაცას და მერმე სავსებით დასველებული კონვერტი ამოათრია. თარაშმა ბარათი გამოართვა, საჩქაროდ გაფხრიწა კონვერტი, კაროლინას ხელი იცნო, მჭინც გრძლად ეჩვენა იგი, სულმოსწრაფებულმა ჯიქურად ჰკითხა ლუკაიას როგორ არისო თამარი?

ლუკაია შეკრთა კიდევაც ამის გამგონე. ენა აუბორძიკდა და წამწამები აუფახულდა:

„თითამარ... თითამარი...“ და ვიდრე ლუკაია წინადადებას თავს მოაბამდა, საოცარი შიში შემოგზნო გულზე რაიმე უეცარი და აუტანელი არ წამოეთქვა ენაგრგენილს.

ბოლოს როგორც იქნა დაათვა ლუკაიამ: გადარჩებაო თამარი.

გადარჩებაო? ეუცნაურა ემზვარს, როგორ თუ გადარჩებაო? რას უნდა გადარჩენოდა? ლუკაია რალაცას თქმას აპირებდა, მაგრამ უარესად დაებნა ენა და მერმე ყვავილბატონები ახსენა რატომღაც.

სასაცილოდ ეჩვენა ლუკაიას ნათქვამი, ყვავილი ხომ აცრილი ჰქონდა თამარს და მოაგონდა ემზვარს თამარის მშვენიერ მკლავებზე ბეჭდისოდენა ხერხილის კვალი.

ჩაპკითხა ლუკაიას, მაგრამ ველარაფერი გამოარკვიო, ხან ერთ ამბობდა ყვავილბატონები სჭირსო, ხან ამბობდა ახველებსო, მერმე თანჯარასთან მივიდა თარაში, რადგან პნელოდა ოთახში და დაუწყო კითხვა...

მოკითხვის, მისალმების და სხვათ თვალთ გადაურბინა და რამდენიმე ამხაცის შემდეგ წააწყდა თამარის სახელს: „თამარი ოქტომბერში ჩაწეო, სწერდა კაროლინა. ფილტვების ანთება, პსიქიური დეპრესიაა ზედ დიერთი ორსულობის გართულებულ პროცესსებს. კონსტანტინე ზამთარი გადავიტანეთ. სიცხე იძალუბდა თუ არა, თქვენ სახელს ახსენებდა მუდამ. თვით ბაბუა ტარიელსაც ეხვეწებოდა მისოუსტი მანჯენეთო. შე არც კი ვიცოდი თქვენ მისოუსტი გერქვათ. მღვდელი მთლად გაცოფდა. თავი წაგვქამა მე და ხერიპსს: გამაგებინეთ ვინ არისო მისოუსტი. ამ უკანასკნელ კვირაში სახსებით წაერთო ცნობიერება. ეტყობა ბნელი ხარვეზები თანასდევს ასეთ მელანქოლიას. არ სვამდა, არავის იკარებდა ლუკაიასა და ძიძას მეტს. ერთ დილას ადრე გამოიღვიძა და ძიძას შეეკითხა: მისოუსტი ხომ არ მოსულაო?

გუშინ და გუშინ წინ, როგორც თვალს მილულავდა, გეძახდა: მომიცადეო მისოუსტი. ასე აფორიაქებულია მთელი ოჯახი, უკვე აღარ ვიცით ან ავადმყოფს რა ეუყოთ, ან მოხუცებული ნახუცარი რითი დავაშოშმინოთ. სამი დღის წინად კონსილიუმში იყო. აქაური ექიმები იმედს არ ჰკარგავენ, შესაძლოა გამოიჯობინდეს, მაგრამ საეჭვოა დეპრესიამ გაუაროსო. ტფილისიდან პროფესორი ლოდერელი გამოვიწერეთ. აქ ერთი უზერბულულობის ამბავია ჩემს წინაშე წამოჭრილი. მე ვიცი თქვენ უგულო კაცი ხართ, მრავალ მამაკაცზე მეტად უგულო, (მოიგონეთ თქვენი „შავი მამალი“!) მაგრამ არა მჯერა ისე ტლანჭი იყვეთ, თამარის ნახვა რომ არ მოისურვოთ ამ მძიმე წუთებში. ესაა, ექიმები ერთპირად აღვიარებენ: საშინაო ასეთი დიდი მღვდლვარება რომ შეახვედროთო ავადმყოფს. ეგაც არ იყოს ბაბუა ტარიელს გაგებულნი აქვს (არ ვიცი საიდან) ბავშვის მამა რომ თქვენა ხართ. მე და ხერიპსმა ბევრი ვითათბირეთ ამის გამო. მღვდელი ერთი წუთითაც არა სცილდება თამარის ოთახის კარებს. ექიმებმაც რომ ნება დაგვართონ, მე აღარ ვიცი როგორ უნდა მოხერხდეს თქვენი აქ მოსვლა.

მაინც კიდევ მოვიფიქრებთ რამეს.. ამასობაში პროფესორი ლოდერელიც ჩამოვა ტფილისიდან. ვნახოთ იგი რას იტყვის. მე ჩემის მხრით წმინდა ჭალური ინსტიტუტის ძალით მჯერა, თქვენი ნახვა მას უცილოდ გაუქარვებს დეპრესიას“.

თარაშ ემხვარს მუხლებში მოეჭრა. თვალთ დაუბნელდა, ყურებმა წივილი დაუწვეს, ხელების ფათურით მისწია სავარძელს, შიგ ჩაიკეცა. მერმე აირიენ სტრიქონები მის თვალთა წინაშე. თავი ზეასწია. მცირე ხანს ასე იჯდა და გასკეპროდა ფანჯრიდან წვიმას. საბაზიერო სახლის წინ,

მოტყელებილ მოედანზე შხაპუნა წვეთები ხტოდენ (ბელურები თარიხალე-
ბნო წვიმაში!) ნესტი შემოდინდა ფანჯრიდან, გულისმკეპლზე ნო-
ტიო. კანტი-კუნტად ტლაშუნობდნენ შხეფები სახურავის კაპიქოქედე მაგ-
ნოლიის გალაკულ ფოთლებზე სწვიმდა, დაუცბრომლად და დარდიანად
თითქოს პინდური სეზონური წვიმები დაწყებულიყო ოქუში. თარაშ ემ-
ხვარმა ბარათი გადააბრუნა, ისევ გამოშვებულ გვერდს დაადგა თვალი.

„თქვენს მიერ სენათიდან მოწერილი ბარათები, სულ ორიოდ კვი-
რის წინად გადმომიგზავნა ვილაც უცნობმა ტფილისიდან. თამარისათვის
ეს ამბავი არ გამომხელია, რადგან ექიმებს ვუჯერებდი, მძაფრ ემოციებს
ერიდეთო, ასე გეარიგებდნენ. წინად მოიწყენდა თუ არა, გულისგარედ
ფარწმუნებდი: უძველად ცოცხალია მეთქი. ხან რას ვიგონებდი, ხან რას.
ბარათების მიღების შემდეგ ჩემს ტონს სიბეჯითე მოემატა. და ამ გზით
თითქმის დავარწმუნე, რომ თქვენ ცოცხალი ხართ. ამავე დღეს რაც უეცარ
სინათლე ამოეფინა, დარდისგან დავსილ გონებას მისას, დილით ადრე
იღვიძებდა, თავათვე შეუშვებდა პეშვს პირსაბან წყალს, თმასაც თავათ
ივარცხნიდა. უხაროდა ორ-სამ თვეში ნაწნავებს გავიკეთებო კიდევაც.
მერმე ისევ შეიპყრო მელანქოლიამ ბედშავი. ეს აიჩემა: თუ ცოცხალია,
რად არ მინახულეხსო მისოუსტ?“

მე უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა, რა მოვიმოქმედო თქვენთან გადამკი-
დემ? განუზომელად მეცოდება თამარი, მაგრამ არც თქვენ შემოგცქერით
შურიანი თვალებით. თქვენმა ბარათებმა სასო წარმოიკვეთეს საეხებით.

ეჰ! რა მოგწეროთ, თქვენ ძლიერ ჯიუტი ადამიანი ხართ, მაინც კარგი
გაკვეთილები მივიღიათ როგორც სჩანს სენათში, ისე როგორ დაბრუნდე-
ბოდით. რა ტენით? ლამარია არ შეირთეთ?“...

ემხვარი მორიელისაგან დაკბენილსავით ზედწამოიჭრა ლამარიას სა-
ხელის ამოკითხვისას. დახედა ბარათს, რამდენიმე სტრიქონი ნოტიოს წაე-
შალა.

ადგა და სუფრის გვერდით დაჯდა. არაყი დალია, ბუხრის წინ და-
ცუცქული ცირუნია ცეცხლს უბერავდა, ნაფოტებს აწყობდა ბუხარში.

თარაშმა კიდევ დალია არაყი და ბურბულელაზე მოდებულ აღის
პარპაშს შეაშტერდა, ხან კაროლინას სახე უნდოდა წარმოედგინა, ხანაც
თამარისა. მიბრუნდა სუფრისკენ. ლუკია გაუმადლად თქვლევდა ცერ-
ცვის შეკამანდს, ხანაც მუჭით იყრიდა პირში ლაპინარს, წვერებზე ლო-
პინარის ნაჭურცვენი დაყროდა უამრავი.

ემხვარი ცეცხლს მიაჩერდა ბუხარში მობუტავს, კიდევ შეეცადა
ინტენსიური ფიქრით წარმოედგინა ან თამარი, ან კაროლინა, უმწეოდ შე-
იკნო ადამიანური ფანტაზიის ძალა. და ესეთ წუთში ლამარიას ცბიერო
თვალები დაუდგა თვალწინ.

ლუკია და ცირუნია ხმადაბლა პუტუნებდნენ.

ისევ ენგურზე გადასვლის ამბავს უამბობდა ლუკია ცირუნისაკ.

აპრილში არ დაიბრძო ვამებ ანჩაბაძე? ეკითხება ცირუნია ლუკაია ლაბახუს.

„შენ რა იცი ვინ იყო ვამებ ანჩაბაძე?“ — ეკითხება ცირუნია ლუკაია.

„შენოდენი მეც ვიცი, უბედურო ლუკაია.“ — მიუგო ცირუნია, თავთაც გაიცინა, ხელის გული აიფარა პირზე. თარაშ ემხვარს უნდოდა გამოეკითხა, თუ ვინ იყო ვამებ ანჩაბაძე, მაგრამ ისე ნაღვლიანი შესცქეროდა ცეცხლს, ენის მობრუნება ეზარებოდა.

„ლუკაია თავი ნუ მოგიკედება წვიმების ამბავი მითხარი, ბოსტანი მაქვს დასათესი, შენ მთვარის ამბავი იცი, თავი ნუ მოგიკედება, სანამდის იქნება წვიმები?“ ეკითხება ცირუნია ლუკაიას.

„წვიმები? წვიმები ჰნი, წვიმები დიდხანს იქნება სულე. ამბობს ლუკაია. მესეფენი ამოდიან ზღვიდან. ამბობს ლუკაია. მესეფენი ამოდიან ზღვიდან, ამას მოყვებაო გაზაფხულის წვიმები სულე“.

„მესეფენი ვინაა შე დალუპულო?“

„მესეფენი არ გავიონია? ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი შურიგე, ცხოველების, ქვეწარმავლების ღმერთებია მესეფენი. შემოდგომისა და გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფეებს. მერმე აიყოლიებენ ძაღლებს, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-სოფელ ხარკს ჰკრეფენ“.

მიწაზე წვიმები მოყავთო და არასოდეს ბერდებიანო მესეფენი, განმარტა ლუკაიამ.

თარაშმა კიდევ დაუსხა ლუკაიას არაყი.

სახეზე წამოკარხლული ლუკაია წასვლას დაადგა. თარაშს უკვე აღარ შეეძლო ადამიანის საზოგადოების ატანა. იამა ლუკაიას წასვლა.

ორ დღეში მოვალო, დაიბარა ლუკაიამ. თამარის ამბავს შეგატყობინებო. ესა სიქვა და ფეხაკრეფით გავიდა გარედ. თარაშმა თვალი ჰკიდა, ორ ჰიქა არაყს ისე დაეთრო ლუკაია, ძლივს მიფოხრიკობდა ბედშავი.

ახლა ცირუნიას სიახლოვე უძძიმდა თარაშს. ვერ შეეადრა მოხუც გადიას მარტო დამტოვეო.

მოიმინეზა: ხაქაპურები გამომიტხვეო სალამოსთვის.

ცირუნია ოთახიდან გავიდა თუ არა, თარაში წამოდგა. სატეხი მოსძებნა. ურთხელის კარადასთან მივიდა.

მცირე ხანს იდგა და ყოყმანობდა. დედის დანაბარები მოაგონდა: შენ კოლს გამოადგებაო ურთხელის კარადა.

მწარე ღიმილი მოგვარა ამ აზრმა. მერმე გამოანგრია ქვედა უჯრა და იატაკზე დაჰყარა საგვარეულო არქივის უკანასკნელი ნაშთი.

ისევ სიგელები, ნასყიდობის ბარათები, ძველი ვეჟილები, გერბიანი, ვენზელიანი ბარათები, მილოცვები, მოკითხვები და არხები. დაგრაგნილ, მტვერიან ეტრატს წააწყდა ხელი. კათალიკოსის ეტრატი შეიცნო. ლამაზი წესსა ხეცურით ნაწერი ძლივს ამოიკითხა:

„პრისხამცა მამა, ძე და სული წმიდა ჰემუხვარსა ვარდანს. ას და

მერვისა ფსალმუნისა წყევა მას ზედაჲც დაესრულებინა, ^{ქრისტეა} არს დაუსაბამისა უფლისა სიტყვითა, ექვსთა კრებათა ^{მადლითა} ხუთთა პატრიარქთა ჯვართა, წმიდისა დედა ქალაქისა ^{ფიქსებულად} ფიქსებულად და ჩემ გლახაკ ჯვართა.

რამეთუ ჰემუხუბარი ვარდან განუდგა ეკლესიისა ქრისტესა და თანაზიარ ჰყო სატანასა“.

მერმე გამადიდებელი შუშა მოიტანა თარაშ ემხვარმა.

ხელის მოწერა და* ქრონიკონი განშიფრა.

ხელს აწერდნენ: „ქრისტეს სწორი“, ქათალიკოსი ქართლისა არსენი. იქვე მიწერილი იყო:

„მეცა მიწა მეფობისა მათისა ერისთავთ“.

ერისთავი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“.

(ერისთავთ ერისთავის გვარი ველარ ამოიკითხა).

ქორონიკონსა ჩრლბ—1132 წელსა.

ხელი შეუშვა ეტრატს, ეტრატი ისევ დაიგრაგნა. კვლავ გახსნა და მოსძებნა სტრიქონი.

„ას და მერვე ფსალმუნის ძალითა“.

დაინტერესდა: რომელი უნდა ყოფილიყო ას და მერვე ლექსი ფსალმუნისა? ადგა. მთელი ბიბლიოთეკა გადაქეკა. ვერც ერთ ენაზე ვერ იპოვნა ფსალმუნი.

სალამოს შემთხვევით წააწყდა ბერძნული ფსალმუნის მინიატიურულ გამოცემას. დაჯდა შექმილულ ლამის შუქზე, ას და მერვე ლექსის კითხვას შეუდგა. შეზარა საშინელმა სიტყვებმა. ისინი ისე დღევოდნენ საუკუნეების ფერფლში გახვეულნი, როგორც ჩანაცრული კერის ქვეშ დველფი.

სახეზე გადაენტხა თარაშ ემხვარს რვა საუკუნის წინ დანთხეული წყევლა.

ცირუნის ეახშამი მოემზადებინა. ხელი არაფრისთვის უხლია. ადგა და საწოლისაკენ გაემართა.

მთელი ღამე ბორგავდა თარაშ ემხვარ, სვედამწარებულ თამარს იგონებდა, ხან ფსალმუნის საშინელ სტრიქონებს, ქართლის ქათალიკოსის უმოწყალო ანათემას. გარედ კი, სწვიმდა, ზებერი მწევარი ყმლოდა, ღობეების ლაწანი ისმოდა, ეილაცეები უკითხავად გადადიოდნენ ეზოზე, ფანჯრიდან ხედავდა თარაშ ემხვარ ჩაბაღახით თავშეხვეულ ლანდებს, ვარამისაგან გულშემოყრილს არც კი აინტერესებდა: სისხლის მამიებელი ტარბები იყვნენ ეს, თუ ზღვიდან ამოსული მესეფენი წვიმების ამღვრელნი?

71. ასღამივე ღამის



ტარიელ შარვაშიძე გულმხურვალედ შესთხოვდა „სიკედილის/დამთურგენელ ღმერთს“ თამარის ნაცვლად მისი დავრდომილუქუღღუქელო მსხვერქლად. მთელი საათი ლიტანიობდა პატიოსანი თვეღუბუჭუჭუჭუქელო მაცხოვრის ხატის წინაშე. ნაშუადღევს ადგა და თამარის ოთახში ჩამოკიდა იგი.

მეორე დღეს დილის ცხრა საათზე ელოდნენ პროფესორ ლოდერელს. მოუთმენლობის ციებციხელება ღამის სამი საათიდანვე დაეუფლა ტარიელს, პირქვე დამზობილი იწვა ტყავის შეზღონგზე და ყურს უგდებდა თუ როგორ გადარბოდნენ მატარებლები მიწაზე რახრახით. ორთქლმავლები, ჩაბლაოდნენ ყურში ბნელ ღამეს და გარბოდნენ.

ბაბუა ტარიელმა კარგად იცოდა თუ საიდან მოდიოდნენ ისინი, მაინც ეგონა რატომღაც, შესაძლოა, რომელიმე მათგანს მოყვებოდესო ლოდერელი. იგი ლოდერელზე ამყარებდა უკანასკნელ იმედს. ფანჯრიდან ხედავდა, თუ როგორ გაქრა ცაზე ზარიპარია, მერმე თუთის ხეების მწვანე ქოლგები ოქროცურვილს დაამსგავსა მზემ, აკაციებში ბულბულები აკენესდნენ. წინა ღამის ზღვაურს ყვავილის ნაჭურცკენი ჩამოებერტყა აღუბლის და ვაშლის ხეების შტოებიდან, ასე რომ მოლი თოვლის ფიფქით მოფენილს შიავავდა ხილნარში. იდგა თეთრად შემოსილი ბალი ოცნებით გართული, ზანტად იზმორებოდა მწვანე მზითა და სინოყვირით გავსილ კვირტებში. ოდნავ წაეწვინა ქარიშხალს თეთრი ვარდები და ესმინები. რთვილი ვარგარებდა ყვავილის საყურეებზე, მოსულაო თითქოს იდუმალი მხატვარი ღამისა, ბროლის ცრემლები დაუფრქვევიაო წალკოტები ვარდის ფურცლების სიხარულით აღტყინებულსა.

* * *

ბაბუა ტარიელის დაქანცულ თვალებს ძილი მიპარვოდა გათენებისას, რვა საათიც არ იქნებოდა, თვალნაკრავსავეით წამოვარდა, ლუკაია გააღვიძა. ჭიშკარი უნდა გაეღო ლუკაიას ეტლისათვის. მერმე აივანზე დაჯდა და უცდიდა ლოდერელს.

ცხრას ზუთი წუთი უკლდა როცა მატარებელმა გაიარა შორს, დაბის გადაღმა. კვამლის თეთრი ფთილები ესროლა ღრუბლების კრაველებით მოფენილ ცას, მერმე ისიც დაინახა ბაბუა ტარიელმა თავის აივნიდან, თუ როგორ შიადწია სადგურამდის ლოკომოტივმა. ადგა ბაბუა ტარიელ და ბოლთას ცემას შეუდგა. დადიოდა, ლელავდა, ეტლიც რომ აღარსად სჩანდა.

ბოლოს აეტომობილი გამოჩნდა. გამოირკვა: ხერიპს წინასწარ ეზრუნა, ეტლის ნაცვლად აეტო დაეხვედრებინა სახელოვან მეცნიერისათვის. ლუკაიამ ჭიშკარი გაუღო აეტოს და ვიდრე ბაბუა ტარიელ სტუმრისადმი პატივისცემის დასამოწმებლად სამიოდე საფეხურზე ძირს ჩამოფორთხდე-

ბოდა, მანქანა კიბეს მოადგა უკვე. კარი გაიღო და ყავისფერ კოსტუმოვანი ჩასკენილი მოხუცი ჩამოხტა მიარდად და სულმოუთქმელად შეუღრმობა კიბეს.

ბაბუა ტარიელ ოდნავ გულნაწყენი დარჩა კიბეზე შეხვედრილიც რომ არად ჩაავლო სტუმარმა.

ბატონო პროფესორო, ბატონო პროფესორო, მისძახოდა ლოდერელს, ისეთი საწყალობელი ხმით ლუღლუღებდა, ხერიპსს გული აუჩქროლდა, უძინარ, გაბურძგნულ, დაღუღულ სახეს მოხუცისას რა თვალი ჰქიდა, მკლავში მოწიწებით ხელი წაავლო ლოდერელს, ოდნავ შეაყენა და მამა წარუდგინა. მღელვარებისაგან ცრემლები მოერიო ბაბუა ტარიელს.

„ვლულები ბატონო პროფესორო, მიშველეთ რამე“.

ეს სიტყვა და გლახაკივით მოებლაუჭა ლოდერელის მარჯვენას.

„დამშვიდდით მამაო. დამშვიდდით“ მიუგო ლოდერელმა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა.

ლოდერელი ოდნავ კეკლუცობდა კიდევაც პროვინციაში მესსიასავით რომ ეგებებოდნენ. ზალაში შესულმა ხელი დაიბანა საჩქაროდ. ხერიპსს ანიშნა საოპერაციო ოთახში გამოიყვანეთო ავადმყოფი. ხერიპსი ნალღობდა კაროლინა რომ ვერ დაბრუნდა სოსუმუიდან, უცხო ასისტენტის მოყვანაც არ უნდოდა, ამიტომაც ხერიპსმა და დაშამ გამოიყვანეს ავადმყოფი საწოლ ოთახიდან. ცრემლმორეულნი ბაბუა ტარიელ და ლუკია ლაბახუა უკან მოსდევდათ.

ლოდერელმა შენიშნა მოხუცი ტარიელ პანიკას ჰქმნიდა, ხოლო ლუკია ლაბახუა საკმაოდ ანტისანიტარულ არსებად მოეჩვენა, ამიტომაც ანიშნა ხერიპსს: ორივენი გაეყვანათ საოპერაციო ოთახიდან. საოპერაციო მაგიდაზე აიყვანეს თუ არა, მყისვე შეიკნო თამარმა თეთრხალათიანი ლოდერელი. განცვიფრდა ფრიად. რატომღაც დროის შეგნება დაკარგულმა ასე იგულისხმა თითქოს კლინიკაში შეხვედრის მეორე დღეს მოსულიყო ლოდერელი მის სანახავად.

მერმე ნაწყვეტნაწყვეტად ამოსკურდნენ მისი მახსოვრების ზედაპირზე ტფილისის სამეანო კლინიკის თეთრი ფარდები, რალაც სამგლოვიარო იერს გადაიკრავდნენ ის თეთრი ფარდები. მერმე დერეფნებში მოზიშშიმე სტუდენტები მოიგონა, ხელგაბთხუნული ორდინატორები და სტუდენტები. ხლოროფორმისა და იადაფორმის სუნი, საოცარი ის იყო ახლაც ეცა საიდგანლაც ხლოროფორმის სუნი თამარს. მას გული შეუღონდა.

მერმე მიუბალოვდა პროფესორი ლოდერელი, შუბლზე ხელი დაადო ავადმყოფს, უყურა მცირე ხანს თამარს.

ლოდერელის გულში აწრილდა ინტერესი: სად ენახა თავდაპირველად ასეთი მშვენიერი სახე? ეცნაურა, მაგრამ ვერ კი მოიგონა: სად და როდის?

მერმე აყნოსეინა რალაც. თამარმა თვალი გააბილა. ახლა მაჯაზე წაავლო ხელი ლოდერელმა. თამარი უკვე დარწმუნდა ეს უკვე სრული

სიცხადე იყო. შეხედა ლოდერელს, ტფილისის კლინიკა მოაკრიფა, მანანა ანჩაბაძის განკვეთა თვალწინ დაუდგა, მერმე გადახედა მუშის კრიბებში ჩალაგებულ ნიკელის ქანგებს, მაშებს, კატეტებსა და კორუქტებს, რაღაც ბედითი ელვარება მოსაედა ამ ნიკელის უცნაურ საგნებს. — ჩუქჩუქჩუქ თვალიდან გამოდინდა ერთადერთი წვეთი ცრემლისა, დაწვისთავი გადაიარა და ყვრიმალისაგენ წაეიდა წკანწკარით.

ოთახში ხლოროფორმის სუნი დადგა.

ლოდერელმა რქის სათვალე გაიკეთა, ხერიპსმა ნიკელის საქურველი ჩაალაგა ნიკელისავე ტაფაში და შტეტსელი შეარქო. მერმე დიდხანს ესმოდა თამარს წყლის ჩუხჩუხი და ეს ხმა ისე გაძლიერებულად ესმოდა, თითქოს დიზელის მოტორი გიზგიზებდესო.

ლოდერელმა გულდაკოდილად შეავლო თვალი საოპერაციო შეზღონგზე გაშოთილ მშვენიერ სხეულს ქალისას, მერმე მოწიწებით ახადა პერანგი.

ყური მიადო მუცელზე.

ნაყოფი მკვდარიყო უჩურჩულა ხერიპსს.

„ვინ ექიმობდა?“ იკითხა ლოდერელმა.

„ექიმი ფერაძე“.

ლოდერელი მოიღუშა.

საშვილოსნოს გარეშე ორსულობასთან გვეჭონიყო საქმე.

ხერიპსი გულმგაგარი იყო ოპერაციის დროს, მაგრამ როცა ლოდერელის შეუბრალებელმა ხელმა მისი საყვარელი დის სხეული განკვეთა, სახეზე სიკვდილის ფერი გადაედო და ერთ წუთში ისე შეტორტმანდა ხერიპსი, თითქოს იატაკი შექანდაო მის ფერხთით.

წასვლის წინ დამდურებულსავეით ჩაუარა ლოდერელმა სავარძელში მოდრეკილად ჩაგარდნილ ბაბუა ტარიელს, როცა ავტომობილი ათბზთუხდა, ლოდერელმა ხელი გაუწოდა ხერიპსს, ეს და უთხრა ხმადაბლა:

დროზე რომ გეხმეთ, რამეს ვეშველიდიო.

ლუკია ლაბახუამ ეს გაიგონა. აეტოს შეახტა, ქიშკრის გასაღებად თან წაყვა და მერმე უკან აღარ დაბრუნებულა.

.. მთელი ღამე უსტევენდნენ ბულბულები შარვაშიძენათ ხილნარში. ზღარბი მოუსვენრად შარიშურობდა ნაზამთრალ ფოთლებში, დაზნეჭილ ტოტებიდან ყვავილის ფერფლი სცვივოდა თოვლის ფიფქისებრ სიუხვით.

ამდგრეულ, ტალებიან მთვარეს ღრუბელი ზედ გადადებოდა, სათანჯოს ციხეს შემოივლიო წვიმის ღურბელი. იღუმალების ბნელი ფრთები გადაეფოფრა მთელემაზე ბაღნარს.

ნაშუალამევესაც არ იყო შეწყვეტილი სისხლის დენა. მხოლოდ უსინათლო ძიძა დაფათურობდა თამარის საწოლის ახლოს. სულგანაბული ხერაბ-

სი კაროლინას ოთახში გუშავობდა; იქვე სავარძელში მოკვეცილ ხეზე მო-
და დაზაფრული ბაბუა ტარიელ.

უსინათლო ძიძა უკვე მიმხედარიყო, რომ აქ გატყუებული სე-
რიოზული რამ უნდა ყოფილიყო, ვიდრე ყვეაილობატონები.

ლანდების სამყაროს კიდემდის მიღწეულს, თამარს არც თავისიანების
ხმა ესმოდა, არც რაიმე ჩქაში ხილნარიდან, არც აკაციების ხეივნიდან მო-
მავალი ხმა ბუღბუღლისა.

წყალოო დაიძახა თამარმა, ძიძა დაფაცურდა, მინიშნებულ ჭიქას ხე-
ლი წაავლო, ვიდრე ავადმყოფს თავზე წამოადგებოდა, მისოუსტ მიშველვ,
დაიძახა ავადმყოფმა მერმე იკივლა და გაიბრძოლა.

როცა ხეროპი თავზე წამოადგა თამარს, მისი გრძელი წამწამები არ
აღმართულან ეჭიმის ფეხისხმაზე ჩვეულებრივად.

მერმე შეტოკდა თამარის გაფითრებული ზემო ტუჩი: დედა მოიცა,
მოვდივარო, ესა სოჭვა და გონებაშილეულ ავადმყოფის შეგნებაში ისევ
შემოვიდა დედა. თამარისათვის ნაჩუქარი ჯვარი ეჭირა შავებით მოსილს
მარჯვენა ხელში. მერმე წაავლო ხელი ჯახანამ თავის საყვარელ ქალს, წა-
მოაყენა და ფანჯარასთან მიიყვანა ხმის გაუღებლად.

შავი, შავი ფრთილები მჭეარტლისა სთოვს ღრუბლიან ციდან და ხე-
დაეს თამარი, თვალნათლივ ხედავს დოღია ქადრების ხეივანში გა-
მართული.

აგერ მუშტისოდენა აბდულაპ რამაზ ოღლი მოაქნებს ცხენს, მის
უკან გრძელკისერა ლაკირბაია მოჯირითებს, მას მალაზონია მოჰყვება
ჩაბალახით თავწაკრული, წითელ ჩაბალახიანი არზაყანი არაბიას მოაგელ-
ვებს, მას შეიდი ძმა ტარბა უკან მოხდევენ ყოყინითა და დამბაჩების სრო-
ლით, გაასწრო ყველას არაბიამ და გამოჩნდა უცებ შავ ჩოხიანი თარაშ
ემხვარი, იგი მწვანე ცხენზე ზის, შავი ჩაბალახით პირშებურული.

თამარი იხედებოდა ფანჯრიდან ეს უნდა სახეში შეხედოს როგორმე
თარაშ ემხვარს.

აჰა, გაასწრო ემხვარმა აბდულაპ რამაზ ოღლის, მალაზონიას გამოუდ-
გა ყოყინით, მალაზონიაც უკან დასტოვა, შედიღე ტარბას გადაასწრო.
თამარი კრთის თარაშ ემხვარს არ მიუშვირონ დამბაჩები ტარბებმა, მაგ-
რამ შორს გაასწრო ემხვარმა ტარბებს. ახლა არაბიას გაუსწორდა უკვე
მწვანე ცხენზე შემჯდარი მხედარი. დელავს, თამარი, ვაჰ თუ არაბიამ
აჯობოს მწვანე ცხენს. მოჰქრის შავ ჩაბალახიანი მხედარი, მდულარეში
ჩავარდნილ კაცსავით ყოვის, ეუცნაურა ეს გამხვრეტი. წერილი თამარ
შარვაშიძეს, ვინ მისცაო ასეთი დიაცური, ამაზრუნენი ხმა თარაშ ემხვარს?
და უკვირს.

აჰა, გადაასწრო მწვანე ცხენმა არაბიას, მხედარს ჩაბალახის ბალოთები
აუფრიალა ქარმა და ხედავს თამარი თარაშ ემხვარის ნაცვლად კბილდახრ-

ქენილი ჩონჩხი, შემჯდარა მწვანე ცხენზე, თარაშის ჩაბნა-ახლოებაში გამოწყობილი.

„სახელი მისი სიკვდილი“, ამბობს თამარის გვერდით მდგანამ უწყდა და ჯვარი მიუშვირა ამ მოჩვენებას. იკივლა საშინლად თანსარში.

ძიძას უკვე მაგრად ეჭირა მისი მკლავები გამხმარ ხელებში, ძლივს აკაეებდა საწოლზე ავადმყოფს.

როცა ხერბსი, ბაბუა ტარიელ და მსახური დაშა შემოაკვივდნენ, მისი გრძელი წამწამები აღარ იძვროდნენ ჩამჭრალი თვალების ქუთუთოებზე გაყინულნი.

მცირე ხანს ხროტივებდა სწეული, მერმე სახის სანთლისფერ ნაკეთებში გადასა სიყვითლე სუნმიღებულ ვარდის ფურცლობის მაგვარი და მტკივნეული ღიმი შეახმა გაფითრებულ ბაგეზე თამარს.

ბენგალის ცეცხლისფრად აენთო ცისკარი აკაციების გადაღმა, რუბისფერი ტალები გადაფრქვია ლამის ლაზულის ცას, მარტოხელა ბულბული სტვენდა ვარიერაზე აკაციების გადაღმა და ეს ნაღვლიანი სიმღერა ესმოდათ ბაღში დათრთვილულ იასამანებს, თეთრს ვარდებს და თამარის ფანჯრის წინ მოვლემარე ეაშლის ხეს.

ღიბხანს ლოცულობდა მიცვალებულის საწოლთან დამხობილი მამა და როცა სინათლე შემოაქრა ფანჯრიდან, წამოდგა. აღაპყრო ხელები მალლა და რვა საუკუნის შემდეგ, ქართლის კათალიკოსის ანტონის მიერ დაწყებული ვარდან ჭემუხვარის უკანასკნელი ნაშეირო ასდამერგე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენა გაბურძენილმა, სანახევროდ შეშლილმა ხუცესმა.

მერმე ადგა ბაბუა ტარიელ, ჩამოიღო კედლიდან ვერცხლით მოოქვილი ხატი, დაანარცხა მიწაზე და უშვერი სიტყვებით გმო იგი. ეისაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ევედრებოდა და უგალობდა.

72. ბაბ ღა ბაბი

ნაშუალამემდის „ქართლის ცხოვრება“-ს კითხულობდა თარაშ ემხვარი. მერმე მოხეზრდა ეს გაუთავებელი შესევისა და შემოსევის, წარტყვევნისა და წალეკვის ამბები. წიგნი განზე გადასდო, იწეა პირადმა, ბურუსიანი ფიჭვები ღიმილამოდნენ მის წარმოდგენაში. ტურების კვილი შემოესმა ანაზღუელად. ჯერ ორიოდე კივოდა მუხნარის პირად, მერმე ციხე-დარბაზის სანახეში აღნავლდა ერთი, მათ შეუერთდენ თხილნარისა და კოპიტნარის მახლობლად მოსულნი. მერმე აღნავლდნენ ერთობლივად ყოველი მხრიდან. ისე გააფთრებული ჩხაოდნენ და კივოდნენ ეს აბეზარნი, თითქოს ბრაზობდნენ კიდევაც კიდევ რომ ბუტაედა ცეცხლი ვარდანძე-ემხვარების ციხე-დარბაზის მახლობლად.

ასეთი ერთობლივი ღნავილით, ჩხავილით და კნავილით, მოიწყედნენ ტურები მესრებშემოცლილ ბაღისკენ, ეკლესიის ნანგრევის გადაღმა ბოხი ხმით ხორხოცობდნენ ფოცხვერები. მგელიკა ბრაზმორეული უტეედა ნა-

დირს; მაინც არად აგდებდნენ ტურები ამ დახუთული მწვერლის მწვერ-
კედას.

თარაშ ემხვარს ბავშობიდანვე განუზომელად უყვარდა ტურების კი-
ვილი. საამურია, როცა ტფილად წევხარ ზამთრის ღამეზე და შერჩეულ ნა-
დირის ჩქამი მოგვსმის. ახლა რატომღაც შეზარა ამ გათავებდებული ტყე-
ურის გნიასმა. საშინელი ყმული მორთო მგელიკამ.

თარაშს ჟრეოლასა ჰგერის მწვერის ყმული, წამოდგომა უნდოდა.
შებზინებოდა მწვეარს და გაეჩუმებინა. დაეზარა, გვერდი იცვალა. თვა-
ლი დახუჭა. ფიჭრი ფიჭის აეკვიტა.

შესაძლოა, წრეულს ისევ გადაიკარგოს თარაშ ემხვარი სადმე. ახლა
კი, სამუდამოდ გადაიკარგოს. მოხუცებული ცირუნია ფესვმომპალ კბილ-
სავით დაფამფალებს, საცაა ცირუნია მოკვდება და ჩაპჭრება სამუდამეა-
მოდ ვარდანიძე-ემხვარების ძველთა-ძველი ოჯახის კერა. თემსაბჭო ამ სა-
სახლეს სოფლის შუაგულში გადაიტანს და იქ დადგამს. ახლაც ევაჭრებიან
თარაშს, კოოპერატივის ბაზისთვის გვინდაო.

მერმე დაცუქდება ბებერი მგელიკა ნამოსახლარზე და აყმუვლდება.
ღამღამობით ტურები და ფოცხვერები მოვლენ და გამართავენ შემზარავ
კონცერტს.

შესაძლოა, ეს სულ მალე მოხდეს, სულ მცირე ხანში აღარ იქნეს ამ
ქვეყანაზე თარაშ ემხვარი...

ეს გაიფიქრა და თავათვე გაოცდა.

როგორ თუ არ იქნეს???

ფიჭრობს, წარმოდგენას ამისას ღამობს. მაგრამ თავათაც არ ესმის
როგორ შეიძლება იგი აღარ იქნეს?

ბალიშში თავი ჩარგო და ისე შესცქერის საყუთაზი სიცოცხლის
ეტლს, თითქოს ეს თავათ როდი იყოს თარაშ ემხვარი. აქ კი სავსებით
ცარიელი ადგილი რჩება მის წარმოდგენაში.

ეს „აღარ იქნეს“, სწორედ ეგ არის საშინელისა და ენითუთქმელის
ბედითი სამანი. აქ უნდა დაესვას წერტილი ვარდანიძე-ემხვარების გრძელ-
სა და ბნელ მატთანს.

ისევ შეიცვალა გვერდი, კათალიკოსის ეტრატი მოაგონდა, ასდამერვე
ფსალმუნის საზარელი წყევა.

ვინ მოიგონა ასეთი ბარბაროსული სიტყვები, ცხელი და მწველი,
როგორც დომნების დარიდან გადმონთხეული ფოლადის ღვართქაფი?
უღაბნოს ცხუნვარება მოპქრის ამ საშინელი სიტყვების ლანჭერიდან.

დიდხანს ტრიალებდა ლოგინში თარაში. ასდამერვე ფსალმურის
ლექსებს იმეორებდა უხმოდ. უფროდაუფრო ძლიერდებოდა ტურების
ღნავილი და ფოცხვერების ხორხუკი. დიდხანს ებრძოდა უძილობას და
მერმე ჩასთვლიმა ტურების კივილისგან გულშეღონებულმა.

და ეზმანება ტრამალზე მიაგვლებს ყორნისფერ ცხენს. სუვისავით მოვარდნილი ტრამალები ეგებიან ფეხქვეშ, უკაცრიელი, უდაბური, ურწყული ველები. და ჰქრის არაეი საშინელი, გულმეშრევი ქვეშა სამკერდამდის მოსწვდენია ცხენს.

შეტოკდა ანაზდეულად ცხენიცა და მხედარიც.

ეს ლალუმმა დაიგრიალა. ადგენ კუდიანი ჭარები აღმოსავლიდან, დასავლიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და გაისმა შორისშორს ლალუმების ერთობლივი გრიალი. დაიძრნენ მეწყერები მთის კალთებიდან, აზანზარდა ყარყუმის სამოსელში შესულრული კავკასიონი, თარაშ ემზვარის საყვარელი კავკასიონი, ჯერ აღისფერმა ელვებმა დასხებეს მყინვარწვერები და მერმე დადგა საშინელი გრუხუნი ცასა და მყარს შორის.

ავარდა ქვიშიანი მტკერის ბული ჰაერში, მოიკლაკნება უშველებელი მრეში ურჩხული, საომარ ლოინსავით ყელმოღერებული. მოდის, მოიზლაზნება ამპარტაევანად თავაწეული და ცეცხლის მგზნებარეს აფრქვევს პირიდან.

ქორა მახვში დამხობილა ქვიშაზე, ქორა მახვში და ბებერი გურანდუბტ და ლაღებენ: „დიდება შენდა უფალო მეზირ“.

თვალის დაფახულებაც ვერ მოასწრო თარაშ ემზვარმა და გამოქანდა წითელ მერანზე მჯდარი არზაყან ზეამბაია, ლეკურით წააცალა თავი მუზირს, საშინელი ბული დააყენეს გაქანებული ცხენის ფლოქვებმა და გადაყვა აღისფერ არავს ცხენიცა და მხედარიც.

ატყდა ისევ ლალუმების გრიალ გრიალი, შედრკა და შეტოკდა ხელმეორედ კავკასიონი და დახვედა ტრამალზე უშბას მწვერვალი, ეს უჯი-ათი მჯილი სატანისა ცად ილანძული.

სისხლისფრად შეუფაკდა ცას ცალი დაწვი, ახლა ყაზიბეგის მთა დაეშვა ძირს და დაიმარხა ტრამალის ქვიშაში კავკასიონის იგემიუწვდენელი მშვენება.

მოდის გულნაღვლიანი თარაში, ჩრდილოეთისკენ მიყვება ცხენი რომელიდაც მდინარის კიდეს. აკვირდება მხედარი ნაპირებს. ეს არც ფაზისია ძველი ბერძნების მშვენიერი მითებითა და ლექსებით გაბრწყინებულნი, არც მისი უფროსი ძმა მტკეარია იგი, საქართველოს და ირანის პოეტების გულის მურაზი, არც ალაზანი კახეთის ჯაგარი, არც თეთრი, არც შავი არაგვი, მოისმის ისევე ლალუმების შორეული გრუხუნი, იღწებიან გარშემო ციხე კოშკები ამ ბნელი მდინარის ნაპირებზე ჭადრაკულად განრიგებულნი.

დაიგრიალა, დაიქუხა ქვესკნელის პირმა, შესძრა ქვეყანა და ძირს დაეშვა გულამაყი ჯვარის ტაძარი. ახლა ხელიკისფერმა სვეტი ცხოველმა გაიღვა მრეშ სინათლეში და მერმე სრიალით წავიდა ძირს, მეწყერებისგან ვადახერგილ ჯურღმულებისკენ.

აჰა, ვადმოძღვარა ზედაზენის მთაზე ლუკია ლაბახუა ოქტომის ეკლესიის ბუკი ვაურჭკია სისხლმორეულ პირში და აზანზარებუკი კლავს ცხელი ცა და მყარს.

ჭერეჭიანი მუცელი მოუჩანს ძონძებიდან, თხის კლიკები გამოსხმია და რქები თხისა.

კალასფერი ცა ხელმისაწვდენზე ჩამოფხატვია ზედაზენის მთას. დღე დამდგარა რისხვისა და ზარი საშინელი.

გამოსულა მზვარეში ერი ურიცხვი ვითა ყვავილი. ზიმშიმებს დიდი და მცირე.

თვალნათლივ ხედავს თარაშ ემხვარი საშინელისა არმაზის მთაზე ორი ჭანდაკი აღუმართავთ კვლავ, ორნივ სპილენძისანი თხემიდან ტერფამდის. ორთავეს ჯაკუი აცვიათ ოქროსანი ტანთ, ოქროსა და ვერცხლის პოლოტიკნი, საბარკლენი, სამკვლავენი და სამარჯურნი. თვალი ჰქონდათ ზურმუხტისანი და ბივრიტისანი. ორთავეს ხრძალი იქცევისი ხელთ ეყარათ და უმოწყალოთ მუსკრიდნენ ურთიერთს.

ძახილითა და მახვილით ვადმოიჭრა თარაშ ემხვარი ცხენიდან და ვიდრემდის თავზუჩიან რაინდებს გამზავებლად ჩაუდგებოდა, ორივეს თავი გაგორდა ქვიშაზე.

დახედა თარაშ ემხვარმა და შეიცნო: იღუმალეებათა და წინაპართა კერპები-გაც და გაიმ.

78. თარაშ ემხვარის მისამი ზნა

ციურნიაჲ კარი შემოალო. ემხვარს ბალიშიდან თავი გადაეარღნოდა. კისერი საწყალობლად განზე მოღრეჯოდა, კენესოდა ოფლში გაღვარული. შეებრაღა მოხლეს ზმანებისაგან გვემული. დიდხანს აღვიძა ამოდმერძე დაუწყნარდა მპინარეს სახე. ამოიოხრა და ვადმობრუნდა. ციურნია წასვლას აპირებდა და სწორედ ამ დროს გაახიღა თარაშმა თვალი.

საუხმე მზად არისო, ბატონიშვილო.

ამბობს ციურნია და ბარათი გადასცა.

თარაშმა ვახტანგ იამანიძის ხელი შეიცნო. წამოდგა, სავარძელში ჩაჯდა და დიდხანს კითხულობდა ბარათს. მერმე ციურნია მეზობლისას გაგზავნა. ბარათი ნაკუწებად აჭკია და იქვე ნიჟარის საფერფლეზე დაყარა. მამისეულ კაბინეტში შევიდა. კარები გადაარაზა. საოცარი ნოტიო დამდგარიყო წინალამუნდელ თქეშისაგან ოთახში. ფოტოგრაფიულ სურათებს წამალი გადასელოდა, სახეშეშლილი მოსჩანდნენ კედლებზე გაწკაპული ვადარეცხილი ფიგურები. საწერი მაგიდის უჯრიდან ბრაუნინგა გამოიღო თარაშმა.

წინაკართან მივიდა, იგიც ვადარაზა.

მაგიდას მიუჯდა და ძალაგაცლილი ხელით დაიწყო წერა:

«ტფილისი, გურამიშვილის ქ. № 35,



ქართული

ვახტანგ იამანიძისადმი.

ძმავ ვახტანგ,

შენმა ბარათმა მრავალი იარა განმიახლა და მამულებიანი ხელში. თუმცა შესაძლოა, ამ მძიმე წუთებში უამისოდაც მომეწერა ორი-ორდე სტრიქონი შენთვის. ჩვენ ხომ რამდენიმე წლის მანძილზე, თანაბარ გულისწუხილს განვიცდიდით იქ უცხოეთში და გზაშიაც მრავალი წამება გადავებდა. სვანეთში ყოფნის დროსაც მრავალჯერ მომნატრებია შენთან შეხმიანება, მაგრამ ისე მოეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენი გზები ანაზღვეულად გასცილდნენ ურთიერთს. ამიტომაც, გადავწყვეტილი ბარათის მოწერას და სახვლიოდ გადავდებდი უთუოდ. მგშინოდა: ვამ, თუ გუნება წაუხდინო მეთქი.

ბარათის მოწერას, ან საერთოდ წერას რა აზრი აქვს, თუ დიდი სიწრფელე თან არ ახლავს ნაწერს. მე უკვე ამ ქვეყნიურისა მანამდის ვარ მიღწეული და გულწრფელად ვალიარებ აქ ყოველივეს, რადგან დაბეჯითებით ვიცი სხვისი აზრები ვერას მავნებენ იქ, სადაც ადამიანის ქრიაშული ველარ მოწვდება. მე მგონია, მხოლოდ ასეთ მიჯნამდის მიღწეულს თუ შეუძლია მართალის თქმა, სიკვდილ-სიცოცხლის სამანამდის მიღწეულს. ამიტომაც მუდამ ოინაზობად მიმანდა იუბილეის მომლოდინე მწერლების და მინისტრების აღსარებები და შემუარები ნებიერ ცხოვრების ფარგლებში დაწერილი. მე სიკვდილს შევცქერი უკვე თვალეებში და აღსარებისებრ სიწრფელით ვალიარებ აქ ყოველივეს. შესაძლოა, შენ უფრო განგამკვიდროს ამ სტრიქონებმა საკუთარ რწმენაში, ან ეგებ ვისმეს სხვას აჩვენო და მას მოხედეს გულზე. ხომ გახსოვს რომში რაც გითხარი, ორი გზაა მეთქი. ამ ეამად მსოფლიოში, ორად ორი გზაა, სტალინისა და მუსოლინის გზა. შენ პირველი ამოირჩიე და მე მგონია, შენი მდგომარეობის კაცს სხვა არჩევანი აღარ შეგეძლო. მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ ვერც ერთს დავადექი.

და ეს მომივიდა არა სიძაბუნის წყალობით (მე ჯერ ამირანობა არსად დამიქადნია, მაგრამ ვაქცაქობა ყოველთვის მყოფნიდა, სხვას თუ ვერას გავხდებოდი, საკუთარი სატევრით გამეკეთებინა ხარაკირი. ყოველ იპონელზე უფრო ბეჯითად და აუღელვებლად, მაგრამ მე ამ დღეს ვუცდიდი.)

მოკლედ გეტყვი ძმავ, მე ვერც ერთ მათგნს ვერ დავადექი, ორივე დაბშული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომელად მიყვარდა, ველარასოდეს აღსდგება აწი. კიდევ ერთიც უნდა გაუწყო: სვანეთიდან მობრუნებულმა, ეს პირველად შევიცანი ჩემს სიცოცხლეში, ერთი კაცი თავის უდიდესი სიბრძნითაც შლევის შთაბეჭდილებას რომ ახდენს. ამიტომაც ამ მესამე გზას დავადექი მე უნებლიედ.

ლოგიკის ძალით მე ბევრ რამეში შენ გეთანხმები, მაგრამ ხომ გახ-

სოცს ვატყიანში რომ გითხარი, მაშაპაპათა ზნეთავან ჩვენ ისე შეტყობილი ვართ მეთქი, როგორც ლაოკოონის მამა და შვილები გარსმობეული გველის სხეულისაგან.

ვარდანიძე-ემხვარები ჯიუტები ყოფილან ოდითავანვე. ამ სოჯიუტემ პერლაშეზის სასაფლაომდის ატარა მამა და მე არც კი ვიცი საფლავს თუ გამითხრის ვინმე.

მეგონა სევანეთში გადახვეწით გავექცეოდი გარს მომდგარს გრიალს ლალუმებისას, მაგრამ შევეცი.

ხელი მომეცარა სიყვარულში, სამეცნიერო ასპარეზზედ ხელი მომეცარა, ერთ რამეში არ მომეცარება მგონია ხელი და ამას ჩემი ბრალნიგი გადასჭრის უკეთ...

ეს ბარათი უჩვენე ყველას, ვინც ყოყმანობს, ყველას უჩვენე, თანაც უთხარი ყველას, ჩემს ნატერფალზე არავინ შესდგას ფეხი, რადგან საშინელი წყევლით დადაღულია ვარდანიძე-ემხვარების ეტლი და სარბიელი. ჩემი გზა აწ იჭითყენ მიდის, საიდანაც ხმაც ველარ ბრუნდება.

თავისი სახელი და გვარი მოაწერა თარაშ ემხვარმა მაშინალურად ბარათს, კონვერტი დახურა. გამოალო ურთხელის კარადა, გამოიტანა თავისი შრომა „კოლხური ფეტიშიზმისათვის“, ბუხარში შეუკეთა და ცეცხლი გაუჩინა, როცა ქალაღი თუნუქისღარ ფენებად გადაიქცა, გამობრუნდა, რვეოლვერი ხელში აიღო. ფანჯარა გაალო, ჭადრის ძირას დაცუქულ მგელიკას დაუძახა. კარი გაულო. ძალლი შემოვიდა ოთახში, თავლისფერი კეთილი თვალებით შემოხედა თარაშს. თარაში მივიდა, დრუნჩხე ხელი წაავლო:

უბნება: „შე საწყალო მგელიკა, შენ მაინც უნდა წამომყეე იმ სოფელს. თორემ ნაფუძარზე დაცუქალები და დაიწყებ ყმუილს.“

მერმე დაიხარა, შუბლზე აკოცა ძალღს, გაუშვა ხელი და იმავე ადგილას სადაც აკოცა ესროლა ბრალნიგი. სისხღში ამოსერილი ძალღი დაცვა მის ფერხთით. ისეე საწერ მაგიდასთან მიტრიაღდა. ყორნისფრად ეღავდა ბრალნიგი, რალაც ბეღითი ლაპლაპი შეიცნო ემხვარმა ამ კრიალა სიშავეში.

მერმე ეს უნღოდა: მარცხენა ძღძღს ქვეშ მოეღინჯა ადგილი ლღლით და სწორედ ამ ღროს საშინელი ბრალნი ასტეხა ვიღაცამ წინაკარზე. მთღათ ვაფითრებღღმა ბრალნიგი ჯღბაში ჩაიღო. კარი გამოალო თუ არა ლღკია ლაბახუა შემოვარღა სახეირეღღი. იღღა ტყისკაციღთ ვაბურძღენიღი ლღკია, უმწეღღ დაეღღ პირი.

მცირე ხანს აფახღღღღა წამწამღღს, მერმე უეცარი ხაეღი ამოხღა, ხეღღები შეაშვეღღ უღიათო ბღღკუნს, ისეე დაებრღღენა ენა და მწიღღღ წამწამღღს უღენაურად აპარაღღღღღა; მაჯღღღანიღთ ამოზიღღა პირიღღან ორიღღღღღ, დაკეპიღღი სიტყღა.

და თარაშ ემხვარმა ეს გაიღღო:

თამარი კვდებოა...

შენს ნახევას ნატრობსო თამარი...

თარაშმა ოთახში შემოიყვანა ტალახში ამოსვრილი

„რად მოკალი ძალლი პატონისქეა?“

ამბობს ლუკაია.

„არაფერი, გაცოფთა ძალლი ჩემო ლუკაია, გაცოფთა და მოვკალი, ყველა უნდა მოიკლას, ვინც გაცოფდებდა, ააა, რას იტყვი, ლუკაია, ხო? ასეა, ცოფიანი უნდა მოიკლას.“

ლუკაიამ თავისი ისრიმისფერი, უაზრო თვალები შემოანათა. და თარაშმა განავრძო:

ნამეტანს ყმუოდა მგელიკა ლუკაია, ამ ძალლებს ასეთი ჩვეულება აქვთ, დაცუქედებიან ნაფუძარზე და ასტეხენ ყმუილს, არა?“

ლუკაია მილად დაღეული დგას და თავს უქნევს.

დასეა და წვრილად ამბობინა ლოდერელის ბოსელა, და მისი უკანასკნელი სიტყვები: დროზე რომ გეხმეთ, გადაეარჩენდიო. ემზვარს ლოდერელის სახელი უწინაც განავრძინა პქონდა. სავარძლიდან ველარ წამოდგახმის ამოღების უნარი წაერთო.

ლუკაია ჯერ ოთახში დაბრზილდა, მერმე ცირუნისათან შებორილდა, გამობრუნდა, დაცუქედა კართან, დაჯდა და ისევ აფახულდნენ მწითური წამწამები.

თარაშმა ველარ აიტანა ენაბრგენილის წამებისათვის მზერა. აიენაზე გავიდა, პაერი შეისუნთქა, მერმე ისევ შემობრუნდა ოთახში. სავარძელში ჩასეა ლუკაია. დაამშვიდა. გამოკითხავდა დინჯად, რითი მოხვედიო, ან ენგურზე როგორ გადმოხვედიო?

გამოირკვა: უკანასკნელ ბორანს გამოიყვანა ლუკაია. შემდეგ ამისა, მე თავათ ვნახეო, თუ როგორ გაგლიჯა წყალმა ჯაქვის ბაგირი. რკინისგზის ხიდი წუხელ დაუნგრევიასო ენგურს.

ცხენიო!

ეს სიტყვა აღმოხდა უნებლიედ ემზვარს. ეშბას ცხენი თუ გავო ენგურზე. ასე ამბობდა ლუკაია. მაგრამ ეშბას ცხენი სობუმში ყოფილა წაყვანილი. ზეამბაიას ცირა გამოდგებო, მაგრამ ცირას ფეხი აქვსო დაშავეზული. ეს თარაშმაც კარგად იცოდა,

„მინც შეიარე შურიგე, ცხენს როგორ დაკვიკავენს არზაყან.“

ეუბნება ლუკაია თარაშს.

* *

თარაშმა ლუკაია შინ დასტოვა. ჩაბალახი მზარზე გადაიგდო, არზაყანის სახლისკენ გაიმართა. მიდიოდა გულშეღონებული თემშარაზე; აღზნებულისყო მის გულში თამარისადმი უსაზღვრო სიბრალული.

სიბრალული იყო ეს განა? არა, ათასგზის უფრო მეტი. საშინელი სევდა ამ ადამიანისადმი, რომელსაც სიცოცხლეში ჯეროვანად ვერ აფასებდა და

როცა იგი სიკვდილის პირზე მიაყენა, ახლა მისდამი სიყვარული კვლავ შემოგზნებოდა გულზე, რადგან სიცოცხლის საფასურად შეიყვინძა იგი თამარს.

შენეობა მოემატა ამ აზრის გულში გამველვლებს. მთელი თავის სიცოცხლეში მას ერთხელ მიეცა შემთხვევა, ვინმესთვის თავი გაეწირა და შესაძლოა ამან გადამარჩინოსო.

ეს ვაიფიქრა თარაშ ემზებარმა და მოეჭიდა კიდევაც ამ აზრს.

უკვე არზაყანის კარ-მიდამოს მისდგომოდა ფიქრში გართული. სადღა იყო კაც ზეამზაიასეული მაღალი მესრები! ან ასწლოვანი ხეები ეზოსი. რამის პლანტაციები მოეწყო აქ კოლმეურნეობას.

* *

სწორედ იმ დღით რაიკომში ეხმოდ არზაყან საჩქაროდ. ძაბული საშეზობლოში აპირებდა გადასვლას და არზაყანი მოულოდნელად შინ დაბრუნდა და არაბია თან მოიყენა გახარებულმა.

არაბიას მოყვანამ მთელი ოჯახი გაახარა. ჯამუ და ქელეში სტიროდნენ სიხარულისაგან.

არზაყანმა ახალი ფრენჩი და შარვალი მოიკითხა. კერასთან დაჯდა. ხვალ ზუგდიდს ვაპირებო წასვლას. ესა სთქვა და დაგლეჯილ ადვირებსა და მოსართავეებს დაუწყო კერვა. ძაბულის გულმა რეჩხი უყო.

„იცი არზაყან, თამარი უკანასკნელ დღეში არისო!“

არზაყანს განაგონი ჰქონდა: ყვეფილბატონები დამართნიაო თამარს. მაგრამ ამ ამბავმა შეზარა მაინც. არ შეიმჩნია, სადგისი გაუყარა თასმაში და ცალკებად შეეკითხა ძაბულის:

ვინ გითხრაო შენ ეს ამბავი?

თამარის დეიდა ჩამოსულაო მარშანიას ქალი ამ დღით, ზუგდიდს მინაგლა მაგრამ ბორანი წყალს წაუღია, აღარც მატარებელი დადისო ქვეყანა შესძრაო ტირილით მარშანიას ქალმა.

მცირე ხანს დუმილი ჩასდგა ორთავეს შორის, როგორც ყრუ და გადაუალი კედელი.

კერავს არზაყან არლანის მიერ დაწყვეტილ მოსართავეებს, და სულ სხვაგანა ჰქრის მისი გულის ფიქრი იღუმალი. შესაძლოა დღეს არ მოფრინდეს ცეკას მდივანი, ქუთაისის რაიონის გაცნობა თუ მოათავა, დღეს ჩამოფრინდება, თუ არა და სამი დღის შემდეგ მოფრინდებაო.

თუ სამი დღის შემდეგ, მაშინ ზუგდიდის ჩასვლას კიდევ მოასწრებს არზაყანი.

ენგური ადიდებულაო? მერე რა? განა შარშან ამ დროს არ გადალახა არზაყანმა გაშმაგებული ენგური? შარშან ყოველივე კარგად იყო, ახლა თამარის სიცოცხლე განსაცდელში ეგულება არზაყანს და ენგურა რას გაუმკლავდება მას?

თამარი უნდა ნახოს არზაყანმა და ამას არაფერი დაუდგენა წინ, ენ-
გური კი არა, შავმა ზღვამ რომ გადმოლახოს ხმელის კედლებზე და წარღ-
ნას ქვეყანა თუნდაც...

გამსახურდია

მერმე თავი აიღო არზაყანმა და შეეკითხა ძაბულის:
ნუთუ ისე გაურთულდაო ყვეილი მაგ ქალს?
ძაბულის ეს უნდოდა თვალეზში შეეხედა არზაყანისთვის, მაგრამ არ-
ზაყანმა თავი დახარა და განზე გაწეული თასმა შემოაწყდა უცაბედად
ხელში.

„რა ყვეილი? ვითომდაც არ იცი რა სჭირს!“

??? „მე საიდან მეცოდინება?“

ძაბულიმ კიდევ შეხედა თავდახრილ არზაყანს და ხმადაბლა სთქვა:

„ეს მერვე თვეა, რაც თამარი ორსულადაა.“

არზაყანი დადუმდა. ერთ წამში ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს
გულის არეში ჩაუწყდაო რაღაც. უნდოდა ეკითხა: ვისგანო? ეს ზედმეტად
ჩასთვალა.

„ვისგანო? კმ, ვისგან, ვინა ამას კითხვა უნდა? ვისგან იქნება?“

ეს უთხრა თავისთავს არზაყანმა და სადგისი გაუვარდა ხელიდან.

ადგომა დააპირა გაგორებულ სადგისის ასაღებად, წელი ველარ ბი-
ტანა. მერმე ფეხი გამოჰკრა, ახლოს მოახოჩა, აიღო, მაგრამ სადგისი ვე-
ლარ გაუყარა მაჯაგანით გამოქნილ ღვედს.

უადგილოდ გაკერილი გასჭრა, ორივე თავი ურთიერთს გადაასვენა.
ტენს უნდა მიეხედოეო წაიბუტბუტა და გავიდა გარედ.

როცა თარაშ ემზებარმა სამზადში ფეხი შემოდგა, ძაბული დაიბნა.
ყურებამდის გაწითლდა, რადგან ჯერაც ჩაუცმელი იყო. ჯამუ და ქელეშა
მივარდნენ, შუბლზე აკოცა თარაშმა ბალებს. გულამღერეული იყო, მა-
ინც გამოიღო საალერსო სიტყვები მათთვის.

დაჯდა თარაში, ჯერ ძიძა მოიკითხა, საავადმყოფოდან როდის გამოს-
წერთო? მეზობლები ახსენა.

არზაყანი შემობრუნდა თუ არა, ძაბულიმ ქვეშეცნეულად შეატყო:
არ იამა არზაყანს თარაშის მოსვლა. ჯერ მიწისფერი დაედო სახეზე, მერ-
მე ფერნამკთალობა სიწითლეთი შეეცვალა, ყურები შეუფაკლდა, მაინც
ნაძალადევი თავაზიანობით შეეგება:

„აა მოხვედი? კარგი რომ მოხვედი მისოუსტ.“

ძაბული საუზმისათვის დატრიალდა. თარაშმა იცრუა: ესეცაა ვისაოზ-
მეო. არზაყანს სათქმელი გამოლოვდა. მას უკვე აღარ შეეძლო თარაშის
ატანა. მიხვდა: დასაჯდომად არ იყო მოსული, მაინც სთხოვა დაიმუხლეთ.
გულში კი ეს უნდოდა: მალე გასცლოდა ემზებარი აქაურობას.

თარაშმა სამფეხა სკამი აიღო თავით. კერასთან დაჯდა. მკვერტილიან
სამზადს თვალი მოაეღო და დურბელისაგან ყელგამოღარული ჯამლეთ

ტარბა დაუდგა თვალწინ. ერთბაშად მოიცილა თავიდან ეს ჩვენება და ჯიქურად მიმართა არზაყანს:

„იცი არზაყან რისთვის მოვედი?“ და მცირე ხნისაღწერის შემდეგ დასძინა: „ზუგდიდს მივალ, ცხენი უნდა მათხოვო.“

„ცირას ფეხი სტკივა, არაბია ესეცაა რაც დამიბრუნა ლიჩელიმ, მეც ზუგდიდს ვაპირებდი, მაგრამ წაიყვანე, რა გავწყობა.“

თარაში წამოდგა.

„ახლა გინდა?“ შეეკითხა არზაყან და თავათაც წამოდგა.

„ამ წუთში უნდა წავიდე.“

სულთოდე წუთის მანძილზე ხმის ამოუღებლად კაზმავდნენ ორივენი არაბიას და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს გავაზე ხელი მოუტატუნა არზაყანმა ცხენს და თარაშს შეესიტყვა:

„ბორანი რომ არ იქნეს, მისოუსტ, რას იზამ?“

„გავალ როგორში.“

„ჯანაბასაც წასულხარ“, გაიფიქრა არზაყანმა და მის გულში იმედი ჩაისახა. ეგებ სასიკვდილოდ შეუკაზმეო ცხენი ამ დაწყვეტილ ემხვარს. არაბიაც არ ენაღვლებოდა ამ წუთში, მისი საყვარელი არაბიაც, თუ კი იგი იკისრებდა თარაშ ემხვარის სიკვდილის დემონად გახდომას.

თარაში არაბიას მოახტა, ორიოდ ნაბიჯიც არ ჰქონდა ცხენს გადაღვმული, არზაყანი გამობრუნდა, გულდაწყვეტილად შეხედა თავის საყვარელ ულაცს. ცოტა მომიცადეო სთხოვა და სახლში შევიდა. კარგა ხანს აცდევინა მაგნოლიის ქვეშ ცხენოსანს. მერმე ქალაქში გახვეული ნივთი მოუტანა თარაშს და ეს უთხრა:

„ეს თამარს გადაეციო, შარშან ვიპოვნეო ეს ჯვარი ილორში, მაგრამ არ ვუმხელდიო განზრახ.“

თარაშმა თამარის ჯვარი იცნო.

შინმობრუნებული არზაყან კარის ადგილიდან ეუბნება ძაბულის:

„ადე, ჩაიცი, მე მაინც თემსბჰოში მივიღეარ, ხელი მოვაწეროთო დღესვე.“

ძაბულის სიხარულის ცრემლებით ავესო თვალი.

ზანღუცს მიადგა და თავის ერთად ერთ საგარეო კაბას დაუწყო ძებნა, სამხრობა მოწვეულიყო, როცა თარაშ ემხვარი დაადგა გზას.

74. ბაყაყის სიკვდილი

ლუკია ლაბახუმ აღარ დაუცადა თარაშ ემხვარს. ცირუნამ თვალი ჰკიდა ჭიშკრამდის მიღწეულს. შეშა ჰქონდა საიხეი ცირუნიას. მიამახა:

„მოიცა შე ბედდამწვარო ლუკია, წაიხემსე რამე, ისე წადი“.

ლუკიას დაცდილი ჰქონდა: როცა ეტყოდენ სკამეო რამე, ეს იმას ნიშნავდა ან წყალს მოაზიდვინებდნენ ჰიდან, ან სადმე გაავზავნიდნენ.

„აბა ესა სთქვი შე უხანო, როდის მოხვალ ლუკია, როდის მოხვალ?“ ემუდარებოდა ცირუნია, მისდევდა კალთააკეცილი.

„არასოდეს, არასოდეს.“

მიუგო ლუკაიამ და უმატა ძუნძულს. გარბოდა ლუკაია, ცალ ხელს შარვალზე ივლებდა, ძლივს იმაგრებდა ჩამოჩაჩულსაჲ კრემ ვეფხვსაჲ ამოსვრილს.

კონტანტინე გამაბრძენიძე

როგორც იყო ოქუშის ეკლესიამდის შიადწია, ძველთაძველი ბუკი გამოათრია, სამრეკლოზე გაიტანა.

გადახედა ოქუშის ხეობას ლუკაია ლაბახუამ, მერმე დაკრა ბუკი-მოესმა მრგვინავე ეხო, ისეთი კმაყოფილება იგრანო თითქოს მოსისხარის სისხლი აეღო. ისევ მიიყუდა სპილენძის საყვირი და აბლავდა ბუკი.

მერმე ხედავდა სამრეკლოდან თუ როგორ გამოიბოდნენ ახლგაზრდები მოედნიდან. ხის კიბეები ჩამოიბინა და ჩალიანში გაუჩინარდა. სამი-ოდე კილომეტრი იარა ეწერ-ეწერ, ჭალებში იბეტიალა და ისევ თეშშარაზე გარბოდა. ისე გამალებული მიძუნძულებდა თითქოს მთელი ოქუშის მოსახლეობა მდევრად გამოდგომოდა უკან. ცალი ხელი გულზე ჰქონდა მიხუტებული, აფრთხილებულ გულს იმაგრებდა და გარბოდა ღონემიხდილი ბერიკაცო. ენგურამდის ვერც კი შიადწევდა მეურმეებს რომ არ წამოწოდა.

ნაჯიხვარის ფონთან მოტორიან ნავს მიუსწრო. გზის ოსტატები გადაჰყავდათ ვალმა.

დაეღრიჯა ლუკაია ლაბახუა მუშებს: მიხედეთ თქვენს ღმერთს, სულთმოპობაჲ ავადმოყოფთან წამალი მიმაქვსო.

ბევრი აპაპმულეს მუშებმა, შენ მიხედო ჩვენ ღმერთს, ჩვენიცა და შენიც შენთვის დაგვილოცნიაო. და როცა ცრემლებმა იწვიმა ბერიკაცის დალეულ ლაწვებზე, შეიბრაღეს და ენგურს გადაღმა გადასვეს.

ჯერ კიდევ ზუგდიდში არ იყო ლუკაია შესული, შარდინ აღშინაი შემოეყარა გზაზე. ბუკეთი ეჭირა ცალ ხელში მამალ ინდაურსავით გაფხორილს, ცალიც კილასონიას ცოლისთვის გაეყარა. არ იიმა შარდინს ლუკაიას შეხვედრა. თვალი აარიდა გლახას, მაგრამ ლუკაია მოურიდებლად მიეჭრა, ამავეი ჰკითხა. იუკადრისა შარდინ აღშინაიამ როგორ გამიბედაო გამოცნაურება ამ შლუმ. ცალყბად მიუგდო პასუხი: წუხელ გარდაიცვალა თამარი.

იქვე ჩაიკეცა ლუკაიამ, ხელები დაიშინა თავპირზე. ადგა, გაბრუნდა და დადიანისეულ წისქვილისაკენ მიმავალ ნაურმალს მიყვა.

ახლად ნათესი ყანები წყალს გადაერეცხა. მეთოლიეებით, ვარხვებით და ყანჩებით მოფენილიყო ველი. მიდიოდა ფეხშიშველი ლუკაია, მიტოპავდა მუხლამდის ჰოკყოში წვრილი, დიაცური, წვრილი ხმით მოსთქვამდა გზადაგზა.

კამეჩების მწყემსები გამოუდგნენ ლუკაიას, ხომ არ გცემო ლუკაია მღვდელმა?

„აჲუ, ლუკაია, აჲ“, ხარზარებდნენ ლაფში ამოსერული კაცის შეშურენი.

„მცემეს, მცემეს“. ყვიროდა ლუკაია, ვიშვიშვით შერყვნილი-ანს.

„უჩივლე ლუკაია, შე სახელძაღლო, უჩივლე“.

მისძახოდნენ მწყემსები. ორ თითს იღებდნენ პირში და უსტევენდნენ.

„დამანებეთ თავი, სიკვდილი მაცალეთ თქვე მამაძაღლებო.“

ხავოდა ლუკაია და მოფოროთხავდა ძლივს.

იარა ლუკაიამ, იარა, იარა...

ახლა ქაობების საშრობ არქებს გადააწყდა ლუკაია. უზარმაზარი ჯებირები მოეწყოთ ცოფიანი ენგურის დასაქავებლად. გამოეტენათ ქაობი და მისი ბინადარი ყამირებიდან ნაყოფიერ ველებად ექციათ თვალუწვდენელი ეწერი და ლიქიანი. ამ წელს უკანასკნელად შებრძოლებოდა თავაწყვეტილი ენგური ადამიანის ხელით მიწყობილ საღტეებს, აქა-იქ ჯებირები გადალახა ძველ სანავარდოს მინატრებულსა. ისევ დამდგარიყო მოშწვანო წყალი ნავებარებში და ბაყაყებს კვლავ მოეძებნათ ნაწვევი სავანე.

მღუმარედ ჩაუარა ლუკაიამ მუშების ბარაკებს. შეეშინდა: ადამიანს არ გადაპყროდა.

დასვენების დღე იყო და ძეხორციელი არსად ჰკანებდა. ისევ ლიქიანი დაიწყო მერმე, უდაბური კატბარდები და უნაყოფო ეწერი.

ეწერები არ თავდებოდნენ. აქ უკვე არც კაცის, არც სხვა ცხოველის ნატრფალი არსად მოსჩანდა. არც მწყემსების სტენა, არც ფრინველის ჩკში. ბაყაყებს, ჯოჯოებს და გველებს დარჩენილ თითქოს ქაობი მუდმივ საუფლოდ. მიძუნძულებდა ლუკაია ლაბახუა, გატრუნულ ბუნებას შესჩივოდა თავის უსაზღვრო გლოვას.

შხარი ატყეოდა დადიანისეულ წისქვილისაკენ მიმავალს. გოცდა როცა ტბას მიადგა გარინდებულს და ლელიანსა. თეთრი ღრუბლები უძრავად ეციდნენ მოშწვანო წყალში. გუბის გარშემო უამრავ ბაყაყს ამოეყო თავი, ისზდნენ და ვიშვიშებდნენ მცურავნი. საზარელი გნისი დამდგარიყო გარშემო.

მწყემსი ბიჭი ჩასაფრულიყო ლელში, ანკესი ჩაეშვა ტბაში. ისე მიეახლა ლუკაია მწყემსს, არც კი შეუნიშნავს შეანკესე. უცებ დაიშხვლა ანკესის ტარმა. შეერთა ფიჭრში წასული ლუკაია და სწორედ მის ფერხთით დაეცა ბალახებში რაღაც. მიეჭრა შეანკესე ნადავლს და თევზის ნაცვლად ბაყაყი რა ნახა ანკესზე წამოგებული, ბრაზი წაეკადა და ფეხი დაპკრა ქვეწარმავალს. წელეები გამოსცივედა პირიდან მცურავს. თვალუბი გადმოეკაკლა ხმაწართმეულს.

თავზე წამოადგა ლუკაია სულთმოზრძავს. ბაყაყი-უკვე მკვდარი იყო

და ორივე უკანა ფეხს დიდხანს აფხარკალებდა. მერმე ცალი ფეხიც გაუშეშდა. ახლა მეორე ტოკაედა ჰაერში.

დასწყველა ბიჭი ლუკაია ლაბახუამ, ცრემლები მთქმინდა და გაუღვა გზას.

შელამებულზე დადიანისეულ წისქვილამდის ძლივს მიალწია. ქვეშ სადგომზე შეყენებული ცარიელი ურმები დაუხედა წისქვილის კარზე-მუნიანი ძალი გორგალივით მოდრეკილი იწვა ზედ წისქვილის კარზე.

ჯებირი გაერღვია მდინარეს, ღარებს აღარ ყოფნიდა წყალი. ბაყაყებით გაესილიყო წისქვილის კალაპოტი, იჭაურობას იკლებდნენ კრიახით.

ზოსიმიას ჩხირი გაუხრავს კარის რაზაში, სადღაც წასულიყო თავათ.

ფრთხილად გადააღაჯა ლუკაიამ მძინარე ძაღლს. დადუმებულ წისქვილში ბაიბური აღარ ისმოდა. საშინელი მარტოობა შემოენთო გულზე ლუკაიას. გარედან ძაღლის ჭყიბინი ისმოდა და ბაყაყების ხორალური მოთქმა. სად წასულიყო მოსიშია?

ბაღლივით გული ამოუჯდა ლუკაიას. დაჯდა დაესებულ კერის წინ. ისევ დაიშინა ხელები თავზე. დაბალი, დიაცური ხმით მოსთქვამდა ისევე, როგორც ოდიშელ ქალებს სჩვევიათ ხოლმე ძველი მიცვალებულის გამოტირების დროს. ეს იყო მხოლოდ ლუკაიას აღარ ყოფნიდა ის მკერვემეტყველება, ოდიშელები რომ იჩენენ ხოლმე „ვალუა“-ში.

ერთსა და იმავეს იმეორებდა ლუკაია:

მე მიტირებდი მეგონაო, შურივე, შენ გახდიო ჩემი სატირალი. მე ისე მოკვდები ცრემლიც დაენანებათო ჩემთვის. გაეცინებაო ყველას ჩემი სიკვდილის გამგონეს.

ეს იყო და ეს, მერმე ჩაუწყდა ხმა ვონებაარეულს. და ცრემლებიც გამოეღია. ადგა. კარი გამოაღო. გახედა ურმის გზას. ზოსიმია აღარსად სჩანდა. უკვე ტურები ღნაოდნენ წისქვილის შემოგარენში. მწუხრი დაშვებულიყო გზაზე. ნისლი დგებოდა ჭაობებიდან და ენდროსფერ ცისკენ მიიზღაზნებოდა, ცოტახანს დაწრიალებდა დადუმებულ წისქვილში. მერმე კერის პირად გდებულ ტომარაზე ჩამოჯდა და ნელა დაუსტვინა ისე, როგორც წყალთან მიყვანილ ცხენს დაუსტვენენ ხოლმე, ან მამალ ინდოურს როცა დედლის დასაპებლად წააქეზებენ.

სტვენა შესწყვიტა ლუკაიამ. ზმაგაკმენდილი იჯდა მცირე ხანს. გარკვევით ესმოდა თუ როგორ გამოეყო ბნელს უზარმაზარი გველი, ზოსიმიას „ანგელოზთ ბატონი“.

თავაწეული მოიზღაზნებოდა მცურავი, მოასავსავებდა ორკაპიანენას, მოაციმციმებდა ამაზრენ თვალებს და ლუკაიას მოეჩვენა: იქედნურად უღიმოდა იგი დიდი ხნის უნახავ სტუმარს.

მერმე უცნაურ ზურტყუნს მოყვა ლუკაია ლაბახუა. ასხმარტალდა

მის ფერთხით გველი. დასწვდა ლუკაია ასომახვით დრეკელ სლიპ სხელუს და კალთაში ჩაისვა უნასი.

ჯერ დაუყვავა შელოცვებით, ტკბილი ჩურჩულენი და შემდეგ თავისი გამხმარი ფრჩხილები მოავლო კუდზე და უჩქიბა მკერდზე.

წაიგრძელა კისერი ქვე წარმავალმა და ზედ ადამის ვაშლთან მისწვდა ბერიკაცს ყელში.

შემზარავი ხმით დაიგმინა ლუკაია ლაბახუამ, ფქვილის ტომრებზე გადაესვენა მუისვე. ასე იწვა მცირე ხანს, მერმე გაასახსნა ჰაერში ცალი ფეხი. ისევე როგორც მწყემსის მიერ გასრესილმა ბაყაყმა და უკვე აღარ იყო.....

ნაშუაღამევს ზოსიმია მობრუნდა წისქვილში. ჰრატი ანთო თუ არა, ტომრებზე გადაწოლილი ლუკაია ლაბახუა შენიშნა.

სძინავსო გაიფიქრა და თავისი დაკონკილი ტყაბუქი ზედგადააფინა ცხედარს.

75. პაეროკლანი და უჩმის ფერსო.

დილის ათი საათიც არ იქნებოდა, როცა კობორას ტყის აღმოსავლეთით პაეროკლანი გამოჩნდა. ლომკაც ესევანჯიას და ბესლან ტარბას ბობოლები გაეყვანათ კობორას ტყეში. დიდ მუხის ძირას დაბანაკებული თავკაცები ბკობდნენ. საყვირის ხმაზე თავმოყრილმა აფხაზმა გლეხებმა მსხვერპლი შესწირეს ხეთა მეფეს და ლოცვები აღავლინეს. პაეროკლანის გუზგუზმა დიდი აურზაური შეიტანა ბობოლებში. თვითმფრინავი მცირე ხანს ირაოს აკეთებდა ეთერში და შემდეგ კობორას ტყეს გადაეწვო და აღმოსავლეთით მდებარე ველზე დაეშვა.

ჩალმაზმა, ლიჩელიმ და არზაყანმა თითქმის სირბილით მიაშურეს სტარტის ადგილს.

თვითმფრინავიდან გადმოხტა ტანშორჩილი კაცი.

ლიჩელიმ და ჩალმაზმა საქართველოს ცეკას მდივანი შეიცვენეს.

იგი ლიჩელისა და ჩალმაზს მიუბრუნდა:

„თქვენი მოხსენებითი ბარათი ქუთაისში გადმომცეს. წავიდეთ“.

ესა სთქვა და წინ გაუძღვა დამხედურებს.

როცა იმ მუხასთან მიაღწიეს, სადაც ლომკაც ესევანჯია და ბესლან ტარბა ისხდნენ, დროული კაცებიც ელვის უსწრაფესად ზეწამოიჭრნენ, ერთად ერთი ლომკაც ესევანჯია იჯდა მუხის ფესვებზე, იდაყვები კვირისთავებზე დაეყრდნო, ხელები ჩაქინდრულ თავზე შემოეწყყო, გაფითრებული დასცქეროდა მიწას.

ცეკას მდივანმა ჩალმაზს ანიშნა და ჩალმაზმა აფხაზურად ამცნო მათ წინაშე მდგარ თავშიშველ გლეხებს: ჩაბალახები დაეხურათ ისევე. მოხუცებულნი გაოცდნენ და ისევე შეიბურვეს ჩაბალახებით მელოტი თავები.

თვალეები გაოცებული შესცქეროდნენ ახალმოსულს. ერთი რიბოდათ აფხაზებს, რომ მას არც გრძელი წვერი ჰქონდა, არც იარაღი ემშენებდა წელს და არც ორდენები მკერდს. უბრალო, პალტო ეცევა, ხევეულებზეში ჩაეწყო; იგი ფრიად ძუნწობდა ხმის ვალებისას, და თვკაზაჩეუვი მტმუნუსხველი თვალეებით უფრო მეტად აკვირდებოდა იმათ, ვისაც რაიმეს გამოკითხავდა გულდინჯად, აუღელვებლად, მშვიდად; ხშირად შეუშინვეელი, ოდნავ დამკინავი ღიმილი შესძრავდა ზოლმე მის მოკუმულ ბაგეს, როცა რომელიმე ბოზოლა თავის მიხრწნილებს იმედით, რაიმეს შეუსაბამოს წამოტორტლავდა ზოლმე.

და ისე გავიდა ცეკას მდივანი კობორას ტყიდან, ბოზოლებმა ვერც კი შეატყვეს: რა შთაბეჭდილებით წავიდა იგი მათგან.

ნახევარ საათში ახალი განკარგულებანი გაიცა. არენბა არლანი მოხსნეს, მისი საქმე პარტკოლეგიას გადაეცა, რაიკომის მდივანად როსტომ ლიჩელი დაინიშნა, ჩალმაზი და არზაყანი დააწინაურეს და ცენტრში დანიშნეს.

* * *

ჰაეროპლანი ნაადრავლ ძერასავით ადგა კობორას ველიდან. ირავ გააკეთა უკვე დაცალიერებულ კობორას ტყეზე და აღმოსავლეთისკენ გაფრინდა.

არზაყან ცეკას მდივნისა და ჩალმაზის ზურგს უკან იჯდა. მოტორის გიზ-გიზში მათი კანტი კუნტი ვასაუბრებაც აღარ ესმოდა.

ანარის ნისლიდან მწვერვალს მიხედა, კოლხეთის დაფნარიან გორმახებს, სვანეთის ყინვიან მწვერვალებისკენ გაექცა თვალი, მერმე ოდნავ ძირს დაეშვა ჰაეროპლანი. ენგურს გადახედა კიდებიდან გადმომსქდარს, ურთას მთას, რუხისა და სათანჯოს ციხეებს, ზუგდიდის სანახებს და ელგის უსწრავესად უკან დასტოვა უკანასკნელი წლის ტანჯვის ასპარეზი.

უმატა სრბოლას თვითმფრინავმა. ცას მოსდებოდა ენდროსფერი. ელვარე ფთილები ღურბლისა; შხარმარჯენით დარჩნენ კოლხეთის ნარინჯის წალკოტები, ფაზისის ნოყიერი ველები, შემდეგ მოდგა ქართლის ზეგანის მშენება მზითა და სიკისკასით აღესილი, როგორც ახალი ცხოვრებისათვის ოცნება. სათანახევარში გადაიბრა ჰაეროპლანმა ენგურის, რიონის და მტკვრის იგავმიუწვდენელი სანახები, რომელნიც გაკვრით შე უკვე აეწერე ამ ჩემს რომანში.

და ზვალინდელი დღის სიხარულით გულმოცემული არზაყან ზეამბაია ალტყინებული განიცილიდა მანქანის მოუთმენელ გიზგისა და ცახცახს. თანაც ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა ამ წუთში: ურმის ფერსოსებრ დაფანჩულ მზის დისკოში გაძვრებო სადაცაა ჰაეროპლანი.

* * *

იმავე საღამოს რაიკომის ახალი მდივნის როსტომ ლიჩელის განკარგულებით შეიპყრეს ჯოტო გვასალია. იგი მყისვე გამოუტყდა, თავის სიმაპრს

გენჯ აფაქიმეს დაადო ხელი. დაატუსაღეს გენჯ აფაქიმეს დახუთი თავკაცი ბობოლებისა, მათ შორის ბესლან ტარბა ძმებითურთ.

ყველა სათითაოდ გამოტყდა: როგორც ოქუმის თემის მკვლელობის მარის მოკვლა, ისე ჩალმაზისა და არზაყანისათვის თავდასხმების მოწყობა აღვიარეს, მხოლოდ „რისკის კაცმა“ არ იცნო დამნაშავედ თავი, სანამ ზუთი წლის იძულებითი სამუშაო არ მიუსაჯეს.

გაგზავნეს კაცები ლომკაც ესვანჯიას შესაპყრობად, შავრამ ერთი საათის წინ ტვინში სისხლი ჩაქცეოდა ლომკაც ესვანჯიას.

76. როგორ მოიტაცა მნუჯმა მთვარი

არაბია გამზდარი ეჩვენებოდა თარაშს, მაინც კარგად მიდიოდა იგი. ზიდებზე, ბოვირებზე, ვადასვლისას თავისებურად ოჩნობდა, ორიოდ საათის გზა დარჩა ენგურამდის, მზე მიიდრიკა, გრძელი, თალხი ჩრდილები წამოწყვენ ტაფობზე, დამუქდა ველი, ბინდი შეეყარა ტყეებს. აჩქარებს ემზვარი დღემორეულ ცხენს, და მისი ფიჭვი თამარისკენ მიიწევს. ისევ ამოილა ჯვარი.

ფიჭობს: გაეხარდებო უთუოდ თამარს ჯვარის პოვნა. საინტერესოა რა უფრო გაეხარდება: დედისეული ჯვარის პოვნა, თუ თარაშის ნახვა?

მოხუცი ტარიელ შარვაშიძე წარმოუდგა თვალწინ. არაფერია... ამ განსაცდელის პირისპირ რა სახსენებელია გამოჩერჩეტებული ნახუცარის ბუზღუნა. ახლა ხელმეორედ აღსდგა მის გულში თამარის სიყვარული. შარშანდელი ზაფხულის ბედნიერი დღეები მოაგონდა, ის ღამე, საერთაშორისო ვაგონში გატარებული. და განუზომელი სიხარული იქნება თარაშ ემზვარისთვის თუნდაც სიკვდილის წუთებში მიუსწროს საყვარელს და სულ ერთია, მისი აღსასრულიც არაა შორს. როგორ ბრძნულად მოეზომია ეს ყოველივე განგებას, ერთ დღეს შესწყვეტენ ისინი სუნთქვას თარაში და თამარი.

ენგური გადაუდგა ახლა ამ საოცარ საწადელს, თუ ბედმა ერთხელ მაინც გაუღიმა ემზვარს და ენგურზე გავიდა, თავის ცხოვრების უკანაქნელი სანატრი ამზდარი იქნება. ახლა ლუკაია ლაბახუა დაუდგა თვალწინ, სულზე არ მოუსწრო ბერიკაცმა? როგორი ფატალური ამბები ხდება ამ ქვეყანაზე. ვერც ერთი რომანისტი ვერ მოიგონებდა უკეთეს ფინალს. კაპულეტტისა და მონტეკის ამბავი მოიგონა. ვის სჭირდებოდა ამ საუკუნოში კაპულეტტისა და მონტეკის რომანტიული ამბავის ნაგვიანები განმეორება.

ჭეშმარიტად, ვერც ერთი რომანისტი ვერ მოიგონებდა უკეთესს ფინალს.

ისევ ლუკაია ლაბახუას ტუჩიერი გაახსენდა. სისხლიანი პირი ჰქონდა

ამ დღით ლუკაისს, ხომ არ მოეჩვენა თარაშ ემზვარი ეს ამბავი? არა, ნამდვილად სისხლიანი...

ჰმ, პირველ დღესვე, შეზარა თარაშ ემზვარი ამ მკვლელობისკაცი, ამ საოცარი კომპლეს შეხვედრამ.

და მის დაჯღანულ ტუჩებს უნდა დასცდნოდა თამარის აღსასრულის ამბავი? მას უნდა გაეთქვა ბედისწერის საშინელი კაპრიზი? კიდევ ერთი დაფახულება თვალის და თარაშ ემზვარი აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე.....

* * *
ნახევარი გზაც არ ჰქონდა ქენებით გავლილი, როცა სამივე მოსართავები დაუწყდა ემზვარს.

სოფელში შეაყენა ცხენი.

მეუნაგრე თუ არისო აქ ვინმე?

მეუნაგრე ამ სოფელში არ აღმოჩნდა. ოცი კილომეტრის მანძილზე უნდა გაბრუნდეს უკან. ეს მანძილიც გადალახა ძლივს.

მეუნაგრეს ღუქანი დაეკეტნა. შინ მუშაობსო ბებერი მეუნაგრე. ვიდრემდის მიხრწნილი ბერიკაცი თასმებს თავსმოუყრიდა, მოსართავებს დაკონკავედა აჯანკალეზულ ხელებით, ორიოდ საათიც გავიდა ამასობაში.

დაინტერესდა მეუნაგრე: რა გიჭირსო ყმაწვილო, ასე დაუზოგავად რომ გიქენებიაო ცხენი?

დედა მიკვდებოა ენგურს გადაღმა, იცრუა თარაშმა.

საღლა არისო ასეთი შვილები, დედის გულისთვის ენგურს რომ გავაო ამაღამ. ბუზლუნებდა ბერიკაცი. გვარი და სახელი ჰკითხა მეუნაგრემ თარაშ ემზვარს.

იცრუა: სოხუმელი ძაგანია ვარო.

ახლა თავის გაჭირვებას მოყვა მეუნაგრე. დაებერდიო ამბობდა, თვალში სინათლე აღარა მაქვსო, ნემსში ძაფს ველარ ვუყრიო.

მერმე თავისი უბედური შვილის ამბავი დაიწყო: გერმანიის ფრონტზე იბრძოდაო სამ წელიწადს. უდიდეს ომს გადაურჩაო ვაჟკაცი, სამი ჯვარი მიიღო ბრძოლებში. შინ ბრუნდებოდაო ნაომარი, ერთი დღე არ მოიკადაო მამის ნახვის დანატრულებულმა. ენგურზე გადმოდიოდაო ღამით და დამეხრჩოეო მარჩენალი შვილი. თარაში დადუმდა და მეუნაგრეს გამოეთხოვა. ერთი საათი გზა უკლდა ენგურამდის. სამი ცხენოსანი გამოჩნდა ნაურმაღზე.

თარაშმა საღამი მისცა წინ შომავალ მოხუცს.

ენგურის ამბავი გამოიკითხა.

დოღზე მინავლან აჰანდარელი აფხაზები. ენგურზე ვერ გასულან. მათაც დაუმოწმეს: ბორანიც წაიღო წყალმა.

თარაშმა ცხენი დასძრა და მოხუცი გამობრუნდა:

„სად მიხვალ ყმაწვილო, არ გვიჯერებ რომ გეუბნებით?“



„მე ისე მაქვს საქმე უთუოდ უნდა გავიდე“.

ნუ წახვალ მამაშვილობას, ენგური ჯერ არავის შეწყვეტე და დასული... მამად გერგები, ნუ, გამობრუნდი მამაშვილობაში მერმე ახალგაზრდები გამოუდგნენ ემხვარს. გვარი ჰკითხეს.

ემხვარი ვარო რომ გაიგონეს, მოხუცმა ცხენი გააბრუნა და ეს უთხრა ხმადაბლა ცხენოსნებს:

„თავი დაანებე, ეს ისეთი ჯილაგის კაცი ყოფილა, მამა ღმერთი ვერ გამოაბრუნებს.“

ცხენი გააქენა თარაშმა, ეს ფიქრი რიალეზდა მის გულში: თუ ბედისწერის წიგნში სინათლის ნატამალი დარჩენილა, ენგურს გავალო ამალამ.

კიდევ ერთი დღე უნდა გამოსძალოს თარაშმა განგებას, სიცოცხლის ერთი დღე კიდევ... და თამარის სიყვარული ამად ღირს, კიდევ ერთი დღე რომ ისუნთქოს ემხვარმა. და კვლავ ენგური გააბსენდა.

ვინ გადასულა აბრილში ენგურზე?

ვამებ ანჩაბაძე დაიბრჩო, მაგრამ კაც ზეამბაია ყოველ წელს გადადიოდა, შარშანწინ თარაში და არზაყანი მან გადაიყვანა. და მოაგონდა ყიყინით რომ მოსდევდა მათ ცხენებს ბებერი მამამძღვე, ამხნევებდა ძახილით და ყიყინით. გვანჯ აფაქიძე შრაელგზის გადასულა დიდ ფონზე, მანაგვა ეშმა, შერგილ დალიანი და მის ხსოვნაში ამოტეტიენენ უკვე ჩამქრალი სახელი და გვარები, რომელთა ცხენოსნობისა და ვაეკაცობის გამო ბევრი რამ გაუგონია თარაშს, ერამხუტ ემხვარი, ძიკი შარვაშიძე, ბონდო ჩიჭოვანი, თემრაზ ბენდელია, კეგვა ევანია და თემრაზ ბერია. ამ ვაეკაცების სახელმა სიტფო და მხნეობა შემატეს თარაშს და მგლურიდან გალოპზე გადაიყვანა ცხენი.

აჰა, ენგურის ქალები!

მთვარე ამოსულიყო რუხის ციხის გადაღმა ზაფრანისფრად მოლაქდავე მთვარე.

ქშუოდა ენგური, ურჩხულებ დაგრაგნილი მდინარე ბედითად ლაპლაპებდა კაშკაშა მთვარის ციაგში. აჩქამდა თარაშის სისხლში ცხენოსანთა და მეომართა გულშამაცობა. არაბიას სწყევტა მათრაბი და მებორნის ქობთან მიაგლო ცხენი.

მკრთალი შუქი ღიმღამობდა კარის რაფებიდან.

მათრაზის ტარით დააკაკუნა თარაშმა.

აფშუმა, დაიძაბა აფხაზურად მხედარმა.

ბაიბური არსიდ ისმოდა.

„აფშუმა“...

გაიმეორა უფრო ხმამაღლა.

„რომელი ხარ?“

შემოესმა ქობიდან.

„ასას.“

უბასუხა თარაშმა. ღრიჭინით ვაილო კარი, ტყაბუქსა მოსხმული დედა-
კაცი აილანძა კარის ჩარჩოში.

„ბორანი თუ მუშაობსო“ იკითხა მხედარმა ყასიდად, თუმცა იქვე ეჭ-
დო გაწყვეტილი ჯაჭვი ბორნისა.

„ბორანმა მოგვამა ჭირი.“

ამბობს მებორნე.

თარაშს შერცხვა. რად ვიკითხო ბორანი? ვალმა მეგონაო მოიბოდი-
შა.

თვითონვე მიხვდა: ეს იმიტომაც მოუვიდა, ადამიანი უნდა ენახა წი-
ნამდებარე განსაცდელის პირისპირ.

„ვალმა ვაიხედეთ, თუ ნაპირი შენიშნოთ.“

ამბობს მებორნე.

ვაიხედა თარაშმა ვალმა, თვალისმისაწედენზე ვარვარებდა წყალი.

მებორნემ მიიპატიყა, ჩამობრძანდიო ცხენიდან ყმაწვილო.

დღეს ვილაც ვახანია ვავიდაო ცხენით, მაგრამ ეს შუის ჩასვლამდის
ნობდაო, დილა გათენდება, შენაც სცადე ბედი, დოღზე თუ მიხვალ, ზეგ
დილით დაიწყებოა დოღი.

მე დოღზე უფრო დიდი საქმე მიჭირსო.

ესა სთქვა და ცხენი გააბრუნა. ვაოცებული მებორნე ჭობიდან გამო-
ვიდა და ცხენს წაეპოტინა.

„ხუ იზამ ყმაწვილო ამას, ასეთ დროს ქაჯი ვერ გავა ენგურზე. შარ-
შან ვავიდა ერთი მამა შეილი ღამით, მაგრამ შარშან ამხელა არ ყოფილა
წყალი.“

„არა, გვეალ როგორმე.“

სთქვა თარაშმა და სადავე დაუმოკლა ცხენს.

„მე თქვენ გარჩევთ, გაბრუნდით ყმაწვილო.“

თარაში წასვლას დაადგა და მებორნე შეეკითხა: რა გვარი ხართო?

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია.“

ესა სთქვა და არაბიის სწყეიტა მათრახი.

სულ მცირე ხანს მოესმოდა ემხვარს თუ როგორ სცემდა არაბია რი-
ყზე ფლოკეებს. მერმე მოუქნია მათრახი და გადაადგო მორევში ცხენი.
ჯერ გავგო ფეხქვეშ იქ მხედარს თარსი ენგური, მოლი გაუფინაო თით-
ქოს, ყურებდაწურული არაბია მკერდულით ეძგერა ტალღებს.

ლიცლიცებდა ახლად ამოღებულ აბრეშუმის დარად მოლივლივე
წყლის ქველთა ტეხილი, ატლასისებრ ეგებოდა თავზე ხელაღებულ მხე-
დარს და ადგა თარაშ ემხვარის თვალის წინ უშველებელი ჩქერალო
წყლისა მთვარის მოსაღბუნე ლივლივში, როგორც ახალი ცხოვრების
ნათლით მოსილი გზა. და ისეთი მსუბუქი ეჩვენა მხედარს ენგურის ნარ-

ნარი რწევა, ასე ეგონა სულ რამდენიმე წუთი და გამაზნდნენ კიდეც ნაპირი.

ვლადენენ მოსარკულ წყლის ფონზე თამარის ცინცრქან წყურფერი თვალეზი...
 გინჯლიქოსეკა

შეუტია ცხენდაცხენ თარაშ ემხვარმა აზვავებულ სტრქონს, ერაზხუტ ემხვარის უბადლო გმირობა მოიგონა, როცა იგი აჩხოსთან, ერთო მუკა ჩერქეზების ამარა, ეძგერა ხმალამოწედილი ყაზახების ბატალიონებს. მოიკრიფა სიმამაცე და ნაპირისკენ პირი აჭნევირა ცხენს, რათა კიდეც ერთი დღე გამოეგლიჯა ბედისწერის გამხმარ ხელიდან.

მერმე წამოვიდნენ დგანდვარით შუათანა, მედგარი ტალღები, ურჩხულისებრ დაგრაგნილნი, ბოლოსა სცემდნენ ვაევაზე ცხენს, ბალიშზე გადაურბინა წყალმა, უზანგებზე შესდგა მხედარი და დასცა ყოენა ომანიანი, ვაეკაცური ხმით. წაიგრძელა არაბიამ კისერი და ფრუტუნით ეძგერა ტალღების ლეგიონს.

მთვარეს გადაეფოფრა მოთაღხო ღრუბელი, ჩრდილები გაწენენ წყლის ზედაპირზე. აბუროთავეს არაბია ლეგა ზვირთებმა, გადაეშვა უფსკრულში ცხენი და როცა ისევ ზეამოცურდა იგი, ასე ეგონა თარაშ ემხვარს ლანდების სამყაროში მიაგელვებდა მქშინავი ულაყი. მოჰქონდა ლანქერს სვანეთიდან დაძრული ნამორები, შავი კუბოები მოსცურავენო თითქოს, შემოესმა თარაშ ემხვარს შორეული ძახილი, გამოსდგომოდა თითქოს მამამძღვე ყოენით და მიყვება არაბია ამ კუბოების ლაშქარს, როგორც მიცვალბულის შესუდრული ცხენი. ისმოდა სტვენა და ხორხოცი, როგორც დევის ქებაში იმ წვიმიან ღამეს. აღიმართებოდნენ ტალღების ბორცვები, გრიალით, სრიალით ინთქებოდნენ უფსკრულში.

უცებ შემოესმა ემხვარს ისეთი გრუხუნი, თითქოს ლაღუმებით დასძრესო კლდეები, დახვადნენო გრიალით მთები. სახეში ეცა ურჩხულსებრ აქოჩრილი ტალღა და თვალგახელილმა აღარ იცოდა უკვე სიზმარი იყო ეს ყოველივე თუ მყარი სიცხადე.

მიყვებოდა ცხენი თვალუწვდენ სრბოლას და მოჰქონდა ენგურს გრძელი და შავი კუბოები და ასე ეგონა მხედარს წაირიდნავო ხმელი და მიაჭროლებდა მას ეს ვახელეზული კორიანტელი ამ კუბოებთან ერთად თვალშეუდგამ შავეთში.

და მერმე გამოვიდა ისევ მთვარე. აკაშკაშდა წყლის ზედაპირი. ვაივაკა ხენეწით მცურავმა არაბიამ. ისევ ვაეგო მაცდური ენგური ფლოჭებს ქვეშ ცხენს, ისევ ეძგერა უშველეზული ჩქერალი სახეზე მხედარს.

გახედა რუხის ციხეს ემხვარმა და რუხის ციხე დატრიალდა ვასარკულ წყლის პირზე და მერმე დაიქცა კვლავ, როგორც ჰადრაკულად განრიგებული ციხეები სიზმარში.

ისევ აღიმართებოდნენ ქონგურებიანი ბასტიონები ბნელში და გრუხუნით ეძვებოდნენ უფსკრულში.

გაიხედა ემხვარმა და არაბია უკვე გამოეცალა წყალს. და... გიჟინა საშინელი და განწირული, თითქოს ძახილზე მოსცვივდნენო. გელავ ურჩხულები და როცა წყლიდან თავი ამოყო, მას უკვე არამარტენსევი აღარ დაუნახავს, მთვარე მისცურაედა გასარკულ წყლის პირზე. უკმაყოფილო-ვები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოვარგვარე დისკომ მთვარისამ თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებზე მგზნებარე ცალი თვალი და მიყვა მთვარეს ცნობაწარმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში.

უთენია, წავი ზღვისკენ მიჰქონდა ენგურს პირალმა მწოლარე შავჩოხიანი ცხედარი...

ლაინისფერი გადაკვროდა ზღვას მშვიდად მთელემარეს. მთვარე აღარ სჩანდა ცაზე და ერთად ერთი ღრუბლის-ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოჭროს საწმისის ფერისა.

(დასასრული)

მლ. ასათიანი

ლევ ტოლსტოი და საქართველო

რუსულ ლიტერატურაში კავკასიის ცხოვრება და თემატიკა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში პპოულოვს თვალსაჩინო გამოხატულებას. რუსეთის ცნობილი მწერალი კარამზინი ოცნებობდა „დაემსახურებია შავთვალწარბა წარმრავი ზღუქები ქალის ყურადღება“. დერევიცინსა და ეუ-ქუვსკის განხრახული პქანდათ ახლო გაცნობოდენ „შორეულ, ღამაზ თბილ სამხრეთს“ და გაეხადათ იგი თავიანთი შეოქმედების ობიექტად¹⁾.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსულ ლიტერატურაში კავკასიისადმი ინტერესი თანდათან იზრდება. ამ დროიდან გნსაკუთრებით აშკარა გახდა მ. ლის რუსეთის აგრესიული პოლიტიკა კავკასიის დასპურობად, რის შედეგად კევასია თანდათან მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. კავკასიის დაპყრობის პროცესმა რამდენიმე ათეულ წელს გასტანა. გახსაკუთრებით მთიანი კევასიის მცხოვრებნი ხ. ნ. კრძლივსა და დიდ წინააღმდეგობას უწევდენ მთაში ცეხლითა და ხახვილით შეოქმილ კოლონიზატორებს. მეფის რუსეთის მშინდელი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები კი დაიწინებით მოითხოვდა კევასიის საბლოოდ დაპყრობს. ბუნებრივია, რომ მე 19 საუკ. პირელი ნახევრის რუსულ პრესაში კევასიის ამბებს თვალსაჩინო ადგილი დასამობოდა. მმართველ პოლიტიკურ წრეებში კევასიის ამბებით დაინტერესება ძალზე დიდი იყო. ამავე დროს სამხედრო ოქმედების ცენტრალურ პუნქტად გადაქცეული შორეული კევასია წინიული იყო თავ სუფლად მოახროვენ ლიბერალური ინტელიგენციის გადასახლების ადგილად.

ცნობილია, რომ დეკაბრისტების მთელი პლეადა კავკასიაში იყო გადმოსახლებული. ამავე მოტივით მოუხდათ კევასიაში ყოფნა პუ შკინსა და ლეო მონტოვის. რამანტილად განწყობილმა პოეტებმა თავიანთი შემოქმედებით პრიზმაში გაატარეს კევასია. ლერმონტოვი და ბესტუფევი-მარლინსკი მუდამ ყინულიანი მთების, ხელუხლებული ბუნე-

¹⁾ Андрей Ровов — „Толстой на Кавказе“, Жур. „Кавказ“, 1909 г. № 1

ბის, ლამაზი კავკასიელი ქალებისა და რაინდი მამაკაცების თავისებური იდეალიზაციას აღიწინდებდა.

რომანტიულ პოეზიაში კავკასია შორეულ ოცნებებშია, კერძოდ კი ევზოტიკის საგნად გადაიქცა, კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ ომებში რომანტიულ სამოსელში გაეხვია და საქმის რეალური ვითარება მიიჩქამლა. ასეთი შეხედულება კავკასიაზე საკმაოდ ღრმად იყო განმტკიცებული რუსულ ლიტერატურაში მე-60 წლებამდის მაინც.

ეს გარემოება უსათუოდ მხედველობაშია მისაღები ლ. ტოლსტოის კავკასიაში გამოგზავრების ისახსნელად.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტიდან გამოსვლის შემდეგ ლ. ტოლსტოი, მაშინდელი შექლებული თავდაზნაურული არისტოკრატების მსაკვსად, თავაშეებულ და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. 1848-50 წლებში ლ. ტოლსტოი ხან პეტერბურგში, ხან მოსკოვში და ხან თავის სოფელ იასნაია პოლიანაში ატარებს დროს.

გამუდმებული ლოთობა, ქეიფი, ბალები, მდიდარი და ლამაზი საცოლის ძებნა, — აი ამდროინდელი ტოლსტოის იდეალი. ნიკოლოზ I სასტიკის სამხედრო-ფეოდალური რეჟიმი გამანადგურებელ გავლენას ახდენდა ლიბერალურ არისტოკრატიაზე. ასეთი უწყვეტ მდგომარეობიდან გამოსვლა ლ. ტოლსტოის რამდენჯერმე უცდია. მან ცადა თავი დაეღწია გარყვნილ წრეს და პიროვნებისათვის დამამკირებელ ატმოსფეროს. იასნაია პოლიანაში იგი ხელს აკიდებს მეურნეობის მოწესრიგებას, სურს გლეხებს შეუწესებუქას პირობები, მაგრამ არაფერი გამოდის. ფიქრობს რადიკალურად შესცვალოს ცხოვრება. სწორედ ამ დროს წაშლიერება მის წინაშე კავკასიისაკენ გამოგზავრების საკიობი. არ შეიძლება ითქვას, რომ ლ. ტოლსტოიმ კავკასია თავის გარდატეხის ობიექტად აირჩია, როგორც ამას ლ. ტოლსტოის ცნობილი ბიოგრაფი. პ. ბირილკოვი ფიქრობს.¹⁾ ლ. ტოლსტოის მაშინდელი სულიერი განწყობილება, სატახტო ქალაქებამდე მოღწეული ხმები მთიულებთან უჩვეულო ბრძოლის შესახებ, კავკასიის წარმტაცი ბუნებისა და ხალხის სურათები წინა თაობის მწერალთა თხზულებებში, — ყოველივე ეს უთუოდ ხელს უწყობდა ლ. ტოლსტოის არჩევანი კავკასიაზე შეზრებულყო.

1851 წ. აპრილში კავკასიიდან დაბრუნდა ლ. ტოლსტოის უფროსი ძმა ნიკოლოზი, რომელიც ოფიცრად მსახურობდა კავკასიის არმიაში, ნიკოლოზი მალე გამოეშრათა უკან, და 23 წლის ლ. ტოლსტოი მას გამოჰყა კავკასიისაკენ. ლ. ტოლსტოისათვის მრავალი ფიქრისა და აზრის, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო და ბუნდოვანი აზრის აღმშკრელი იყო გზა კავკასიისაკენ.

¹⁾ П. Бирюков — „Биография Л. Толстого.“ Вл. издание, 1911 г., т. I; 83-179—181.

თავის მახლობელ ნათესავს ტ. ერგოლსკაიას ასტრახანიდან ლ. ტოლსტოი წერდა: „ჯერჯერობით ძალზე კვაყ-ფილი ვარ ჩემი მოგზაურობით. მრავალი საგანი მაქვს საფიქრებლად და შემდგომ თვით კიდევ უფრო გამოცვლა ჩემთვის სასაამოვნოა“¹). ასტრახანიდან ყიზლიატზე წაქცეულნი ქალები სტაროგლადოვსკაიას სტანიცაში გადავიდნენ, სადაც ნიკოლოზ ტოლსტოი მისხურობდა. აქ მოუხდა ლ. ტოლსტოის დიდხანს ცხოვრება და აქვე ჩაეყარა საფუძველი მომავალი დიდი მწერლის მონუმენტალურ მხატვრულ ტილოებს.

სატახტო ქალაქების გახრწნილ არისტოკრატიულ წრეს მოწყვეტილი ახალგაზრდა, ნიჭიერი და დაკვივებული ლ. ტოლსტოი ღრმად აკვირდება და სწავლობს ცხოვრებას. პირველ ხანებში ლ. ტოლსტოიმ მარტობა და მოწყენილობა იგრძაო. მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს აგრეთვე კავკასიაში მყოფმა რუსის ოფიცრებმა. თავის ასეთი შთაბეჭდილებების შესახებ ლ. ტოლსტოი სტარო იურტიდან წერდა იმავე ტ. ერგოლსკაიას: „აქაური ცხოვრების სახე არაა მიწი-დედელი, როგორც მე პირველად მეჩვენა, იმიტომ რომ თვით მხარე, რომელიც მე ძალზე ღამაზად მესახებოდა, სრულებით ირაა ამ გვარი.“ მაგრამ იმავე წერილში ლ. ტოლსტოი აღნიშნავს, რომ „სათობით ვღგვეარ და ვიხიბლები ბუნების ჰეიზ ეებით“. იქვე ლ. ტოლსტოი მხატვრის კალმით იძლევა კავკასიის ბუნებას რამდენიმე სურათს.

ლ. ტოლსტოი ცდილობს მალე დააღწიოს თავი უსაქურსა და უმიზნო ცხოვრებას. თავის ერთ-ერთი კავკასიური პერიოდის ნაწარმოებში („ყაზახები“) ლ. ტოლსტოი იძლევა ამ განწყობილების რამდენიმე შტრიხს: „ოღენინმა იგრძაო მთები. ამ წუთიდან ყველაფერი, რასაც კი იკი გრძაობ და, მისთვის ღებულობდა ახალ, უადრესად ღიღებულ ხასიათს. მოსკოვში მიღებული მთელი აღზრდა, სირცხვილი და სინანული, ყოველგვარი ქენა ოცნება კავკასიის შესახებ გაქრა და არასოდეს აღარ დაბრუნებულა“. „ახლა დაიწყო, თითქოს ჩაძახა მას რაღაც საზეიმო ხმამ“. ოღენინში ლ. ტოლსტოი უთუოდ თავის თავს დაუახლოვდა. ამ განწყობილებაში იგრძნობა ახლის ძიებისა და მიზნობრივი ცხოვრების დასაწყისის სურვილი.

ლ. ტოლსტოის შემოქმედებითი ძეგლა, პირველ ხანებში მაინც, თვით ანალიზის გზით მიდის. რუსულ კრიტიკაში, ნ. ჩენჩიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვიდან დაწყებული, მრავალჯერ აღნიშნულა ლ. ტოლსტოის პირველი პერიოდის ნაწარმოებთა ავტობიოგრაფიული განხრა, ცხადია, იმ გულწრფელობის, დამაჯერებლობისა და ზომიერების დაცვით, რომელიც ლ. ტოლსტოის მხატვრული ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი იყო. მწერლის შემოქმედების ამ თავისებურებაზე ნაწილობრივი გავლენა მაინც უთუოდ კავკასიამ მოახდინა.

¹ Л. Н. Толстой — „Письма“. Книга 1, изд. Саблина, 1911г. стр. 14.

პირველად სერიოზულად აქ დაუფიქრდა მწერალი თავის წარსულ და მომავალ დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქვე ჩამოსცილდა ეგზოტიკის სამოსელი კავკასიას და სულ სხვაგვარად წარმოუდგა იგი რეალისტ მხატვარს. ამ გარემოებაზე გაკვრით ლ. ლოლსტოი მიუთითებს ტ. ერვოლსკაიასდმი მიწერილ წერილებში.

თავისი ნათესავის, ილია ტოლსტოის მეშვეობით ლევ ტოლსტოიმ ვაიკნო კავკასიის ჯარის მთავარ-სარდალი თავადი ა. ბარიატინსკი, რომელმაც ურჩია მომავალ მწერალს—სამხედრო სამსახურში შესულიყო. ლ. ტოლსტოიმ მიიღო ეს რჩევა. ამ ამბავთანაა დაკავშირებული ლ. ტოლსტოის ტფილისში ჩამოსვლა.

ტფილისში ლ. ტოლსტოი 1851 წლის პირველ ნოემბერს ჩამოვიდა: ტფილისის ლ. ტოლსტოიზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. ამავე წლის 12 ნოემბრის თარიღით გაგზავნილ წერილში ლ. ტოლსტოი ერვოლსკაიას წერს: „ტფილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ბაძავს პეტერბურგს და კიდევ აღწევს მიზანს. მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებითაც შე ვსარგებლომ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევს ჩემი მცირე საბასარი“¹⁾.

იმ დროიდან, როდესაც ლ. ტოლსტოის ტფილისში ყოფნა მოუხდა, ტფილისი მართლაც ევროპიულ ქალაქს ემსგავსება. სავაქრო კაპიტალის დიპლომატიური აგენტის მთავარმარცხებულ მ. ვორონცოვის პოლიტიკამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ტფილისში კულტურული ცხოვრების თავისებურ ფორმებში აღორძინებას. ეტყობა, ტფილისის რუსულ თეატრსა და იტალიურ ოპერას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია სატახტო ქალაქების კულტურაზე აღზრდილ ტოლსტოიზე.

ტფილისში ლ. ტოლსტოი გერმანელთა კოლონიაში დასახლებულა. „შე ვცხოვრობ გერმანელების კოლონიაში, ეს ქალაქის გარეუბანია, მაგრამ მას ჩემთვის ორი დიდი სარგებლობა მოაქვს. ერთი, რომ ეს მშვენიერი ადგილია, ბაღებითა და ვენახებით გარშემორტყული, ასე რომ აქ თავს გრძნობ უფრო სოფლად, ვიდრე ქალაქად (აქ ჯერ კიდევ ძალიან სიციხეებია და მზიანი დღეები; აქამდის არ ყოფილა არც თოვლი და არც ყინვა). მეორე უპირატესობა ისაა, რომ აქ ორ საკმაოდ დიდ ოთახში

¹⁾ იტალიური ოპერის სეზონის გახსნა ტფილისში 1851 წ. 9 ნოემბერს მოხდა. ამ დროს ტოლსტოი სწორედ ტფილისში იყო. „თეატრი საგვს იყო ხალხით; შთაბეჭდილება კი — შეაბიშნავი. ჩვენ, ოფსებს, ოპერა გვაგონებს პეტერბურგსა და ოდესას“, — წერდა ერთი დამაზრეთავანი („Кавказ“ № 87, 1851 წ.)

ბილიეთები იტალიურ ოპერაზე დასასწრებლად, როგორც ოფიციალური ცნობებიდან სწანს, მართლაც ძალზე ძვირი ყოფილა. Ложи верхняго яруса 50 р., нижняго яруса 40 р., кресла 3-х рядов 15 р., кресла от 4-го ряда 10 р. („Театр в Тифлисе“, 1854—1856 г.г. Тифлис, 1888 г.)

ვიხდი თვეში 5 მანეთს ვერცხლით, მაშინ, როდესაც ქალაქში ასეთი პინის დაქარავება 40 მანეთზე ნაკლებად არ შეიძლება. გარდა ამისა, გერმანული ენის უფასო პრაქტიკაც მაქვს, მაქვს წიგნები, სამეცადინეო-საქმეცადინეო და მოკლაც, რადვან არაეინ არ მოდის ჩემთან შესაწუხებლად, ასე რომ საერთოდ მე მოწყენილი არა ვარ¹⁾.

ამავე წერილში ლ. ტოლსტოი პირველად ამქალაქებს თავის ლიტერატურულ მუშაობას. მართალია, ლ. ტოლსტოის „სიყმაწვილის დღიურებში“ ვხვდებით შენიშვნებს თავისი ლიტერატურული ცდების შესახებ, მაგრამ ამ მუშაობას უფრო წინასწარი ვარჯიშის ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სერიოზული ლიტერატურული მუშაობისა. ამ წერილში კი ლ. ტოლსტოი ტ. ერგოლსკაიას წერდა: „გახსოვთ, კეთილო მამიდა, ერთხელ თქვენ მიჩივით მეწერა რომანები. აი მე მივდე თქვენს რჩევას და ჩემი მეცადინეობაც, რის შესახებაც გწერდით, ლიტერატურაში გამოიხატება. მე ჯერ არ ვიცი, გამოქვეყნდება თუ არა ოდესმე ის, რასაც მე ვწერ, მაგრამ ეს ისეთი საშუალებაა, რომელიც მე მართობს და რომელმაც მე ისე გამიტაცა, რომ თავს ვერ დავანებებ“²⁾.

ტფილისში ტოლსტოის ნაცნობთა წრე შეზღუდული იყო. ტფილისელ ნაცნობთა შესახებ ლ. ტოლსტოი თავის ძმას, სერგეის წერდა: „აქ, ტფილისში, მე 3 კაცს ვიცნობ. მეტი ნაცნობი ვერ შევიძინე, ერთი იმიტომ, რომ არ მსურდა, მეორეც იმიტომ, რომ არ მქონდა ამის შემთხვევა, — მე თითქმის სულ ავადმყოფობდი და მხოლოდ ერთი კვირაა, რაც კარში გამოვდივარ. პირველი ჩემი ნაცნობი ბაგრატიონია, პეტერბურგელი (ფერზენის ამხანაგი), მეორე — თავადი ბარიატინსკი. მე იგი გავიცანი მტერზე თავდასხმის დროს, რომელშიაც ვმანაწილეობდი მისი მეთაურობით, და მასთან ერთად გავატარე ერთი დღე ერთ გამაგრებულ ადგილას, ილია ტოლსტოისთან ერთად, რომელსაც მე აქ შევხვდი. უძველია, ეს ნაცნობობა დიდად ვერ გამართობს, იმიტომ რომ, შენ თვითონ მიხვდები, როგორი ნაცნობობა შეიძლება იყოს იუნკერსა და გენერალს შორის. მესამე — ჩემი ნაცნობი მეფთთაქის თანაშემწეა, პატივყარილი პოლონელი, ძალიან შემტყვევი ქმნილება. მე დარწმუნებული ვარ, რომ თავადი ბარიატინსკი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ რომელსამე სიაში მეფთთაქის თანაშემწესთან ერთად მოხედებოდა,“ — ირონიულად შენიშნავს ლ. ტოლსტოი.

ამ წერილში ლ. ტოლსტოი თავის მახლობელი ნაცნობების შესახებ ლაპარაკობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილისის მთელი საზოგადოების ცნობა ლ. ტოლსტოისათვის 3 კაცით არ ამოიწურებოდა. დაკვირვებული და მკვირცხლი გონების მქონე ტოლსტოი 2¹/₂ თვის განმავლობაში ბევრი

¹⁾ „Письма“, გვ. 21.

²⁾ Л. Толстой — „Письма“, т. I გვ. 21—22.

რამის შესწავლასა და თვალის გადავლენას მოასწრობდა. ამას გვეფიქრებინებს ტ. ერგოლსკაიასადმი მიწერილი წერილი 1851 წელს: „ნაწილობრივად განსაკუთრებით კი ლ. ტოლსტოის ცნობილი ნაწარმოებები „ჰაჯი მურატი“.

„ჰაჯი მურატი“ არ ეკუთვნის კავკასიაში ყოფნის დროს დაწერილ ნაწარმოებთა რიცხვს. ეს თემა მოფიქრებული და გააზრებულიც არ ყოფილა ამ დროს. „ჰაჯი მურატი“-ს წერა ლ. ტოლსტოიმ 1856 წლიდან დაიწყო და 1904 წელს დაამთავრა. „ჰაჯი მურატი“ ლ. ტოლსტოიმ უმთავრესად ლიტერატურული და საარტყუო მასალით და აგრეთვე დაკითხვებითა და ჩვენებებით დაამუშავა. მაგრამ პირადი დაკვირვებით და ტფილისში გაგონილი და შეყვობილი ამბებითაც უთუოდ უნდა ესარგებლა ავტორს. აქი ავტორი „ჰაჯი მურატი“-ს წინასიტყვაობაში წერს: „და მოჰგონდა ერთი ძველის ძველი კავკასიური ამბავი, როაილის ნაწილი მე თითაონ ვნახე, ნაწილი მომსწრეთაგან გავიგონე“¹⁾.

შამილის განთქმული ნაიბი ჰაჯი მურატი სწორედ 1851 წელს, ნოემბრის თვეში შეერიჯდა სხვადასხვა პიოადი მოსაზრებით მეფის რუსეთის მთავრობას. მ დეკემბერს იგი თავის „მუროდებით ტფილისში ჩამოიყვანეს მაივარმართებელ მ. ფორონცოვთან მოსალაპარაკებლად. სწორედ ამ დროს ლ. ტოლსტოი ტფილისში იმყოფებოდა. ჰაჯი მურატი შამილის ნაიბთა შორის ყველაზე განთქმული იყო თავისი გმირობითა და ვაჟაყობათ. მისი მამაცური და გმირული ბრძოლა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ მათში ცნობილი იყო უხალღეს მმართველ წრეებშიაც კი. ამიტომ ბუნებოვია თუ ტფილისის მთელი იმდროინდელი საზოგადოებრიობის ყურადღება ჰაჯი მურატო-საკენ იყო მიმართული²⁾. ეჭვს გარეშეა, რომ ლ. ტოლსტოიც დაინტერესდებოდა ამ ამბებით. და სწორედ ამის შესახებ სწერდა ლ. ტოლსტოი თავის ძმას სერგეის: „თუ გინდა თავი ისახელო კავკასიის ამბებით, შეგიძლია უამბო სხვებს, რომ მეოვე პირი შამილის შემდეგ, ვილაც ჰაჯი მურატი ამ დღეებში რუსეთის მთავრობას ჩაბარდა. ეს იყო პირველი გმირი (ჯიგოჩი) და ვაჟაყვი მთელ საჩქანოში, ჩაიღინა კი სისძაჯღე“³⁾.

„ჰაჯი მურატი“-ში ლ. ტოლსტოი სიხუსტითა და სისწორით აღწერს მთავარმართებელ ვ. ფორონცოვთან დაახლოებულ წრეს. ამ წრეში ჯეროვან ადგილს იჭერს ქართველი არისტოკრატიაც. ლ. ტოლსტოი იშვიათი ნიშნობრივი შტრიხებით აღწერს ფორონცოვთან გაპართულ სადილს: „ვო-

¹⁾ „ჰაჯი მურატი“. გვ. 13. სახელ. გამოცემლობა, 1929 წ.

²⁾ გლ. „კავკასი“ ტფილისში სათაერო სეზონის განსნის მიმოხილვასთან დაკავშირებით წერდა: „მაცურებულთა შორი“ განსკუთრებით საყურადღებონი იყვნენ სპარსეთის პრინცი ბუნუნ მირზა და განთქმული ბეოპარი, შამილის ექანაიბი ჰაჯი მურატი. მურატი და იტალიური ოპერა ტფილისში—როგორც დაახლოვება“, მოსწარებულად შენიშნედა გაზეთი „Кавказ“, 1852 წ., № 12).

³⁾ Л. Н. Толстой — „Письма“.

რონ კოვი შეიოვდა აჩქარებული ნაბიჯით. ბოდში მოიხადა ქრების წინაშე და გი. ნებინა-ვის, მიესალმა შამაკელებს და მიიხილავდა ქართველ ქრება მანანა ორბელიანს, აღზოავლოური იერის ქონი 45 წელს სრულ და მალალ ქალს და დაუწოდა ხელი, რომ სუფრისკენ შეეხვეწიყუყუა

აქვე ლ. ტოლსტოი ყურადღებას აქცევს ერთ მნიშვნელოვან დეტალს მანანა ორბელიანის დასახასიათებლად: სადილობის დროს, ჰაჯი შურატს საგმირო ამბების თხრობასთან დაკავშირებით, ერთმა გენერალმა ლაპარაკი ჩამოაგდო დარგოს ლაშქრობაზე. ეს ლაშქრობა კი რუსეთის მხედრობისათვის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა და რადგან მისი ხელმძღვანელი ვორონცოვი იყო, მას ყოველთვის ეჯაგრებოდა ამ ლაშქრობაზე ლაპარაკი. უტაქტო გენერალმა ანგარიში ვერ დაუწია ამ გარემოებას, რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა იქ დამსწრენი. სწორედ აქ გამოჩნდა მანანა ორბელიანის თავისებური ტაქტი: „გენერალმა ვერ მოაღწრო ამბის გათავება, რადგან მანანა ორბელიანმა, რომელიც ყბხვდა საქმის ვითარებას, გააწყვეტინა სიტყვა გენერალს და დაუწყო გამოკითხვა, თუ როგორ მოეწყო იგი ახალ ბინაზე ტფილისში“¹⁾

„ჰაჯი შურატ“-ში რაპდენბე დეტალით მოცემულია ერთი ქართველი შლიტენელი თავადის სახე. დახასიათება იმდენად არსებითია, რომ ის შეფინაცკლის კარზე დაახლოებული პირების ნიშნობრივ სახეს იძლევა.

მანანა ორბელიანის ჩარევამ ვერ გააქარწყლა დარგოს სამაოცხინო ლაშქრობის გახსენებით გამოწვეული უხერხული მდგომარეობა: „ყველამ უხერხულად იგრძაო თავი, მაგრამ მდგომარეობის უხერხულობა გამოაწორა ქართველმა თავადმა, ძალზე სულელმა, მაგრამ მეტად ცბიერმა და გამოქნილმა კარისკაცმა, რომელიც ვორონცოვის კნეინის მეორე მხარეს იჯდა. მან, თითქო ვერაფერს ამჩნევსო, ხმამალა დაიწყო თხრობა, თუ როგორ მოიტაცა ჰაჯი შურატმა მეხუთელელ ახმედ-ხანის ქკრივი“.

იქვე გვხვდებით ანალოგიურ ადგილს იმავე თავადის დასახასიათებლად. თავადი ჰაჯი შურატზე ამბობს:

„ის რომ ევოპაში დაბადებულიყო, შეიძლება ახალი ნაპოლეონი გამხდარიყო, — სიტყვა სულელმა ქართველმა თავადმა, რომელსაც ცბიერების დიდი ნიჭი ჰქონდა“.

„ქართველმა თავადმა კარგად იცოდა, — შენიშნავს მწერალი, — რომ ყოველი ხსენება ნაპოლეონისა, რომლის დამარცხებისათვის ვორონცოვი თეთრ ჯვარს ატარებდა ყელზე, მისთვის სასიამოვნო იქნებოდა“.

უნდა ითქვას, რომ ლ. ტოლსტოიმ ამ ორ დეტალში მოგვცა იშვიათი დახასიათება მთელი მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობისა, რომელიც ანგარების მიზნით ყოველგვარ სისაძაღლეს ჩაიდენდა. პატივით და ჯვარ-მენდლებით გატაცებული თავად-აზნაურობა მლიტენლობით სოფლო-

1) ლ. ტოლსტოი—„ჰაჯი შურატი“, გვ. 124—125.

და ვორონცოვის ყურადღების დამსახურებას და აქი იმსახურებდა კიდევ. ქალღმრთის თაბაში ქართველი თავადი ვორონცოვის მუდმივი მარტნიორი და გამართობი იყო. ლ. ტოლსტოი უფრო შორს მიდის ვორონცოვის მისაღებ ოთახში იგი ამჩნევს გაკოტრებულ ქართველ ბრძანებულსა და ბრწყინვალეა მხოლოდ ტანისამოსში შერჩენია. აქ იყო დიდებულ ქართულ ტანისამოსში გამოყოფილი გაკოტრებული ქართველი თავადი, რომელმაც იდავიდარაბა და ხელთ იგდო გაუქმებული საეკლესიო მამული*.

სურათი იმდენად რეალურია და ტიპური, რომ გიგვირს, როგორ შესძლო მწერალმა ასე გაეკრით აღნიშნულ ამბებში სინამდვილის სიზუსტით მოცემა.

როგორც აღინიშნა, მჭაჯი მურატო ლ. ტოლსტოის კავკასიაში ყოფნის 50 წლის შემდეგაა დაწერილი. მწერალი უპოვარესად ლიტერატურულ წყაროებს ემყარებოდა, მაგრამ ნახულისა და გავონილის აღდგენას საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი ნაწარმოებებში.

ლ. მიშკოვსკაიას ზედმწეებითი სიზუსტით და დოკუმენტალურად აქვს დადგენილი ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ლ. ტოლსტოი „მჭაჯი მურათის“ შექმნის დროს¹⁾. როგორც ლ. მიშკოვსკაია სამართლიანად აღნიშნავს, ვორონცოვის სადარბაზო სცენების აღწერისათვის, რომლებიც ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებს, ტოლსტოი სარგებლობდა ზისერმანის მოგონებით — „25 лет на Кавказе“.

ზისერმანის აღნიშნულ მოგონებაში ვორონცოვთან ახლო მდგომ პირთა შორის მართლაც ვხვდებით მარიამ ორბელიანის, ელენე ერისთავის, მანანა ორბელიანის და სხვა ქართველი თავადი ქალებისა და მამაკაცების სახელებს. მაგრამ ის, რაც ნიშნულია აღწერილი სცენებისათვის, ის ძირითადი, რაც ლ. ტოლსტოიმ თავის ნაწარმოებებში აღნიშნა, ზისერმანს მოხსენებული არა აქვს. მთავარი ის როდია, რომ ლ. ტოლსტოი აღნიშნავს მანანა ორბელიანის სილამაზეს ან ქართველი თავადების ვორონცოვთან სადარბაზოდ სიარულს ძირითადი ისაა, რომ ლ. ტოლსტოი იძლევა ამ თავად აზნაურთა წრის ნიშნულ დახასიათებას, რაც განსაკუთრებით ფასეულია და რაც ზისერმანს არ მოეპოება. ცხადია, ლ. ტოლსტოი არ ემყარებოდა მარტო სიარქივო მისაღას, იგი იშველიებდა იმ შთაბეჭდილებებსაც, რომლებიც მიიღო მან ტფილისში ყოფნას დროს. საფიქრებელია, რომ ლ. ტოლსტოი ტფილისში ყოფნის დროს რაზდენჯერმე სტუმრადაც იქნებოდა მ. ვორონცოვთან, როგორც ამას პ. მიშკოვსკაია შენიშნავს²⁾.

ტფილისში ლ. ტოლსტოი ოფიციალური სამხედრო პირი შეიქმნა. მანამდის კი ის კერძო მოქალაქედ ითვლებოდა. 1851 წ. 3 იანვარს კავკა-

¹⁾ Л. Мышкова — „Работа Толстого над произведением“, 1928 г., Москва.

²⁾ პ. მიშკოვსკაიას დასახელებული წიგნი, გვ. 49.

სიის არტილერიის ბრიგადის შტაბთან ლ. ტოლსტოი აბარებს საინჟინერო გამოცდებს, ლეზოლობს მე-4 კლასის ფეირვერკერის ჩინს და სარეზერვოების თავის ბრიგადაში წასასვლელად. ხოლო 13 თებერვალს ტოლსტოის სამხედრო მდგომარეობა საბოლოოდ გაფორმებულ პეჭმადეჟერსტრუქციით დაიწერა ბრძანება მისი სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის შესახებ—საბატარეო მე-4 კლასის ფეირვერკერად მე-20 საატილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეაში ¹⁾).

იანვრის შუა რიცხვიდან ლ. ტოლსტოი სამხედრო მოქმედების ხაზზე ბრუნდება საჩჩნოში და, როგორც ოფიცერი, მონაწილეობას იღებს ბრძოლებში.

1852 წ. 12 იანვარს, ტფილისიდან ახლად გამგზავრებული ლ. ტოლსტოი საყურადღებო წერილს სწერს ერგოლსკაის თავისი სულიერი განწყობილების შესახებ. ამ წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმ საგრძნობ ცვლილებას, რომელიც მან განიცადა და ამას კავკასიის გაელენას ბიწერს: „მე ძალზე შევიცვალე ზნობრივად... ერთი წლის წინად მე ვეძებდი ბედნიერებას და სიამოვნებას მოძრაობაში, ახლა კი, პირიქით, ფიზიკური და მორალური დასვენება ისაა, რასაც მე ვნატრობ. მე მგონია, რომ აზრი კავკასიაში გამომგზავრების შესახებ მე ზენამ შთამაგონა... მე ვკრძობ, რომ აქ უკეთესი შევიქნე. ეს კიდევ ცოტაა, რადგან მე ძალზე ცუდი ვიყავი და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც მე აქ შემემთხვევა, ჩემთვის უკეთესი იქნება, რადგან ღმერთს ასე სურს“.

აქ ილსარებას რომ მიატიური სამოსელი ჩამოეცილოთ, დაერწმუნდებით, რომ ლ. ტოლსტოიში მართლაც მოხდა გარდატეხა. სამხედრო საქმიანობამ უსათფოდ ხელი შეუწყო ცხოვრებასთან ლ. ტოლსტოის ახლო მისვლას. სატახტო ქალაქებში ლ. ტოლსტოი მალა, სალონურ არისტოკრატიულ წრეებში ტრიალდება. მისი შეხედულება ძალზე შეზღუდული იყო, ის გალალებული არისტოკრატიის თვალთ უყურებდა ცხოვრებას. კავკასიაში კი ლ. ტოლსტოი ხალხს შეეჯახა, მასთან ახლოს მისვლა მოუბდა. ლ. ტოლსტოი ჯერ კიდევ ლიბერალი გრადის თვალთ უყურებდა კავკასიის ამბებს. კოშმარული აზრები და არისტოკრატიული სიზანტე ხშირად ეწვეოდა ლევ ტოლსტოის. თავის „სიემაწვილის დღიურში“ 1851 წ. 11 ივნისს ლ. ტოლსტოი წერს: „ბანაკი, ღამე, უკვე ხუთი დღეა აქ ვცხოვრობ და შეპყრობილი ვარ იმ სიზარმაცით, რომელიც დიდხანს დავიწყებული მქონდა. დღიური სრულიად გადავაგდე. ბუნება, რომელზედაც მე ყველაზე მეტ იმედებს ვამყარებდი კავკასიისაკენ გამომგზავრების განზრახვის დროს, არ წარმოადგენს არაფერ წარმტაცს. სიზარმაციე, რომელიც მგონა აქ საესებით გაქყებოდა, ისევ მიპყრობს“ ²⁾ მაგრამ ასეთი

¹⁾ В. П. Федоров—„Лев Николаевич Толстой на военной службе“. Братская помощь“, 1910 г. № 12. гл. 37—42.

²⁾ Л. Н. Толстой—„Дневник молодости“, т. I, 1847—1851 г. Москва, 1917.

გაწყობილება კავკასიაში მყოფ ლ. ტოლსტოისათვის დამახასიათებელი არ იყო.

24 წლის ლ. ტოლსტოი თავის პირველ, კავკასიის შემოქმედებად დაწერილ ნაწარმოებში „Навѣр“ (დაიწერა 1852 წ.) იშვიათად რუსტრიათ გვიხატავს იმ რუს ოფიცერთა ტიპებს, რომელნიც კავკასიის თავის შექცევასა და ეგზოტიკური რომანტიკის საგნად სავლიდნენ. ვის დაავიწყდება პორუჩიკ როზენკრანცის კოხიხმამდე მისული, ნილაბ აფარებული მედიდურება „Навѣრ“ ში? პორუჩიკი, იაფფასიანი პოპულარობის მოსახვეჭად მთიულებს შორის გარეგნულ იერს იცვლის, მთიულის ტალაფერს ღებულობს და რამდენიმე ადკილობრივ სიტყვასაც სწავლობს. ტანისამოსით, ცხენზე ჯდომით, ქცევის მანერით და საერთოდ მთელი მოძრაობით ეტყობოდა, რომ ის ცდილობდა თურქს დამსკავებოდა. ის ჩვენთვის გაუგებარ ენაზე კიდევ ელაპარაკებოდა თურქებს, რომლებიც მასთან ერთად ცხენებით მიდიოდნენ; მაგრამ მათმა გაოცებულმა დამცინავმა ცქერამ დამარწმუნა, რომ მათ ამ ოფიცრის არაფერი ესმოდათ. ეს იყო ერთ-ერთი ჩვენი ოფიცერთაგანი, გულადი, მეომარი ლერმონტოვისა და მარლინსკის მიხედვით. ეს ხალხი კავკასიის „ჩვენი დროის გმირების“ თვალთ უყურებს, ზულა ნურებისა და სხვათა მსგავსად, და თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს არა თავისი მისწაფებებით, არამედ ამ ნიშუშების მსგავსად¹⁾.

ლ. ტოლსტოი საკმაოდ მოხდენილად ამითარხებს ამ ოფიცერს, ამგლავნებს მის თეატრალურ პოზას და იმ განწყობილებას, რომელიც ამ ოფიცერსა და მთიულეს შორის ნამდვილად არსებობდა. გარეგნული იერი ვერ შესცვლის საქმის ვითარებას; მტერთან მეგობრობაც ფიქტიურია. ტოლსტოის მოქყავს ერთი ეპოზოდი ამ ოფიცრის მთიელებთან მეგობრობიდან, რაც აშკარად ადასტურებს, რომ მთიულეებმა კარგად იციან ტანისამოს შეცვლილი მტრის ნამდვილი სახე, და არც დაინდობენ მას. „ერთბელ ღამით, ერთ-ერთი ექპედაციის დროს, ის მეგობრებით (კუნაქები) მოდიოდა, გზაში ტყვიით დასჭრა ერთი ჩიჩენი და ტყვედ წამოიყვანა. ამის შემდეგ ეს ჩიჩენი შვიდ კვირას პორუჩიკთან ცხოვრობდა; პორუჩიკი როგორც თავის მახლობელ მეგობარს უვლიდა და წამლობდა მას, როდესაც ავადანყოფი ვანიკურნა, პორუჩიკმა საჩუქრებით გაისტუმრა იგი, რამდენამდე ხნის შემდეგ, ერთ-ერთი ექპედაციის დროს, როდესაც პორუჩიკი უკან იხევდა ალყით, რომელსაც მოწინააღმდეგეები ტყვიას უშენდნენ, მას მტრის ბანაკიდან თავისი სახელი მოესმა: მისი დაჭრილი მეგობარი ცხენით წინ წამოვიდა და პორუჩიკსაც ანიშნა—ასე მოქცეულიყო; პორუჩიკი მივიდა თავის მეგობართან და ხელი გაუწოდა. მთიელები მოშორებით იდგნენ და არ ისროდნენ, მაგრამ როგორც კი პორუჩიკმა ცხენი უკან გააბრუნა,

1) Л. Н. Толстой — Пол. собр. соч. (изд. изд.) Т. 3., стр. 22.

რამდენიმე კაცმა პორუჩიკს ტყვია დაუშინა, ერთი ტყვია კი დე (შოხვადა¹⁾). მეტად საყურადღებო და საინტერესო ეპიზოდია ასეთი ოფიცრებთან მთიელთა განწყობილების გასარკვევად შეგობარმაც კვ. კრ. ვენუდო რუსი ოფიცერი. პიროვნული მეგობრობის გრძნობა საზოგადოებრივმა საქმიანობებამ დასძლია. პარლენსკისა და ლერმონტოვის ლექებზე აღზრდილ ოფიცრებს ვერ უშველა მთიელებთან დაახლოების ცდამ. ლ. ტოლსტოი არ აანალიზებს ამ ფაქტს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ყოველგვარი კომპრომისისა და სანტიმენტალური განწყობილების წინააღმდეგი იყო „ფელურ“ მთიელებთან. მაგრამ მკითხველს ობიექტურად სულ სხვაგვარი დასკვნა გამოჰყავს. ფარდა ეხდება რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას. შეფერადებული იდილია იზრდილება და შიშველი ვერაკობის, ბრძოლისა და მთიელთა დაპყრობის სურათი იჭრება წინ. ლ. ტოლსტოი თავისი გმირების პირით მრავალჯერ ესხმის თავს კავკასიის მისტიფიკატორებს.

კავკასიაში ყოფნის დროს დაწერილ მის მეორე ნაწარმოებაში — „ტყის ჭრანი“ („Рыбка леса“) საყურადღებო დიალოგი იმართება კავკასიის ხაზზე მომქმედ სამხედრო პირებს შორის. ავტორი ძალზე მოხერხებულად სვამს საკითხს რუსეთის მხედრობის კავკასიაში „მოღვაწეობის“ შესახებ. კარიერი-სა და ჩინ-მენდლების სუოილი ძარითადი მამოძრავებელი ძალაა რუსეთის ოფიცრებისათვის კავკასიის ომებში, ობიექტი კი მათი იდეების დაპყრობაა, თუმცა რომანტიკის ჩრდილი თან სდევს ამ საქმიანობას.

ერთ-ერთი ოფიცერი ეუბნება ავტორს „რუსეთში კავკასიის რაღაც სიდიადით მოსაყენ: მუდმივი ხელუხლებელი ყინულებით, სწრაფი ჩანჩქერებით, ხანჯლებით, ნაბდებით, ჩერქეზი ქალებით, ყველაფერი ეს რაღაც საშინელებაა, სინამდვილეში კი აქაში არაფერი სასიხარულო არაა“.

ავტორი ეთანხმება მოსაუბრეს, რომ „რუსეთში სულ სხვაგვარად უყურებენ კავკასიას, ვიდრე აქ...“

მოსაუბრე აწყვეტინებს ავტორს სიტყვას და შენიშნავს, რომ მას საშინლად არ მოსწონს კავკასია.

„არა, კავკასია ჩემთვის ახლაც კარგია, მაგრამ სხვაგვარად“, — შენიშნავს ავტორი. ლ. ტოლსტოი არ ამთავრებს აზრს. თითქოს გაურკვეველია, როგორ სხვაგვარად მოსწონდა მწერალს კავკასია. მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ ლ. ტოლსტოი კავკასიას რომანტიკოსების თვალთ არ უყურებდა, რომ იგი კავკასიაში ხალხის რეალური ცხოვრებით დაინტერესდა.

ლ. ტოლსტოი „Haüer“-ში (1852 წ.) საქმაოდ მოხდენილად ახასიათებს კავკასიის მაშინდელი არმიის მთავარსარდალს, ხოლო შემდეგში მთავარმართებელს ბარიატინსკის. გენერლის სახე იმდენად უახლოვდება თავ. ბარიატინსკის, რომ „სოვრემენიკ“-ში „Haüer“-ის დაბეჭდვის შემ-

¹⁾ იტვ. 83-23.

დღე ლ. ტოლსტოი დღიურში წერს: „მე ძალიან მაშფოთებდა, რომ ბარიატინსკი თავის თავს იცნობს მოთხოვნაში“ („Haber“.)

როგორ უყურებს ეს „განათლებული“ მომავალი მთავრობითი კავკასიის ამბებს? „Haber“-ში ლ. ტოლსტოის აღწერილი აქვს ლაშქრობის ერთი ეპიზოდი მთიელების წინააღმდეგ. გაადთრებული ბრძოლისა და სისხლის ღვრის მაყურებელი ბარიატინსკი აღტაცებით ამბობს:

„—რა მშვენიერი სანახაობაა!“

„—განსაცვიფრებელია, ჭეშმარიტად დამატკობელი იბრძოლო ასეთ ლამაზ მხარეში, —უდასტურებს თანახლებელი მაიორი.

„—განსაკუთრებით კარგ კაპანიასთან ერთად, —უმატებს გენერალი სასიამოვნო ღიმილით.“

ლ. ტოლსტოის ყურადღება სხვა მხრისკენაა მიმართული, ის კარგად ამჩნევს, რომ ომი თეატრალური სილამაზე არ არის, ხოლო ხალხი — უბრალო მანქანი.

„უკანა მხარეს მომესმა დაჭრილის კვნესა, ეს კვნესა საოცრად მალღლებს და ომის სურათი უეცრად კარგავს მიელ თავის მშვენიერებას. მაგრამ არაფერია, ჩემს გარდა, თითქოს ამას არ ამჩრევს: მაიორი იცინის, როგორც ემჩნევა, დიდი გატაცებით; მეორე ოფიცერი სავსებით წუნარად აგრძელებს დაწყებულ სიტყვას; გენერალი მოწინააღმდეგეთა მხრისაკენ იცქირება და მეტად წყნარი ღიმილით ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს“¹⁾.

სანს, თავ. ბარიატინსკის ლ. ტოლსტოი საკმაოდ კარგად იცნობს. საყურადღებოა, რომ 24 წლის ლ. ტოლსტოი სავსებით სწორად აღნიშნავს იმ განდიდებისა და ანგარიშების წყურვილს, რომელიც ბარიატინსკის კავკასიაში ამოქმედდება. მეფის სასახლის ამბების მკოდნე და მალალი წრის პირების ახლო მეგობარი პეტრე დოლგორუკოვი თავის „Петербургские очерки“ ში საკმაო სიკბადით არკვევს აღ. ბარიატინსკის კავკასიაში გამგზავრების მიზანს. პეტერბურგში ძალზე განცვიფრებული იყვნენ, როდესაც ბარიატინსკის განზრახვა შეიტყესო. „მხოლოდ ზოგიერთი მიხვდა, რაში იყო საქმე; ეშმაკი მოხუცი ერმოლოვი ერთ კაცს, როგელიც გაკვირვებას გამოსთქვამდა ბარიატინსკის პეტერბურგიდან გამგზავრების გამო, უპასუხებდა; კავკასიაში ხომ დიდი მთებია, პეტერბურგში კი საფლობი ჭაობი, ჭაობში იმდენად არ შეძლება განძრევა, რამდენად მთებში მწვერვალებზე ასვლაა მოსახერხებელი“.

„კავკასიაში ბარიატინსკი ეწეოდა იშვიათად ნებივრულ ცხოვრებას, — შენიშნავს იგივე. პ. დოლგორუკოვი. — განდიდების მანია აღ. ბარიატინსკის დამახასიათებელი თვისება იყო. თავის სამხედრო ხანათის მოხსენებებში ის საკმაოდ მოხერხებულად აღწერს თავისი ხელმძღვანელობით წარმოებული „გრანდიოზული“ ბრძოლის სურათებს, წვრილმანებს

¹⁾ Т. 3. гл. 33 (юв. п.х.)

აბუმბერაზებს და აფერადებს. ბარიატინსკი ამ ხერხებით, ცნობილ ცბიერი დიპლომატის მიხ. ვორონცოვის დახმარებით, კიდევ აღწევდა მიზანს და ჩინებს ჩინებზე ლებულობდა¹⁾.

თავის შემთარებში პ. დოლგორუკოვი სამართლიანად აღნიშნავს ბარიატინსკის თვითნებურსა და დესპოტურ პოლიტიკას კავკასიაში. ბარიატინსკის თავისი თავი შეუზღუდველ მონარქად ენატრებოდა; ყველა თავს იბრძოდა გონებრივად მეტის მეტად შეზღუდულ და აფექტების მოყვარე მთავარპარტებლის წინაშე²⁾.

აღ. ბარიატინსკთან ახლო მდგომი გრიგოლ ორბელიანი, ჩვენი თანამემამულე პოეტი-სარდალი, აღტაცებული იყო ბარიატინსკის საქართველოში ჩამოსვლით. „მოდის თქვენსკენ მთავარპარტებელი კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ღუთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით, გულით, გონებით, კეთილ განზრახველობით. მოდის დიდის სიყვარულით, დიდი სურვილით საქართველოს გამდიდრებისათვის. ღმერთმან მისცეს შემწეობა თავისი და სიციცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაიცა მიაბზო თავის პლანებიდან. ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა მთავარპარტებლად. ამა, რაც შეგძლოსთ, მზიარულებით მოეცებენით: ზურნით, ნადართ, ცხენის ჭრუნებით, ყოვლით, ყვირილით. ვინც როგორ იცოდეთ ისე მიეგებენით, სულ ბაიბალებით...“³⁾ — პათეტიურად სწერდა გრ. ორბელიანი დაღესტნიდან ტფილისში ყაფლან ორბელიანს, გ. ორბელიანი აღტაცებული იყო ბარიატინსკის მთავარპარტებლად დანიშვნით, პოეტი-სარდალი საქართველოს კეთილდღეობას თავის და თავისი გვარის წევრთა კარიერის ზრდით ზომავდა, და მარტლაც, ბარიატინსკის მთავარპარტებლობის დროს გრ. ორბელიანმა დიდ წარმატებას მიაღწია და, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. დოლგორუკოვი, ბარიატინსკიმ ფაქტურად „კავკასიის მთავარპარტებლობა მიანდო გენერალ-ადიუტანტს თავად გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანს“.

აღსანიშნავია, რომ მ. ვორონცოვისა და აღ. ბარიატინსკის ცბიერი და კოლონიზატორული პოლიტიკა იმ დროინდელ მწერალთა მიერ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. პირიქით, თავადაზნაურულ ოფიციალურ ლიტერატურასა და კერძო მიმოწერაშიც კი მეფის რუსეთის ეს სატრაპები ქებადიდებით იხსენებდნენ. თუ რამდენად ძლიერი იყო ეს ტენდენცია ქართულ ლიტერატურაში, ამას აკაკის პოემა „ვორონცოვიც“ ადასტურებს. ჯერ კიდევ ქაბუკი ლ. ტოლსტოი ააშკარავებს ამ მოხელეების მმართვე-

¹⁾ Петр Вл. Долгоруков. Петербургские очерки. Москва, 1934 г. стр. 210—211.

²⁾ იქვე, გვ. 222.

³⁾ ცხოვრება და დეაწლი გრ. ორბელიანისა — ი. მენარავია, „მოამბე“, 1904 წ. № 4 გვ. 17.

ლობის ნამდვილ ბუნებას და მათ დამოკიდებულებას ადგილობრივ მცხოვრებთან. არ შეიძლება ითქვას, რომ ლ. ტოლსტოიმ თანამედროვეად გადაგვიწვალა რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის, მმართველი სახე კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მაგრამ ორიოფევედქვეყნობის ხაზით მოგვცა შეტი, გილოც იმ დროის რომელიმე მწერალმა.

თავის პირველსავე მოთხრობებში ლ. ტოლსტოი ამელაენებს ომისადმი უარყოფით დამოკიდებულებას: „ნუთუ ძნელია ცხოვრება ადამიანებისათვის ამ ლამაზ ქვეყანაში ამ თვალწყდნელ ცის ქვეშ? ნუთუ ამ მომხიბლავი ბუნების გარემოცვაში ადამიანის სულში შეიძლება დისადგუროს ბოროტების გრძობამ, შურისძიებამ ან მისწრაფებამ თავისი მსგავსი ადამიანის განადგურების შესახებ“¹⁾.

როგორც სამხედრო პირი, ლ. ტოლსტოი, ტფლისიდან დაღესტანში ასვლის შემდეგ, ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა. ამ ლაშქრობის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იანჯული თავის მოგონებებში „Восемнадцать лет боевой и мирной жизни 20 ой Артиллерийской бригады“ (Тифлис, 1887 г., т. II) აღწერს იმ სამხედრო ნაწილების მოქმედებას, რომელშიც ლ. ტოლსტოი ღებულობდა მონაწილეობას: „1852 წ., — სწერს იანჯული, — საფუძველი დაედო მტკიცე გადაწყვეტილებას საბოლოოდ დაგვეპურო საჩენო ამ წელს მარცხენა ფრთის მთავარადალმა თავად ბარიატინსკიმ დაიწყო ის, რაც დაამთავრა და განამტკიცა საბოლოოდ შეიდი წლის შემდეგ. მაშინ, როდესაც იგი ბრწყინავდა მთავარმართებლისა და შეფის ნაცვლის დიდ პოსტზე კავკასიაში“. როგორც ირკვევა, მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა მე-20 ბრიგადაც, რომელშიაც შედიოდა ორი ოცეული ბატარეისა და მსუბუქი ქვემეხების № 4 ბატარეია, კაპიტან ხილხოვის მეთაურობით, და მსუბუქი ბატარეის დივიზიონი № 5, კაპიტან ტვერიტანოვის ხელმძღვანელობით... აქვე იყო ბაკლანოვის კოლონა „პოლკოვნიკ ბაკლანოვის კოლონა შესდგებოდა ათი როტასა და ხუთი ასეული-საგან. ამ ვე კოლონაში მუშაობდნენ პორუჩიკი მაკალინსკი და პოდპორუჩიკი ლადოენსკი. В одном из орудий главного отряда батарейной № 4 батарей уносным фейрверком был граф Лев Толстой ბოლოს ავტორი უკვდავ თხზულებათა: „Рубка леса“, „Война и Мир“ და სხვა. მთავარ არტილერიის რაზმის უფროსი იყო მე-20 ბრიგადის კომანდირი პოლკოვნიკი ლევიანი“²⁾.

მე-20 ბრიგადის იმ ნაწილში, სადაც ლ. ტოლსტოი მსახურობდა, საკმაოდ ბევრი ქართველი ითვლებოდა სამხედრო სამსახურში. საყურადღებოა ამ მხრივ მწერალ რევ. ზ. ერისთავის გამოუქვეყნებელი „დღიურები“. ეს დღიურები მრავალმხრივია საინტერესო: რევ. ერისთავი ასე

1) იანჯულის დასაბუღებელი მოგონება, გვ. 94.

2) იქვე, გვ. 95.

თუ ისე ლიტერატურული ფიგურაა. მართალია, ილია ჭავჭავაძის ბასრი კალმის შემდეგ რევ. ერისთავი მივიწყებას მიეცა და ის შეუღულ ამ ცნობილი პოლემიკის გახსენების დროს თუ ცოცხლდებოდა და მისი მემკვიდრეობის შესახებ რაიმე წიგნიც არაა დარჩენილი. ერისთავი, როგორც პირველი სალიტერატურო ჟურნალის „ციცქრის“ მოკალმე, ანგარიშგასაწევი ფიგურაა და უთუოდ გამომატუღია იპდრონიდული თავდაზნაურული ინტელიგენციის განწყობილებებისა. ამას თუ გინდ ის გარემოებაც ემტკიცებს, რომ რევ. ერისთავს ბევრი დამცველი აღმოუჩნდა „ციცქრის“ ფურცლებზე. რევ. ერისთავი წერს: „წელსა 1853 იანვრის 27-ს ძლივს დავიძარით გრონიდთან; დიდის გზიდან მარცხნივ მოვბრუნდით და მთა-მთა უგზო უქლოთ ნოკურტში მოვედით- იმ დღეს, ორი საათის შემდეგ მოსვლასა, ბარონ როზენი მოვიდა და მოგვილოცა ბარიატინსკის ღებერალ-ადიუტანტმა, რომელსაც ჩვენც ერთობ საათითოთ მიულოცეთ. მაშინვე შამანსკი გახსნეს, ჯერ თითონ დალია ხელმწიფის სადღეგრძელო და შემდეგ ჩვენ ბარიატინსკის სადღეგრძელო დავლიეთ და ურა შევძახეთ. დიდათ მზაარული იყო კნიაზი; სწორედ გითხრა მეც გულით მიამა, ეს ისეთი კაცია, რაც მისცენ ყველა შეშვენიის. ამავე დროს ზინოვირესაც პოლოცენიკობა მიულოცით. შემდეგ ყველანი თავთავის ბინაზე წავიდით. იმ დამეს კონსტანტინე დადიანი, მიხეილ სვიმონ თუმანოვი და ალექსანდრე დადიანი ერთად ვადექით, ვახშამი ძალიან ცხილულად გავტარეთ. სვიმონმა ბევრი გაცინა“¹⁾

ბაკლანოვის რაზმის ამბები, სადაც ლ. ტოლსტოი ირიცხებოდა, რევ. ერისთავს თავის დღიურებში ზედმიწევნით ზუსტად აქვს აღწერილი. ამ დღიურებში რევ. ერისთავი თანამიმდევრობით და დიდი ალტაცებით მოგვითხრობს მთიულების აწიოკებისა და ახრების ამბებს. ბუნებრივია, რომ რევ. ერისთავი და დღიურებში აღნიშნული ქართველი ოფიცრები ხშირად ხედებოდნენ ლ. ტოლსტოის სახეჯრო ოპერაციებისა და დაწვევების დროს. რევ. ერისთავი თავის „დღიურებში“ არ აღნიშნავს ამ შეხვედრას, რადგან ლ. ტოლსტოი მაშინ უბრალო ფეიერვერკერა იყო. ლ. ტოლსტოის სათვისაც ასევე უნდა ყოფილიყო რევ. ერისთავი და მისი თანამებრძოლი ქართველი ოფიცრები. ზემოთყვანილი ამონაწერი და საერთოდ რევ. ერისთავის „დღიურები“ საყურადღებოა სხვა მხრივაც. როგორ ამართლებდა პოიკლეთური წოდება თავის მოქმედებას დაღესტანში? სწინს, მას ამოძრავებდა იგივე განდიდებისა და სახელის მოხვეჭის გრძობა, რომელიც ამოქმედებდა ოუსეთის სამხედრო მხედრებს ვორონკოვისა და ბარიატინსკიდან დაწყებული უბრალო ოფიცრებამდის, რაც ასე მოხდენილად გამოხატა ტოლსტოიმ თავის კავკასიურ მოთხრობებში.

1) რევ. შალვასძე ერისთავის გამოუქვეყნებელი დღიურები, რე. 3.

ბარიატინსკის წარმატებით აღფრთოვანებული რევ. ერისთავი, გრ. ორბელიანის აღნიშნული განწყობილების მოხაწილე და გამომკლავებელია.

ლ. ტოლსტოი „Haber“-სა და „Руска песа“-ში იძლევა მისი წინაწილობით გამართული ლაშქრობის სურათებს: საყურადღებოა, რომ „Haber“-ის პირვანდელ რედაქციებში ახალგაზრდა ოფიცერს ალაღინს ლ. ტოლსტოი „ქართველ თავადს“ უწოდებს¹⁾. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ქართველი თავადის პროტოტიპად რევ. ერისთავის მიერ დასახელებული ერთ-ერთი ქართველი თავადი იყო.

როგორც აღინიშნა, სერიოზული ლიტერატურული მუშაობა ლ. ტოლსტოიმ კავკასიაში დაიწყო. აქ ყოფნის დროსვე ქვეყნდება მისი პირველი ნაწარმოები „ბავშვობა“. ტფილისში ის სწორეთ ამ ნაწარმოებზე მუშაობდა. 1852 წლის 20 მარტის თარიღით ტოლსტოი თავის დღიურში წერს: „ტფილისში ერთი თვე გავატარე მერყეობაში. რა მეკეთებია... ნოემბრის თვიდან მე ვკურნალობდი, ვიჯექი სახლში მთელი ორი თვე, ე. ი. ახალ წლამდის. ეს დრო თუმცა მოსაწყენი, მაგრამ წყნარი და სასარგებლო იყო: მთლიანად დავწერე პირველი ნაწილი.“

ლ. ტოლსტოი ტფილისში დაწერილ თავებს უკითხავს თავის ძმის ნიკოლოზს, რომელსაც, როგორც ტოლსტოის დღიურიდან სჩანს, არ მოსწონებია ძმის ნაწარმოები და ურჩევია შესწორება. საბოლოოდ ეს ნაწარმოები ლ. ტოლსტოის 1852 წლის ივნისში დაუთმავრებია. 3 ივლისს ლ. ტოლსტოიმ ხელნაწერი ჟურნალ „სოფრემიონნიკ“-ის რედაქტორს ნ. ნეკრასოვს გაუგზავნა მჯავრის დასადებად. ფრთხილი მწერალი მხოლოდ ინიციალებს აწერს ნაწარმოებს და პასუხს თავის ძმის საშუალებით ლეებულობს. ნიჟიერმა პოეტმა და გამოცდილმა რედაქტორმა ნ. ნეკრასოვმა მაშინვე იგრძნო დიდი ტალანტი და წამაქებებელი წერილით აცნობა თანხმობა დაბეჭდის შესახებ ვიღაც ლ. ტ-ს სტაროგრადსკაიას სტანიცაში.

თუმცა ძალზე უბედროდ, ცენზურისაგან დამახინჯებულად, მაგრამ მაინც დაჩქარებით დაბეჭდა ლ. ტოლსტოის „ბავშვობა“, რასაც მკითხველი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა. ამ წარმატებით წაქებებული მწერალი იწყებს მოთხოვნების წერას კავკასიაში წარმოებულ ომის შესახებ და თანდათან დიდი მწერლის სახელს იხვეჭს. იმდროინდელ პრესაში კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ლ. ტოლსტოი ომის სურათების უბადლო მხატვარია, და მას რუსეთის გამოჩენილი კლასიკოსების გვერდით აყენებდნენ, მაგრამ ლ. ტოლსტოი სოციალური ყოფის უფრო ღრმად შესწავლას ცდილობდა. სამხედრო თემატიკა მისთვის იმ თავიდანვე იდეალური არ იყო.

უთუოდ პროდუქტიული იყო ლ. ტოლსტოისათვის კავკასიაში მცირე ხნით ყოფნა. აქ დაიწყო მან სერიოზული ლიტერატურული მუშაობა, აქვე

¹⁾ История писания „Habeга“. Юб. изд. Т. III, с. 289

აგროვებდა დიდი მწერალი მრავალ მასალას უკვდავი მხატვრული თხზულებებისათვის.

კავკასიამ ტოლსტოიზე, როგორც შემდეგში თვითონვე აღნიშნავდა, წარუშლელი კვალი დასტოვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მწერლის ცხოვრების კავკასიურ პერიოდს.

სხვადასხვა ჯარემოებამ და აშბავმა ლ. ტოლსტოი შემდეგშიც სრავალჯერ დაუკავშირა კავკასიასა და, კერძოდ საქართველოს.

II

გასული საუკუნის მე-70 წლებიდან ლ. ტოლსტოი უდიდეს და საუკრადღებო ფიგურად იქცა არა მარტო რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მონოენტიალური მხატვრული ნაწარმოებებით ლ. ტოლსტოი არა თუ გვერდში აწოუდგა ცნობილ მწერლებს, არამედ ბევრ შემთხვევაში დაჭრიდა კიდევ ისინი. დიდი მნატვარი და ღრმა მოაზროვნე თანდათან ტიტანურ ფიგურად გადაიქცა და უაღრესად პოპულარული გახდა მთელს მსოფლიოში. ლენინი თავის წერილებში ლ. ტოლსტოის შესახებ გენიალურ ანალიზს იძლევა იმ პირობების ასახსნელად, რომლებმაც ხელი შეუწყეს უდიდესი მხატვრის ჩამოყალიბებას. ერთის მხრივ — სიძულველი არსებული წყობილებისადმი და თვითმყრობელობის მკაცრი კრიტიკა, მეორეს მხრივ — პოლიტიკური მოუშალებლობა, სისუსტე და ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწყველობის ქადაგება, რაც ლ. ტოლსტოიმ პატრიარქალური გლეხობისაგან შეითვისა, დამახასიათებელი ხდება ლ. ტოლსტოის შეხედულებისათვის განაყოფიერებით მე 80 წლებიდან.

ლ. ტოლსტოი ამ პერიოდში ცხოვრების მასწავლებლად გაცვლინება. მას განსაკუთრებით აწუხებს და აღელვებს ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხები, ადამიანის რაობისა და დანიშნულების, სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხები და სხვ. საერთო დაქსაქსულობის და უიმედობის დროს ლ. ტოლსტოის მოძღვრებას საკმაო მიმდევრები უჩნდება.

ლ. ტოლსტოის ცნობილი ბოგრაფის ბირი უკოვის ჩვენებით, ჯერ კიდევ მე-70 წლებიდან ლ. ტოლსტოი მრავალ წერილს ღებულობდა, რომელშიაც სხვადასხვა პირები ლ. ტოლსტოის სიბოვდენ რჩევა დარიგებას ამა თუ იმ საკითხას შესახებ. ეს წერილები განსაკუთრებით მე-80 წლებიდან გახშირდა. ერთ-ერთი ასეთი შეკითხვა 1887 წელს ტფილისიდანაც გაუგზავნიათ უცნობ ქალიშვილებს. ტფილისელ ქალიშვილებს შეკითხვაზე ლ. ტოლსტოიმ წერილით უპასუხა, რომელიც 1887 წ. 12 მარტს დაიბეჭდა ტფილისში გაზეთ „Новое обозрение“-ში. რედაქციამ ლ. ტოლსტოის იმ წერილი გაზეთის პირველ გვერდზე მოათავსა და ასეთი შენიშვნა წარუმიძღვარა: „რამდენიმე ახალგაზრდა ქალის აქედან გაგზავნილ შეკითხვაზე გრაფ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოისთან — რა საქმე შეეძლო ერიჩა მას იმათთვის, ცნობილმა მწერალმა უპასუხა შემდეგი წერილით:“ „თქვენ თხოულობთ საქმეს. გარდა საერთო ჩვენი საქმისა — ვიბრუნოთ იმ შრომის შესამცირობლად, რომელიც იხარჯება სხვების მიერ ჩვენ საცხოვრებ-

ლად, შეეფუკოთ ჩვენი მოთხოვნილებანი და გავაკეთოთ ჩვენი ნებისით ის, რის გაკეთებაც შეიძლება ჩვენი ვისა და სხვისათვის, — მცოდნე ხალხს აქვს კიდევ სხვა საქმე. გაიუზიაროთ ეს ცოდნა სხვებს, დაეხმარებოდეთ სხვებს იმ ხალხს, რომელმაც ჩვენ აღვზარდა. ამ შესავალში შევხვდით მისს ლ. ტოლსტოის უტოპიურ ქრისტიანული მოძღვრება. შეამცირე შენი მოთხოვნილებანი, იშრომე და ქრისტეს მოძღვრების საფუძველზე ემსახურე ხალხს. შემდეგ ტოლსტოი კონკრეტულად მიუთითებს ტფილისელ ქალაშვილებს საქმეზე. „მოსკოვში არსებობს სახალხო წიგნების გამომცემლობანი, — სწერს ლ. ტოლსტოი, — რომლებიც სციენენ ანბანს, არითმეტიკის, ისტორიის წიგნებს და აგრეთვე კალენდრებს, სურათებს და მოთხრობებს“. ლ. ტოლსტოი ურჩევს შემკითხველებს — აიღეთ ერთ-ერთი ასეთი გამოცემა, გადაიკითხეთ, შეასწოროთ ან სავსებით გადააკეთეთ ის. შემდეგ ლ. ტოლსტოი უფრო კონკრეტ მითითებებს იძლევა — რას უნდა ეტებოდეს შესწორება და გადაკეთება და, ბოლოს, დასძენს: ამაგვარად, თუ ეს მუშაობა მოკლეა, აირჩიეთ ის დარგი, როკელშია კ, თქვენის ფიქრით, უკეთ შეგიძლიათ იმუშაოთ, და აიშორეთ მე. მე გამოგიტავებთ რამდენიმე წიგნს. ძალიან მინდა, რომ თქვენ დათანხმდეთ ჩემს წინადადებაზე. სამუშაო, უთუოთ, სასარგებლოა. სარგებლიანობის ხარისხი დამოკიდებული იქნება იმ სიყვარულზე, რომლითაც თქვენ ამ საქმეს მოეპყრობით. თქვენი ლევ ტოლსტოი.

ამ წერილის კვალი შემდეგ იკარგება. არ დარჩენილა ცნობა — დაეთანხმენ თუ არა ლ. ტოლსტოის ტფილისელი ქალაშვილები ამ წინადადებაზე ან როკორი დამუშრდა დღე მწერალსა და ტფილისელ შემკითხველებს შორის კავშირი წარღვი საყურადღებოა იმ ხაზზე, რომ რჩევა დარიგებისათვის ტფილისისა და ახალგაზრდობის ერთმანაწილმა ლ. ტოლსტოის მიმართა და დიდმა მწერალმა კ ასე თუ ისე კონკრეტული დარიგება მისცა შემკითხველებს. საყურადღებოა, რომ ამ წერილში ლ. ტოლსტოი არ შლის მისთვის დამახასიათებელ აისტრაქტულ გემებს ღვთის მიძიებლობისა და ცხოვრების აზრის ძიების შესახებ. მწერალი მცირე საქმეების რჩევით იზღუდება და არც საზოგადოებრივი საქმიანობის გეგმებს უსახავს შემკითხველებს.

მე-40 წლებიდან ლ. ტოლსტოი უფრო უხალხოვდება ამიერ-კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს. ჯარ კიდევ გასული საუკუნის მე 40 წლებში ა/კავკასიაში რუსეთიდან გადმოახლებულ იქნა თავისებური რელიგიური სექტის ერთი ჯგუფი — დუხოპორები. დუხოპორთა სექტანტური მოძრაობა ა-სებითად უწევს და სტაქიური პოპტესტი იყო მეფის მთავრობის ძალდატანების წინააღ დევ. მე 90 წლებში კავკასიის დუხოპორები უხალხოვდებიან კავკასიაში გადმოსახლებულ ტოლსტოველებს. მეორეს მხრივ ლ. ტოლსტოის ხელმძღვანელობით მოწყობილი გამომცემლობის „Испед-ННН“ ის წიგნაკებმა სათანადო გამოიზღვრება პოეს დუხოპორებში. ასე

რომ მე 90 წლების დასაწყისიდან კავკასიის დუხობორებს შორის დაიწყო საგრძნობი სტრუქტურული მოძრაობა მთავრობის ზოგიერთი კანონის წინააღმდეგ. კავკასიის დუხობორები უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურს, ამგვარი წინააღმდეგობა აღვივებდა ადგილობრივი ადმინისტრაციის განაკარგულებას და სხვა. 1895 წლის ზაფხულში დაიწყო მასიური რელიგიური მოძრაობა კავკასიის დუხობორთა შორის. მათი ხელმძღვანელის პეტრე ვერიგინის რჩევით, დუხობორებმა გადაწყვიტეს ცხელი იარაღის განადგურება და 1895 წლის 28 და 29 ივნისს რელიგიური რიტუალთ საზეიმოდ კიდევ მოახერხეს სამ ადგილას ცხელი იარაღის დაწვა¹⁾.

მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო შეეზობებ სექტანტების წინააღმდეგ: ურჩი დუხობორები, 4000 კაცამდის, გააძევეს თავიანთი ბინებიდან და გადაასახლეს საქართველოს მთიან ადგილებში. დუხობორთა ხელმძღვანელები კი დააპატიმრეს. დუხობორთა ამ მოძრაობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლ. ტოლსტოიზე. ლ. ტოლსტოი უთუოდ კარგად ამჩნევდა, რომ დუხობორების მოძრაობაზე მის მოძღვრებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. ლ. ტოლსტოის მოძღვრება კი — ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას, — აშკარად შეუსაბამო იყო ამ სისხლის ღვრისათვის. ლ. ტოლსტოი ცდილობს როგორმე შეუშლუბუქოს მწარე ხვედრი თავის თანამოაზრეებს. იწყებს წერილების წერას გავლენიან პირებთან, აკროვეს ფულს დუხობორების სასარგებლოდ და სხვა. სწორედ ამ პერიოდში ეცნობა ის უფრო ახლოს ა/კავკასიის, კერძოდ, საქართველოს და ნრავალ ქართველს. ამ დროს ტოლსტოელები, რომელთა გავლენითა და დახმარებით მოქმედებდნენ დუხობორები, საქართველოში ბლოკად იყვნენ. მაგალითად, კავკასიაში ამ დროს იქნა გადმოსახლებული ცნობილი ტოლსტოელები — თავადი დიმიტრი ხილკოვი, რომელიც სისტემატიურად აწვდიდა ლ. ტოლსტოის ცნობებს დუხობორთა შევიწროებისა და დარბევის შესახებ.²⁾ თავისუფალი რელიგიური იდეებისათვის აქვე იქნა გადმოსახლებული ტოლსტოელები ალექსანდრე ბოდინსკი, რომელმაც 1890 წ. უარი განაცხადა მიწის კერძო საკუთრებაზე. ალექსანდრე ბოდინსკი ერთხანს ქუთაისშიც³⁾ ცხოვრობდა. საქართველოსვე ეწვია 1890 წლის დაპლევს ფეოდორ უშაკოვი, რომელსაც ლ. ტოლსტოის თანამოაზრეობის გამო აკრძალა სატახტო ქაღალქებში ცხოვრება, გადმოსახლდა კავკასიაში და სამუდამოდ დამკვიდრდა ბათუმში. 1895 წელს კავკასიაში ჩამოვიდნენ ცნობილი ტოლსტოელები პ. ბირიუკოვი და ინგლისელი — არტურ სინჯონი.

ტოლსტოელებს საკმაო თანამოაზრეები ჰყავდათ წერილობით და პირდაპირ ინტელიგენტურ წრეებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია

¹⁾ П. И. Вярков — „И. Н. Толстой“, биография, т. III, гл. 428 (ბერლინის 1921 წლის გამოცემა).

²⁾ П. Вярков-ის დასახლებული წიგნი, გვ. 429—431.

³⁾ И. Толстой — пол. собр. соч., т. 72, гл. 52-

ნაკაშიძე. ილია ნაკაშიძე ლევ ტოლსტოის ეცნობა სწორედ დუხოპორების მოძრაობასთან დაკავშირებით. თავის მოგონებაში „როგორ გავიცანი ლეონ ტოლსტოი“ (სახელგამი, 1928 წ.), ილია ნაკაშიძე წყნარად აღწერს, როგორ აინტერესებდა ლ. ტოლსტოის დუხოპორების მტკიცე განმარტებით და მათ შესახებ ცნობებს დიდ მწერალს. „დუხოპორების შესახებ სწერდნენ ლეონ ნიკოლოზის ძეს აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ დუხოპორების საქმეში და იმათ მოძრაობას თანაუგრძნობდნენ. უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნოდი მეც, — სწერს ილია ნაკაშიძე, — ამ სტრიქონების დაწერი. მე ვცხოვრობდი ტფილისში და ხშირად ვებუდებოდი დუხოპორებს: ისინი დროგამოშვებით ჩამოდით ჩვენს ქალაქში თავის საქმეების გამო. ხშირად მეწვეოდნენ ხოლმე და ვიზიარებდნენ თავიანთ შორს რელიგიური მოძრაობის ამბებს“. 1896 წელს ილია ნაკაშიძემ პირველად იწახულა ლ. ტოლსტოის და უამბო კავკასიის დუხოპორების უმწერო მდგომარეობის შესახებ.

ლ. ტოლსტოიმ ილია ნაკაშიძეს გამოატანა ცნობილი წერილი „Кавказским духоборам“, სადაც ლ. ტოლსტოი წერდა: „თქვენი ძმა ი. პ. ნ. (ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე. — ვ. ა.) გააღლით შემოვიდა ჩემთან, და მე მომესურვა მომეწერა თქვენთვის ის, რაც მართო მე კი არა, არამედ მრავალმა სხვამ ჩვენში და საზღვარგარეთ იცის და ფიქრობს. გადმოკცა მე ილია პეტრეს ძემ, თუ როგორ მოექცა თქვენი ახალგაზრდობა თავის ამხანაგებს, რომლებმაც ციხე ვერ აიტახეს და საზღვარო სამსახურზე თანხმობა გამოაცხადეს. თუ თქვენ, თქვენი რწმენისათვის ტანჯულნი და დევნილნი, პატიებას სთხოვთ იმ ძმებს, რომლებიც თქვენმა მაგალითმა გაიტაცა, რა უდიდესი პატიება უნდა ვთხოვო მე, ლევ ტოლსტოიმ, ყოველგვარი დევნისაგან თავისუფალმა, იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩემი ნაწილები უზოგნეს და ამის გამო სდევნიან და სჩაგრავენ“. ამ წერილში, რომელიც ილია ნაკაშიძის ცნობების საფუძველზე მოსწერა ლ. ტოლსტოიმ კავკასიის დუხოპორებს, მოსჩანს ლ. ტოლსტოის მოძღვრების მთელი სიუძღურე და უწინეობა.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ ილია ნაკაშიძე აქტიურად ეწეოდა ტოლსტოის იდეების პროპაგანდას, რის გამოც კავკასიიდან გააძევეს 5 წლით. რუსეთში ილია ნაკაშიძე უფრო დაუახლოვდა ლ. ტოლსტოის. დუხოპორების კანადაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ლ. ნ. სწერდა ი. ნაკაშიძეს: „მივლევ წერილი კანადიდან. მე არავინ არა მკავს კავკასიაში. არ შეგიძლიათ გაიგოთ, სადაა ეს ლარიონ მახორტოვი — სურს თუ არა მას წასვლა? თუ სურს, მე ვფიქრობ, რომ მისთვის ჩვეულებრივად უნდა ავიღოთ საზღვარგარეთის პასპორტი და მოუძებნოთ ადგილი გენზე“. ასეთ დავალებას ნაკაშიძე, როგორც ტოლსტოის მახლობელი კაცი, ხშირად დებულადა. მეტად საყურადღებოა ი. ნაკაშიძის მოგონება ლ. ტოლსტოის შეხედულებათა შესახებ საქართველოზე:

„ყოველთვის გულწრფელი, ცხოველი სიყვარულით მოიგონებოდა ხოლმე ლეონ ნიკოლოზის-ძე კავკასიას და თავის საკუთარ ცხოვრებას მ. კობში“. იგი გამოუტყდა მეგობრებს, რომ ზოგჯერ ძალიან იტყუებოდა ქვედატყუი წიგნების სურვილი. „სიცოცხლე ისე მოკლეა, — მითხრობდა ლეონი, — რომ საეჭვოა, როდისმე კიდევ მომიხდეს ყოფნა თქვენს მშვენიერს სამშობლოში. მაგრამ როცა მეორედ დავიბადები, — დაუმატა ლეონ ნიკოლოზის-ძემ და იუმორმა, ღიმიორეულმა აზრმა გააშუქა თავისი მზიარული სხივით სიცოცხლით სავსე სახე ძვირფასი მოხუცისა, — მე უთუოდ გამოვივსიანებო თქვენსავე კავკასიაში... ველოსიპედით“¹⁾.

ი. ნაკაშიძის გადმოცემით, ლ. ტოლსტოი საქმოდ ბევრ ქართველ სტუდენტს იცნობდა: „ოთხმოციან წლებში ლეონ ნიკოლოზის-ძე გაეცნო ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს — ალექსანდრე დიასანიძეს, ვახტანგ ლაშბაშიძეს და სხვა ჩვენებურ სტუდენტებს, რომელნიც ეწვეოდნენ ხოლმე მას სხვადასხვა დროს მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში. იგი ხვდებოდა ქართველ სტუდენტებს ერთი მისი ახლობელი მეგობრის ა. ნ. დუნაევის ოჯახში. ამ ნაცნობობამ და იმ ცნობებმა, რომლებიც მან გაიგო ქართველთა ცხოვრების, მდგომარეობის, ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ, განსაკუთრებით 1905 წლამდე და შემდეგაც, აძლეს იგი შეეცვალა თავისი აზრი ჩვენზე.“

„იმ აუარებელ წერილს შორის, რომელიც ყოველი მზრიდან მოსდიოდა ლეონ ნიკოლოზის-ძეს (საშუალოდ დღეში ოცდაათი ბარათი), იყო ბარათები ქართველებისა და სოხებისაგანაც. ამ წერილებში გამოთქმული იყო ღრმა სიყვარული და პატივისცემა დიდი მწერლისადმი და, განსაკუთრებით, რაც ყველაზე უფრო აბარებდა ლეონ ნიკოლოზის ძეს, ღრმა შეგნება და თანაგრძნობა იმისა, რაც ღრმად აღძრავდა, აღლევდა და იზიდავდა მას მისი სიცოცხლის უკანასკნელ დროს“.

ურდა შეეხიზნოთ, რომ ლ. ტოლსტოის ქართველი ხალხის შესახებ არასოდეს ცუდი აზრი არ გამოუთქვანს, და თუ მან თავის მოთხოვნებში ანგარებით და ჩინ-მენდლებით გატაცებული მლიქვნელი ქართველი თავადები გაკაწრა, მათ სამართლიანად დაიმსახურეს ეს მათრახი. ერთი კი უსათუოდ ცხადია, რომ ლ. ტოლსტოი მე-90 წლებიდან უფრო ახლოს ეცნობა ქართველებსა და საქართველოს. ილია ნაკაშიძის გარდა, ლ. ტოლსტოის სხვა თვალსაჩინო მიმდევრებიც ყავდა საქართველოში. ერთი ასეთთაგანი იყო თავად გიორგი დადიანი. გიორგი დადიანი სამიგრელოს მფლობელის თავად დადიანის შვილისშვილი იყო. ის მონაწილეობას იღებდა რუსე ი-ოსმალეთის ომში და პოლკ-ვნიკის ჩინამდე მიღწევა. კავკასიაში გადმოსახლებული ტოლსტოველის დ. ხილკოვის გაღწეით შეითვისა მან ლ. ტოლსტოის იდეები, თავი დაანება სამხედრო სამსახურს

¹⁾ ი. ნაკაშიძის მოგონებანი, გვ. 23.

დი სხვა თანამოაზრეებთან ერთად ოჯახიურად დასახლდა ნაიბის მახლობლად, მდ. ლესკენას ნაპირას. ცოლი იზიარებდა ქართულ მართლმადიდებლობას. ცოლ-ქმარს საკმაოდ ბევრი გაქირვება გაქირვებულნი იყვნენ ნიადაგზე. გ. დადიანის სიადრს ხელისუფლების დახარკებით განსწრაფეს ბავშვების წართმევა „ურწმუნო“ მშობლებისათვის. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად დადიანი ცოლშვილით გაქარულა საქართველოდან და ხსენებულ ადგილას დასახლებულა, თავის თანამოაზრე და მეზობელ ვ. სკოროხოლოვთან ერთად გ. დადიანი ბილის გასასყიდლად გაემგზავრა სად. პროხლანდაიასკენ. გზაში მოულონდელად ავად გახდა და გადაიკვალა. ვ. სკოროხოლოვმა მისი ცხედარი ხუტორში მიასვენა. გ. დადიანი დაასაფლავეს თავის ბაღში.¹⁾

ლ. ტოლსტოი შორიდან იცნობდა გ. დადიანს, როგორც თავის ერთგულ მიმდევარს. 1900 წ. 8 აპრილს მოსკოვიდან ვ. სკოროხოლოვისადმი მიწერილ წერილში ტოლსტოი განსაკუთრებულ საღამს უძღვნის გ. დადიანს, ხოლო ამავე წლის 7 ნოემბერს ლ. ტოლსტოი ს. ვორობიოვს წერს: „როგორ მებრალბება დადიანი. ვფიქრობ მისი სიკვდილი ძალზე ცუდად იმოქმედებს ლეშენის მცხოვრებლებზე“²⁾. თუ რამდენად ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ლ. ტოლსტოიზე გ. დადიანის სიკვდილმა, ამას ადასტურებს ის წერილი, რომელიც 1900 წ. 7 ნოემბრის თარიღით გაუზავნა მან დადიანის ქვრივს: „ძვირფასო დაო, — სწერდა ტოლსტოი, — მე არასოდეს არ მინახებხართ არც თქვენ, არც თქვენი განსვენებული ქმარი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე თქვენი ამბავი შევიტყე, განუწყვეტილად მიყვარდით თქვენ და თქვენი ღმერთი ცხოვრება... ისეთი ძლიერი და საკირო კაცის დაქარგვა, როგორც თქვენი ქმარი იყო, სამწუხაროა ჩემთვის, თქვენთვის კი ეს იქნება უაღრესად საშიშრო“. შეჰდექ ლ. ტოლსტოი ანუკეშებს ადრესატს ღვთის ნებით და მისტიური დაპირებებით: „ის, რაც მე გამოგონია და შეპიტყვია თქვენი ქმრის შესახებ, უფრო და უფრო მანადვლებს მით, რომ მე არ ვიცნობდი მას და არ შემეძლო მასთან კავშირით შემეთვისებია ის სიმტკიცე და სიკეთე, რომელიც, როგორც მე ვადმოძიებს, მისი ხასიათის თვისებას შეადგენდა. თუ თქვენ მომწერთ მისა და თქვენს შესახებ და თქვენ შეჰდევს განხრახებებზედ, დიდად დამეფილებთ“, — სწერდა დასასრულ ტოლსტოი.

რელიგიურ-სექტანტურ მოძრაობასთან დაკავშირებულმა შემთხვევითმა და უსიამოვნო ამბებმაც დაახლოვა ლ. ტოლსტოი ქართველებთან. დუხოხოვების ერთ წყებას ბათონიდან ამერიკისაკენ 1898 წელს აცილებდა ლ. ტოლსტოის უფროსი ვაჟი ანდრეი ტოლსტოი. ტფილისში ყოფნის

¹⁾ Л. Толстой — юб. изд., т. 72, стр. 102—503, აგრეთვე В. Р.— „Князь Георгий Ал. Дадвани“, „Поср.“ 1905. და А. Михайлов — „В толстовской колонии“, „В Евр.“ — 1908 г. № 10.

²⁾ Юб. изд., т. 72, стр. 560.

დროს 1898 წ. ანდრეი გატუნო ელენე გურიელის ასულს, ილია ნაკაშიძის ბიძაშვილს, და დაჰპარდა მეუღლეობას. რუსეთში ფაქტურულად, შემდეგ ანდრეიმ თავისი განზრახვა შესცვალა და 1899 წ. მ. ფრედასკოვსკის ქალი შეირთო. განზორებას საშინლად იმოქმედა გურიელის ასულზე და მან რევოლუციით თავის მიკვლა განიზრახა. ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, მაგრამ დაჭრილი ვეღარ გამობრუნდა და ერთი წლის შემდეგ მოკვდა. გურიელის ბავშვობის მეგობარმა ინჟინერმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ამ ამბის შესახებ ლევ. ტოლსტოის მწვავე წერილი გაუგზავნა. ლ. ტოლსტოიმ წერილითვე უპასუხა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს:

„ამ ამბავმა, რომელიც თქვენ წერილით მაცნობეთ, ჩემში გამოიწვია წამების შეგნების გრძნობა... ჩემი შვილის საქციელი, რომელიც გატაცებული იყო და შემდეგ შეიცვალა, თუშეცა ბოროტი არაა, მაგრამ მიუტოვებლად უაზრო და ურიგოა იმით, რომ სხვას დაჰირდა და ვერ შეასრულა; ამიტომ მის ვერაფერი ვერ გაამართლებს, განსაკუთრებით იმ საშინელი მტდვის გამო, რომელიც ამ საქციელს მოჰყვა. მე ვუბრუნებ თქვენ წერილს და დარწმუნებული ვარ, სასტიკად დაიბრუნება იგი. ვიცი აგრეთვე, რომ ეს ტანჯვა ვერ გამოასწორებს ჩადენილ ბოროტებას“. ლ. ტოლსტოი თხოულობს ქრისტიანულად აპატიონ მის შვილს ეს დანაშაული და თანაგრძნობას უცხადებს გურიელის ოჯახს.

როგორც ილია ნაკაშიძე თავის მოგონებაში აღნიშნავს, უკანასკნელ ხანებში ლ. ტოლსტოი ბევრ წერილსა და შეკითხვას ღებულობდა კავკასიიდან და, კერძოდ, საქართველოდან. ეს კავშირი უკანასკნელ დრომდის არ გაწყვეტილა. 1910 წ. 1 მარტს დღიურში ლ. ტოლსტოი სწერს: „საინტერესო წერილებია. ვუპასუხე კეთილსინდისიერად. ამ ერთერთი საინტერესო წერილის ავტორი, როგორც ირკვევა, იყო სექტანტი ს. კომლადე. ¹⁾ 24 მარტის დღიურში ლ. ტოლსტოი სწერს: „საინტერესო წერილებია. ვუპასუხე, ამ საყურადღებო წერილების ავტორებია — ტელეგრაფისტი ნიკოლოზ მელიქიშვილი და ვინმე შანშიაშვილი ტფილისიდან“).

ლ. ტოლსტოის თანამოაზრე ქართველი მალაქია ბოლქვაძე 1910—1911 წ. ერთეიფურ ჟურნალსაც კი სცემდა პეტერბურგში შემდეგი სახელწოდებით: „В защиту человека“. რედაქტორი ბოლქვაძე ხშირად მიმართავდა ლ. ტოლსტოის თანამშრომლობისათვის. ჟურნალის პირველი ნომერი ლ. ტოლსტოის 1910 წლის 20 ივლისს მიუღია. ამავე დღეს გაუგზავნია თავისი შენიშვნები რედაქტორ-გამომცემლისათვის, თანაც დასაბუქდალ გაუგზავნია თავისი „ცხოვრების გზების“ წინასიტყვაობა. თავის უბის წიგნაკში № 5 ლ. ტოლსტოი იწერს დასახსომებლად „მოველაპარაკო ჩერტკოვს იმის შესახებ, თუ რა მივცე „В защиту человека-ს“ რედაქციას“ ²⁾.

¹⁾ Л. Толстой, т. 72, письмо № 1-9.

²⁾ Л. Толстой—пол. собр. соч (Ю. И.), т. 58, стр. 347.

³⁾ იქვე, გვ. 120 და 613.

1896 წლიდან 1903 წლამდის ლ. ტოლსტოი პერიოდულად წეწაობდა „პაჯი მურატზე“. ამ მოთხრობისთვის ლ. ტოლსტოი ყველაზე და ყოველგვარ მასალას, რადგან ლ. ტოლსტოი იშვიათი შემთხვევით სწერდა ისტორიულ თხზულებებს.

1902 წლ. 25 დეკემბერს ტოლსტოი ყორღანოვს სწერდა; „როდესაც მე ისტორიულს ვწერ, მიყვარს უკიდურეს წერილმანებამდე ვიყოს სანაპიველესთან ახლო“¹⁾. საისტორიო და საცნობარო მასალის შესახებ ხშირად მიმართავდა ლ. ტოლსტოი ტფილისში ს. ესაძეს, ი. ნაქაშიძეს, ს. შულგინს, ი. ყორღანოვს და სხვებს.

სახელგანთქმულ დიდ მწერლისაგან არა მარტო წერილებით, არამედ პირადი ნახეთაც ლეზულობდა ბევრი რჩევა-დარიგებას. ლ. ტოლსტოის სანახავად მოდიოდნენ ევროპელებიცა და ამერიკელებიც. როგორც სწანს, აკაცისიდიანაც ბევრი ესტუმრა ტოლსტოის მართალია, ტოლსტოველობა მასებში არ შექრია, მაგრამ აქა-რქ მის მოძღვრებას ყველგან მიმდევრები წერილ ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ წრეებში და სოფლის ჩამორჩენილი მოსახლეობის ზედა ფენებში. უბრალო ცნობისმოყვარეობის მიზნითაც ბევრი მიდიოდა ლ. ტოლსტოის სანახავად. მნახველთა რიცხვა განსაკუთრებით მე-90 წლების დასასრულს იმატა. ხშირად ეს მნახველები უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებდნენ დიდ მწერალს. ასეთ მნახველთა დასახასიათებლად საინტერესო ეპიზოდი მოჰქვას ლ. ტოლსტოის ბიოგრაფ პ. ბარიუკოვს მოქანდაცე ი. გინცბურგის მოვონებიდან:

„ერთხელ ჩვენს სამეშაო ოთახში შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა ლეე ნიკოლოზის-ძეს, რომ ვიღაც ქალიშვილებს ტულიდან უნდათ მისი ნახვა.

— რისთვის — ჰკითხა ლ. ნიკოლოზის ძემ.

— ისე, შეხედვა სურთ, — უპასუხა მოსამსახურემ, რომელიც ალბათ პირველად არ ატყობინებდა მწერალს ასეთი შემთხვევების შესახებ. — ალბათ ტყუილად მოსულან ტულიდან სახალხო მასწავლებლები — მელანქოლიურად დაუმატა მოსამსახურემ.

— ოჰ, როგორ მოსაბზრებელია ეს, — ნაღვლიანად სთქვა ლ. ნ. — რას იზამ, სთხოვე. აი ნახეთ ცნობისმოყვარეებს; საშინელებაა, როგორ მაწუხებენ ისინი. იმათ არაფერი არ უნდათ, გარდა იმისა, რომ შემომხედონ, — მომმართა ლ. ნ.

და მე რაღაც უხერხულება ვიგრძენი, — ამბობს მოქანდაცე რ. გინცბურგი.

შემოვიდა ოთხი ქალიშვილი და გაჩერდა კარებთან.

— გამარჯობათ! — სთქვა ლ. ნ., — საიდანა ხართ?

— ტულიდან — უპასუხეს მათ.

¹⁾ Г. Бебутов—„Л. Н. Толстой и Хаджи Мурат“, Эривань, 1928 г.



— რა გნებავთ, იქნებ შეკითხვები გაქვთ ჩემთან.

ქალიშვილები სდუბდენ.

— წავიკითხავთ ჩემი ნაწერები? — ჰკითხა მათ ლ. ნ. მიჰრობილი.

— ზოგიერთი წავგიკითხავს, — ხმადაბლა უქასუხა ქალიშვილებმა.

— ჩემი მოთხოვნები? — მან დაუსახელა ზოგიერთი.

— არა, — უქასუხეს მათ თითქოს შემინებულვება.

— აი, რამდენიმე მოთხოვნას მოგცემთ...

ქალიშვილები გატერებულნი იყვნენ, არ ინძრეოდნენ და თვალები ჰქონდათ ლ. ნ. მიჰრობილი. მე უხერხული მდგომარეობა ვგრძენი, ჩენსა და ამ დაბნეული სტუმრების შესახებ... დიდხანს იყენე ისინი ასეთ მდგომარეობაში. მე კიდევ შემინოდა შემეხედა ლ. ნიკოლოზის ძისათვის. ბოლოს, ლ. ნ. სთქვა:

— აი ჩემი მოსაქსახურე მოგცემთ რამდენიმე ჩემ წიგნს, წადით და უთხარი, რომ შევიჩინოსთ, რაც მოგეწონებათ. ჯერ-ჯერობით ნახვამდის.

ქალიშვილები წყნარად გავიდნენ.

— აი ხომ ხედავთ, როგორი ცნობისმოყვარენი არიან. ასეთები ხშირად მოდიან ჩემთან, — სთქვა ლ. ნ. და თავისუფლად ამოისუნთქა.

მოკარბებულ ცნობისმოყვარე მნახველთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელსაც რაღაც იდეურად აკავშირებდა ტოლსტოისთან. ლევ ტოლსტოისთან ერთი ასეთი შეხედრა ჰქონდა პავლე აკობიასაც. თავის გამოთქვეყნებულ მოგონებაში — „შეხედრა ლეონ ტოლსტოისთან“ პავლე აკობია სწერს:

„მე, საერთოდ, შეგნებულნი მოწინააღმდეგე ვიყავ ომიანობისა, სრულიად არ მინდოდა ვყოფილიყავი მონაწილე ამ ბოროტმოქმედებისა“. 1898 წელს ის ჯარში წაუყვანიათ. პ. აკობიას გადაუწყვეტია გაქცევა და კიდევაც გაქცეულა.

„ვიბეტიალე 1899 წლის შემოდგომამდე. ბოლოს გადაწყვიტე, — სწერს ის, — წავსულიყავი, ომიანობის განაქებულ მოწინააღმდეგე ლეონ ტოლსტოისთან და მეამბა მისთვის ჩემი მდგომარეობა. 1879 წლის ნოემბერში ოდესიდან მოსკოვამდე მიმავალი მატარებლით ჩავვედი ქალაქ ტულაში. იქნებოდა დილის 9—10 საათი მოენახე წიგნის მალაზია და ვიკითხე, თუ სად იყო ამჟამად ლეონ ტოლსტოი. იქ მითბრეს, რომ იგი ეხლა თავის სოფელშიაო, იასნაია პოლიანაში. ამის შემდეგ გამოვიკითხე გზა... და გავწიე ფეხით იასნაი პოლიანისაკენ. შეადღის სამ საათზე ვიყავი ლეონ ტოლსტოის ფართო ეზოს ჰიშკართან. შიგნით იყო ვრცელი ადგილი დიდრონი ხეებით. ეს ადგილი მოაგონებდა კაცს მივიწყებულ უპატრონო ქვეყანას. შორიდან უკვე მოსჩანდა ორსართულიანი, თეთრად შეღებილი ქვით-ქირის სახლი“.

ლ. ტოლსტოის საღამოს ეამს მიუღია მნახველი. „კარებთან შემხედა

თვითონ ლ. ნიკოლაევიჩი და მიმიპატიყთა თავის კაბინეტში, რომელსაც ქვედა სართულში იყო მოთავსებული. შევედით კაბინეტში და სანთელსაც მოუკადეს. მიმიპატიყთა დასაჯდომად და დაჯდა თვითონვე დაპირტოლსტოის ზურგს უკან კედელზე ეკიდა ხელის ხერხაძის ნაწებრის სპსწორით გადმოსაცემად პ. აკობიას თავის მოგონებაში მოჰყავს დიალოგი, რომელიც მას და ლ. ნ. შორის გაშართულა:

„ლ. ნ. — რით შემიძლია გეშახუროთ?

პ. ა. — შე ვარ ქართველი. დიდი ხანია დაინტერესებული ვარ თქვენით. საგანგებოთ წამოვედი საქართველოდან, რომ პირადად შენახეთ და შეთქვა თქვენთვის ჩემი მღვდმარეობა.

ლ. ნ. — წაკითხული გაქვთ თუ არა ჩემი წიგნები?

პ. ა. — დიან, წაკითხული მაქვს, მაგრამ არა ყველა.

ლ. ნ. — წაიკითხეთ ყველა და მეც იქ მნახაეთ“.

სცენა ტულიდან ჩასული მასწავლებლების შეხვედრას მოგვავიწყებს. ცნობისმოყვარე მნახველებისაგან თავმოებზრებულ ლ. ტოლსტოის არ შეგძლო სხვაგვარად მიეღო პ. აკობია, რადგან ასეთი შეხვედრა უფრო სმუხზემო ექსპონატების დათვლიერების იერს ატარებს. ამ შეხვედრიდან საყურადღებოა მხოლოდ ერთი დეტალი, რომ ლ. ტოლსტოის უტოპიურ და რეაქციონურ მოძღვრებას — „ნუ ეწინააღმდეგებით ბოროტებს“ თავისი თანამოაზრენი საქართველოშიც ჰყავდა.

III.

ლენინმა თავის წერილებში ლ. ტოლსტოის შესახებ იშვიათი სიცხადით გაარკვია ტოლსტოის მოძღვრების არსი. „ტოლსტოიმ ესახა ისტორიული თავისებურება რუსეთის პირველი რევოლუციისა, მისი ძალა და მისი სისუსტე, — სწერს ლენინი. — მისი პირით ლაპარაკობდა მთელი მრავალმილიონიანი რუსეთის ხალხის ის მასა, რომელსაც უკვე ეზიზღება თანამედროვე ცხოვრების ბატონები, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ვერ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრობითს, ბოლომდის მიმყვან ბრძოლამდის“. ლენინი აღნიშნავს, რომ ლ. ტოლსტოი დაუნდაბელ და მკაცრ კრიტიკას აწარმოებს ოფიციალური ეკლესიის, მემამულეების და, საერთოდ, ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ქადაგებს — ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებასო და მოუწოდებს ხალხს მოთმინებისაკენ. ეს წინააღმდეგობა ლენინმა გენიალურად ახსნა რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით.

„Литературное наследство“-ს 19-21 ნომრებში გამოქვეყნებულია ლ. ტოლსტოის 1900—1903 წლების პერიოდის დღიურებისა და ჟმის წიგნაკების წინასწარი მიმოხილვა. ამ მიმოხილვიდან ირკვევა, როგორ სასტიკად ილაშქრებს ლ. ტოლსტოი „ყაჩაღთა ბუდის“ ბიუროკრატიულ სახელ-

მწიფოს წინააღმდეგ. შენიშვნების სახით ლ. ტოლსტოი ნახავს რევოლუციის პროგრამას, სადაც, სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს შემდეგი აზრი: „იმპერიალიზმის მოსპობა, ფინეთის, ოსტრეის, პოლონეთის, უკრაინის, უკრაინის, უკრაინის თვითმმართველობა“¹⁾. ლ. ტოლსტოის ეს გეგმა, ცხადია, უტოპური იყო, მაგრამ საყურადღებოა, რომ პოლონეთის, ფინეთის და საქართველოს თვითმმართველობის საკითხი ლ. ტოლსტოიმ იმპერიალიზმის მოსპობასთან დააკავშირა. უნდა ვიფიქროთ, რომ ლ. ტოლსტოის ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხებზე, მაგრამ დიდი მწერლის სამუშაო გეგმაში ამ საკითხის დასააც უადრესად საყურადღებოა.

ბოროტებისა და ჩაგვრის მოწინააღმდეგე ლ. ტოლსტოი წინააღმდეგი იყო მცირე ხალხის ჩაგვრისა. ამავე დროს საფიქრებელია, რომ ლ. ტოლსტოისთან დაახლოებული ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები აქებებდნენ ლ. ტოლსტოის ნაციონალური საკითხის თავისებურად დაყენებისათვის.

1906 წელს მეველემ (დავით შიქელაძემ) თარგმნა ლ. ტოლსტოის ცნობილი დრამა, „Власть тьмы“ — „მეუფე წყვიდიძისა“. დრამა დაიბეჭდა ქუთაისში 1908 წელს. როგორც ირკვევა, ამავე წელს მთარგმნელს დაბეჭდილი წიგნი გაუგზავნია ლ. ტოლსტოისათვის და წერილში დაუსვამს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. 1908 წლის 3 აპრილს ლ. ტოლსტოის მდივანი ნ. გუსევი დღიურში შემდეგს აღნიშნავს: „ლ. ნ. შიქარნაბა შემდეგი პასუხი — „მეუფე წყვიდიძის“ ქართულ ტრანზე მთარგმნელისათვის, რომელმაც მას თარგმანი და წერილი გამოუგზავნა: „ლ. ნ. მადლობელია თქვენი თარგმნისა და წიგნის გამოგზავნისათვის, რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ლ. ნ. მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ ის განსაკუთრებით უკანასკნელ დროს ცხადად ხედავს იმ ბოროტებას, რომელიც წარმოებს დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა ეროვნებათა ჩაგვრით, და რომ ლ. ნ. ამ საკითხი დაინტერესებულია და სწერს მის შესახებ“²⁾. ამ გარემოებაზე მიუთითებს ი. ლ. ნაკაშიძეც თავის მოგონებებში. ამ საკითხს ლ. ტოლსტოი თავისი მოძღვრების საერთო ასპექტში აყენებდა, რის გამოც ცხადი უნდა იყოს ამ საკითხშიც ლ. ტოლსტოის გეგმების უტოპური ხასიათი.

1905 წ. რევოლუციამ ამოძრავა მოხუცი ლ. ტოლსტოი. ლ. ტოლსტოი არ იზიარებდა 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლას „შე ვარ ქრისტიანი ანარქისტი და ამიტომ თანაბრად მძულს თვითიმპეროზობა და სოციალიზმი, რადგან ორივე ეს სავსებით ერთნაირი დესპოტიზმი მთავრობაა“³⁾, — ეუბნება ლ. ტოლსტოი ინტერვიუს დროს „მატენის“

¹⁾ „Литературное наследство“ № 19—21, 1935 წ., გვ. 693.

²⁾ Н. Гусев — „Два года с Толстым“, მეორე გამოცემა, 1927 წ., გვ. 176.

³⁾ ლ. ტ. მემკვიდრეობა № 1. ლ. ნ. ტოლსტოი თანამედროვე ამბებზე რუსეთში“ გვ. 661—662*.

ერთ ერთ რედაქტორს. ლ. ტოლსტოი 1905 წლის რევოლუციის პერიოდშიც განაგრძობს თავისი რეაქციონერ-უტოპიური აზრის ქადაგებას — ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწველობას. მაგრამ მას შემდეგ, როდესაც კად ეხმის თავს თვითმპყრობელობას, რომელიც ჯალმითურად ანადგურებს აზვირთებულ მშრომელთა მასებს. რა გამოსავალზე მიუთითებდა ლ. ტოლსტოი რევოლუციურად დარაზმულ ხალხს. «ერთადერთი საშუალება მთავრობის გასაძევებლად არის უარის თქმა იმ ბოროტმოქმედებებში მონაწილეობაზე, რომლებსაც ისინი სწადიან: მმართველები ხშირად არსებობენ ბოროტმოქმედებათა წყალობით»¹⁾.

1905 წელა რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში გრანდიოზული ხასიათი მიიღო — ეს მოძრაობა კლასთა ბრძოლის აშკარა ნიშნის ქვეშ მიმდინაოვბდა. ლ. ტოლსტოის ილუზიები რევოლუციის ლადიკამ დაამხვრია. 1905 წ. დასაწყისშივე რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა განდევნეს მეფის მთავრობის მოხელეები და თვითონ იწყეს თავიანთ საქმის მოწესრიგება შემინებული მთავრობა პირველ ხანებში ფაქტიურ დათხოვაზე მიდის, ამავე დროს სასტიკ რეაქციას იმხადებს „ბუნტარების“ გასანადგურებლად, განსაკუთრებული ინიციტივა და დარაზმულობა მეფის მთავრობის მოხელეთა განდევნაში და თავიანთი ცხოვრების მოწესრიგებაში გამოიჩინა გურულმა გლეხობამ. მახეც ტოლსტოის გურიისში რევოლუციური მოძრაობის შესახებ მისმა თანაპოაზრებებმა აცნობეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ინფორმაცია სწორი არ იყო, იგი ალბათ შეღავათებულ იყო ტოლსტოევრად. როგორც ილა ნაკაშიძესთან გამოგზავნილ წერილიდან სჩანს, გურიის ამბები ლ. ტოლსტოისათვის უცნობებია. მ. ყიფიანს, რომელსაც ტოლსტოი საყვარელ ადამიანს უწოდებს, გურიის ამბებზე ლ. ტოლსტოი ილია ნაკაშიძეს სწერდა: «ის ცნობები, რომლებიც ყ. გადმოგვცა, ჩემს ფაქრით, ძალიან დიდნიშვნელოვანია და უეჭველად უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიადი ამბავი, რომელიც გურიაში ხდება. თუკი ვიცო, რომ გურულეებმა არ იციან, რომ მე ვარსებობ ქვეყანაზე, მაგრამ ძალიან მსურს გადავეცე ათ ის გრძნობები და აზრები, რომლებიც ჩემში გამოიწვია მათმა საოცარმა მოქმედებამ. თუ ავას საჭიროდ დაინახავთ, გადაეცით: აი, არის ერთი ისეთი მოხუცი კაცი, რომელიც ოცი წელიწადი სულ იმაზე ფიქრობს და სწერს ხალხის ყველა უბედურება იმისგანაა, რომ ადამიანები თავიანთი საკუთარი ცხოვრების მოწყობას და დახმარებას ელიან სხვისგან, მთავრობისგან და, როცა ხედავენ, რომ მთავრობისაგან არაა არც დახმარება, არც წესიერება, მაშინ იწყებენ მთავრობის კიცხვას და ებრძვიან მას. მაგრამ არ არის საჭირო არც ერთი, არც მეორე — არ უნდა ელოდო მთავრობისაგან დახმარებას და წესიერებას და არც უნდა ებრძოლო მას. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: სწორედ ის, რაც სურთ იმათ, გურულეებს.

1) „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ № 1, გვ. 652.

სახელდობრ: თავისი ცხოვრების ისე მოწყობა, რომ მთავრობა საჭირო არ იყოს. იმისათვის კი, რომ მთავრობა საჭირო არ იყოს, უნდა ისე მოიქცეთ, როგორც ისინი იქცევიან: იცხოვროთ სინიდიის ქრისტიანულად, მოკლედ — ლეთისნიერად. თუ შესაძლებელია გადაეცით მათ, რა დიადი სიხარული განიცადა ამ მოხუკმა, როცა გაიგო, რომ ის, რაზედაც ფიქრობდა და სწერდა იგი ამდენი წლების განავლობაში და რაც სწავლულთა და იმათაც, ვინც თავის თავს ბრძენად სთვლიდა, არ ესმით, არც ესმოდათ, — სწორედ ეს თავისთვის, საკუთარი ჭკუით და სინიდისით, ათასმა კაცმა არა თუ გადასწყვიტა, არამედ საქმედაც აქცია და მიჰყავს ისე ბტკიცედ და კარგად, რომ მეზობლებიც ეხსრობიან. გადაეცით, მათ რომ ეს საქმე ისეთი კარგი და დიდმნიშვნელოვანია, რომ საჭიროა ყოველი ძალ-ღონე იხმარონ (სულიერი ძალა, სიწყნარე, გონიერება, მოთმინება) იმისათვის, რომ ბოლომდის გაიტანონ იგი, რომ, მაგალითად გადაიქცენ მახლობელი და შორეული ადამიანებისათვის და იმოქმედონ ლეთის სასუფეველის დასამკვიდრებლად არა ძალითა და სიკაღბით, არამედ გონიერებითა და სიყვარულათ. გადაეცით, რომ არა მარტო მე, არამედ მრავალი ხალხი შეჰპარის მათ და მზად არის, რითაც შესაძლებელი და საჭიროა, ყოველგვარად დაეხმარონ მათ, რომ ჩვენ ყველანი დარწმუნებულიყავართ, რომ რაკი ასეთი დიადი საქმე დიდიწყეს და ბევრი რამ გააკეთეს კიდევ ამ საქმისათვის, ისინი ხელს აღარ აიღებენ ამაზე და ისევ ამ გზას გააყვებიან და ხალხს მაგალითს უჩვენებენ. გადაეცით მათ: ეს მოხუცი ადამიანი ფიქრობს, რომ მთავარი მათი ძალ-ღონე მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ, როგორც თითონვე ამბობენ, იცხოვრონ ქრისტიანულად, სინიდისის თანახმად, და აასრულონ ერთი და იგივე კანონი როგორც ქრისტიანებისა, ისე მამადიანებისათვის და მსოფლიოს ყველა ადამიანებისათვის. ეს კანონი ისაა, რომ შეიყვარო ყოველი ადამიანი და საგებს ისე მოექცა, როგორც გინდა, რომ სხვები შენ მოგექცენ. თუ ისინი ასე ლეთისნიერად ცხოვრობენ, ვერაფერს ვერაფერს უზამს. თუ ისინი ღმერთთან იქნებიან, ღმერთიც იმათთან იქნება და ვერაფერს ხელს ვერ შეუშლის მათ.

ლ. ტოლსტოის მოლოდინი არ გამართლდა — გურული გლეხები მალე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ დამჯელი რაზმების წისაღმდეგ. ნასაკი-რალის ბრძოლა — ლ. ტოლსტოის ილუზიის საშინელი მარცხი იყო.

ლ. ტოლსტოის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე უთუოდ თვალსა-ჩინო იყო, მისი ბევრი ნაწარმოები დაწერისთანავე ითარგნებოდა ქარ-თულად. ცნობები ლ. ტოლსტოის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვა-წეობის შესახებ სისტემატიურად თავსდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებ-ში. მისი პატარა წიგნაკები ათასობით ვრცელდებოდა ხალხში. საყურა-დღებოა, რომ პროვინციებში იბეჭდებოდა ლ. ტოლსტოის წიგნაკები. თა-ვი რომ დავანებოთ ქუთაისს, სადაც ლ. ტოლსტოის მრავალი თხზულება გამოიცა, მისი მოთხრობები იბეჭდება ბათუმში, სენაკში და სხვაგან. მაგ.,

1896 წ. ახალ სენაკში გამოიცა ლ. ტოლსტოის „ჩუბი ერთი კერცხისათვის“ და იმავე წელს გაიყადა.

ლ. ტოლსტოის თხზულებები ღრმად შეიჭრა ხალხში. ლ. ტოლსტოის მოძღვრების კრიტიკულმა მხარემ ობიექტურად უთუოდ დადებითი როლი ითამაშა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მასების დასარაზმავად. განახლებული სოციალისტური საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი ცხოვრების გამომხატველი საბჭოთა ლიტერატურა უთუოდ დიდის პატივისცემით მოიგონებს უდიდეს მხატვარს და „სიმართლის მაძიებელს“ ლ. ტოლსტოის და მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მოძღვრების საფუძველზე კრიტიკულად აითვისებს მის უდიდეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



ალ. ზაიზვილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზა

რამდენიმე წლის წინად კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მკითხველი ნაზოგადოება იცნობდა, როგორც ნიჭიერ პროლეტარულ პოეტს. მას იცნობდნენ კომკავშირელი ალტყინებით და დაუდევარი სულით გაკლენთილი ლექსებით. ამ ლექსებიდან სჩქედდა სამოქალაქო ომების რომანტიკა. ამ ლექსებში ის დაუნდობელ ომს უცხადებდა ძველი სამყაროს ნაშთებს ყოფასა და მსოფლშეგარანებაში, თუმცა ამავე დროს მისი პოეზია არ იყო ყოველთვის საეესებით თავისუფალი ამ სამყაროს გამოძახილისაგან.

ამჟამად კონსტანტინე ლორთქიფანიძე ერთ-ერთ თვალსაჩინო მწერალია ქართველ პროზაიკოსთა შორის. ის ეხლაც განაგრძობს აუდიტორიის წინაშე გამოსვლას თავისი ახალი და ძველი ლექსებით, მაგრამ მისმა უკანასკნელმა რომანმა („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“), რომელმაც იგი, ლიტერატურული და ცხოვრებრივი სტატიით სრულებით ახალგაზრდა, ქართველი ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე გამოიყვანა, თითქოს დაჩრდილა ის, როგორც პოეტი.

ამ რომანს წინ უძღოდა რამდენიმე მოთხრობა და რომანი კომკავშირული ყოფიდან—„ხავსი“, „პირველი დედა“ და სხვა, რომელნიც, სქემატიურობის მიუხედავად, ყურადღებას იპყრობდნენ თავისი მიზანსწრაფვით, ღრმა პრობლემატიურობით და თემატიკის სიმბავილით.

მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ განვითარების პროცესში ჰქონდა იმ დიდი ძვრების შესწავლას, რომლებიც ამ წლების მანძილზე ხდებოდა ჩვენი სოფლის სინამდვილეში. ეს უდიდესი რევოლუცია, უმაგალითო თავისი მასშტაბით და სიღრმით, მთლიანად იპყრობს მწერლის ყურადღებას. პირველი შედეგი ამ მუშაობისა მან მოგვცა ნარკვევების კრებულში „ახალი გლეხები“, შედარებით სუსტ, გაუმართავი ხელით დაწერილ ნაწარმოებში.

ამ ნაწარმოების გაცნობა გეჩვენებს, თუ რა დიდი ნაბიჯი გადასდვა მწერალმა წინ ორიოდ წლის განმავლობაში. ეს კრებული („ბაბო ვლენები“) სუსტი პუბლიცისტური მსჯელობის და ვარდენჭრის მხედველობით აღწერის ნაზავს წარმოადგენს. ნარკვევი შეეხება ქედის ურთიერთობის ისტორიას. მაგრამ ეს ისტორია კომუნის მოანგარიშის მშრალ თბრობაშია გადმოცემული. ავტორის მსჯელობა, რეფლექსიებით ვლენის ბუნების შესახებ ისეა არეული აღწერის მომენტებთან, რომ ვერც კი ამჩნევ, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ავტორს ჯერ კიდევ არ გააჩნია განსაზღვრული ზერბი მოვლენებთან მიდგომისას. ის ჯერ კიდევ ტაატით დადის. მაგ., ნარკვევის დასაწყისში, სადაც ავტორი აღწერს ზონელი მეეტალების ეპრობას მგზავრებთან, ვკითხულობთ: „არ გასჭრა. არაინ უსმენდა ეტლების შინა მლადადებელ ხმას“ (სრულიად უხეირო პარაფრაზია გამოთქმისა „ხმა მლადადებლისა უდაბნოსა შინა“-ა. ჯ.)

„ჩაჯექით თქვე ოჯახდაქცეულებო, ლურსმანი კი არ ჩამირქვია ბალიშზე“, — ეპატიება კვლავ მეეტლე მგზავრებს; — „ლურსმანი კი არა. მაგრამ ბალიშის დაჯღრეულ ზამბარაკებს იმ დენად კარგად შეუთვისებია ლურსმნის ჩვეულება, რომ ძალიან ნაკლებად იძლევა არხეინად წამოწოლის საშუალებას“ (ხაზი ჩვენია.-ა. ჯ.).

ან და ალაზნის ველის აღწერა: „გეჩვენება, თითქოს შენს წინაშე დაეარდნილია უზარმაზარი ველი, მოფენილია სარკის მინის ნამსხვრევები, რომელზედაც უკუქცეულია მზის გამოსახულება და ოქროსფერ მტვერად ავარდნილა ზევით. ღრმა დაკვირვებით (ხაზი ჩვენია.-ა. ჯ.) ოქროსფერს ალაგ-ალაგ შეეპარება იისფერი. თვალი დამშვიდდება, მაგრამ წამშივე კვლავინდებურად თვალების მომქრელ სანახაობად შეიცვლება. დაიკარგება ტატნობი.“

...ფერების თამაში დაუსრულებელია, ვიდრე მზე „აკადემიკოსის სავარძელს“, შუადღეს არ მიაღწევს. მაშინ, როგორც ყველა აკადემიკოსი, ისიც ჰკარგავს სიახლეს და მომზიბვლელობას, გაერთფეროვანდება და გადმოიქცევა სიცხის მოძაბურებელ ღვარებად.

კახურ სოფლების დათვლიერებისას მას მხოლოდ ის ხვდება თვალში, რაც ამ უკანასკნელს იმერულ სოფლიდან განასხვავებს.

ფრაზის გამართვაში, შედარებებში მოსჩანს დამწყები მწერლის არამტკიცე ხელი.

აქ გვხვდება ასეთი ფრაზები: „ავრონომის რჩევით ნამყენები მაისში დავთესეთ;“ „კომუნა ირყეოდა, როგორც ნავი“ (თითქოს ნავი ყოველთვის, ყოველ ტაროსზე ირყეოდეს.-ა. ჯ.); „ხევი განთქმულია მექურქლეობით (თიხა)“ (თიხა მიწერილია ფრჩხილებში.-ა. ჯ.); „ვხედავ უამრავ ჭურებსა და ავურხანებს, სადაც საოცარი ოსტატობით ამზადებენ თორწებს, ქვევრებს, ვიწროყელიან კოკებს“ (ნარკვევში კი არსად არ არის

ნაწევნები არც ეს ოსტატობა, არც მისი ნაყოფი.-ა. კ.) ან სრულად საავადმყოფოს შესახებ: „ჯანსაღ პერსა და შშვენიერ წყალს საბატიო ადგილი უჭირავს მედიკურ პერსონალში“. ან და ასეთივე ფრაზებ: „აღწონდა-ში ისევე აუცილებელია ნაცნობის გაჩენა, როგორც სხვათა შთანაბა“ (მგზავრს შეიძლება ვაგონში ადგილი წინასწარ ჰქონდეს მიჩნეული, და არც ვინმეს გაცნობის გუნებაზე იყოს.-ა. კ.)

მეორე ნაწარმოები ამ წინა პერიოდისა — „პირველი დედა“ გარეგნულად უფრო მწყობრი და გამართულია, მაგრამ ის თითქმის ერთთავად პირობით პერსონაჟებზეა აგებული; გარემო, რომელშიაც იშლება მოქმედება, სქემატიურად არის მოხაზული. აქაც გვხვდება გამოთქმები: „ხო-შის გამსწორებელი“ და სხვ.

ასე რომ რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ ავტორის პირველი ნაწარმოებია, რომელიც ამჟღავნებს უკვე საკმაოდ დარდინებულ, ხელგამართულ მწერალს, რომელსაც ახასიათებს გარემოს, ადამიანების რეალისტური მხატვრული აღქმა.

კონსტ. ლორთქიფანიძე არ არის შოლოხოვივით სოფელზე „მიჯაჭული“ მწერალი, მაგრამ ამ დიდი გარდატეხის პერიოდში ის დიდის ენებით, დიდის ტემპერამენტით სწავლობს არა მარტო ძველი სოფლის ნგრევისა და ახლის დარდინების პროცესს, არამედ თვით ამ სოფლის ისტორიულად შემუშავებულ სახეს და იერს. ის ეცნობა არა მარტო მის პეიზაჟს და კოლორიტს, არამედ მის შინაგან ორგანიულ ფერებს. ის ახალი თვალთ იზილავს დასავლეთ საქართველოს სოფლის სინამდვილეს, მის ეკონომიკას, მის ყოფას.

იმერული სოფლის სინამდვილე, მისი ფერები, მისი კოლორიტი, მისი ადამიანი, მიწის დიდი ნაკლებობის, ხუტორული მეურნეობის პირობებში აღმოცენებული ფსიქოლოგიური თავისებურებანი კლასიკურად იყო გამოვლენიებული დავით კლდიაშვილის მოთხრობებში. ამ მხრივ კ. ლორთქიფანიძეს თითქოს არ უხდებოდა ყველაფრის თავიდან დაწყება, ხარის ბეჭზე წერის შესწავლა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გზა თითქოს ერთგვარად გათვლილი იყო, არის მაინც არსებითი განსხვავება იმ ფერებში, რომლებშიაც კონსტ. ლორთქიფანიძემ გადაშალა ეს სინამდვილე, და იმის შორის, თუ როგორ იყო ის ტრადიციულად მოცემული ჩვენს მხატვრულ პროზაში თუ დრამატურგიაში („გუშინდელი“, „სტუმარ-მასპინძლობა“ და სხვ.). წინათ ეს იყო ამ სინამდვილის წერილ-აზნაურულ, კულდაბზიკურ შტრიხებში დაჭერა, მის შემსუბუქებელ, საღალბო ტონში ათვისება და, რაც მთავარია, ამ სინამდვილის წმინდა ყოფითს მომგეტებში მოცემა. კონსტ. ლორთქიფანიძემ ამ რომანით გვიჩვენა, რომ ახალი მიდგომა, ახალი სოფლმხედველობრივი განწყობა მწერალს აძლევს საშუალებას გამოავლინოს ლიტერატურულად უკვე დამუშავებული და „განახმარ“ ფონსა და მასალაზე ფერთა ახალი სიმდიდრე, ახალი ტიპები, და ხასიათე-

ბი, ახალნიარად გაშალოს ყოფა. ამ ახალი მიდგომით კონსტ. ლორთქიფანიძემ შესძლო გვერდი აეხვია წმინდა ყოფითი ფერწერისათვის, და ამავე დროს თემის შეუღწეობებლად მან მოგვეცა იმერული სოფელი *სოფელი კულაჯი* და სპეციფიკა.

ეს ახალი მწერლის ხერხებში არის მოვლენებისადმი არა წმინდა ყოფითი, არამედ საწარმოო ყოფითი და გამძაფრებული სოციალური მიდგომა. პირველ რიგში ეს მოსჩანს იმ პორტრეტების გალერეაში, რომლებიც მან ამ თავის ნაწარმოებში მოგვეცა. ეს პორტრეტები „გაკეთებულია“ სწორედ ამ ახალი მიდგომით. ის მკითხველის წინაშე ფართოდ შლის თავისი გმირობის ეკონომიურ-ყოფითი დარღვინების პროცესს. აი, მაგ. თქვენს წინაშე კულაკ ერემო პიტახიას, დილა აღრიან, უთენია წამომდგარი, კალათებით შარავზის პირად ჩასაფრებული. იტყვი, ობობა ჩამჯდარა თავის ბუდეში და მსხვერპლს ელოდებოა. მწერალი პლასტიურად შლის ბაზრობაზე მიმავალ, ჭათმებით, კვერცხებით, ყველით დატვირთულ სოფელელთა შეხვედრას ამ რბელსათან. თქვენ თითქოს მათთან ხართ ამ ალიონის ბინდში, ესწრებით ამ ვაჭრობის სცენას. ერემოს ფიგურა, საცვლებზე წამოსხმული ნაბლით კალოშებში ფეხგაყრილი, მუდამ თვალწინ გიდგათ, ის თითქოს მუდამ დაგორავს თქვენ თვალწინ, როგორც ცუდად ვათლილი ჯირკი. ასე მძაფრად განსხვავდება იგი თავისი კლასობრივი ორეულის კულაკ ბარნაბა სავანელიძისაგან, რომელსაც რაღაც მოჩვენებითი დარბაისლობის, „კულტურისნობის“ იერი გადაჰკრავს. მაგრამ მწერალი გვიჩვენებს, რომ ესენი მაინც ერთსულ და ერთხორც არიან, რომ მათი მგლური ბუნება ერთ შემთხვევაში კარგადაა მიტმანნილი გარემოებასთან, მეორეში კი უფრო ნაკლებად. მწერალი აღწევს ამას სწორედ იმით, რომ თავის გმირს გვიჩვენებს საწარმოო, სამეურნეო საქმიანობის დამახასიათებელ მომენტებში.

აი, იმავე ერემო პიტახიას პორტრეტი, სხვა მდგომარეობაში გადაღებული. ბატის ნათესურებით მოსერილი დაეთრით ხელში დგას ერემო თავის დუქნის წინ და მედლეეჩენს უტევს. გრძნობთ, რომ მას შეუძლიან ეს წვირიანი დაეთარი ისე მიუშვიროს ზონელ მედილიეჩენს შუბლში, როგორც ბანდიტი მიუშვერს ხოლმე თავის მსხვერპლს დამბაჩას. გვერათ რომ მას შესწევს ძალა აიძულოს მედილიეჩენე, სწორედ მის სამიკტროს წინ დააყენოს დილიეჩანი, რათა მას და მის მგზავრებს ხელნაკრავ ღვინოში უქანასკნელი გროშები გამოაცალოს. გესმით ამ ხეპრე მიკიტანის უდიერი მუშტების ბაგა-ბუვი დაბეჩავებული მოჯამაგირის ზურგზე. ხედავთ ბრაზით ამღვრეულ მის თვალებს.

შემდგომ სცენებში კი, მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, უტყვრით ამ ვირ-ეშმაკას, კიპრუტყვიით დამტკპარს, სანტიმენტალურად დანახებულს, როცა მექის მოჯამაგირეების კრებაზე იწვევენ, ამ ონავარის გულში ვითომ მამობრივი გრძნობა იღვიძებს. ის მზეს და მთვარეს ფიცუ-

ლობს, რომ მეტი ხრიკუნია არასოდეს არ ყოფილა მის მოგაზამაგირე, რომ ის მისი „შვილობილია“. ის თავისებურ, პრიმიტიულ დედასთან ერთად კი მიმართავს, რომ მოგაზამაგირეს თავმოყვარობა გაუღიჯოს.

— ნუ ჩქარობ, ბიჭო, — ეუბნება ის გუნება-ამღვრულ მოგაზამაგირეს. — მე კრებაზე წასვლას როდი გიშლი! მე მხოლოდ იგი მაწუხებს, რომ ჩემში შვილობილი მოგაზამაგირეებში ჩაირიცხეს. რაღა იმ წუნკლების კრებაზე გიძახიან, რატომ იმისთანა შეკრებილებში არ მიგიწვევენ, სადაც სოდლის თავი კაცები იკრიბებიან. მოგაზამაგირის დაძახება არც შეუნდა გააბედო სხვას, შვილებში არ გარჩევ. შენ კი არა, ჩემი კონია შენზე მოწიფული ვაჟაკია, მარა ხანდახან იმასაც ქე მივაყოლებ კისერში.

აქ არის გამოვლინებული ის ფორმა კულაკური ყვლეფისა, რომელიც ასე გავრცელებული იყო ჩვენს სოფელში. — ექსპლოატაცია ათასგვარ „ნათესაურ“ და „სამოკეთო“ ფორმებში, რაც შედეგი იყო პატრიარქალური ნაშთების სიძლიერისა ჩვენში.

ასეთსავე მკვეთრ შტრიხებში არის მონახული მეორე კულაკის, ბარნაბა საგანელიძის პორტრეტი.

გარეგნულად ის თითქოს ერემო პიტახიაზე უფრო დაბეწილი, უფრო გაშალაშინებულია. ის „კულტრეგერობასაც“ კი ჩემულობს სოფლად, სამკითხველოს გაზეთები გამოუწერა, საუბრის კილოში დროს და ჭარემობას ეხამება, თავის მგლურ ბუნებას კრავის ტყავში ხევეს, მაგრამ ერთ უმნიშვნელო დეტალში ავტორი ამჟღავნებს, რომ სიბოროტესა და გულტყვაობაში ის ერემო პიტახიას არ ჩამოვარდება. იგი თავისებურ ჯაშუსურ, ტერორისტულ ხერხებს მიმართავს იმისათვის, რომ მოგაზამაგირეს ენერჯის უკანასკნელი წვეთი გამოსწოვოს. ყანაში ქურდულად მიიპარება, რომ მომუშავე მოგაზამაგირეს თავზე წაადგეს სწორედ იმ მომენტში, როცა ეს უკანასკნელი ერთის წუთით სულს ამოითქვამს და შეისვენებს. ის დედექტივივით ეძებს თავის მსხვერპლს, რომ მთელი კლასობრივი გესლი და ღვარძლი, დაგუბებული ბრაზი მასზე გადმოიანთიოს.

ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუმუშავედა ბარნაბას ბავშობიდან, კულაკ მამის ზეგავლენით, ეს მგლური ინსტინქტები, როგორ გამოიმუშავა მან ეს პრიმიტიული და უდიერი ხერხი ექსპლოატაციისა. ასე უდრეკი და გულტყვა ის, როცა ჭერივ-ოხერ მართას საზიაროდ აღებულ ყანის მოსავლის განაწილებისას ჩაგრავს და ატყუებს, როცა უმუშევრად დარჩენილ მექის კაბალურ ხელშეკრულებას უდებს. აქ ის გრძნობს თავის ღალას, იცის, რომ თავისას ადვილად გაიტანს, ამიტომ ხეპრე და ტლანქია. მისი ხერხები მარტივია, იცის რომ მსხვერპლი ხელიდან ვერ წაუვა.

ბარნაბა საგანელიძე რწმუნდება, რომ კოლმეურნეობის აღმოცენებამ მის კულაკურ მეურნეობას წყალი შეუყენა, და ჩვენ ეხედავთ, რომ იგი არა თუ უდიერი და ტლანქი ექსპლოატატორია, გულტყვა ბობოლაა,

რომლის გულს ვერც ქვეყნის ცრემლები და ვერც მოჯამათის/გვინვა ვერ მოალობს, არამედ გაიძვერა და გაქნილი პოლიტიკური დედოფლო-მატიც. ის რევისორულ ნიქსაც იჩენს, როცა მიტინგზე დაჯგუფებულ ძალებს თავის სასარგებლოდ ანაწილებს, რომ არტელზე იერიში მიიტანონ. ერემოსა და ბარნაბას სახეების დაპირისპირებით მწერალი ხატავს ამ კლასობრივი მტრის ძალების ორგანიზატორის სახეს.

ბარნაბა გაფაციკვებით ეძებს ყოველგვარ ჭეშქრუტანას. საიდანაც კი შეიძლება წყალი შეუყენოს, ძირი გამოუთხაროს კოლმეურნეობას. ცაცხვისუბნელ შეძლებულ კვერნაძეებს ნახევარი ქალა ეკუთვნოდათ. ბარნაბას ქორებით აზვავებული გლეხები ქალაში ჩადგნენ, რომ იქ მიწისწილობელი არ ჩაეშვათ. მიწისმზომელს კაცი მიაგებეს „გაბბრუნდი თორემ კეხნიდან გადმოვიღებთ“.

კომკავშირელ ბაქუა ეაშაიძეს სურს მამას გამოეყოს, რომ არტელის წვერი გახდეს. მამა სასტიკ უარზეა. მათ შორის ხდება შეჯახება. ბარნაბა საგანელიძე სიხარულით ცას ეწია. სოფელში ქორი დაარხია: „ბაქუა ეაშაიძე არტელის ჩაგონებით მშობელ მამას მოსაკვლელად მიუხტაო“. მისი თაოსნობით კოლმეურნეობის თავჯდომარეს ტარასი ხაზარაძეს მუქარის წერილს უგზავნიან—არტელი დაშალე, თორემ წუთისოფელს ზამოგასალმებთო. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ პრელუდია მიტინგის სცენისთვის. სწორედ აქ ხდება კლასობრივი მტრის მთელი ენერჯის მოზილიზაცია, მისი შეგნებული და შეუგნებელი ძალების დარაზმვა. ბარნაბა არც ჭორს და პროვოკაციას ერიდება, არც ხეყნასა და მუდარას, არც ქრთამსა და პურმარისს. მან ფეხზე დააყენა ყველა, ვისი გამოყენებაც კი შესაძლებელია არტელის საწინააღმდეგო ბრძოლაში. აქ არის დამთხვეული დახუნდარა, ხელმოკლე და გულდაშშიერი, მაგრამ ლოთი და გზარეული, რომელიც ერთი ბოთლ ღვინისათვის სულს გაჰყიდის. აქ არის მთლიანი ხაკომია, კომკავშირელებზე დანასისხლად გადაკიდებული, სოფლის წაქეზებით თავდასული და გალაღებული. აქ არიან მისი ამფსონები, რომელთაც კულაკები მიტინგის წინ კარგად გამოათრობენ. აქ არის მართა გორდაძე, რომელიც კულაკებს მატერიალურად ხელში ჰყავთ დაჭერილი და რომელსაც ისინი მიტინგის წინ ორ ბათმან სიმინდს აძლევენ ჭრთამად, რომ მან კრებაზე არტელის წინააღმდეგ ილაპარაკოს. აქ არის წელმავარი გლეხი კოკინა კვერნაძე, რომელსაც კულაკები მიწისმზომლის ჩრდილით აფრთხობენ. აქ არიან სოფლის დედაკაცები, რომელთა ჩამორჩენილობას კულაკები არტელის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ. ეს ძალები კულაკების მიერ სტრატეგიულად არიან განლაგებული.

ბარნაბა ყოველ მომენტს იყენებს იმისათვის, რომ თავისი კლასობრივი პოზიციები შეინარჩუნოს და განამტკიცოს.

არტელის თავმჯდომარის ტარასი ხაზარაძის ცოლი სიკვდილის პირადაა. ხაზარაძეს სჭირდება ცხენი ჭუთაისიდან ეჭიმის ჩამოსაყვანად.

მთელ სოფელში ცხენი არავისა ჰყავს თავისუფალი. გზაში ბარბანა, საგანწელიძე შემოეფეთა, ბარბანას თავისი დიდებული იორლა უყოყმანოდ დაუთმო და „მხოლოდ როცა ტარასი მგელივით მოახტანს, ხანსაც კინავი კილოთი მიმართა სოფელელებს: „აი ხომ ხედავთ, თურმე ცხენის საჭირო ყოფილა და ქონებაც. თქვენ კი ყველას მტრად აცხადებთ, ვისაც თავის ოფლით რამე შეუძენია! ახლა ხომ დაგჭირდათ?“

ამ მომენტიდან იწყება ბარბანას ფსიქოლოგიური იერიშები ტარასზე. ის აჩრდილივით დასდევს, ცდილობს ყველას მოაჩვენოს, რომ ტარასისთან კარგ განწყობილებაშია. წინად აღმასკომს არ ეკარგებოდა. ეხლა მთელი დღე იქ არის და „რა წამს ტარასი გამოჩნდება, მაშინვე მივარდებო და საუბარს გაუბამს სოფლის საჭირობოროტო საქმეებზე... თაფლივით აღნება ხაზარაძეს, მეგობრულად უკრეკს კბილებს და თავს იშინაურებს“. ყველიობს დაანგრეოს მასზე და ტარასის შორის არსებული ზღუდე. ერთხელ ტარასის სიზინდის საფშენელი მანქანა სთხოვა, თუმცა საკუთარი მანქანა სახლში ედგა. მას უნდა სოფელს აჩვენოს, რომ ის და ტარასი თითქოს შერიგდენ და კარგ მეზობლურ განწყობილებაში არიან ერთმანეთთან.

რომ როგორმე გაგლიჯოს ბარბანას მიერ დაგებული ბაღე, ტარასი ცხენის ქირას ოთხმაგი რაოდენობით უგზავნის. გაიძვერა ბარბანამ ფული არ მიიღო და ტარასის ასე შეუთვალა: „კაცებში გამოწყვეტილი ხომ ქირა ვარ, რომ მეზობელს ვაჭირვებაში დავეხმარო და სამაგიეროთ ფული ვამოვართვა. დღეს მე დაეჭირდი, ხვალ ის დამჭირდება.“

ამაყი, მედიდური, ის თავმოყვარეობის გრძობას აოკებს, ითჷნს, როცა აღმასკომის, ღვინით გახეთქილი, გადაგვარებული, თავმჯდომარე, ტუჩა დაშნიანი მის ქალიშვილს ელლაბუცება. თავის ქალს საცოლედაც შესთავაზებს მას, ოღონდ თავის მზარეზე გადაიბიროს და ტარასი ხაზარაძის წინააღმდეგ მიმართოს. ის აღმასკომის მზარეზეა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სოფელში აღმასკომის თავმჯდომარედ გადაგვარებული ტუჩა დაშნიანი მოხვდა. ის გადასახადით დასაბეგრ ობიექტებს ფარავს, ათას ზუთასი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 600 მანეთს იხდის და მთავრობის თვალის ასახვევად ქოხ-სამკითხველოს ხუთი თუმანი მიუგდო, მაგრამ უჯრედის ფხიზელი მდივანი, ტარასი ხაზარაძე, მიუხვდა ხრიკებს და ერთ დღეს ბაჭუა ვაშაქიძე, გიორგი ჯიშკარიანი და მისი ნამოჯამაგირალი ოსია ნაფეტვარიძე მიადგნენ კარზე. ესენი ტარასიმ გამოჰყო ბარბანას მწერნეობის ხელახალი აღრიცხვისათვის.

როცა ბარბანა დარწმუნდა, რომ მოთაფლული ქცევა და მეგობრული კბილების კრეჭა საქმეს არ შველის, ის ნამდვილ მგლის კბილებს აჩენს და ფიქრობს იმაზე, რომ მოჰკლას მეჭი, გადასწვას თავისი სახლკარი და ტყეში გაიჭრას ყაჩაღად. მაგრამ თავისი თავი მაინც ენანება და ფიქრობს სხვისი ხელით გლიჯოს ნარი.

სატუსალოდან ახლად გამოშვებული ხაკომიას ბატი მეთაურად კარზე მოადგა და ბარნაბა წარბშეუბრელად აძლევს მას ხელში იარაღს, გზაში უნდა დაუხედდეს მექის, რომელსაც ტრაქტორი მოჰყავს მრეწველობაში.

თოფი შინა გაქვს? ცოტა ხანს ფშანებში ჩავევიღო! გულს გავსტუმრობდები, — აჩქარებით ჩაილაბარა ახალგაზრდამ და მასპინძელს სახე მოაჩინა. თოფი? — წარაფად ჩაკითხა ბარნაბამ და თავის მიხედვით თვალუბრით „ყოჩაღ ბიჭს გული მიუფათურა“.

— წამოდი! — კედლიდან ორღულლიანი სანადირო თოფი ჩამოიღო.

— საჩიტე ვაზნები გინდა თუ... თუ მსხვილ ნადირზე მიდიხარ. მაშინ ჩეს გირჩევენია!

მოიხარა, ტახტზე გადაფარებულ ფარდას ყური აუწია და გადაჭრილი ბერდენკა გამოათრია, — შენ რომ ნადირს ეძებ, ის დღეს გუბის წყალთან გამოივლის.... ისე ხედებთან, თითქო გუბერნატორი მოდიოდეს.

— ეიცო, ცხედარს ჩამოასვენებენ, — კბილები დააწაწკუნა და თოფი გამოართვა.

ასეთია ორი კულაკის პორტრეტი.

მექის ახმახი ფიგურა სოლიებით შეჭრილი არტელ „კომუნისმის საქმედოს“ ისტორიაში, მისი ბიოგრაფია და ტარასის ბრძოლა კოლმეურნეობის დასაარსებლად ერთი მეორეს შეუხებლად მიმდინარეობს მიტინგის სცენამდე. მისი ზოგჯერ ზედმეტი დეტალებით დატვირთული ბიოგრაფია, დუბჰირი ცხოვრების პირობებით დაგრეხილი ხასიათის გაშლა ვნებს რომანის კომპოზიციურ მთლიანობას, მის სუვეტურ სიმკვრივეს.

თავის თავად კი მექის უიმედო და უბილო ტრფიალი კულაკის ქალიხადში, მისი „ვერტერის ვნებანი“ დიდი გულთბილობით არის გადაშლილი ავტორის მიერ. ცხოვრებისაგან დაზარალებული ახალგაზრდის ფიზიკური და სულიერი მომწიფების ასაკი, ყველა მისი თანმდევი ტკივილებით, დიდის გულისზმიერებით არის წყდომილი, ასე, მაგ., მექის დონკიხოტური რაინდული თავგამოდება თალიკოს „ლირსების“ დასაცავად, როცა მამ უნდა „დაიკვას“ ის ხაკომიას კოცნისაგან წარმოდგენის დროს. მისი ოცნება, რომ რითიმე, თუნდაც საკუთარი თავის განწირვით ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც მასა და მიუკარებელ ქალიშვილს შორის არსებობს. „რამდენჯერ უნატრია, თალიკო აღიღებულ უხილოს მოეტაცნა. მექის ტანს ბედნიერების ჭრუანტელი შეარყევდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორი თავგანწირვით ეკვეთებოდა წყალს ქალიშვილის გადასარჩენად“.

მექი თავის ზედმეტ სახელს — ხრიკუნის ატარებს როგორც წყევას მას ისეთ არსებად სთვლიან, რომელმაც ადამიანის სახე რაღაც შემთხვევის წყალობით მიიღო. ადამიანურ ყოფას, ამ სულიერ წყვდიადს როგორ უნათებს თალიკოსადში სიყვარული. ტოლ-ამხანაგების დაცინვას, პატრონის უდიერ მუშტებს წარბშეხრილი ხედება. „თალიკო ხომ მიყვარს! ყველაფერს გაუძლებ, ისეთი კილოთა იტყოდა ხოლმე, თითქო ამ სიყვარულს“.

ულით ქვეყანას სამეფიეროს უხდიდა და ყველაფერს ინაზღაურებდა, ამ ვა-
უზიარებელ სიყვარულზე აწინავს ის თავის ოცნებას საკუთარი ქალის შექმნა-
ზე. ამ რომანტიულ მომენტს ენასცემა სამეურნეო მოტივი. მისი მო-
მენტში ეს აზრი სავსებით იპყრობს მეჭის სულსა და გულს. მისი პრიმიტიუ-
ლი დანტახია ეკვე შლის მომავალი „ბედნიერი ცხოვრების“ სურათებს.

მეჭი შეუდგა ფიჭის დასახლებაზე, საკუთარ მეურნეობის მოწყობა-
ზე. მასში, სილატაკეში გამოზრდის მოჯამავირეში იღვიძებს კერძო მე-
საკუთრული გლეხური ინსტიტუტები. დასახლებაზე, კერძო მეურნეობის
შექმნაზე ოცნებით თავბრუდასამული ის წააწყდება ერემო პიტახიას და
ფიორჯი ჯიშკარიანის ჩხუბს ერთ მტკაველა უნაყოფო მიწის გამო. ეს
შეთხზევდა არა თუ გულს უცრუებს, არამედ უფრო მეტად აძლიერებს
მასში საკუთარი მეურნეობის შექმნის სურვილს.

„...ცალკე რომ დავსახლდები, ალბათ მეც მომიწევს მეზობლებთან
დავა და შეჯახება,—ფიჭობდა დაჩეხილ ღობესთან დაყუდებული მეჭი.
მას რატომღაც ესიამოვნა ფიჭრი იმის შესახებ, რომ ერთ დღეს მასაც
ალბათ დაუღვებოდა მიჯნებზე დავიდარაბის დღეები.“

ამ დღიდან იწყება მეჭისათვის „პირველადი დაგროვების“ ეპოქა,
ოღონდ ამ უკანასკნელისაგან იმ განსხვავებით, რომ არა ის უწყევს ვისმეს
უჭაპლოატაციას, არამედ თვითონ არის ყაჩაღური ყვლეფის ობიექტად
გადაქცეული. მან ტუნწი რაინდივით თავისი სული ტომსიკაში გამოკერა,
ქადაც თავის მათხოვრულ ხელფას აგროვებს. მისი გონება მთლად დაი-
პყრო ფიჭრმა წყვილი მოზვერის შესახებ, რომელიც უნდა გახდეს მისი
მეურნეობის დასაყრდენი.

„ახლა მიწებს უფასოდ არიგებენ. ერემოსთან ორ ზამთარს კიდევ
ვიმუშაებ: ორ წელიწადში ხომ მოვაგროვებ... ცალკე დავსახლდები.“

მეჭი იმდენად დაბეჭავებულია დუხჭირი ცხოვრებით, რომ ვერ ხე-
დავს, თუ რა ხდება მის ირვვლივ, არ იცის რომ ის ხელისუფლება, რო-
ნელიც მას უფასოდ აძლევს მიწას, იმაზედაც ზრუნავს, რომ მშრომელ
გლეხობას გზა უჩვენოს რევოლუციის მიერ მოცემული მიწის გამოსაყე-
ნებლად. ამ პერიოდში მასავით ნამოჯამავირალი ტარასი ხაზარაძე და
სხვები უკვე იმ აზრს დასტრიალებენ, რომ კოლმეურნეობის გზით გზა
ჭიკაფონ ადამიანური ცხოვრებისაკენ. ცხოვრებისგან დაბეჭავებული,
ყველაფერს მოწყვეტილი, დამთხვეულ დახუნდარას მზრუნველობის ქვეშ
მყოფი მეჭი კი ამ დროს კულაკის ქალის შერთვაზე, ცალკე დასახლებაზე
და თავის დუხჭირ მდგომარეობიდან კაპიტალისტური გზით გამოსვლაზე
ოცნებობს. ამ ოცნების განსახორციელებლად მან თავისი გაძალღებული
ცხოვრება პირუტყვის დონემდი დაიყვანა, ტანზე და ფეხზე არ იცეამს,
ძონძებში დადის, წვერს არ იპარსავს—მისი გონება ფულმა დაიუფლა.
შაოების დამთავრების შემდეგ ისევ წინანდელ პატრონთან — პიტახიასთან

საც ისე შეყურებს, როგორც „დამბლა-დაკრული მორწმუნე ხატე, რომლის სასწაულთმოქმედი ძალა ურყევად სჯერა“.

ცხოვრების სინამდვილე მალე უჭობს მას ამ რწმუნეს. მტკიცე დაბუნდარას შეფიცა, რომ თავის ტომსიკას მხოლოდ შაშინ განსნის, როცა ფულს მიიტანს მასში შესანახად, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს ფიცი ძნელი შესასრულებელი იყო. რამდენიმე წყვილი ქალამანი, დავლევჯილი ბუშლატი საზამთროდ და სხვა უმნიშვნელო ხარჯები სწრაფად ანიავებდა მის უმნიშვნელო დანაზოვს.

ორი წლის გაძაღლებული ცხოვრების შემდეგ ტომსიკა გახსნეს, დანაზოვი დასთვალეს. მექის სალაროში მხოლოდ სულუმნიშვნელო თანხა აღმოჩნდა.

„მეტი გაშრა, ზუსტი ანგარიშიანობის უჭონლობის გამო ტომსიკაზე გადაჭარბებული წარმოდგენა ქონდა.

— აბა მოზერები ჩემს დღეში ვერ მიყიდნია და ისაა... ვერასოდეს ვერ უნდა დავსახლდე, ჩემი წუთისოფელი მოჯამაგირობაში უნდა ჩაეოხრო! — ლულულულებდა გაწამებული მოჯამაგირე და პირისახე მთვრალივით ემღეროდა.

— ვაჲო, დასახლება რომ ასე ადვილი იყოს ქვეყანაზე, ორი მოჯამაგირეც აღარ იქნებოდა, — მიუგო დაბუნდარამ და ღარიბ მუშობლის გიორგი ჯიშკარიანის ფანჯარაზე მიუთითა, რომელშიაც წითელი ბალიში იყო გარკობილი. — რამდენი ხანია ამ ბალიშს ასე უყურებ. გაზაფხულდება გამოაძრობენ, დაზამთრდება ისევ გაურკობენ. საცა გიორგიმ ფანჯრის ჩასასმელი ფული ვერ გადაიჩინა, ხუთი მანეთიანი მოჯამაგირე რაფერ დასახლება?“

მექიმ ვილაცას გაურკვეველი მისამართით შეიგინა: თქვენი სისხლი კი დალია ძაღლებმაო. დარჩენილი ფული მოხვეტა და თავის პატრონის დუქანში დაბრუნდა. აქ მილიციელი უცდიდა, მოჯამაგირეების კრებაზე იბარებდნენ. ტარასი ხაზარაძე ხალხს აგროვებდა კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრების შექმნაზე ოცნება-გაცრფუნებული მექი იმდენად მომწიფებული არ იყო, რომ ამ მოვლენის მნიშვნელობა გაეგო. მილიციელის თვალის ასახვევად პიტახიამ მექი თასამოსი ისე შემოაცვდა, რომ ხალხში ველარ გამოდიოდა. შემდეგ ბარკის შეილობილად გამოაცხადა.

დასახლებაზე იმდგაკრუებული მოჯამაგირე დაბუნდარას აპყვა და გალოთდა. ფული დუქანში შემოეხარჯა. ერემოსგან წამოყოლილი ტანისამოსი ისე შემოაცვდა, რომ ხალხში ველარ გამოდიოდა. შემდეგ ბარჩაბამ აიყვანა ერთი სეზონით მოჯამაგირედ. „კარგი მუშაა და ნაფეტვარიძესავით კანონებით ლაპარაკს არ დამიწყებსო“. საშემოდგომო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ისევ წინანდელ პატრონთან პიტახისთან მოუხდა დაბრუნება.

„როდემდე ვიყო, როდემდე? სიცოცხლე აღარ მინდა, გნებავთ დასახლებაზე იმედგაცრუებული მეჭი...“

მეორე დღეს იგი ისევ ერემო პიტახიას ჭკვიანი დეკორატიული ქრიკუნია მოჯამაგირე იყო. აქ მის თვალწინ მიმდინარეობს ცველავებზე მყოფი შეთქმულება კოლმეურნეობის წინააღმდეგ. აქ უმართავენ „მედურ“ ჭიფის ზაქომიას და მის ამფსონებს, რომ მათ მიტინგზე აურზაური ასტეზონ და მიტინგის მსვლელობა შეადგერხონ. ბარნაბა საგანელიძე აქ აძლევს ქვრივ-ოხერ შართა გორდაძეს ორ ბათიან სომინდს, რომ ეს უკანასკნელი ცრებაზე გამოვიდეს არტელის საწინააღმდეგოდ. აქვე ათრობენ დახუნდარას იმავე მიზნით. ეს გარემოება და ტარასის სიტყვა მიტინგზე მასში რადიკალურ გარდატეხას ახდენს, ის არა თუ იცვლის შეხედულებებს, არამედ ბრტესვიანად იცვლება მისი ხასიათი. ბეჩავი, ქედმობრილი მოჯამაგირე, გაბედული მებრძოლი ხდება.

აქ ავტორმა ერთმანეთს გადააანაცვნა საზოგადოებრივი მოტივი და მეჭის პირადი ცხოვრება, მისი ბიოგრაფია.

ამას ერთვის ვიწრო პირადული განცდები, მთელი რიგი შეჯახებები წარსულში ზაქომიასთან. „რომანტიულ ნიადაგზე“, სადაც მეჭი ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა. მეჭი გაბედულად ილაშქრებს კულაკური შეთქმულების წინააღმდეგ, ის ხსნის მათ მიერ დაგებულ ხლართებს.

„მეჭის შურის ძიების ტკბილი და მწველი ცეცხლი აკანკალებს. ორი ცარიელი წელია, რაც მოჯამაგირის გულში ჩაკეცილი ბოლმა გამოსავალს ეძებს, და, აბა, მეჭი ახლა სამაგიროს უხდის ყველას—ერემოს, ზაქომიას, ცხოვრებას, რომლებიც ძალღებვიით დაესვეიან მის დაბნელებულ ახალგაზრდობას“.

მიტინგის შემდეგ მეჭის არტელში იღებენ. იწყება „მეორე დღე მეჭის ცხოვრებაში, ხელახალი დაბადება.“ მაგრამ მეჭის გარდაქმნა ერთბაშად არ ხდება. მწერალი სწვდება მოჯამაგირის არაადამიანური ყოფით დაგრებილ ფსიქოლოგიის ხვეულებს. გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ჯერ კიდევ მასში ატავისტური შიში შეებნელი წარსულის წინაშე. „სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“—მღერის ჩვენი ხალხი და ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ღრმა კვალს სტოვებს მოჯამაგირის სულში ეს ბეჩავი ყოფა. „შუა დღით, როცა ბოსლის მშენებლები სადილად დასხდებიან, მეჭი ისე ქურდულად, სხვების შეუმჩნეველად ყლაპავს ლუკმებს, რომ ბაჭუას გული მოსდის: ვისი ეშინია, რომ ეგრე ჩუმთობსო. ბაჭუა ბედნიერი კაცია, არ გამოუცდია ხაზინის და მისი ხუშტურიანი ბახარხლების მოდარაჯებული თვალები, რომლებიც მოჯამაგირის თვითულ ლუკმას ითვლიან და ანგარიშობენ. ბაჭუამ არ იცის, რომ მეჭი ერემოს ოჯახში აღამიანურ კამას გადააჩვია, თავისივე ლუკმის ქურდად გახადა. იგი საკმელს მხოლოდ მაშინ გაუწევდა ხელს, როცა პატრონი მისკენ არ იხედებოდა“.

მეჭის ხასიათი კიდევ დიდხანს ამჟღავნებდა მისი ბეჩავი წასულის

კეალს. მხოლოდ იმ ვულთბილია ატმოსფერომ, რომელიც მის შექმნა ტარასიმ, მისმა მიღებამ კომკავშირის უჯრედის წევრად, ასევე ის საკუთარ თვალში.

მექის თითქმის ამძიმებს მისდამი ასეთი აღმანიანი მოპყრობა. მუყაითობაში ვერავენ სუჯობნის, მაგრამ იგი შემთხვევას ეძებს, რომ რაიმე საგმირო საქმე ჩაიდინოს, რომ ერთბაშად ამოვიდეს არტელის პატივისცემიდან.

ჩვენ წინ თანდათან ყალიბდება ახალი აღმანიანი. მეტი იმდენ მუყაითობას და ენერჯის იჩენს მუშაობაში, რომ მას სატრაქტორო კურსებზე გასაგზავნად იჩევენ.

აქ მისი გზა ერთხელ კიდევ გადაჭრება ხულიგნობისათვის დაპატიმრებულ ხაჯომის უკუღმართ გზას და ტრაქტორით არტელში მომავალა მქეტი, რომელსაც მოჰყავს ვარდებით მორთული ტრაქტორი, ძირს ეცემა, ხაჯომის ვერაგული ტყვიით დაჭრილი. ეს სცენა ცოტა თეატრალურად არის ასახული და დოვენკოს ცნობილი სურათის „მიწის“ დასასრულს წაგავს.

არა ნაკლები ვულმოღვინებით არის დახატული სხვა პორტრეტები—ღარიბი გლეხი გიორგი ჯიშყარიანი, ქერივ მართა გორდაძის ოჯახი, სვერნაძეები და სხვა. თითოეულ სურათს ემჩნევა ინდივიდუალური ნამუშევრის ხელი. თითოეულ მათგანში მოცემულია იმერული სოფლის სპეციფიკა, მისი კოლორტი. ამ მხრივ დამახასიათებელია კულაკ ერემო პიტახიას და გიორგი ჯიშყარიანის დავა რამდენიმე ადლ უნაყოფო მიწის გარშემო. აქ მოცემულია იმერეთის სოფლისათვის დამახასიათებელი მიწის საშინელი სიფიწროვე, ხუტორული მეურნეობის ნიადაგზე აღმოცენებული მისწრაფება ყველაფრის შემოღობვის და შემორაგვისა, იმის შედეგად, აქვს თუ არა ამას რაიმე ეკონომიური მნიშვნელობა.

გიორგიმ ამ უნაყოფო ნაკვეთის შემოღობვას იმდენი შრომა დაახარჯა, რომ ეს ადგილი ვერასოდეს ვერ აღნაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. ის ყოველწლივ არღვედა ლობეს და საზღვარი ერემოს მიწაზე გადაჭრინდა. პიტახიასთვის ეს გარემოება შეუმწინეველი დარჩა იმ დრომდე, სანამ მისი ხელით დამყნობილი ატამი, გიორგის ყოველწლიური „ექსპანსიის“ წყალობით, ამ უკანასკნელის ეზოში არ მოექცა. მოხდა შეტყება, ლობის იჩეხვა, ურთოდროთზე კეტებით მიწევა. შემდეგ ეს შეჯახება ნამდვილ იმერულ „ერემიადით“, ერემო პიტახიას მოთქმა-გოდებით დასრულდება.

დაწვლილებულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებში არის მოცემული მოპირისპირე გრძნობების, ორი არსის, მშრომელისა და მესაქუთრის ბრძოლა გიორგის ვულში არტელის ჩამოყალიბების მომენტში, კამათი თავის თავთან და ცოლთან, დარწმუნება კრებაზე და ხელახლა დაექება სახლში, შიში, რომელიც ღამით წამოაგდებს და ტარასისთან გააცეცს, ძებნა არტელის ისეთი ფორმისა, რომელიც სავსებით მის ოჯახურ პირობებზე იჭ-

ნება მოსადაგებელი, მისი შიში საკუთარი თვალით უნახავ და აღმოცენდეს
სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის წინაშე—„უბრალო თვალთშეპყრობა შეგე-
ხედა სადმე, რანაირია ეს არტელი!“ ამ ეჭვებმა და შიშმა კონსტანტინე
ჩამოაშორეს ტარასის ჯგუფს, მაგრამ „სიღარიბე მისდაუნებურად დგნიდა
აქითყენ, სადაც მასებრ ღარიბები იკრიბებოდნენ და ახალი ცხოვრების მო-
წყობაზე ზრუნავდნენ“. ფსიქოლოგიურად საინტერესოა ის მომენტო, რო-
დესაც იგი უცნობი მომავლის წინაშე კრთის და კანკალებს, მაგრამ ცო-
ლის ჯიბრზე აცხადებს, რომ ის თითონ არის არტელის მოთავე.

ან მისი წინადადება—ვიწოდებ არტელში ღარიბი ბევრია და ხარი
ცოტა, მთავრობას სთხოვონ ნებართვა, რომ არტელში ერთი კულაკი შეი-
ტყუონ.

ასეთივე ხორცშესხული ტიპია წელმაგარი და გაიძვერა გლეხი მარ-
ტველაძე. უიმისოდ სოფელში არც ერთი საქმე არ წამოიწყება, მაგრამ
ბოლომდე მხოლოდ ისეთ საქმეს მიჰყვება, რომელსაც გამორჩენის სუნი
უდის. „სასოფლო კრებებს გამოუკლებლივ ესწრება. ხუთი კაცი რომ ერ-
თად დაინახოს, უმაღლე მათთან განდება და ყურებს გაიდიდება“. ის
ერთხანს არტელის ინიციატორთა ჯგუფს მიეკედლა, მაგრამ როცა იქ ნა-
მოჯავიერი ნაფეტვარიძე და უხარო ჯიშმერაშვილი დაინახა, შორს
დაიჭირა თავი.

— „პაი გიდი, შეილოსა, რატო არ იქნებით თანახმა! მე შენ გეტყვი
და არტელში უღელი ხარი არ შემოიყვანოთ, თითზე ვადასახვევი ძაფიც
არ გაგაჩნით!

მაშინვე გადასწყვიტა, ამისთანა ბოგანობებში ჩარევა მისი საქმე არ
იყო, მაგრამ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო კრებებს მაინც ესწრო-
ბოდა.

პლასტიურად არიან მოცემული ცაცხვის უბნელი გლეხები—წელმაგა-
რი კვერნაძეები. ეს სახეები თითქმის არც არის მკვეთრად გამოკვეთილი.
სინი რაღაც საბარელიეფო ჯგუფივით არიან გამოქანდაკებული. მაგრამ
ამ ნახევარქალის მცლობელი გლეხების სახეები თითქოს ფონს წარმო-
ადგენენ ბარნაბას საქმიანობისათვის. მათში მოცემულია რაღაც უდიერო
და უდრეკი ძალა. „დილიდანვე ქალაში დაერკვენ და მიწისმზომელს კა-
ცი მიაგებეს, გაბრუნდი თორემ ცხენიდან გადმოგიღებოთ“.

ასევე მკვეთრად არის მოცემული მართა გორდამის ოჯახი—ხეიბარი
ქმარი, ცოლი, დოფინა და მათი ოჯახის მუდმივი სტუმარი შიმშილი.
ქმარი, რომელმაც 1914 წლის ომში გაწვევისაგან თავის დასაღწევად
ფეხში ძევა გაიყარა და სამუდამოდ დასაპყარდა. გულუბრყვილო და
შხიარული, კომკაეშირში შესვლაზე მეოცნებე, ცოტა გულუბრყვილოთ მო-
ხაზული დოფინას საზე და ოჯახის ტვართის ქვეშ წელგატეხილი მართა,
დაბეჩავებული და ჩამორჩენილი. ის კულაკ სავანელიძის უმოწყალო ექ-
სპლოატაციის ქვეშ გმინავს, მაგრამ გატყრება და შეუგნებლობა აიძუ-

ლებს მას, რომ არტელის გარშემო გამართულ ბრძოლაში კლასიკების ზრმა იარაღი გახადეს.

აღმასკომის თავმჯდომარე ტუჩა დაშნიანი, ეკონომიკური პოპორტუნისტი და გადაგვარებული ადამიანი, რომელსაც ტელევიზიის კრებებზე თავისებური ხერხით იტყუებს—ფართალს და შაბიბანს პირდება და რომელიც ღამე მოგონილ ბანდიტებს დასდევს ან კულაკებთან ქეფობს, დღისით კი აღმასკომში ხვრინავს.

წმინდა ყოფითს ასპექტში არის მოცემული „ყოჩალი ბიჭი“, გაბუღებული ხაჯომია:

იმერული ბაზრობის კოლორიტი მდიდრადაა მოცემული ხონის ბაზრის სურათში, აქ არ არის ზედმეტი ნატურალისტური ფერების დაზევაება, ზედმეტი დეტალები, მაგრამ მთელი სპეციფიკა ამ იმერული „პარასკეობისა“ დიდის განწყობილებით არის მოცემული.

„ქუჩის ორივე მხარეს ზეგნებით იყო დახევაებული სახამთრო, წესვი, კიტრი, შავი ბადრიჯანი და ნაირი ბოსტნეული. ბანძა-ნაოღლევის ურმები, რომელთა ჩრდილში მოკალათებულან თეთრი თავსაფრებით პირახვეული ქალები, რომელთაც ვაჭრობა ეთაკილებათ და პირისახეს მალავენ, პირმოკლებით აწვდიან მუშტრებს ზონურ დარაიას და ზუნწის განთქმულ საჩოხე შალებს. ლეჩხუმლები ნიგვზით, ლობიოთი, ვაშლით და გომიჯით მოპირავენებულ ძარებს ხსნიან.

— ეხ, ფული სადაა, თორემ ხონის პარასკეობას ერთ დღეში შეუძლია კაცის დასახლება,—და დასახლებაზე მეოცნებე მოჯამბაიერემ ხარბი თვალი მოაეღო სალხინოდან ჩამოტანილ ყავარს, ჩუნეშურ გობებსა და ქვის კეცებს, ბანოჯის კოცებს და უშველებელ ქურებს.

ქეიტორელების შინაური ფრინველებით გატენილ ძარებს ჩარჩები აცალიერებენ. ყორესთან—კინჩა-გორდიდან ჩამორეკილი ღორები, სანაშენათ ცნობილი უშობელები და ძროხები. ჩაქეულ არხის ტლაპოში საბაინდრავოს კამეჩები იცოხნებიან. მოშორებით ზემო იმერლები მეგრულ ფაშატებს სიარულს უსინჯავენ.“ იქვე ცალთვლიან ეტლებში, ქოლგების ჩრდილში, სიციხით და ბაზრობის ხმაურით შეღონებული ქალები ისვენებენ და მოუთმენლად იშვირებიან სვირელების ურმებისაკენ. სადაც მათი ქმრები ცოლიყოფრით და „მგალობლიშვილით“ ასველებენ პარასკეობაზე შეძენილ საქონელს“

ყოფითს პლანშია მოცემული ხანდაზმული საპატარძლოების გასაღების სცენები „ალეგროსა“ და ჯარობაზე, თუმცა აქ „ლარისპანის გასაჭირის“ გავლენა იგრძნობა.

ასევე ოსტატურად არის დამუშავებული სცენა იაგორა ვაშაქიძის შეტაკებისა თავის შვილთან. თაობათა ეს კონფლიქტი საკოლმეურნეო შოძრაობის გარიჟრაჟზე, რაც ზოგჯერ ერთიდაა გაშმაგებულ კლასობრივ ბრძოლას, დამახასიათებელი მოვლენა იყო.

მკვეთრად აქვს ავტორს გამოვლინებული ძველი და ახალი განწყობილება, კოლექტიური მისწრაფებების და ინდივიდუალური კერძო მეურნეობრივი, კაპიტალისტური ტენდენციების და ინსტიტუტების წარმოების ბრძოლა თვით არტელში გაერთიანებულ გლეხებში. მშ. წაფეხურზე, რომელიც მოცემულია რომანში, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელია შენ-ჩემობა, შიში მომავლის წინაშე, როცა კოლმეურნე ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული არტელის სამეურნეო და პოლიტიკურ გამარჯვებაში და კოველ შემთხვევისათვის ცდილობს ხელი თავისუფლად დაიტოვოს არტელიდან გამოსასვლელად. ასეთია ეპიზოდი უშვერიძის და ნაფეტვარიძის შეტაკებისა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი უშვერიძის ხარებით მუშაობს; კოლმეურნეობის წევრების გალაშქრება მიწათმოყვობის წინააღმდეგ, არტელის მიწების ინდივიდუალური გლეხების მიწებზე გადაცვლის წინააღმდეგ, იმის შიშით, რომ არტელი დღეს-ხვალ დაიშლება და ისინი ცარიელზე დარჩებიან. მძაფრი ფსიქოლოგიური კოლიზიები გაშლილია ხშირად ძუნწ, ლაკონიურ შტებირებში.

საკოლმეურნეო მშენებლობის დღევანდელ საფეხურზე, როცა გლეხობის უდიდესი მასა კოლმეურნეობაშია გაერთიანებული და როცა კოლმეურნეობებისთვის მიწის სამუდამო მფლობელობის აქტების გადაცემა სახალხო ზემის ხასიათს იღებს, ეს განწყობილება, ეს ბრძოლა ძალიან შორეული წარსულის მოვლენად გვეჩვენება, მაგრამ იმ პერიოდისათვის ეს დამახასიათებელი იყო და ავტორი ახერხებს ხშირად ერთ გვერდზე გაშალოს ეს მძაფრი ფსიქოლოგიური დრამები.

მაგრამ ამ მკვეთრად მოხაზული, დასაბუთებული ფსიქოლოგიური სიტუაციების გვერდით საკმაოდ არის აგრეთვე გულუბრყვილო და ყალბი სცენები და ეპიზოდები, ტიპები, რომელთაც აკლიათ სიცოცხლე და ზორცმესხელობა. ადგილი აქვს ზოგიერთი სოციალურ-ისტორიული მოვლენის მკდარ ახსნასაც. გულუბრყვიულების შთაბეჭდილებას ქტოვებს კომკავშირელ ბაჭუას აღტაცება პარტკონფერენციაზე მოხედრის გამოქტთაისში, მისი ცქმუტუნი და განცვიფრება ყველაფრის წინაშე, რაც ნახა და გაიგონა ქტთაისში, რომელიც სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებულია მის სოფელს. მკრთალადაა აგრეთვე მოხაზული თვით კონფერენცია, ტარასის ექვები მის მიერ სოფლად წარმოებული პოლიტიკის სისწორეში. მთელ მის ფიქრთა დენას, რეფლექსიებს, კამათს ბაჭუასთან განყენებული და მწიგნობურლი ხასიათი აქვს.

კონფერენციის შემდეგ ტარასის აფიქრებს, რომ კულაკი საგანელიძე „ერთბაშად შეიცვალა და ისე გაყურდა, თითქოს სოფელში სულ არ ყოფილიყოს. გესლიანი სიტყვა შეჭარბივით გაუტყბილდა, პირქტში სახე გაეხსნა და სოფლის მოკეთის სახელი დაიშხახურა. ქხხსამკითხველოს ყურნალ-გაზეთები გამოუწერა, პიონერებს დოლის ყიდვას შეპირდა და შერე ხაზარაძესაც მიუჩიოდა და თვალზე მტექტი გაუჩინა“.

შემდეგ თავებში ტარასის ყველა ამ ექვების გადაწყვეტა, რომელიც ციაზე წამოჭრილ ყველა საკითხის გადაჭრა მარტო იმ გარემოებით, რომ ბარნაბამ დაბეგვრის ობიექტები გადაიშალა, არადა მთავარი პოლიტიკური ისტორიული, ისე წმინდა მხატვრული თვალსაზრისით. მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის ამ მოსამზადებელ პერიოდში, როცა მიმდინარეობდა ძალების მობილიზაცია, ნიადაგის შემზადება სოფლად კაპიტალიზმის ციხე-ბურჯზე გადამწყვეტი შეტევისათვის, კულაკობის გატრუნვა და გაყვრა, მათ მიერ ტონის შეცვლა, უფრო ღრმა მიზეზებით უნდა აიხსნას, ვიდრე გადასახადის ამა თუ იმ ობიექტის დაფარვით. თავისთავად ბარნაბას მიერ თავისი შემოსავლის წყაროების დაფარვა იმდენად მკრთალი და უფერული მომენტია, რომ მასზე ტარასის მთელი სულიერი ბრძოლის აგება, მისი სინდისის ქენჯნა, რომ მოსტყუვდა და კლასობრივ მტერს დაუთმო, შემარიგებელი პოლიტიკა აწარმოვა და სხვა, მხატვრულად ვერ არის გამართლებული. ამიტომ ახდენენ სუსტ შთაბეჭდილებას ეს ადგილები, ტარასის ეს რეფლექსიები და თუნდაც მისი ზეიმი ბარნაბას ხელახალი დაბეგვრის შესახებ.

თვით ტარასი ხაზარაძე, საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელი ამ სოფელში, როგორც ტიპი, სუსტად არის მოხაზული. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალმა დადებითი ტიპის დახატვისას მთელი ძალა მეჭის მოანდომა. მეჭი კი რომანის უკანასკნელ თავებამდე პასიურ ძალად რჩება ძირითადი თემის, საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლისას. ძირითადი გამწევი ძალა ამ მოძრაობისა მისი ხასიათის ზეეულეობაში, თუნდაც მის გარეგნულ სახეში ლანდივით სუსტად არის მოხაზული. რაიმე სპეციფიკა, თავისებურება, ინდივიდუალური შტრიხები მის ხასიათში, გარდა ზოგად მოწამეობრივი თავდადებისა საზოგადო საქმისთვის, აქ არ არის მოცემული.

აგრანოში ლადო გეგელია და მისი ბრძოლა რამის კულტურისათვის თუმცა თავისთავად ცუდად არ არის დამუშავებული, მაგრამ ისეა ჩატანებული რომანში, როგორც ქაბუკი ზურაბი სურამის ციხის საძირკველში. ჯერ ერთი, მთელი ეს თავები გეგელიას და რამის შესახებ სუსტად არის დაკავშირებული რომანის ისედაც სუსტად შეკრულ სიუჟეტთან. ერთი ტრაქტორისტის მომზადება, თუნდაც 1926—27 წელს, ისე ძნელი არ იყო, რომ არტელს მუშა-ხელი და ურმების გაყვანა დასჭირებოდა საცდელი სადგურის მისაშველებლად ამის საბაძლოდ. მთელი ეს თავები გეგელიას შესახებ შეტანილია რომანის საკმაოდ სადაო სათაურის დასასაზღუთებლად. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ეს თავები რაღაც სხვა წიგნიდან იყოს შემოტანილი. ის სულ სხვა ტემპით, სხვა ინტონაციით, სხვა ფერებით არის დაწერილი, ვიდრე რომანის დანარჩენი თავები. განსაკუთრებით ისტორიული ნაწილი. რასაკვირველია, მას შინაარსულად საერთო არაფერი აქვს გეგელიას ბიოგრაფიასთან, მაგრამ

ჩალაქნაირი ტონალობით, საერთო განწყობით წააგავთ წიგნს, ბატვის მანერა აქ სულ სხვაა, ვიდრე დანარჩენ თავებში. ავტორი თითქოს ენობრივადაც ვერ დაუფლებია ამ მასალას. გვხდება ასეთი წყევლები: „იმედ ზალეძებულმა აგრძონომმა ქუთაისის ერობაში ციფრების და გვეგების სროლა ასტება“; „უცხოეთის კაპიტალი გამშაგებით მოუძღოდა გეოლოგებს, რომლებიც გაფაციკებით ბურღავდნ მრავალგვარ საბადოებით მდიდარ საქართველოს“; „მოუძღოდა აგრძონებს, რომლებსაც რიონის და ყოლხიდის ჭაღებში სუბტროპიკულ მცენარეების ცხელი სუნთქვა დაქონდათ.“

საერთოდ რომანის ენა საკმაოდ დახვეწილია და გამართული, მაგრამ მაინც საგრძნობია, რომ ავტორი საკმარისად არ მუშაობს თავის ენის გამდიდრებაზე, თავისი ლექსიკის გამრავლფეროვანებაზე. მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიყვანთ. მწერალი ხშირად ათასგვარ კონტექსტში ხმარობს სიტყვებს: „ბლოტაეი“, „შეუვალი“, „აზიმზიმებული“, თუმცა ეს სიტყვები არ ვადმოსცემენ ყოველ ცალკეულ აქ მოცემულ შემთხვევაში აზრის ნიუანსებს. ეს ემჩნევა ავტორს არა მარტო მაშინ, როცა მომქმედ პირებს ილაპარაკებს, არამედ მაშინაც, როცა აღწერაზე გადადის.

კ. ლორთქიფანიძის რომანს ხშირად შოლოხოვის „გატეხილ ყამირს“, ადარებენ. მაგრამ მთელი მიდგომა მასალისადმი აქ არსებითად სხვაა, ვიდრე შოლოხოვის რომანში. აქ არა გვაქვს მოცემული ის რთული სოციალ-ისტორიული კონტექსტი, რომელიც დამახასიათებელია შოლოხოვის რომანებისათვის. აქ გმირები „ფესვებით“ ისე ღრმად არ მიდიან წარსულში, გმირების ხასიათი, ქცევა არ არის განსაზღვრული მათი მონაწილეობით იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში. ნოქმედების განვითარება აქ უფრო გამარტივებულია. აქ სრულებით არ არის გამოყენებული ის რთული ისტორიულ-რეგოლუციური ფონი, რომელიც უსათუოდ დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს სოფლისათვის. აქ თითქოს საგანგებოდ არის აღებული ისეთი სოფელი, რომელსაც რევოლუციის ქარტებილი მძლავრად არ შეხებია. აქ ყველაფერი თავიდან იწყება. რომანში ნაჩვენებია დაბადება ერთი კოლმეურნეობისა და მომწიფება ერთი გმირის, შოჯამაგირე მეჭისა, რომელიც კოლმეურნეობაში შესვლაშივე ყრუ არის არა თუ საზოგადოებრივი, არამედ ადამიანური ცხოვრებისათვის საერთოდ.

ავტორი იყენებს ერთგვარ ხერხს, რომელსაც შეიძლება ექსპერიმენტალური ხერხები უწოდოს კაცმა. ის ლებულობს გმირებს და მათ ბიოგრაფიაზე, მათ ცხოვრების გზაზე სცდილობს გვიჩვენოს პარტიის გენერალური ხაზის სისწორე გლეხობის საკითხში. ამ მეთოდს შლის დადებითი ტიპების — მეჭის, ჯიშკარიანისა და სხვათა მიმართ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ექსპერიმენტები ერთი მეორისაგან დაშორებით ხდება. ავტორი თავისი ლაბორატორიის ხან ერთ კუნძულში მუშაობს, ხან მეორე

ში, ამიტომ ბევრი თავი როგორღაც ეტიუდის შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ ის ცალკეული პორტრეტების მოხაზვაში საკმაოდ ძლიერდება, მასების მოძრაობის, განწყობილებების გადმოცემაში შედარებით უმჯობესდება. აქ არ იგრძნობა ის დიდი საერთო მდინარება, ტალღების მიმოქცევა, იმ დიდი პროცესის მაჯისცემა, რომელიც შესამჩნევი იყო საკოლმეურნეო მოძრაობის თუნდაც დასაწყისის პერიოდში. სუსტად არის მოცემული მთლიანი ატმოსფერო საკოლმეურნეო მოძრაობისა. „პერიოდიზაციის“ თვალსაზრისითაც ის ერთგვარ თვითნებურობას იჩენს. ის არღვევს მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის პერიოდისათვის, გადატანილია მის მოსამზადებელ პერიოდში.

მაგრამ, ამ ნაკლთა მიუხედავად, კ. ლორთქიფანიძემ თავის რომანში გვიჩვენა, რომ იგი საკმაოდ დაეუფლა მასალას და რთულ თემას სოფლის სოციალისტური გარდაქმნისა, რომლის გაშლილი სურათი მან უნდა გვიჩვენოს თავის რომანის მეორე ნაწილში.

შალვა რადიანი

სოციალისტური რეალიზმის პოეზიისათვის

საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის შემდეგ ჩვენი ლიტერატურული ძალების შემოქმედებითი მუშაობა გადავიდა თავისი განვითარების ახალ ფაზისში. მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის სტიმულირება საკმაო სიძლიერით მოახდინა მწერალთა საკავშირო ყრილობამ და ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის ყურადღებისა და ნდობის იმ განსაკუთრებულმა, ატმოსფერომ, რომლითაც გამსჭვალული იყო ყრილობის მუშაობა. ახლა ჩვენ სრული საშეაღება გვაქვს შევადგასოთ თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ეს ერთნახევარი წელი, რომელიც გავიდა ყრილობის შემდეგ, თუ რამდენად ხდებოდა შემოქმედებითი პრაქტიკაში რეალიზაცია იმ დაპირებისა, რომელიც მოცემული იყო მწერალთა მიერ ყრილობაზე.

ათასცხრაასოცდახუთმეტი წელი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევა, როგორც წელი უდიდესი თვისობრივი ძვრებისა ჩვენი მუშაობის და ბრძოლის ყველა სფეროში. ეს არის წელი სტახანოვური მოძრაობის დაბადებისა, რომელიც მომზადებული იყო მთელი ჩვენი კანკითარების წარსული წლებით, იმ ისტორიული პროცესებით, რომელმაც ძირ-ფესვიანად შესცვალა საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური, ეკონომიური და კულტურული სახე. დიდი ბელადის ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვის შემდეგ წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე, ეხლაჩან ჩვენ მოვისმინეთ მისი უშესანიშნავესი სიტყვა სტახანოვური მოძრაობის შესახებ, რომელიც გვიხსნის „იმ გზას, რომელითაც მხოლოდ შეიძლება მივალწიოთ უმაღლეს მაჩვენებლებს შრომის ნაყოფიერებისა, რაც აუცილებელია სოციალიზმისაგან კომუნისმში გადასასვლელად და გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული წინააღმდეგობების მოსაპობად“.

ეს უდიდესი მოვლენები განსაზღვრავს იმ ახალ თვისობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც ჩვენ უნდა წავეყენოთ მხატვრულ ლიტერატურ-

რას, ახალ ადამიანებს, სტახანოველებს, რომელთაც ისინი ახალ-სოციალ-დემოკრატიული თვისებები, ყოველდღიურად, ყოველ საათში და ყველგან ბადებს ჩვენი ქვეყანა. და ამ საუცხოვო ადამიანების მსგავსად და მათი კულტურული ზრდის გზაზე წასაყვანად მისწრაფებულნი საბჭოთა მწერალი — „ადამიანთა სულის ინჟინერი“. აი, ის უპირველესი მნიშვნელობის ფაქტი, რომლის მიხედვითაც გადაფასებული უნდა იქნას ჩვენი ლიტერატურული გაგებები. ახალი კონკრეტული შინაარსით ივსება ლოზუნგი ლიტერატურის შესახებ, რომელიც უნდა იყოს ჩვენი დიადობის შესაფერისი. მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა დაიჭიროს გამოცდა ღრმა აზრებისა და გრძნობების სიმწიფის მოწმობაზე, იმაზე, რომ იგი აღფრთოვანებდეს, იპყრობდეს და მიჰყავდეს თან უკლასო სოციალისტური საზოგადოების მოწინავე ადამიანები.

უდიდესი მოთხოვნაა, რომელსაც უყენებს პოეტს საბჭოთა საზოგადოებრივობა და აგრეთვე პოეტური კულტურის საერთო აღმავლობა, ჩვენი პოეზიის წინაშე სახავეს განსაკუთრებით რთულ ამოცანებს. პოეზია მთელი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მანძილზე უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ხოლო განსაზღვრულ ეტაპზე კი იგი იყო გაბატონებულ, წამყვან მდგომარეობაში. მიმდინარე პერიოდში, როდესაც მეორე ხელშეწყობით დასახულია ამოცანა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის წარჩენების ლიკვიდაციისა, როგორც ეკონომიკაში, ისე ადამიანთა შემეცნებაში, პოეზიის მნიშვნელობა ძალზე იზრდება. დიდი ბელადის ამხ. სტალინის ცნობილი ლოზუნგისაგან — ცოცხალი ადამიანისადმი განსაკუთრებული ყურადღების შესახებ, პოეტური ფრონტიც ვალდებულია სათანადო დასკვნა გამოიტანოს. საბჭოთა პოეზიამ უნდა აღბეჭდოს ის ახალი გრძნობანი და აზრები, რომლებიც ახასიათებთ სოციალისტური საზოგადოების ენტუზიასტ მშენებელ მასებს.

საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარეობს მასების უდიდესი კულტურული ზრდა. მკითხველი იზრდება არა თუ მარტო დღეობით, არამედ საათობით. მაგრამ ეს ზრდა არ არის ცოდნის უბრალო მექანიკური დაგროვება. პოლიტიკურ შეგნების ზრდას თან სდევს მასების შემეცნების და ფსიქიკის ყოველმხრივი ღრმა გამდიდრება, კერძოდ გამომკლავდება უდიდესი მიღწევების ლიტერატურის და ხელოვნების ათვისებისათვის.

საბჭოთა მკითხველს სურს მდიდარი და მრავალფეროვანი ხელოვნება. იგი უარყოფს გამარტივებულ და შტამპიან ლიტერატურას, ისეთ პოეზიას, რომელიც ზერეგულდ, სქემატიურად მას ელაპარაკება იმ გრძნობების შესახებ, რომლებიც უფრო ღრმად მოცემულია თვითონ მის პიროვნებაში. მკითხველი მოითხოვს მდიდარი შინაარსის პოეზიას ისე, რომ იგი ამდიდრებდეს მის გაგებას სინადვილისა და შეიკავდეს სრულყოფილ მხატვრულ სახეებში გადმოცემულ ღრმა აზრებს, სწორედ ასეთი პოეზია იქნება ახალი.

ლექსი არ უნდა იწერებოდეს იმისათვის, რომ ის მხოლოდ ერთხელ

წაიკითხონ. ლექსი იმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ღრმად იჭრება მკითხველის შემეცნებაში და იქ მტკიცედ ისადგურებს.

ჩვენი ეპოქის საუკეთესო პოეტის ვ. შაიკოვსკის *წესებები* ამ სტალინმა ეხლახან თქვა: „მაიკოვსკი იყო და რჩებოდა მკაცრად უნიკერესი პოეტი ჩვენი საბჭოთა ეპოქისა. გულგრილობა მისი ხსოვნისადმი და მისი ნაწარმოებთაღმი—დანაშაულია“. ამ მეტად საყურადღებო სიტყვებში უმაღლეს საფეხურზე აიყვანა საკითხი საბჭოთა პოეზიის მნიშვნელობის შესახებ. აქ დასახულია ის გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს ჩვენი პოეტური კადრების შემოქმედებითი განვითარება. როგორც ცნობილია, მაიკოვსკის პოეზია აქტიურად, ღრმად მომქმედი პოეზიაა. იგი გარკვეული მიზანდასახულობის პოეზიაა, რომელიც გამსჭვალულია მტკიცე რევოლუციური მსოფლმხედველობით. მაიკოვსკისათვის დამახასიათებელი იყო კონკრეტულობა და იდეის, აზრის გარკვეულობა. იგი შეუწელებლად მუშაობდა პოეტური სიტყვისათვის, მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის.

ყოველი პოეტი უნდა გრძნობდეს პირად პასუხისმგებლობას თავის პოეტურ მუშაობაზე. იმისათვის, რომ პოეტმა გაიფოს თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი პოეტურობა და რომ ეს პოეტურობა დაინახოს სოციალიზმში, იმ სინამდვილეში, რომლითაც იგი სუნთქავს, ამისათვის იგი ორგანიზულად უნდა შევიდეს ცხოვრებაში. ვიტყვიტო მოკლეთ: ნამდვილი საბჭოთა პოეტობის დამტკიცება შეიძლება არა მწერალთა სასახლეში განუწყვეტელი უსაქმური ტრიალით და საკუთარი უმნიშვნელო „გრძობებით“ (თუ კი ამას გრძობა ეწოდება) ცხოვრება არამედ ბოლშევიზმის იდეებით ღრმად გამსჭვალვით, აქტიური შემოქმედებითი მუშაობით, ორგანიზულ კავშირით სინამდვილესთან. პოეტის შინაგანი ბიოგრაფიის, საერთო მსოფლმხედველობრივი პოზიციონირების გაფართოებისაგან ძალიან ბევრია დამოკიდებული. ღარიბი ბიოგრაფიის მქონე, იდეურად ჩამორჩენილი პოეტისაგან არაფერი სახეირო არ გამოვა. ლექსის უკან უნდა იდგეს დიდი ცხოვრება, დიდი აზრი. უნდა ვებრძოდოდ იმ პოეტებს, რომლებიც თავიანთ ვიწრო-პირადულ (ინდივიდუალისტურ) ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე მთელი საბჭოთა პოეზიისა. სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომ უნდა ავიმადლოთ პოეტური შეგნება ეპოქის დონემდის, რევოლუციური პროლეტარიატის მსოფლმხედველობამდის და მოვახდინოთ პროვინციულიზმის, ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

არ შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ერთი, ერთნახევარი წელი ყოფილიყოს საბჭოთა პოეზიისათვის უდიდეს მიღწევათა პერიოდი. ჩვენი პოეზიის მთელმა რიგმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა (ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ა. მაშაშვილი, ი. აბაშიძე და სხვ.) ძალზე მცირე ქრონოლოგიის მოგვცა, თუმცა ამავე დროს საიმედო და სასიხარულო მოვლენებსაც მქონდა ადგილი: მთელი რიგი პოეტებისა (გ. კაჭაბიძე, გრ. აბაშიძე და

სხე.) რომლებიც აქამდე უკანა რიგებში იდგენ, თვალსაჩინოდ გამოჩნდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ცხადი ხდება ის გარემოება, რომ პოეზია რჩება უკან იმ სინამდვილეს, რომელშიც ჩვენ ვიშვრტყუნებთ — სოციალისტურ მშენებლობის გრანდიოზულ მიღწევებს დასრულებულ და დასრულებულ უთანასწორდება პოეზია. თემატიური მოცულობით ჩვენშიც კი (სადაც ისტორიულად პოეზია ბატონობდა), პროზამ გაასწრო პოეზიას. სოციალისტური მშენებლობის და ბრძოლის დიადი სახე პროზაში შედარებით უფრო სრულად არის ასახული, ვიდრე პოეზიაში. მთავარი საყვედური, რომელიც გაისმის ჩვენი პოეზიის მიმართ, მდგომარეობს იმაში, რომ მასში სუსტად არის ასახული თანამედროვეობის პრობლემატიკა, არ არის ნაჩვენები ახალი, სოციალისტური ადამიანი, რომ რევოლუციური პრობლემატიკის უჭონლობასთან ერთად მთელ რიგ პოეტთა შემოქმედებაში გაბატონებული ხასიათი მიიღო წერილმანმა „პირადმა“ თემამ.

ისმება კითხვა, თუ სად უნდა ვეძიოთ ამ ჩამორჩენის მიზეზი? — არ იქნება სწორი, რომ მისი ძებნა დავიწყოთ ლექსის ბუნებაში, რომ თითქოს იგი არ იძლეოდეს შესაძლებლობას სინამდვილის დიდი მაშტაბით გადამოცემისა. როგორც ცნობილია, საბჭოთა პოეზიაში პოეტების უმეტესობისათვის უკანასკნელ წლებამდე მთავარ თემას წარმოადგენდა ინტელიგენციის რევოლუციასთან დამოკიდებულებების პრობლემა (და ზოგჯერ თავისი „პრეტენზიის“ გამორკვევა რევოლუციის მიმართ), ძიება გზებისა, რომლითაც შეიძლებოდა თავისი ინდივიდუალისტური, ინტელიგენტური „მე“-ს რევოლუციასთან შეთანხმება. ესაა ეს საკითხი უკვე გარკვეულია. პოეტებმა უკვე შეიგნეს თავიანთი თავი რევოლუციის და სოციალიზმის მომხრეებათ. ჩვენი პოეტების ეს უდიდესი ძერა, წინსვლა არის არა მარტო ზოგად-პოლიტიკური, არამედ შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათისა, ესაა საბჭოთა პოეტები იბრძვიან იმისთვის, რომ თავიანთ პოეზიაში გამოხატონ ის განცდები, რომლებიც აქვთ სოციალიზმის მშენებელ მასებს, გვიჩვენონ ეპოქის მაგისტრალური სახეები. როგორც ყოველი წინსვლა არც ესაა ადვილი, არ ხდება იგი წინააღმდეგობების გარეშე. ეს მობრუნება ახალი სახეებისადმი, როგორც სჩანს ჰქმნის ერთგვარ სიძნელეს პოეზიის შემდგომ განვითარებაში.

როდესაც ვლაპარაკობთ ჩამორჩენაზე, აქ ჩვენ უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ პოეზიის თემატიკურ ჩამორჩენას, ვინაიდან სწორედ იგი ვერ იძლევა სრული სახით წარმოდგენას იმ ცვლილებების შესახებ, რომელსაც ადვილი აქვს სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ჰემენებაში, ფსიქიკაში. ეს პროცესები ძალზე რთული, შრავალფეროვანი და ღრმაა, ხოლო ჩვენი პოეტების უმრავლესობა კი კმაყოფილდება ზედაპირზე ბოროლით და ვერ გააძლევს სრულ და ნათელ ფერებს.

მართალია, რევოლუციის წინააღმდეგელებს ეპოქასთან და თვით რევოლუციის პირველ წლებთან შედარებით პოეზიამ ძალზე გააფართოვა

და გარდაქმნა თავისი თემატიკა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენს პოეტების თემების რკალი შედარებით მრავალფეროვან და უფროსადაა დასაძლებლობათა, რომელსაც შლის ჩვენს წინაშე სოციალისტური რევოლუციის პერიოდი, ჯერ კიდევ განსაზღვრული, შემოფარგლულია. რასაკვირველია, საქმე შეეხება არა მარტო თემების რაოდენობრივ გამრავლებას. პოეზიის აზრის, იდეურობის და თვით ფილოსოფიურ სიღრმის იმ გაძლიერებულ მოთხოვნილებების პირობებში, რომელსაც ეხლა უყვანებენ პოეტებს — თემის შერჩევა ხდება მეტად საპასუხისმგებლო მომენტი.

ვალდებულება, რომელსაც გრძნობენ ჩვენი პოეტები, გამოეხმაურონ თავიანთ შემოქმედებაში სოციალიზმის ყველა პრობლემებს — შეეხება მთლიანად მთელ პოეზიას, და, საბჭოთა პოეზიაც მდიდარია სხვადასხვანაირ შემოქმედებითი ინდივიდუალობებით, იმისათვის, რომ ეს ამოცანა შეასრულონ. მაგრამ ვალდებულება ყველაფერს გამოეხმაუროს არ შეიძლება ეხებოდეს თითოეულ პოეტს ცალ-ცალკე, ვინაიდან ამას შეუძლია გამოიწვიოს გაუპიროვნება, „კაზიონური“ მიდგომა თემისადმი. სამართლიანად სწერდა ამ ცოტა ხნის წინად რომენ როლანი: „თემის შერჩევა არ შეიძლება ერთნაირი იყოს ყველასათვის. ანგარიში უნდა გაეწიოს თითოეული მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებას. თქვენ გრძნობთ, რომ თქვენი ვალია გამდიდრდეთ და გასრულყოფილდეთ, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ არაფერი კარგის გაცეთება არ შეიძლება ხელოვნებაში თუ საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წახვალ. რამდენად სრულად იქნება გამოვლინებული მწერლის ინდივიდუალური თვისებები ცალკეულად, იმდენად ეფექტიური იქნება შედეგები საერთო კოლექტიური შემოქმედებისა“.

დებულება, რომ ყოველ პოეტს შეუძლია მიუდგეს ახალ პრობლემათიკას მისთვის საყვარელ, ორგანიულ, მისთვის საინტერესო თემებით, იწვევს ერთგვარ წინააღმდეგობას. ზემოთ მოყვანილი დებულების მოწინააღმდეგეთა აზრით, სოციალიზმის ყოველი თემა უნდა იყოს მახლობელი, პოეტს სოციალიზმი უნდა უყვარდეს მთლიანად და ყოველ მის პრობლემას უნდა გამოეხმაუროს, ხოლო საყვარელი თემა — ეს არის პერვევრ-ზეეშჩინა და პოეტის ჩაკეტვა სახეთა ვიწრო რკალში. ასეთი მოთხოვნილება გაუპიროვნებისა და გათანაბრებისა, ჩვენის აზრით, ნიშნავს იმას, რომ ვერ გაიგო პოეტური შემოქმედების ბუნება. ჩვენს პოეტებს რომ უყვართ სოციალიზმი ეს უდავოა, მაგრამ ეს სიყვარული სოციალიზმი-სადმი მათ უნდა მოგვცენ „ხელშესახებ“, კონკრეტულ პოეტურ სახეებში და არა ყალბად გაგებულ უნივერსალობის პრინციპებით, რასაც პოეტმა მიჰყავს „მშრალ“ ავიტკამდე, რიტორიკამდე და ზოგადობამდე. იმისათვის, რომ პოეტმა შესძლოს რევოლუციურად, კონკრეტულ-გრძნობით სე-

ხეებში გამოზატოს სოციალისტური სინამდვილე, ამისათვის აუცილებელია, რომ მან იპოვოს თავისი თემა.

თემა უნდა შეეზარდოს პოეტის მთელ შემოქმედებას. უნდა უყოფელია მისი იდეოლოგიისაგან. ამიტომ საყურადღებოა პოეტის შემოსაქმედების შერჩევა, არამედ მისდამი დამოკიდებულებაც, პოეტის მიერ ორგანიზული ათვისება თემისა, მისი განცდა—აუცილებელი პირობაა ნამდვილი პოეტური ნაწარმოებისათვის. თემა უნდა იყოს გაინდივიდუალიზირებული, მისეულ თემაზე უნდა იდგეს პოეტი თავისი სრული ხმით.

რასაკვირველია, არ არსებობს პოეტური და არა პოეტური თემები. ჯერ კიდევ გოეტე ფიქრობდა, რომ „არ არსებობს არც ერთი საგანი, რომელიც არ იყოს პოეტური“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართულ პოეზიის განვითარებას დაწყებული მე-19 საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან, შევნიშნავთ, რომ მხოლოდ საბჭოთა პოეზიამ შესძლო ვიწრო-ზაკეტილი „პოეტური“ თემების (რაც ახასიათებდა ე. წ. წვრილბურჟუაზიულ-„დემოკრატიულ“ პოეტებს, სიმბოლისტებს, ფუტურისტებს და სხვ.) რეალის გარღვევა. მართალია, საკითხი თემატიკის შესახებ მთლიანად არ სწევს საკითხს სოციალისტური რეალიზმის პოეზიის შესახებ, მაგრამ უდავოა, რომ თემა ახალი ადამიანის ყალიბობისა, მისი ბრძოლა კაპიტალისტურ ნაშთებთან საკუთარ ფსიქიკაში, ახალი ქვეყნისათვის ბრძოლაში, წარმოადგენს გენერალურ თემას სოციალისტურ სტილში.

თემის შერჩევა არ არის შემთხვევითი. იგი განისაზღვრება პოეტის მსოფლმხედველობით, მთელი მისი აზროვნების მიმართულებით. არიან ისეთი პოეტები, რომლებიც ერიდებიან მძლავრ პოეტურ გაქანებას, გაურბიან დიდ თემებს და ნაცვლად ამისა ცმაყოფილებიან „მშვიდი“, „უწყინარი“ და უკვე გამოარკვეულ თემებზე მუშაობით, არ გამოდიან ამ თემების ტრადიციულ გაგების ფარგლებიდან.

ბევრი პოეტი ფიქრობს, რომ მთელი საქმე თემაშია, ხოლო სულერთია, რომელი ლექსობრივი საშუალებებით გამოვსატევამთ მას. საბჭოთა პოეტების ამოცანას წარმოადგენს უჩვენოს ახალი თემები სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე ახალი პოეტურ-გამოთქმითი საშუალებებით. ამ უკანასკნელი მომენტის გაითვალისწინებლობას თუ რამდენად დიდი ზიანი მოჰქვს ჩვენი პოეზიის საერთო განვითარებისათვის, ამის ნათელ ილუსტრაციას იძლევა მთელ რიგ პოეტთა შემოქმედება.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების მანძილზე ტ. ტაბიძემ ძალზე შეამკირა შემოქმედებითი მუშაობა. ლექსების წიგნის შემდეგ, რომელმაც ძალზე ცუდი პოლიტიკური რეპუტაცია შესძინა ტ. ტაბიძეს, როგორც საბჭოთა პოეტს, აუცილებელი იყო მეტი ენერჯით, მეტი იდეური სიმამყლით მუშაობა ახალ თემებზე. მაგრამ კარგა ხნის მდუმარებას შემდეგ ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ერთი ლექსი „ორდენოსან“ სამშობ-

ლოსათვის. თემატიურად ფრიად კარგი განზრახვება. საქართველო, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა რესპუბლიკებს/შორის თავისი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის მარშალსა და ამისათვის მიიღო საპატიო ჯილდო — ორდენი, — ამ პოეტისთვის პოეტურ სახეებში გამოხატვა უღარესად სიმბატიური და მისასალმებელი საქმეა. ვერც იმას ვიტყვით, რომ „ორდენოსან სამშობლოსათვის“-ში არ იყოს მთელი რიგი ადგილები იდეურად და პოეტურად გამართლებული:

დაქრეს წერავე... დაუბნა წვალი,
 სარინჯოვანი ამოდის ბალი.
 აღარ აეიებს კრუნებს კანკალით,
 კრიალებს ხეცის დაჯარჯი თალი.
 ხარ მუზობელი ახალი სოფლის,
 სტალინის მიწის ხარ ბინადარი,
 პატროსნება გწამთ შრომის ოფლის
 არ გააციეთ კერის დადარი!

ან კიდევ:

აბედეთ მაღლა იაღბუნის ბჭეს,
 არც მყინვარია მახე დაბალი,
 მაგრამ ორივეს გადააბიჯებს,
 რაკი გაუბნუნს ხალხს მომავალი.
 ყოველი სული, მღილი, ბაღაბი.
 ვახის ხის წვერზე სფრთხე ასული
 და მაღალ შტოზე გადატანილი
 ფეთქავს ღვინის ძლიერი სულით,
 და ყველა მათში ფეთქავს სტალინი...

ლექსის საერთო ტენდენციას წარმოადგენს ახალი თემატიკის ათვისება. მაგრამ ძველი შემოქმედებითი მეთოდი, სიმბოლისტური ტრადიცია ყოველთვის უშლიდა და უშლის ხელს ტ. ტაბიძეს შემოქმედებითი განვითარებას. ტ. ტაბიძე ვერ ახერხებს, რომ ახალ თემაზე სწეროს ახლებურად. მის ლექსებში ახალ თემას არ ერწყმის ორგანიულად სახეობრივი დამუშავება. მას ყოველთვის თან ახლავს ძველი „ტვირთი“. კერძოდ, „ორდენოსან სამშობლოსათვის“ მიხედვით იქნება შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოები თითქოს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის კონსპექტურ სახელმძღვანელოს. ლექსი იმდენათაა დამძიმებული ისტორიული ანალოგიებით, რომ იფარება ახალი თემის გარკვეულობა. მართალია, ტ. ტაბიძე აცხადებს:

სულმოუთქმელი ასე ვიმღერო,
 ლექსი დაწმენდას ვეღარ მოუცდის...

მაგრამ ამით მდგომარეობა სრულებით არ მსუბუქდება. ვის არ იხსენებენ და არ იშველიებს ტ. ტაბიძე? — ვახუშტი, პიპოკრატი, იანიჩარი, მა-

მელუკი, შამილი, მეჭა-მედინა, მიურიდი, ეფუთი, კარაბაღინი, ქაღდია, ზაბილონი, ამირანი, მაკედონელი, მედეა, ნინო, თამარი, ქეთევანი, რუქაია, იაკობ ხუცესი, მიქელ მოდრეკილი, ლეონტი მროველი, ნახუშხაძე, სარგის თმოგველი, ორი თეიმურაზი, ბერი იოანე, ხანტყევა, მყრწყლე და სხვ. ამას მოჰყვება ძველი სახეები და ანალოგიები:

იაკობ ხუცესს, მიქელ მოდრეკილს,
ლეონტი მროველს და ეფრემ მცირეს,
მთაწმინდის ბერებს, სიცოცხლის მიმობელს,
ვინც რომ ქართული ენა მოაირეს;
ჩახრუხაძესა და სარგის თმოგველს,
სიტყვა უთავებ თვითონ რუსთაველს,
ორ დიდ თეიმურაზს და არჩილ მეფეს,
გურამიშვილს და საბა სულხანს,
„ქართლის ცხოვრების“ შემატყინეთ,
ყველას გეგანით, იფავით მოწმე
დასტოვეთ თქვენი საფლავის დვირე
მე არ მირხვევინია დიდ ეპოქისა
ერთი საწვალე რომ ვარ მესტეირე!..

რასაკვირველია, კონტრასტები, ანალოგიები მდებარეული ხერხია მხატვრულ შემოქმედებაში. ეს უფრო უწყობს ხელს, რომ ნაწარმოებში გოკვევით იქნას ნაჩვენები სასურველი მხარე. ამის უფლება აქვს ტ. ტაბიძესაც. მაგრამ აქ ერთგვარი ზომიერება უნდა იქნას დაცული. ტ. ტაბიძეს კი არ ახასიათებს ასეთი ზომიერება. ლექსში არის უხერხული რითმებიც: „ღვირე — მესტეირე“, „მცირეს — მოაირეს“ და სხვ. რითმის გულისათვის დამახინჯებულია გვარიც: „ხანთიძელი“ — „აწინდელი“.

„ორდენოსან სამშობლოსათვის“ სხვა ხასიათის სისუსტეც თან დაჰყვება: გაძლიერებულია დეკლარატიულობა, ხოლო შესუსტებულია ის ემოციონალობა, რომელიც ახასიათებდა ტ. ტაბიძის ადრინდელ ლექსებს.

მაგრამ როდესაც სიმბოლიზმის უარყოფითი ტრადიციების შესახებ ვლაპარაკობთ, ეს არ შეეხება მარტო ტ. ტაბიძეს. მისი გავლენა, მისი გამოხატულება გვაქვს მთელ რიგ სხვა ყოფილ „ცისფერ ყანწელ“ პოეტთა შემოქმედებაშიაც. ასე, მიუხედავად აქტიური გარდაქმნისა, იგი საგრძნობია ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაშიც, რომლის უკანასკნელი ლექსები: „ჩემი შეხვედრა ეგნატესთან“, „ნეკლელობა თეატრის შესახებში“, „ქუთაისი“, „ვაჟა და ფიროსმანი“, „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ“ და სხვ. დამძიმებულია დეკადენტური აქსესუარებით. ამ აქსესუარებში ლექსში „მეკლელობა თეატრის შესახებში“ ვ. გაფრინდაშვილი მიიყვანა ტიპიურ სიმბოლისტურ — დაკემულ განწყობილებამდე: ქუჩის დაღმართით მორბოდა თამაბურღული კაცე, გაეარდა თოფი და იგი დაეცა მკვტარი პოეტის ფანჯარასთან:

ხელში გვირა ნიშანი რაღაც,
 ვით საიდუმლო და სურნელება.
 აჩნდა პერანგზე მას სისხლი დაღად,
 როგორც სიყვდილის საწინელება.



თითქოს მოჰქონდა ჩემთან მთრთოლვარე,
 რომ ჯადმოეტყა ჯანძი დიადი,
 მაგრამ წაიქცა ქუჩაში — გარეთ,
 და იმის თვალებს ფარავს წყვედიადი.

ასე მგონია, რომ ჩემს კარებთან
 პირქვე დაემხო ჩემივე ბედი.
 და იმ გასროლილ ტყვიის ზარებთან
 დაიშხვრა მთელი ყოფნის იმედი.

ნეტა ვიცოდე — რისი თქმა სურდა,
 რა ჩაიტანა მან სამარეში?
 ჩენი შეხვედრა დემონს შემურდა,
 კვლავ დაგვაფენა ბედის გარეშე.

მე არ მიშინდვის ბრალი და მაინც
 ვგრძნობ დანაშაულს მსხვერპლის წინაშე:
 ღია კარებთან ვერ დავხვდი რაინდს,
 ვერ შევეცებე მას ჩემს ბინაში.

სასწრაფო ვტლით ის გააქანეს.
 სახლის წინ დარჩა შევისხლის გუბე.
 და ფეხითბები ერთ ვარსკვლავს მწვანეს:
 — ნუთუ იმ ეაფთან მეც დავიღუბე.

ამ სტრიქონებში ყველაფერი გარკვევით არის ნათქვამი. უბრალო შემთხვევამ ვ. გაფრინდაშვილი კვლავ დააბრუნა ძველ განწყობილებებთან.

მართალია, ვ. გაფრინდაშვილმა უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა სხვა ლექსებიც („ჩენო ქვეყანა“, „ქუთაისი“, „საბჭოთა საქართველო“ და სხვ.), რომელშიაც იგი იდეურად სწორად და რეალისტურ-მხატვრულ სახეებში გამოხატავს ახალ თემატიკას, მაგრამ ზემოდ დასახელებული ლექსები და სტრიქონები ჰქმნიან სერიოზულ საფრთხეს ვ. გაფრინდაშვილისათვის.

ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის და აგრეთვე სხვა პოეტთა წინაშე მთელი თავისი მოცულობით სდგას საკითხი, რომ სრულიად მოიშორონ თავიდან დეკადენტური „ტიერთის“ ნარჩენები. ეს საჭიროა არა მარტო მათი პერსონალური პოეტური ინტერესებისათვის, არამედ მთელი ჩენი პოეზიისათვის. სიმბოლისტურ-დეკადენტური ტრადიციები უარყოფითად მოქმედებს საბჭოთა პოეზიის საერთო განვითარებაზე, იგი ხელს უშლის პოეტებს სისრულით დაეუფლონ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

გზა, რომლითაც თითოეული პოეტრი მიდის სოციალისტურ რეალიზმთან რთული და მრავალფეროვანია. მონაწილეობს რა პოეტრი ქვეყნულ-ქვეყნების გარდაქმნაში (ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთებში ბრძოლაში), ამავე დროს იგი ახდენს თავისთავის გარდაქმნასაც. ეს პროცესი შეიცავს არა მარტო მსოფლმხედველობას, არამედ შემოქმედებითი მეთოდსაც. ანტაგონისტური დაპირისპირება მეთოდისა და მსოფლმხედველობისა, რაც დამახასიათებელი იყო წარსულში მრავალი პოეტისათვის, იხსნება სოციალისტურ სტილში. როგორც ცნობილია, „რაპკელები“ აიგივებდნენ მწერლის შემოქმედებითი მეთოდს და მსოფლმხედველობას. მაგრამ არა ნაკლებ სახიფათოა მათი დაპირისპირებაც. მწერალი თავის განვითარების გზაზე სოციალისტური რეალიზმისაკენ, სძლევს არა მარტო წერილ-ბურჟუაზიულ შემეცნების განსაზღვრულობას საერთოდ, არამედ ამასთანავე თავისი შემოქმედებითი მეთოდის სივიწროვესაც. ერთი ამ პროცესთანავე შეიძლება ჩამორჩეს მეორეს, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან დაშორება საბოლოო ანგარიშში მაინც არ შეიძლება.

სოციალისტური რეალიზმის დაუფლების გზაზე საბჭოთა პოეტს უხდება მთელი რიგი მცდარი შემოქმედებითი „ფორმულის“ დაძლევა, როგორც შაგ, სქემატიზმი, იდეალისტური რაციონალიზმი, ემპირიზმი, ნატურალიზმი, „მოცარტიანობა“ და ა. შ.

არიან პოეტები, რომელთათვის ძნელი ხდება ვიწრო თემების რკალიდან გამოსვლა და გადასვლა ახალ თემებზე. მაგალითად, ისეთი პოეტები, როგორიც არიან ა. აბაშელი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი და სხვ. ვერ ატერხებენ ვიწრო-ბიოგრაფიულ, ვიწრო-ლირიკულ თემებიდან გამოსვლას. ისინი თავიანთი განსაზღვრული თემებით მოვიდნენ რევოლუციასთან და თითქმის მასვე შერჩენ. ავიღოთ ი. მოსაშვილი. უნდა აღვნიშნავთ რომ იგი თავისი პოეტური პრინციპებით ახლო იდგა სიმბოლისტებთან. ამ პრინციპების საფუძველზე იგი კარგა ხანს იყო შეჩერებული. მაგრამ 1930-32 წლებში მოსაშვილმა გამოამჟღავნა ახალ იდეურ გზებზე შედგომა. პოემა „კობა ჩოხელი“ ამ გარდაქმნის დასაწყისი იყო. პოემის მხოლოდ ნაწილი გამოაქვეყნა მოსაშვილმა და შეჩერდა. შემდეგ იგი ისევ ძველ თემატიურ რკალს დაუბრუნდა (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორიოდღე ლექსი ბელორუსიაზე). უკანასკნელი მისი ლექსებია „ღია ბარათები“, „სიყვარული უცებ“ და სხვ. რომლებშიაც სრულებით არ სჩანს ახალი თვისებითი მომენტი საბჭოთა პოეტისა. უდავოა, რომ სიყვარულზე, ისე, როგორც სხვა პირად პრობლემებზე ეხლა წერა არა თუ შეიძლება, არამედ საჭიროცაა. საჭიროა იმიტომ, რომ პროლეტარიატის ცხოვრებაში მუშავდება ახალი დამოკიდებულება სიყვარულისადმი, ქალისადმი, ოჯახისადმი, რასაც განონიერი უფლება აქვს თავისი გამოხატულება იპოვოს პოეზიაში. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ პოეზია წარმოადგენს არა მარტო ქვეყნიერების შეცნობის ერთ-ერთ

საშეაღებას, არამედ შემეცნების ორგანიზაციის იარაღად. პროლეტარული მკითხველი პოეტისაგან მოთხოვს, რომ მან გამოხატოს აზრთა და ემოციათა მრავალფეროვანება. პროლეტარიატი მღერის უმრავლეს შემთხვევაში ბრძოლის სიმღერას, მაგრამ მას უნდა აგრეთვე იმღეროს თავის ახალ სიყვარულზე, რომელიც არ ჰგავს ბურჟუას ძველ კერძო-საკუთრებითი სიყვარულს, — გრძნობაზე ქალისადმი — ამხანაგისადმი ბრძოლაში, ამხანაგისადმი კლასის მიხედვით.

ი. მოსაშვილი უმთავრესად ცალკეულ სურათებს, ეპიზოდებს გვამღვს თავის ლექსებში („ლეკური სიმღერები“, „ღია ბარათები“ და სხვ.) იგი პრინციპიალურად მიჰყვება სიმღერას, მსუბუქი პოეზიის ენარს. მართალია, მოსაშვილი ემოციონალური პოეტია, მაგრამ იგი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ თითქოს პოეტს გარდა ემოციონალიზმისა არაფერი სჭირდება. მოსაშვილი ივიწყებს იდეურ მომენტს, რომლის უკანა პლანზე დაყენება ყოველად შეუძლებელია.

ვერც ბურჟუაზიული ესთეტიზმის და პასიური მკვრეტელობის, ვერც სანტიმენტალობისა და ცივი რიტორიკის გზით ვერ გადავსწვევთ სოციალისტური რევოლუციის მეთოდით დაწერილი ლექსის პრობლემას. ი. მოსაშვილმა უნდა აირჩიოს „კობა ჩოხელის“ და ბელორუსიაზე დაწერილი ლექსების გზა. ეს აუცილებელია მისი შემდგომი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ გაიოლებულ და გატკეპნილ ძველ გზას მიჰყვება ზოგიერთი პროლეტარული პოეტიც. განსაკუთრებით ეს ითქმის ახალგაზრდა პოეტურ ძალებზე.

გასული წლის ბოლოს ი. აბაშიძემ ქუთაისის „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა ლექსი „სურახანასთან“. ვერ დაიჯერებთ იმას, რომ კაცმა დაინახოს ბაქო-სურახანა (თუგრუნ მატარებლიდან) და აქ უპირველეს ყოვლისა არ შენიშოს „მაეი ოქრო“, ტაბურღილები, მუშები და საერთოდ ის სოციალისტური ინდუსტრიალური გაქანება, რითაც ეს ქალაქი იქცევა ყურადღებას. ი. აბაშიძე ნაცვლად ამისა, „რომანტიულ თრთოლვამთა“ გადავარდნილი ელაც ხანუმის ხილვით:

მიმღერე ქალი ქართულად რაღაც,
შენს ქვეყანაზე ნიამზე, ანუ
მიმღერე თათრულად — ალას
გალაშქრება და სიკვდილი, ზანუმე..

შენ როცა გძინავს ხალხის ძილით
და მოწვევითი რაღაც სრულიად,
მაგ შენის თმებით ბალიშის პირით
ჩემს კარტასავით დაბახულია.

გაბრაზებული ქალღმის კარტით,
შენ ცოცხალ კარტას დავეურებ, ანუ

შენს თავზე ეფგავარ, და თუ გაქვს ხათრი
ნუ გაიღვიძებ, იძინე ხანემ!



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

მე არ ვლაპარაკობ, რომ აქ რაიმე გადახრას ჰქონდეს ადგილზე. მაგრამ არც რაიმე სიახლეა. რამდენი დაწერილა ამ თემაზე ძლიერი პოეტური სახეებით?! ი. აბაშიძე კი თავის გრძნობას ვერც აყალიბებს ძლიერად და ვერც სათანადო პოეტურ გაფორმებას აძლევს მას. რას მატებს ეს ლექსი ი. აბაშიძეს, როგორც პოეტს ან, ჩვენს საბჭოთა პოეზიას? — არაფერს. აქ მისვლაა იმ ხანთან. რომელიც დიდხანია ჯერ კიდევ რევოლუციამდე განვლო ჩვენმა პოეზიამ ი. გ რ ი შ ა შ ე ე ლ ი ს და სხვა პოეტთა სახით.

ლექსი „დაბრუნება“ — თემატიურად ზემოაღნიშნულ განწყობილებებთან არის დაკავშირებული. განცდათა ახალი კუთხით გაშუქებაზე ლაპარაკი არც ამ ლექსის მიხედვით შეიძლება.

ძველ გრძნობათა კულტივირებას, ისე, რომ არ გამოვამყლავნოთ ის ახალი, რაც შეიტანა მასში პროლეტარულმა რევოლუციამ, მიუყვართ ლირიკაში არა მარტო ერთდღიანად მოტივების გამეორებამდე, არამედ მირდაპირ ფორმალურ ეპიგონობამდე ძველი პოეტებისა, რომლებიც ამ თემაზე წერდნენ.

აქვე შევეხოთ აღწერილი პოეზიის საკითხებსაც. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ რამდენიმე წლის წინად იგი საკმაოდ გავრცელებული იყო ჩვენში. ცნობილია რომ აღწერილი პოეზია ეს იმ ხასიათის შემოქმედებაა, როდესაც პოეტი მოვლენებს და სურათებს ჩამოსთვლის ერთმანეთთან ყოველგვარი იდეური თუ მხატვრული კავშირის გარეშე. ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ შემოქმედებითი მეთოდს, რომლის ტიპური შედეგი აღწერილი პოეზიაა. იგი ერთგვარად გამოხატავს უმოქმედო, პასიურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. აღწერილი პოეზიის წინააღმდეგ ილაშქრებდა ჯერ კიდევ კარგა ხნის წინად ლესინგო. იგი ამბობდა, რომ პოეტი, რომელიც მოვლენებს აგვიწერს, როგორც ერთნაუნეთის გვერდით შემჭიდროებულად არსებული ნიშნების ჯამს, ვერ მოგვცემს ნამდვილ წარმოდგენას საკანზე და მოვლენაზე.

ჩვენი პოეტების უმრავლესობამ თავის შემდგომ შემოქმედებითი პრაქტიკაში შესძლო თავის დაღწევა აღწერილი პოეზიისაგან. მას ბოლომდე და ტიპურ ხაზებში შერჩა მხოლოდ ქ. კ ა ლ ა ძ ე. ამ გზას ვერ გააკვიბა საბჭოთა პოეზია. იგი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჭოეტმა მოგვეცეს იდეურად ღრმა, პოლიტიკურად მახვილი და მხატვრულად სრულყოფილი, მაღალი ხარისხის ნაწარმოები. მაგრამ ეს გარემოება ვერ შეუგნია ქ. კალაძეს. კალაძის პოეტური მუშაობის მეთოდი ყალბი და გაუმართლებელია. მისი ლექსების თემა ხშირად მდიდარ კონკრეტულ-ყოფითი მასალას შეიცავს, მაგრამ იგი ამ მასალას უღვება, რო-

გორც ნარკვევების მწერალი და ვერ გვაძლევს მის დროა სოციალისტურ, ნამდვილ მხატვრულ გამოხატულებას. აქედან პრინციპიალური კურსი სქემატიზმზე და სტატიურობა ხდება დამახასიათებელი ნიშნებისათვის. მისი უკანასკნელი ლექსები („იმერული მოთხრობა“ და სხვ.) უახლოვდება პროზას, მაგრამ იგი არც თეთრ ლექსს წარმოადგენს. აქ უბრალო ლექსის დეფორმირებასთან გვაქვს საქმე.

საბჭოთა პოეზიას უნდა ახასიათებდეს თემატიური, ეპრობრივი და სტილიური მრავალფეროვანება. ამდენადვე სასტიკად ცდებიან ისინი, რომლებიც ებრძვიან ლირიკას, იგი ჩვენი ეპოქისათვის არა სავალდებულო ხელოვნებათ მიაჩნიათ. ცნობილია ს. ჩიქოვანის აღრინდელი თქვა: „დავარტყათ თავში ლირიკას ჩეჭმა და დავადინოთ ცისფერთ სისხლი“. ასეთივე პოზიციაზე იდგა და ეხლაც დგას ა. აბაშელი. როგორც ვიცით ასეთ მკდარ მოსაზრებას ს. ჩიქოვანი დღეს აღარ იზიარებს, ხოლო ა. აბაშელისათვის კი მას პრინციპიალური საფუძველი აქვს იმ მხრით, რომ პოეტს უძნელდება შემოქმედებითი გარდაქმნა და თავის თავის რეაბილიტაციის მიზნით ჩვენი ეპოქისათვის თითქოს ლირიკის შედგეტობას აბრალებს ამას. ამასთანავე ასეთი ხერხებით აბაშელი არსებითად იცავს ძველი ლირიკის ხაზს პოეზიაში.

ნამდვილად ლირიკა, რომელიც საბჭოთა პოეზიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს თანდათან ვითარდება, ფართოვდება და ღრმავდება. ძირითადი ელემენტი, რომელსაც უფროდაუფრო ამკლავებენ ჩვენი პოეტების უმრავლესობა, ეს არის პირადი და საზოგადოებრივი მოტივების ორგანიზული ათვისება. ეს გარემოება კი იძლევა შესაძლებლობას თემატიკის გაფართოებისა წინაპერიოდებთან შედარებით.

რასაკვირველია, კანონიერია ლირიკულ ხაზებში გადმოცემა იმისათუ როგორ ხდება გარდაქმნა იმ ადამიანთა გრძონობებისა და შეშეცენების, რომლებიც აღიზარდენ ძველ კულტურაზე, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მაგისტრალურ ხაზს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის პოეზიისა. საბჭოთა ეპოსის და ლირიკის მთავარი მაგისტრალური ხაზი იშლება სხვა თემატიურ არეში. საბჭოთა ეპოსის და ლირიკის მთავარ გმირს წარმოადგენს ის, ვისშიაც გამოსახულია პროლეტარული რევოლუციის სუბიექტური საწყისები, პროლეტარიატის დიქტატურისათვის აქტიურად მებრძოლი ადამიანი, რომელიც თვითონ ვანიცდის გარდაქმნას ქვეყნიერების გარდაქმნასთან ერთად. საბჭოთა სოციალისტური ლირიკის მთავარ გმირს წარმოადგენს ის, ვინც ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეებზე, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საქმეზე — პირველი პირისაგან, როგორც თავის პირად საქმეზე.

ჩვენი პოეზიის დიდ მონაპოვარს წარმოადგენს, ის რომ პირადი თე-

მა მასში შექმდება იმნაირად, რომ ლექსები ლებულოვნად პოლიტიკურ მნიშვნელობას, ხოლო პოლიტიკური თემა შექმდება ესკეზურ ტექსტისით, რომ მას ვითვისებთ, როგორც პირად ლირიკას. გ. ბ. ზ. მ. მ. მ. მ.

საკითხი სოციალისტური რეალიზმის ფორმებისა ლირიკაში — ყველაზე რთული პრობლემაა საერთოდ სოციალისტურ რეალიზმში. როგორც ვიცით ლირიკას არ ახასიათებს გაშლილი ხასიათები, რომლის ტიპიურობაზედაც შეიძლება დავსვათ, ლირიკის ენა უფრო რთული და პირობითია და ა. შ. მაგრამ სოციალისტურ რეალიზმს არ ახასიათებს დოგმატიურობა. ის არ ზღუდავს მწერლის შემოქმედებითი ძიებას და მრავალფეროვანებას. პირიქით, ამ მხრით ის უდიდეს შესაძლებლობებს უქმნის მწერალს. სოციალისტური რეალიზმი მწერალს აძლევს საშვალეებს შექმნას ფორმათა, ენათა და მხატვრულ ხერხთა მრავალფეროვანება. სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს ღრმა იდეურობის შერწყმას მაღალ მხატვრულ ფორმასთან.

როდესაც ვეხებით ლირიკის საკითხებს, არ შეიძლება არ შევეხოთ ზოგიერთ მცდარ შეხედულებასაც.

ცნობილია, რომ ამ ცოტა ხნის წინად ს. ჩიქოვანმა წამოაყენა მცდარი მოსაზრება ლირიკული პოეზიის გაგებაში. იგი მას ჰყოფს: ლირიკული აზრის პოეზიად და ლირიკული ამღერებად. მისი აზრით პირველ შემთხვევაში ლექსალური ინერცია დამყარებულია ლირიკული აზრის განვითარებაზე, ე. ი. ლექსის უშვალო, პირდაპირი შინაარსი ჰქმნის ე. წ. ლექსალურ სუტეტს. მეორე შემთხვევაში კი ლექსი ვითარდება ლირიკული ამღერების საფუძველზე, ე. ი. სუტეტი იქმნება თემისა და სიმღერის შეხამების მეოხებით. ჩვენის აზრით ეს დაყოფა ძალზე ნაძალადევი, ხელოვნური და არ შეესაბამება ლირიკული პოეზიის ნამდვილ გაგებას. ფაქტები მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ; ს. ჩიქოვანი იფიქვებს, რომ ლირიკულ ლექსში აზრის „გაშიშვლებული“ სახით მოცემა არ შეიძლება, აქ მუსიკაც უნდა იქნეს. ყოველ ლექსს უნდა ახასიათებდეს ნათელ აზრთან ერთად მელოდიურობაც. ჩვენ ხაზს უსვამთ იმას, რომ ლირიკულ ლექსშიც აზრის დომინანტა აუცილებელი პირობაა ბეგრასთან, ამღერებასთან შედარებით, მაგრამ ეს არ მოითხოვს სრულებით ისეთ დაყოფას, როგორც ამას ახდენს ს. ჩიქოვანი. ამასთანავე ამ დაყოფის შედეგად ჩვენ საშვალეებს ვაძლევთ ზოგიერთ პოეტს განავითაროს „უიდეო“ ლირიკა, რასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი საბჭოთა პოეზიაში.

ესლახან გამოსული გ. ტაბიძის ლექსების წიგნი (ტომი მეორე) შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს მელ ლიტერატურულ მოვლენას. მართალია, ლექსების უმეტესობა კარგა ხნის წინადაა დაწერილი, მაგრამ წიგნში არის ახალი, უკანასკნელი დროის ლექსებიც. ეს წიგნი სხვა მხრეცაც იტყვის ყურადღებას. იგი საშვალეებს გვაძლევს მთელი სისრულით გავეითვალისწინოთ თუ რა გააკეთა გ. ტაბიძემ რევოლუციის მანძილზე.

საით წარიმართა მისი პოეტური გზა და რა ადგილი უჭირავს მას საბჭოთა პოეზიაში.

პროლეტარული რევოლუციის განვითარებასთან, *შეუღწეულად* საფუძვრზე ასვლასთან ერთად, გ. ტაბიძე უფროდღაღღრმად *შეუღწეულად* სწავლავს თავის თავში წერილობრივად-ზოგად-ინდივიდუალისტურ წარსულს. უკანასკნელ წლებში გ. ტაბიძის პოეზიაში თითქმის გააქრა ავადმყოფურ-დეკადენტური განწყობილებები, რომელიც მისი შემოქმედების პირველ პერიოდს ახასიათებდა. გ. ტაბიძე თავის შემოქმედებით აქტიურად ებმება სოციალისტურ მშენებლობაში და იმსჯელებს მისი კონკრეტული ამოცანებით. პროლეტარულ რევოლუციასთან ორგანიულად მისვლის შემდეგ, გ. ტაბიძე თავისი პოეზიის თემატიკის არსებით შეცვლას ახდენს. თუ წინად იგი უმთავრესად ისეთ თემებს არჩევდა, რომელშიც უფრო რელიეფურად გამოვლინდებოდა მისტიურ-ინდივიდუალისტურ დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, დღეს იგი რადიკალურად სხვა ხასიათის თემებზე მუშაობს. ეს ის თემებია, რომლებიც უშუალოდ ეხება უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. გ. ტაბიძე მოვლენების გაშუქებას უდგება სრული უშვალობით, მას არ ახასიათებს ხელოვნურ ექსტი, რაც ნიშნულია ზოგიერთი ჩვენი პოეტისათვის.

გ. ტაბიძე სწვენს სინამდვილეს მხოლოდ და მხოლოდ საცხე ლირიკულ სახეების ფორმაში ითვისებს; მას ახასიათებს ლირიკული თბრობის სრული ინტონაცია. გ. ტაბიძის ცდა ეპოსზე მუშაობისა, ვერ აღმოჩნდა მაინცადამაინც გამართლებული. მისი „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ არსებითად ლირიკული ლექსების კრებულებს წარმოადგენდა და კარგადაც მოაქცა ავტორი, რომ უკანასკნელ წიგნში მათ ყველას მისცა დამოუკიდებელი ლექსების სახე.

რასაკვირველია, ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ გ. ტაბიძის ევოლუცია, როგორც ნამდვილი დიდი საბჭოთა პოეტი, უმტკივნეულოდ, თავისთავად მომხდარიყო. მას პქონდა იდეური და უმთავრესად მხატვრული ხასიათის სერიოზული ჩაუარდნები. პოეტური ოსტატობის მხრით გ. ტაბიძე მთელ რიგ ნაწარმოებებში დაუშვებელ სისუსტეს იჩენდა. სწორედ ამ გარემოებამ მისცა ზოგიერთებს საბაბი იმისათვის, რომ დაეწყო ლაპარაკი გ. ტაბიძის პოეტური გზის დასასრულზე. მაგრამ ეს არ იყო მართალი. გ. ტაბიძის პოეტური „მარაგი“ ჯერ კიდევ არ ამოწურულა. მას თავისუფლად შეუძლია კიდევ მოგვეცეს ახალი და ახალი შედეგები.

ს. ჩიქოვანიისათვის უკანასკნელი პერიოდი იყო შეუღლებული შემოქმედებითი მუშაობისა და ზრდის პერიოდი. მთელი რიგი ლექსებით მან გამოამყლავნა თემატიური მრავალფეროვანება, სადაც მთავარი ყურადღება მიქცეულია სოციალისტური სინამდვილის მოვლენებისადმი. „მდინარის გადავლება“-ში ს. ჩიქოვანი ორგანიულად გვიხატავს იმ გრანდიოზულ გარდაქმნით პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს საბჭო-

თა კოლხიდაში. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პოეზიაში უკანასკნელ წლებში ამ თემამ ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკურა. მაგრამ ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან გამოირჩევა ს. ჩიქოვანის „მდინარის გადმოცემა“. ამ უკვე ადგილი აღარა აქვს მოვლენების რიტორიულ გადმოცემას და დეკლარატიულობას, რაც დამახასიათებელი იყო ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებისათვის. ორი გლეხის უბრალო საუბარი რიონის კლაპოტის გამოცვლის შესახებ, პირდაპირ ხელშესახებ კონკრეტულობით გვაძლევს სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ ფრონტის ნათელ სახეს.

უბრალოდ, მაგრამ დამახასიათებელი ხაზებში იწყება ლექსში ორპირსონაჟის გამოჩენა. მოხუცს არ სჯერა რიონის კლაპოტის გამოცვლის შესაძლებლობა.

—ვიცი მდინარე იცვლის კლაპოტს,
 ზამბახს მოისხამს თვი მაცნოლა.
 საუქუნენი უნდა მალამოთ
 ამგვარ შეცვლასო გამოვონია,
 მდინარე რიონს
 ვინ დასძრავს ბაბა.
 ტფილი შრომაა. გამძლე აქვს ბუფე.
 რაც არ უქნია ნამს და პაპს
 განმიმარტე და დამიხაბუთე.

მაგრამ მოხუცზე ვერ მოქმედებს ახალგაზრდის ევრაეითარი არგუმენტი, „მოხუცის კუთხე არ იცვლიდა“. მხოლოდ კობას სახელის გაგონებამ და მისმა უდიდესმა ავტორიტეტმა დაარწმუნა მოხუცი გლეხი ამ საქმის შესაძლებლობაში.

კობა ამბობსო? ურწმუნო თონა
 შეჩერდა, თითქო აღმასი ნახა.
 მამ ვარგებულა და ხალხის შრომა
 შეასრულებსო — წამოიძახა.

 ბელადი ბინდშიც ალიონს ხედავს,
 პალიასტონშიც ვასპურიტავს ფაცრს.
 კობას ნაფიქრი ჩვენს ნაბოქმეძარს
 ფესვით კვებავს და ავაჯაკებს —
 ამბობს მოხუცი წოფელი გუნებით.

კონკრეტული სახის ჩვენებით ჩიქოვანმა შესძლო მოვლენის თვალსაჩინოდ გადმოცემა მაღალი მხატვრული საშუალებებით. ტონები ზუსტად არის შეხამებული. ბუნებაც შეცვანილია სოციალისტურ სინამდვილეში.

თავის დროზე ჩვენი კრიტიკა ს. ჩიქოვანზე ლაპარაკობდა, რომ ის არის ფიქრის პოეტი, მას არ ახასიათებს უშუალობა, რომ მის ლექსებში ბევრია მსჯელობა და ცოტაა თვითმოქმედება, რომ იგი განუყრელად

ვერ აკავშირებს ინტელექტსა და ემოციას პოეტურ მთლიანობად უკანასკნელ ლექსების მიხედვით ს. ჩიქოვანზე უკვე ამის თქმა ათარ შეიძლება. „მდინარის გადაღდება“ სადათად არის დაწერილი, მისი სხეულები გასაგებია და ამავე დროს ის სუვეტურად გააზრებული. ლექსში მოცემულია ძლიერი პოეტური სახეები:

ცაზე მთრთოლავი თეთრი ფერები
 აკაშაშებენ რიონის იტავს.
 ჭალადიდიდან გადადის ნივარე,
 შენდევ ფოთის და ზღვის კიშკარია.
 და ორი მგზავრი, ერთი მდინარე
 ბრძოლის ველისკენ მიიპკარია.

„ქურდები“ და „პალიასტომის ტბა“-ც ძალზე საყურადღებო ნაწარმოებია. აქაც ს. ჩიქოვანს დაძლეული აქვს ის სიმძიმე, მოუხეშავობა, რომელიც ახასიათებდა მის ძველ ლექსებს. „ქურდებში“, „პალიასტომის ტბა“-ში მეტი ბუნებრივობა, მეტი რიტმიულობა და თანმიმდევრულობაა მოკმეული. არსებითად თავისი ლექსებით თვით არღვევს ს. ჩიქოვანი თავის მკდარ შეხედულებას ლირიკის დაყოფის შესახებ.

დამახასიათებელ პოეტურ ფიგურას წარმოადგენს გ. ლეონიძე. მართალია, თავის დროზე იგი ყოფილ „ცისფერ ყანწელებთან“ იყო დაკავშირებული, მაგრამ სკოლური პრინციპების მიხედვით მას ძალიან ცოტა საყრდენი ჰქონდა მათთან. გ. ლეონიძისათვის დამახასიათებელია მონოლიტური ფორმა ლექსისა, მუსიკალობა, კოლორიტი. მას აქვს პოეტური სახისა და რიტმის ნაჭველობა, სიმდიდრე მსუყე მეტაფორისა და ნამდვილი გრძნობიარობა. გ. ლეონიძე მიჰყვება აღმოსავლური პოეზიის ხაზს. ამ გარემოებას თავის დადებით მხარეებთან (უმთავრესად ფორმალური ხასიათისა) აქვს უდიდესი უარყოფითი მხარეც. გ. ლეონიძეს აქვია იდეური გარკვეულობა, მსოფლმხედველობრივი სისრულე. მართალია, იგი მოსულა რევოლუციისთან, მაგრამ შორსაა ბრძოლის, აქტიობის ხმაურისაგან. იგი ძალზე სუსტად იბრძვის ახალი, საბჭოთა თემების დასაუფლებლად. გ. ლეონიძე თვითონ გრძნობს ამ ჩამორჩენილობას, როდესაც ამბობს ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ლექსში:

ვიგრძენ მე ბევრი უნდა მოიმა,
 რომ გავმზადიოყვე ხალხის ნალარა...

„ხალხის ნალარად“ გახდომისათვის გ. ლეონიძეს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა სჭირდება, მან ორგანიულად და მთელი სისრულით უნდა აითვისოს ეპოქის იდეები და ის გარდატეხოს თავის პოეზიაში. გ. ლეონიძეს ამისათვის თითქმის ყველა წინა პირობა აქვს, რომ ეს ლეონიძეს შეუძლია ამის საწინდარია მისი ლექსი ს ტ ა ლ ი ნ ზ ე. გ. ლეონიძე უნდა დაი-

წმინდოს ემოციონალური ჭაოსისაგან (რაც სრულებით არის გამოკონალური სიძლიერის შემცირება).

ნ. მიწისველი უკანასკნელ ხანებში აქტიურად მუშაობდა მოეზი-
აში. მან გამოაქვეყნა მთელი სერია ლექსებისა: „ოდნამგზამამრეცხება“,
„ხთაყარი შტაბი“, „კამოს ძეგლი“, „პუშკინ“, „პაჯი მურატის მოჭრილი
თავი“, „ლადო კეცხოველი“ და სხვ. ყველა ეს ლექსი ერთი ღირსებისა
და მნიშვნელობის არაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ლადო
კეცხოველი“ და „პაჯი მურატის მოჭრილი თავი“. თემის და სახეების
კონკრეტულობა და კომპოზიციის მთლიანობა ამ ლექსებს წარმოვიდ-
გენს ძლიერ პოეტურ ნაწარმოებად. მაგრამ მიწისველის ლექსებს თან
სდევს სერიოზული ნაკლიც: მათში ადვილი აქვს გადაჭარბებულ მსჯელო-
ბას, რაც ლექსს ამძიმებს და „აცივებს“:

„პაჯი მურატის მოჭრილი თავი“-ს დასასრულ სტრიქონებს ერთგვა-
რად პრინციპალური მნიშვნელობაც აქვს. როგორც ცნობილია მიწისველის
პქონდა წვრილ-ბურჯუაზიული თეორია ადამიანის გაორების შესახებ
(როგორც მოქალაქე აწმყოში, როგორც შემოქმედი წარსულში). ამ ლექს-
ით კი მიწისველი თვითონ არღვევს თავის თეორიის უსაფუძვლობას
და სიყალბეს.

აქედან ვხედავ, ამოღეს იგი: ბოძოდე, იწვოდე.
ჯანსრისოს დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარტით,
მაგრამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ უნდა იცოდე
გაორებული კაცის ბედი თავიდან მარცხით.

სწორედ ამ მარცხის შიშმა შეუწყო ხელი იმას, რომ ეხლა მიწისვე-
ლი თვითონ აქტიურად იბრძვის გაორების წინააღმდეგ.

გ. კაქახიძე მტკიცე პოეტური სისტემის შემუშავების გზაზეა შემდ-
გარი. კაქახიძის პოეზიის სისტემა მთლიანი ყველა თავის ნაწილებში, ყვე-
ლა მისი კომპონენტი განუყოფელია მისთვის ლეიტ-მოტივისაგან. ამაშია
სწორედ კაქახიძის ლექსების ძალა. უდავოა ის გარემოება, რომ პოეტურ-
ი შემოქმედების მასალას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი დიადი ეპოქის
ძრავალფეროვნება, ყველა თავისი წინააღმდეგობებით. ეს მოვლენა კარ-
გად აქვს შეგნებული გ. კაქახიძეს.

„აიენიან სახლში“ გ. კაქახიძე გვიხატავს საბჭოთა სოფელს, მაგრამ აქ
ზოგადი განყენებული მსჯელობა ან ლოზუნგი კი არ არის, არამედ კონ-
კრეტული პიროვნების ჩვენებით გვიძღვეს განზოგადოებულ წარმოდგე-
ნას ახალი სოფლის შესახებ: ოდიშის გზებზე იყო ქვის მტები — მაცი
ტუბუა, რომელიც ამზანაგობდა ერთ საწყალ ბერძენს. იგი დიდ სიღარი-
ბეში იყო ჩავარდნილი. ეს სიღარიბე მას კარგა ხანს გამოჰყვა. ხუთის-
წლის წინადაც იგი „დაჩეხილ ჯირკზე ბერტყავდა წინდებს — დაფლე-
თილს და პატრონთან აშლილს“. მას ეცვა ცოლის ნაქსოვი შარვალი.

„გაედა ოჯახი დაცრეცილ ზეწარს, გაურეცხავს და დაღრუჯილ შავით“.
 ეზოში იდგა მარტო მიწური ჭობი. „დღე მთავრდებოდა, არ ეყოლეჯრა“.
 ხუბუა არ იყო ცხოვრებით კმაყოფილი. მაგრამ გაღის დღე: *საქართველო*

მაგრამ ზენი დრო სასწაულს რომ გავს,
 გულის ჯურღმულშიც გადაშლის სივრცეს,
 თუ კაცს ბრძოლაში უჭირს და ბორცავს,
 ხელს წამოკრავს და შარავხას მიცემს.

სასიხარულო ცხოვრების რივრავმა გახსნა ჭერი ღარიბის სახლში:

სოფლად არტელში ლაყბობა დაგმეს,
 გაჩნდა გეგმა და გამზნედა მაცი.
 ვრცელი მინდვრები მანქანამ მოხნა,
 ხნულები გაძდა სინინდის შარცვლით.
 გამოაფინა შრავალმა ჭობმა
 სიმზიარულე შრავალი კაცის.
 ალაპარაკდა ხეხილის ფერმა,
 კარგი ცხოვრების ნიაგი ქროდა...
 დასუყდენ დღენი, და როგორც ბევრმა
 მაციმ ეზოში ააგო ოდა.
 წელს ენახე იგი...
 სახლის წინ ბაღში
 ცოლი ბერტყავდა ოსმალურ ფარდაც.
 ხუბუა თვითონ თეძობე გაშლილ
 ძროხას ბანჯგელიან კარწახებს მბანდა.
 იყო გარემო გაშლილი სახის...
 სუფთა ფანჯრებით უმზერდა ჭიშკარს
 აიენიანი მაღალა სახლი.
 ახლა არ მახლავს ცხოვრების შიში,
 მაქვს პურ-ღვინო და სახლ-კარი წმინდა...
 ნუ გამახხუნებთ ტუქვსა და შიმშილს,
 ნესტიან მიწურს, რომელშიც წვიმდა.

მაცი ხუბუას ყველაფერი ეს მისცა კოლექტიურმა ცხოვრებამ. იგი თვალნათლივ ხედავს „ძალა რარიგად ჰჭონია თურმე მოწესრიგებულ ხალხსა და შრომას“. ბელადის აზრის შეგნებამ ალაფრთოვანა ის შრომისაღმი. „მიწამაც, ხალხის შრომით თუ სიბრძნით“, გადიღებული დოვლათი მისცა. მაცი ხუბუა შედგა შეძლებული ცხოვრების გზაზე: *

ძალზე ნათელი, ძალზე კონკრეტული პოეტური სახე ჩამოაყალიბა გ. კაჭახიძემ მაცი ხუბუას პიროვნებაში. სოციალისტური ქვეყნის დამახასიათებელი ტიპი ხელშესახებ დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი. მაგრამ გ. კაჭახიძის პოეზიას სერიოზული ნაკლოვანებაც თან სდევს.

მისი ლირიკა ცივი, ძალზე თავდაპერილი და გაზომილია. მას ეძღვება სიმ-
ქაფის, სრული ადამიანური ხმით თქმა.

ქ ა რ ე ნ ე უ ლ ი

მთელი რიგი პოეტების უკანასკნელი დროის მუშაობის შედეგად დასრულებულია საბჭოთა პოეზიის თემატიკის გაფართოებისაკენ, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი თემების დამუშავებისაკენ. ამ მხრით გამოირჩევა ა. ქუთათელი უკანასკნელი ლექსები „ბელორუსია“, რომელშიც მოცემულია თემა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა. ი. მოსაშვილის ლექსებთან ერთად ა. ქუთათელმა ჩვენს მკითხველებს პოეტურ სახეებით გააცნო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა—ორდენოსანი ბელორუსია. ამას წინათ ამხსტალინმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ „უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა“. საბჭოთა პოეზიაც მოწოდებულია, რომ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

ასევე, ჩვენმა პოეტებმა განსაკუთრებული გულისყური უნდა მიაპყრონ სამხედრო-თავდაცვითი თემატიკას. უკანასკნელ ხანებში ერთადერთი ა. გომიაშვილი ყველაზე აქტიურად მუშაობს ამ თემატიკაზე („ფიცი“, „ოცდათერთმეტი მეომარი სნაიპერია“. „სნაიპერის სიყვარული და სხე.).

ა. გომიაშვილმა სხვა ხასიათების ლექსებიც გამოაქვეყნა უკანასკნელ ხანებში („არწივი“ და სხვ.) მაგრამ პოეტს ერთგვარი სიმწელები ელოდება წინ. მისი ზრდისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ერთფეროვანი პოეტური ინტონაცია. პოეტური ინტონაციის ეს უმოდრობა დაკავშირებულია ა. გომიაშვილის პოეზიის საერთო ნაკლთან, რაც მდგომარეობს სინამდვილის გამარტივებულ წარმოდგენაში, მისი სირთულის და წინააღმდეგობების აღთვისებლობაში, მისი შემოქმედებითი გზის ერთხანოვან განვითარებაში.

ბ. სამსონიძემ თავისი ლექსებით თვალსაჩინო აქტივობა გამოამჟღავნა პოეზიაში. ლექსები კიროვზე, ვაჟა ფშაველაზე, კოლმეურნეობაზე და სხვა, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იგი შესაძლებლობისადა გვირად იბრძვის პოეტური კულტურის ამაღლებისათვის, შემოქმედებითი განვითარებისათვის.

ვ. სამსონიძე თანდათან იგნებს იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ცდა „ავიტის“ თვითმყოფადი უტილიტარული მნიშვნელობის შესახებ ისე, რომ გვერდი აუხვიოთ მის მხატვრულ ღირსებას, ყოველად შეუძლებელია. „ავიტისათვის“ ისევე, როგორც საბჭოთა პოეზიის ყველა თანრისათვის, ზომილია ზარისხისათვის წარმოადგენს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანას.

საკითხი პოეზიის უანრების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. თანრობრივი მრავალფეროვანების მხრით ჩვენი პოეზია საკმაოდ მოძუსტებს. ჩვენ არა გვაქვს დრამატიული პოეზია, საბჭოთა ეპოსი, საბ-



კოთა სიმღერები. უმთავრესი ენარი, რომლისაკენაც ჩვენი პოეტების გულისყური მიპყრობილია, ეს არის ლირიკა. პოეტებმა მტკიცედ ჩამოკლეს „დიდი ფორმის“ დასაუფლებლად. ამ მხრით საანდროს უქონეს ქდა მისასაღმებელია. მისი „ბოლშევიკი-პარტია“ ეპიურ ნაწარმოებია. მაგრამ ამ ცდის განაღდების მხრით ყველაფერი თავის რიგზე არ არის. სანდრო ეულმა ვერ დასძლია თემა, რადგან მთელი ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი და მდიდარი ისტორიის მოცემა ერთ პოეტურ ნაწარმოებში გამოვიდა უფრო ჩამოთვლა ეპიზოდებისა, ვიდრე პოეტურ-მხატვრული სახეებში ამეტყველება. ჩვენის აზრით, აქ თვით თემატიური განზრახვაც არ იყო სწორი, რადგან მთელი პარტიის ისტორიის ერთ ნაწარმოებში მოცემა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ „ბოლშევიკი-პარტია“-ში ჩვენ მივიღეთ ისტორიული მოვლენების მხოლოდ სქემატიური რეგისტრაცია და არა ამ მოვლენის პოეტური განსახიერება. სანდრო ეულმა გულუბრყვილოდ გაამარტივა ისტორიული ფაქტები. იგი არ იძლევა განსხეულებას. მისი თემა შეიცავს მდიდარ ყოფითი და ისტორიულ მასალას, მაგრამ პოეტი ვერ გვაძლევს მის ღრმა-რეალისტურ, ღრმა პოეტურ გამოხატულებას.

სამაგიეროდ ყურადღებას იქცევს სანდრო ეულის ორი უკანასკნელი ლექსი „ბელადი დედასთან“ და „გარსკვლავი და არწივი“. აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ თემებთან და ავტორიც ამელავენებს მის ნამდვილ განცდას და პოეტურ გადმოცემას.

ფეიქრობთ, რომ ეს გარემოება ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სანდრო ეულის შემოქმედების გზა არ არის ებოსი. იგი უფრო ლირიკული ჭაზების პოეტია.

ჩვენ არ გვილაპარაკია მთელი რიგი პოეტების შესახებ. ეს არა იმიტომ, რომ არ ვესურდა, არამედ იმიტომ, რომ მათ უკანასკნელი წლის განმავლობაში არ მოუციათ რაიმე თეალსაჩინო, დამაბნისათებელი. ისეთი ძლიერი პოეტები, როგორცაა ა. შ ა შ ა შ ვ ი ლ ი, პ. ი ა შ ვ ი ლ ი და ს. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ძალზე ცოტა გამოაქვეყნეს და ისიც ისეთი, რომელიც ახალს არაფერს უმატებს მათ პოეტურ ფიგურას. ჩვენ ვიცით, რომ ისინი ახალი ტილოებზე მუშაობენ. (ა. შ ა შ ა შ ვ ი ლ ი პოემა „ენგური, პ. ი ა შ ვ ი ლ ი პოემა „გაფრენა“, ს. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი დრამატიული პოემა „არსენა“), და მათ ახალ ნაწარმოებს მოკლე ხანში უნდა ველოდეთ. ასე რომ დაწვრილებით ლაპარაკი მათზე ამ ნაწარმოებების გამოქვეყნებასთან ერთად შოგვიხდება.

ასევე, ცოტა ახალი მოგვცა გ. ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, ნ. ზ ო მ ლ ე თ ე ლ მ ა, გ რ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე მ, ვ. გ ო რ გ ა ძ ე მ და კ. ბ ო ბ ო ხ ი ძ ე მ. მართალია, ზოგიერთმა მათგანმა წიგნიც გამოაქვეყნა, მაგრამ ისინი უმთავრესად ძველი ლექსების კრებულს წარმოადგენს.

ჭართული პოეზია უკვე მთელი საბჭოთა კავშირის მაშტაბით გამოფ-

და. მან დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს კარგი საქმეა. მაგრამ იგი ჩვენს პოეტებსაც დიდ ვალდებულებას აკისრებს. დღემდე ჩვენს პოეტურ გაცნობის მიზნით ითარგმნებოდა, ეხლა კი იწყება მისი კრიტიკული შესწავლა. მაგრამ ამ საქმეში ზოგიერთი კრიტიკოსი პირდაპირ დათვურ სამსახურს უწევს ჩვენს პოეტებს.

შეუძლებელია არ შევჩერდეთ მირსკის წერილზე, რომელიც ამას წინად მოთავსებული იყო მოსკოვის „სალიტერატურო გაზეთში“ და რომელიც ეხებოდა პასტერნაკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილ ქართულ პოეტების კრებულს. მირსკის წერილში არის მთელი რიგი მცდარი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მოსაზრება. ჯერ ერთი მირსკის წერილით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება (მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთგვარ შენიშვნას აკეთებს), რომ თითქოს პასტერნაკის კრებულთა განისაზღვრებოდეს ქართული პოეზიის სიძლიერე, რომ თითქოს ამ კრებულშია მთლიანად წარმოდგენილი ქართული საბჭოთა პოეზიის დამახასიათებელი ძალები. მაშინ, როდესაც კრებულში არ არის ჩვენი პოეზიის მთელი რიგი თვალსაჩინო, წამყვანი პოეტური ძალა. ასევე, კრებულში ძალზე სუსტად და შეიძლება ითქვას, სრულებითაც არ არის წარმოდგენილი პროლეტარული პოეტები. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არსებითად ეს კრებული წარმოადგენს ყოფილ „ცისფერ ყანწელ“ პოეტთა კრებულს და არა მთელი საბჭოთა პოეზიის (მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ სცვლის ის, რომ მასში მოთავსებულია რამდენიმე არა „ყანწელი“ პოეტი).

მირსკი ძალზე გადაჭარბებით, მიკერძოებით აქებს ზოგიერთ ყოფილ „ცისფერ ყანწელ“ პოეტს და ვერ აფასებს მთელ რიგ თვალსაჩინო შემოქმედ ძალას ჩვენი პოეზიისას. მირსკის წერილით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს მხოლოდმხოლოდ „ცისფერ ყანწელი“ პოეტები წარმართავენ ქართულ პოეზიას. რასაკვირველია, ჩვენ სრულებით არ გვინდა დავამციროთ ყოფ. „ცისფერ ყანწელ“ პოეტთა ღირსება, მნიშვნელობა, ჩვენ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ მირსკის წერილში ისინი წარმოდგენილი იყვნენ იმ ნამდვილი როლით, ადგილით, რომელიც მათ უჭირავთ ქართულ პოეზიაში.

მეორე და უმთავრესი ის არის, რომ მირსკი სრულიად უსაფუძვლოდ ცდილობს მოახდინოს ქართულ ლიტერატურაში და კრიტიკაში მიღებული ფაქტების გაგების გადაფასება. მისი აზრით, ამის საფუძველს მას აძლევს შემოაღნიშნული კრებული. ასე, მირსკი ეხება რა ს. ჩიქოვანს, მის ყოფილ ფუტურისტობას სევამ ბრჭყალებში. ამით თითქოს იგი არ იზიარებს მოსაზრებას ჩიქოვანის ფუტურისტობის შესახებ. უფრო მკაფიოდ ამასვე ამბობს მირსკი „ცისფერ ყანწელების“ სიმბოლისტობის უარყოფისას. იგი წერს: „მთელი რიგი დებულებისა, რომელიც საერთოდ მიღებულია ქართულ კრიტიკაში... იწვევს ეჭვს. ასე, მაგალითად, რა გულუ-

ბრყვილობას, სტილიურს და სოციალურს შეეფერება ის, რომ „ცისფერ ყანწები“ თავიანთ თავს თვლიდნენ სიმბოლისტებად? უკვე უნდაა, რომ არავითარ შეთანასწორების ნიშანზე არ შეიძლება ლაპარაკი ქართულ და რუსულ (და მით უმეტეს ფრანგულ) სიმბოლისმთან!

ასეთივე „სიახლის“ აღმოჩენას ცდილობს მირსკი „სიმბოლისტური პოეზიის საკითხშიც: „ცხადია, პროლეტარული პოეზიის გაგებაც საქართველოში შეიცავდა რამდენიმეთსხვა შინაარსს, ვიდრე ეს იყო რუსულ ლიტერატურაში“...

ასე ყალბად წარუდგინა მირსკიმ რუს მკითხველებს ქართული პოეზიის რაობა. ჩვენთვის იმდენად უდავო და ნათელია ის საკითხები, რომელსაც ასე აბუნდოვანებს და აბნელებს მირსკი, რომ ერთგვარი უხერხულობაც იქმნება მასთან ამ საკითხებზე დისკუსიის დროს. მირსკი შეცდომაში შეიყვანა ალბათ იმ გარემოებამ, რომ მან მთელ ქართულ პოეზიაზე, მასში წინაწლებში არსებულ ლიტერატურულ—სკოლურ განსტობებზე (სიმბოლისტები, ფუტურისტები, პროლეტარული პოეტები და სხვ.) დაეყრდნო პასტერნაკის კრებულს და შეეცადა „აღმოჩენას ამერიკისა“, რომელიც უკვე კარგა ხანია აღმოჩენილი იყო.

პოეზიის ფრონტზე გადაუდებელ ამოცანად სდგას ბრძოლა ხარისხისათვის, ბრძოლა პოეტური ოსტატობისათვის. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ტემპები და სოციალისტური ადამიანის ფსიქიკის გადმოცემა მხატვრული სიტყვის საშუალებით მოითხოვს პოეზიის მაღალ ხარისხს. შთელი საბჭოთა პოეზიის ძირითადი ლოზუნგია ნაწარმოების მხატვრული ხარისხის ამაღლება. დიდი იდეალი კომუნისმისა, დიდი მხატვრული საშუალებით უნდა იქნას გამოთქმული. მხატვრული ხარისხის ამაღლების გარეშე არ შეიძლება ავამაღლოთ პოეზიის პოლიტიკური ფუნქცია.

ცნობილია, როდესაც მივიდნენ მიქელ ანჯელოსთან და შეეკითხნენ, თუ როგორ მუშაობს, მან უპასუხა: „მე ვიღებ მარმალის ნაჭერს, ვაშორებ ზედმეტს და ვტოვებ ფუცილებელს“.

როდესაც მას ისევ შეეკითხნენ—თუ როგორ გამოვარკვიოთ ნამუშევარის ღირსება, უპასუხა: „სრულიად უბრალოდ—დააგორეთ ქანდაკება მთიდან და რაც ზედმეტია, თითონ მოშორდება!“

ჩვენმა პოეტებმაც ასე უნდა მოიქცენ, დააგორონ მთიდან თავიანთი პოეზია, რათა ჩამოშორდეს მას ზედმეტი, უვარგისი და დარჩეს მხოლოდ მაღალი ხარისხის პოეტური ნაწარმოებები.

რასაკვირველია, ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ სტილიური სხვადასხვაობის საკითხების გარკვევასაც საბჭოთა პოეზიაში. ჩვენი პოეზია არ წარმოადგენს საერთო, განუსაზღვრელ უფორმო მასას. ბრძოლა საკუთარი სტილისათვის ყოველთვის საპასუხისმგებლო საქმე იყო ნამდვილი პოეტისათვის.

მიუხედავად ცალკეული სუსტი მხარეებისა, ჩავარდნებისა, განვიხილოთ პერიოდი საბჭოთა პოეზიისთვის წარმოდგენდა ისეთი ელემენტების დაგროვების პერიოდს, რომლებმაც იგი სრულიად კანონიერად შეიძლება ახალ, უფრო მაღალ საფეხურთან, ადამიანთა ყოფასა და შემოქმედებაში კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციაში აქტიურ და ნამდვილ მონაწილეობის მიღების აუცილებლობასთან.

ასეთ თვისებითი გადასვლას ახალ საფეხურზე არ შეეძლო არ შეეჭმნა თავისი განსაკუთრებული სიძნელეები, რომელთაც გამოეწვია პოეზიის განვითარების ტემპების ერთგვარი შენელება, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებისა, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა პოეზია დასძლევს წარმატებით ამ სიძნელეებს და რომ ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოციალისტური რევოლუციის პოეზიის უჩვეულო აყვების წინ. ყრილობის შემდეგ დროინდელი დაგროვებითი პერიოდი ჩვენი პოეტებისათვის უკვე სრულდება. ესაა უნდა ველოდოთ არა ახალ დეკლარაციებს, არამედ ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებებს, გამსჭვალულს სოციალისტური ეპოქის დიადი იდეებით, გამოთქმულს ძველი ეპოქებისათვის მიუღწეველი პოეტური ოსტატობით.

ი. მანსვეტაშვილი

წარსულიდან*

როგორი იყო ილია კერძო ცხოვრებაში? არ იყო მედიდური, უბრალო, მდაბიური ცხოვრება მოსწონდა, შინ ჯდომა უყვარდა. დარბაზობა, ვერტუფოდებულ ვიზიტებზე სიარული სძულდა. შინ კი ბლომად მოსდიოდნენ ნაცნობნი, ნათესაენი, თავისი თუ ცოლისა, მაგრამ მათი დახვედრა, მათი მიღება ევალათ მის მეუღლეს და დას, რომელიც მასთან ცხოვრობდა.

ცოტა უკმები იყო, მარტობას არჩევდა, ხშირად მთელი საათობით უძრავად იჯდა ჩაფიქრებულად. გაცოცხლდებოდა ხოლმე მხოლოდ სჯაბაასის, კამათობის დროს. თუ ვინმე დაიხსლოვებდა და გულს გუხსნიდა მაშინ ოხუნჯობდა, ლაზღანდარობაც უყვარდა მასთან. მაგრამ აქაც საბელს არ მიუშვებდა, თავი ისე ეჭირა, რომ გაკადნიერებას ევრავინ გაბუღებდა. თუ ვინმე საზღვარს გადავიდოდა, ერჩია, თითონვე ამოეკვეთა ფეხი ილიას სახლში. ილია პირს აღარ უჩვენებდა.

ჩემს დროს ყველაზე მეტად შელაზღანდარებული იყო ილიასთან ნიკო ხიზანიშვილი, კაცი ენა-წყლიანი, სიტყვა-მოსწრებული, კარგი მოსაუბრე, ოხუნჯი, ამასთან ჭკვიანი, კარგად განათლებული და ნაკითხი. სხვებისაგან ილია თუ წკიპურტსაც არ მიიკარებდა, ამისაგან ბევრს ითმენდა.

ილიამ უცხო ენები არ იცოდა და ამას სწუხებდა. ხშირად სინანულსაც გამოსთქვამდა, რომ თავის დროზე ეს ნაკლი ევრ შეივსო.

ერთხელ ილიასთან სტუმრად მივდიოდით საგურამოში. ავკალამდ რკინის გზით ვიარეთ, მერე იჭიდან ვტლებით და ცხენებით. გარდა რედაქციის წევრებისა, ჩვენთან იყვნენ: არტისტი ქალი ნ. ვაბუნია, პორტი რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, არტ. ლეისტა და სხვანი. ვტლებში ადგილი ცოტა იყო, ისე რომ მოხუც რაფიელსაც კი კოფოზე მოუხდა ჯდომა, შეეტლესთან. ნიკო ხიზანიშვილმა ცხენზე შეჯდომა ირჩია. ნიკო არ იყო „ჭაბუკი ვინმე

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 10.

ჩაუჭი", არც ცხენზე შეგნოდა, „ვითა ალვა რგული“, მაგრამ სემაგრეს და კისკისობას კი ჩემობდა: ცხენი ხან გააჰენა, ხან გამოაჭინა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადმოწეებოდა, ერთის სიტყვით, ^{ცხენი} ^{მასხარაობდა.} ბოლოს ცხენს ერთი ძლიერ დაჰკივლა, შიგლო ეტლს, სადაც ილია იჯდა, დაბლა თავი დაუკრა და მიესალმა: ბატონს ეახლა ვართო!

— ჰეი, ნიკო! აფსუს, რომ შენ ჩვენი მეფეების დროს არ იყავი! რა კარგი კარის მასხარა იქნებოდი!

— მაშინ საგურამო შენი კი აღარ იქნებოდა, ჩემი იქნებოდა, — მოუჭრა ნიკომ სიტყვა.

ცხადია, რის თქმაც უნდოდა ნიკოს: დიდკაცობა და მამული სწორედ შავ მასხარობითა გაქვთ მეფის კარზე შეძენილი და არა სხვა რაიმე ღირსებით ან, დამსახურებითა.

ილიამ ბევრი იცინა ამაზე. უყვარდა ასეთი მოსწრებული პასუხი. არა ერთხელ უამბნია ასე მოსწრებულად, ჰკვიანურად ნათქვამი გლეხებისაგან. საზოგადოდ ილიას დიდად მოსწონდა გლეხების დარბაისლობა, ნაბუსიანობა, ჰკვიანური, ზრდილობიანი სიტყვა პასუხი. მეტარდე აკვირებდა ილიას გლეხების ფილოსოფიური სიმაგრე, გულგაუტეხლობა, როდესაც რაიმე უბედურება ეწეოდათ. არა ერთხელ გამიჯონია ილიასაგან ამის მაგალითი.

სოფელ წიწამურში ერთ მცხოვრებ გლეხს საქონლის ჭირი ვასჩენოდა და ნახევარი საქონელი გასწყვეტოდა. როდესაც შემხედა, მიუსამძიშრე, მეწყინა შენი ასეთი ზარალი-მეთქი.

— რა ზარალს ბრძანებ ბატონო?

— აი ჭირმა რომ მოგაყენა.

— ეჰ, შე დალოცვილო, ეგ რა ზარალია: ღმერთი ძმად გამიზდა და ჭუაზე გამიყო საქონელი. მხარში იმისთანა ნოზიარე ჩამიდგა, დღეის იქით ზემ ბედს ძალდი აღარ დაჰყევს.

აი კიდევ საგურამოელი გლეხი მარტია, კაცი შეძლებული, მამული-სა და ბლომა საქონლის პატრონი. ეს მარტია მოვიდა ერთხელ ჩემთან და ფულს მესესხებაო, — გვიამობობდა ილია.

— მარტიავე, მაგისთანა გაკეთებული, შეძლებული ოჯახის პატრონი შე მესესხები ფულს?

— რად გიკვირს, ბატონო?

— იმად, რომ შენ ჩემზე მდიდარი ხარ და მე კი ფულს მესესხები.

— მაშ რითი?

— აი ამითი, — და მ ა რ ტ ი ა მ ხელი დაადო თავის ქალამანს. — შენ რომ ეგ გაპრიალეული ფეხსაცმელი გაგიცვდება, ჯავრით აღარ დაგეძი-

ნება. მე კი ამ ქალამანს, როცა მინდა, მაშინ ამოვისხამ, არც დაველონდები, არც ძილს დავიკლებ. აი რითი ვარ შენზე მდიდარი.

ილიასთან ხშირად მიხდებოდა ხოლმე საგურამოში ყოფნა ხან რედუქციის საქმეების გამო, ხან დასასვენებლად. სახლი მაღლომზე იდგა, ჰაერი საუცხოვო იყო და გადასახედი ხომ თვალწარმტაცი. სახლის უკან იდგა დიდი გაშლილი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მუდმივი ჩრდილი და სივრილე იყო. იქვე მოჩუხჩუხებდა პატარა წყარო და გამართული იყო პატარა აუზი. ეს იყო საყვარელი ადგილი, სადაც ილია უმეტეს დროს ატარებდა ზაფხულობით. აქ კითხულობდა წიგნებს, აქვე აკეთებდა საქმეს. საღამომობით კი, როდესაც მზე კარგად გადიხრებოდა და მთებს უკან ჩასვენებას დააპირებდა, ილია ავიდოდა სახლის მეორე სართულზე და იქ აივანზე მთელი საათობით იჯდა ჩუმად, ჩაფიქრებული. მისი ჩვეულებრივი პოზა იყო: მოაჯირზე იდაყვს დააბჯენდა, დიდ თითს, ცერს, ტუჩებს შუა კბილებზე მიიდებდა და ასე იჯდა, იტყოდით ბოძკინი შეუღდამს თავის რალაცა ფიქრებით დამძიმებულ თავისათვისა.

თვალწინ კი ასეთი სურათი იყო გადაშლილი: იქვე ახლოს, ბალკონს ქვეშ, იწყებოდა სხვადასხვა ყვავილით შემკული ბაღა, შემდეგ ხეხილიანი ბაღი, რომელსაც ზედ მოსდევდა ზემოთ დასახელებული ხშირ-ვაზიანი, ჯარისკაცებივით რიგზე დამწყრივებული ვენახი. შემდეგ დაცემული ამწვანებული ველ-მინდორი, რომელსაც ვერცხლის ზოლივით ჩაპრთობია ჩვენი არაგვი „არაგვიანი“. წყლის გაყოლებით მოსჩანან „არაგვის მირნი, მობიბინენი, შვეებით, მომზერნი“. და მის გარშემო „მთანი ტყიანი და ატეხილი ქალები“. აგერ თავდება მომხიბლავი არაგვის ხეობა და შორს, შორს მოსჩანს თეთრ-გუმბათიანი ამაყი ყაზბეგი, მყინვარი. რამდენ წელს გაპყურებდა ასე ილია ამ გულ—და—თვალწარმტაც სურათს. ეს სურათი ხიბლავდა მის სულსა და გულს, ღიადი მყინვარი ზეაღფრთოვანების ფრთებს ასხამდა მის ნიქს და აღონიერებდა, ამოქმედებდა მის შემოქმედებას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ილიას ხშირად უყვარდა მყინვართან საუბარი. აქ ებაახებოდა მყინვარს თავის „მგზავრის წერილებში“, აქედან გრგვინავდა „აჩრდილის“ მოხუცი.

ერთ საღამოს, როდესაც მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, ილია კაკალ-ქვეშ იჯდა და ლაპარაკის გუნებაზე იყო. ვისარგებლე ამით და დავუკითხე:

— ილია, ყველა საქმის გაკეთება საფუძელიანად, მკვიდრად გიყვართ და ეს სახლი კი ვერა გაქვთ მკვიდრად, საშვილიშვილოდ ჩამდგარი. — მაშინ კიდევ ძველ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა.

— მერე, შვილები სადა მყავს, რომ შვილიშვილებზე ვიზროუნო? — შიპასუბა ილიამ.

ილიას ჭკუას და შემოქმედებითს ნიჭს რომ ეუკვირდებოდნენ, ერთი რამ ვარემოება მაკვირვებდა და მოსვენებას არ მძლევდა. ეფიქრობდი, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ასეა გაჩუმებული, იშვასთაძის სწორს, რომ მისი ძლიერი სული სდუმს, რომ მისი ენაშეობა, მდიდარი სიტყვიერების დაუშრეტელი წყარო არ ატკობს ქართველის გულსა და სმენას, ერთი სიტყვით, პუ შკინ ის ა არ იყოს:

Молчи его святая душа,
Душа «кушает» холодный сонь.

გაებედე და ეს ჩემი ფიქრი ილიას გავუზიარე: მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. სიტყვა ბანზე ამიგლო, და გასძახა ძოურავს, რომელიც იქვე ახლოს ტრიალებდა.

- მოურავო, ეგ ვინ არიან, ემანდ, კარწინ, რომ ბალახს სთიბავენ?
- ხევსურები არიან.
- აბა ერთი აქ დაუძახე.

მოვიდნენ.

— ღვინოს არ დაძლევთ? — ეკითხება ილია ხევსურებს.

— რატომ, თუ კი თქვენი წყალობა იქნება. სიცხისაგან ხახა ამოგვიშრა.

ილიამ განკარგულება გასცა, ღვინო მოეტანათ. თითონ კი ეკითხება ხევსურებს:

- საიდანა ხართო?
- შორიდან, თითქმის ერთი დღის სავალია.
- უწინდელი დრო გახსოვთ? — ეკითხება ილია: — აი ჩვენი მეფეები რომ გვეყავდა?

— ხსოვნით კი აბა რა გვეხსოვება და გავგონით კი ვაგვიგონია.

— მერე: მაშინდელი დრო სჯობდა თუ ეხლანდელი?

— რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვხდებოდა, ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არ გვქონდა. შეველა არსაიდან იყო. ებლა რა გვიშავს, აი თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავენ გვახლებს.

ცოტა არ იყოს, წახდა ილია: მოელოდა წარსულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კი სულ სხვა მიიღო — კოჭი აღჩუზე ვერ დაუდგა.

მაშინვე სიტყვა შეატრიალა და ჰკითხა:

— შეილები ხომ გყავთ?

— ჰაი, ჰაი რომ გვეყავს, უშვილობა როგორ შეიძლება. თუ ცოლი უშვილო გამოდგა, გავადლებთ და სხვას მოვიყვანთ.

ამ დროს ილიას მუღღლე გამოვიდა აივანზე და იკითხა, რას ელაპარაკებითო.

ილიამ სიტყვა გადუქრა ხევსურებს, ვითომ ხუმრობით:

— აი ჩემი ცოლიც უშვილოა და მაშ რა ვუყო?

— ბერწი ყოფილა. რად გინდა, გააგდე და სხვა მოეძებნე ქრულ-
იად გულუბრყვილოდ და დინჯად უბასუხეს ხევსურს.

— ილია, რა სისულელეს ალაპარაკებო. — სიტყვა წყენით მისმა მეუღ-
ლემ, ისეც გულნატკენმა, რომ უშვილო იყო, და აწითლებული, დარცხვე-
ნილი შინ შევიდა. ხევსურებიც წავიდნენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ილიას შინ ჯდომა უყვარდა, სტუმრად სი-
არული არაფრად ექაშნიკებოდა. შინ კი სტუმართმოყვარე იყო და კარგა-
დაც უმასპინძლდებოდა. ვინ არ ყოფილა ილიასთან?

აიღეთ თუ გინდ არტურ ლეისტრი, რომელიც თითქმის შინაურ
კაცად იყო ილიას ოჯახში. ლეისტრი გერმანელი იყო, კარგად განათლე-
ბული, მკოდნე ევროპული უმთავრესი ენებისა და ლიტერატურისა. რამ-
დენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს იმისაგან, დაულა-
ლავი მუშაკი, მედგარი მშრომელი იყო. რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ
ადგა და სანამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადაუხვევდა. სულ ორ-სამ
წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული და სომხური ენა. თავი-
სუფლად ლაპარაკობდა, თავისუფლად სწერდა. რამდენი მოთხრობა გადა-
თარგმნა, ქართული და სომხური, და დაბეჭდა გერმანულ ჟურნალებში. ამა-
ნეე სთარგმნა და გააცნო გერმანიას ჩვენი სახელოვანი „ვეფხისტყაოსანი“.
ეს კი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად. კულ-
წრფელად.

ჩამოვიდა ტფილისში ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა —
შორფილი. მაშინვე ეწვია ილიას სანახავად. შორფილი სასტუმრო
„ლონდონში“ იყო ჩამომხდარი. ილია, როგორც თავმჯდომარე წერა-კით-
ხვის საზოგადოებისა და მე, როგორც მდივანი, წავედით შორფილის სანა-
ხავად და მივართვით საზოგადოების სახელობით ახლად გამოცემული
ძვირფასი მხატვრობიანი „ვეფხისტყაოსანი“. შორფილი მაღ-
ლობა გადაგვიხადა და გვითხრა: მე ეს პოემა კარგად მაქვს გაცნობილი,
ლილად ვაფასებ, ვეცდები ვთარგმნო და ინგლისს გაეცნო. მაგრამ
შორფილი ხანში შესული კაცი იყო, ეტყობა ვერ სძლია ეს საქმე და
დანაპირი ვერ შეგვისრულა.

ის, რაც პროფესორმა შორფილიმა ვერ შესძლო, სძლია და შეას-
რულა ინგლისელმა ქალმა მარჯორი უორდროპმა. ჯერ პირველ-
ად საქართველო გაიცნო ამ ქალის ძმამ, უორდროპმა, და ძალიანაც შეიყ-
ვარა ჩვენი ქვეყანა. ეტყობა, მისი ზეგავლენით, ეს სიყვარული და სურვი-
ლი საქართველოს გაცნობისა შეითვისა მისმა დამაც. მარჯორმა ამის გა-
მო წერილიც მოსწერა ილიას, რაზედაც ილიამ ასე უბასუხა: „გვიპირდე-
ბით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხედებით. იმედი გვაქვს, რომ

ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგან-
ახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღების და სიყვარულისა.]]

ჩამოვიდა მ ა რ ჯ ო რ ი საქართველოში. ქართულად ეწოდებოდა მესწავ-
ლილი ჰქონდა, რასაკვირველია, მწიგნობრული. აქ უფრო მეტი წარმატე-
ბით შეისწავლა ენა, ადვილად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ და ილი-
ას ნაწერებს. ლაპარაკსაც ცდილობდა ქართულად. ერთხელ ილიასთან
იყო სტუმრად და ძალიან უნდოდა, რომ ქართულად ეთქვა რამე. მახსოვს
კარგად მისი შემდეგი ფრაზა: „ლონდონი ფრიად ნისლიანია.“

ტფილისში კარგახანს დარჩა მ ა რ ჯ ო რ ი და ჩვენი ენა ისე კარგად
შეისწავლა, რომ შესძლო გადათარგმნა ინგლისურ ენაზე ილიას „განდეგი-
ლისა“ და „ვეფხისტყაოსანისა.“ ღირსშესანიშნავია აქ ერთი გარემოება:
მ ა რ ჯ ო რ ი მ ჯერ გადათარგმნა „განდეგილი და მერე „ვეფხისტყაოსან-
ნი.“ ეტყობა, „განდეგილის“ უკვდავმა იდეამ უფრო მოაჯადოვა ქალის
გული, ვიდრე „ვეფხისტყაოსანის“ გმირთა გულის ტკივილმა და სუ-
ლისკვეთებამ. ორივე თარგმანი შესრულებული იყო პროზად და არა ლექ-
სად: მ ა რ ჯ ო რ ი არ იყო პოეტი. მაგრამ თარგმანი ისე ნამდვილი იყო.
ისე სწორი დედანთან, რომ გვაკვირებდა, თუ როგორ შეითვისა ასე და-
ახლოვებით და სინამდვილით ორივე ნაწარმოების შინაარსი.

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ მ ა დიდი, დაუეწიყარი სამსახური გაუ-
წია ქართველებს ამ თარგმანით. ჯერ ერთი — ინგლისის გააცნო ჩვენი ღი-
ადი რ უ ს თ ა ვ ე ლ ი და მეორე — მანვე ხელი გაუმართა ბ ა ლ მ ო ნ ტ ს,
ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე. ბევრს ესხომება, როგორ
მოსდა ეს ამბავი. უ ო რ დ რ ო პ ი და ბ ა ლ მ ო ნ ტ ი შეხედნენ ერთმანეთს
და გაიქნეს ერთ გემზე, რომელიც ინგლისში მიდიოდა. ბალმონტმა ზედ-
მიწვევით თურმე იცოდა ინგლისური ენა. სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამო-
ვარდა თურმე ქართულ ლიტერატურაზე და მარჯორმა გააცნო თავისი
თარგმანი „ვეფხისტყაოსანისა“. ბალმონტი ისე იყო თურმე მოხიბლული
რუსთაველის ქმნილების სილამაზით, მშვენიერებით და სიდიდით, რომ
იქვე განიზრახა მისი გადათარგმნა რუსულად. და როგორც მოგეხსენებათ
ყიდვეც შეასრულა თავისი განზრახვა.

ილიას როგორც საქმეში, მწერლობაში, ისე ვართობაში მეტის-მეტე
ქირვეულობა, გატაცება უყვარდა. ბევრს ეცოდინება ან გაეგონება, რომ
ილიას ძალიან უყვარდა ბანჭოს, ქალაღის თამაშობა, აგრეთვე ნარდიც.
ბევრჯელ ღამეები გაუთენებია ქალაღის თამაშში და შინ მეორე-მესამე
დღეს დაბრუნებულა. თვით თამაშში უყვარდა დიდის ცოდნით, ჩაკვირებით.
კაცმა რასაც ხელი მოჰკიდოს, უსათუოდ ძირიან-ფესვიანად უნდა შეიგ-
ნოს, შეითვისოსო, — იტყოდა ხოლმე ილია: — ზერე-ქვერობა არაფერში არ
მომწონს. არც უფულოდ თამაშში უყვარდა. უფულოდ თამაშში გაუტენელი

თოფის სროლას მაგონებსო, უბრალო, ბავშვების განართობა ცეცხლ-საო. თუმცა ილია ძალიან ფრთხილი და ჩაკვირებული მოთამაშე იყო, მაგრამ ხშირად მასაც ჯიბეებს გამოუბერტყავდნენ ხოლმე. თუ თხელ გამიგონია ილიასაგან შემდეგი შემთხვევა: ერთ საღამოს ოთხმოცი თუმანი წაეაგო. შინ გათენებისას დაებრუნდი ეტლით. ჩაიყავ ჯიბეში ხელი ფულის ამოსაღებად, რომ შეეტლეს ვაქსწორებოდი. ერთი თუმანიანი-ლა ჩამრჩენოდა, ავიღე და ისიც შეეტლეს მივეცი. გაუკვირდა, ამდენს რად მაძლევსო.

— წაიღე, ძმობილო,—ეუთხარი:—საცა ოთხმოცი თუმანი წაეაგე, ეგეც იმას გაპყვესო.

ნარდშიაც ილიამ ვაბედული და თან ჩაფიქრებული თამაში იცოდა. ბევრთან მინახავს ნათამაშევი, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო მისი მოკვამათლე დავით ბარათაშვილი: დიდი გვარეულობის, შთამომავალი ისტორიაში ცნობილი ბორჩალოს მებატონეებისა, დიდი მამულის პატრონი. ამბობდნენ, მარტო ერთ ადგილას ათი ათასი კაკლის ხე უდგაო. ამ აუარებელი სიმდიდრის პატრონი მუდმივ ვალებში იყო. ესეც გადაგვარების ნიშანია. გარეგნობით შეტად სუსტი აგებულობისა იყო, გამხდარი. ჰკუთხატო ცოტა მჩატე ბრძანდებოდა. ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნიკო ბარათაშვილი მისი ახლო ნათესავი იყო. ეს ჰქონდა ხელზე დახვეული და თავისი თავიც დიდი პოეტი ეგონა. ისე კი ჯღაბნიდა უშინაარსო, უგვანო ლექსებს და თავს გვაბეზრებდა: მოდი, ერთი წაგიკითხოთ, რა ლექსი დაწერეთო. ლაპარაკი ჩიფჩივით და ცოტა ტუჩების ცეცხლით იცოდა, ასე რომ დაესწერეს მაგიერ დავქერე გამოსდიოდა. უსაქმური კაცი იყო. ბანკში ხშირად მოდიოდა და უთაებოლოდ დახეტიალობდა. ხშირად მოვიდოდა ჩემთან,—ალბათ უკეთეს დამფასებლად მთვლიდა,—და ზეტყოდა: აბა ეს ლექსი როგორ მოგქონს? და დაიწყებდა კითხვას.

დავითი ელოდა სამ საათს, ეიდრე ბანკში სამსახური გათავდებოდა და ილია გამოვიდოდა კაბინეტიდან.

— დავითს ვახლავარ!—მიესალმებოდა ილია, რაწამს თვალს მოჰკარავდა:—თუ საქმე არა გაქვს რა, მოდი, სადილად მეწვიეთ და ერთი-ორი ზელი ნარდიც გავაგოროთ.

ილიამ კარვად იცოდა, რომ დავითს საქმე არა ჰქონია რა, ისიც კარვად იცოდა, რომ სადილზე და ნარდზე უარს არ იტყოდა—მაშ რისთვის დაუიალობდა აქ უთაებოლოდ? მაგრამ მაინც შეეკითხებოდა, ამასაც ზრდილობა მოითხოვდა.

როგორც სხვა ყველაფერი, ისე ნარდის თამაშშიაც მჩატე იყო დავითი, და ილია ჯიბეს კარვად უბერტყავდა. ისე დღე არ გავიდოდა, რომ შეიღი-რვა თუმანი არ წაეგო—დავითს.

არა ერთხელ შეუჩივლია ნაცნობებისათვის დავითს: კაცო, მგონი ეს ილიას სადილები ძალიან ძვირად მიჯდებაო. მაგრამ მეორე დღეს ისევე

შიცუნცულეებდა ილიასთან ერთი-ორი ხელი ნარდის გახაგორებლად და ჯიბის ამოსაბერტყად. რას იზამ: მელას თავისი სახაზობელი უყვარსო.

ილიას არა თუ სტუმრად, თეატრშიაც არ უყვარდა სიარული. იშვიათად ნახავდით არა თუ ოპერაში, ქართულ თეატრშიაც. ოპერაში სიარული იქნება იმიტომ არ უყვარდა ილიას, რომ მუსიკა არ ესმოდა, სმენას სრულიად მოკლებული იყო. აღსანიშნავია და საკვირველიც ერთი რამ: არც ილიას, არც აკაკის მუსიკალური სმენა სულმთლად არ ჰქონდათ. რამდენ სადილზე, რამდენ ღვინში მინახავს აკაკი და ერთხელაც არ შემიმჩნევია, რომ პირი გაეღოს და სიმღერის სურვილი მაინც გამოეხატოს. ილიას, როცა პატარა მეტს დაღევდა და მხიარულობაში გაერთობოდა, საღერდელი აეშლებოდა ზოლმე სიმღერისა, მაგრამ ვერას ახერხებდა. მრავალჯამიერი აბა რა არის: ქართველ კაცს ხომ ყური აქვს გამოქედილი ამ სიმღერით. სხვა რომ არ იყოს რა, მექანიკურად შეიძლება მისი შეთვისება. მაგრამ ილიას ესეც არ ეხერხებოდა. არა თუ მრავალჯამიერის თქმა ეძნელებოდა მარტოდ, გუნდად მომღერლებსაც კი ხმას ვერ შეუწყობდა, უსათუოდ სადმე დისონანსი გამოუვიდოდა. ეს მოვლენა მით უფრო საკვირველია, რომ როგორც ილია, ისე აკაკი ნამდვილი, მაღლით ცხებული პოეტები იყვნენ, მათ ლექსებში მუსიკაც არის და რიტმაც, და მუსიკაც იგივე რიტმაა, რაც პოეზია.

მაინც ილიამ ერთხელ მოინდომა ოპერაში წასვლა. აი ეს როგორ მოხდა. იყო ერთი ვინმე სოსიკო ბაქრაძე, კაცი ლაზღანდარა, სიტყვა მოსწრებული, ლაქათა. მუდმივი საქმე არა ჰქონდა, რაც მოხედებოდა, ზელს გაჰკრავდა, დღიურ ლექმას მოაპოვებდა და დაკმაყოფილდებოდა. ყველაფერს ჰკიდებდა ზელს, ბოლოს კი ვერაფერს ვაატანდა. დღეს ბანკში მსახურებდა, ზვალ ცირკში ჯამბაზობდა. მერე ანტრეპრენიორობას დაიწყებდა: კარუსელს გაჰმართავდა, „რუსულ გორებს“ მოაწყობდა სასრიალესად და სხვა ამ გეარებს. უცბად ყველა ამას თავს მიანებებდა და შეხედავდით, სოსიკო ოპერის თეატრშია, ორკესტრში ზის მებარაბანედ. ამიტომ მეტ სახელად „ბარაბანშიკს“ ეძახდნენ.

ეს სოსიკო ილიასთანაც შელაზღანდარებული იყო. ილიას უყვარდა ასეთი ტიპები. აი ეს სოსიკო ეუბნება ერთხელ ილიას:

— ილია, დღეს საღამოს ოპერაში მობრძანდით, „ტრავიატას“ თამაშობენ, გამოჩენილი იტალიელ მომღერლებს მოისმენთ.

— კარგი, სოსიკო, წამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით კი: სიტყვა მომეცი, ამისრულა, რაც დაგავალო.

— ბატონი ბრძანდებით. თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიყო.

— მაშ აბა, როცა ორკესტრი მიწყნარდება, და მომღერალი ქალი უმაღლეს პათეტურ ადგილას სიმღერის ეშში შევა, შენ რაც ძალი დაღონე გქონდეს ბარაბანს დაჰკა მაგრად.

— ბატონი ბრძანდებით, მაგაზე ადვილი რა არის!

ილიამ ალბათ ხუმრობით უთხრა, მაგრამ სოსიკოს, ამისთანა ორინების მოყვარულს, დიად იამა ილიას დავალება, მით უფრო იქვე ჩრუვდება კამბავი მერე მთელ ქალაქს აალაპარაკებდა და მისი სახელი ყველას მთრხვევებოდა. სოსიკოს მეტი რა უნდოდა: ნუ ასმევდით, ნუ აკმევდით, ოლონდკი მისი სახელი ყბად ასალები გამზადარიყო.

ილიამ მართლაც აიღო ბილეთი და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა. გადაიხედა ორკესტრში: სოსიკო მზიარულად ზის შლიაპა კეფაზე გადაგდებული,—ეს მისი მუდმივი ჩვეულება იყო. დაიწყო წარმოდგენა. აგერ მოახლოვდა ის დროც, როდესაც მომაკვდავი ვიოლეტა სულწარკვეთილი ნაზის ხმით ესალმება სიცოცხლეს. ორკესტრი ჩუმის, ნელის ხმით უკრავს, თეატრი სულ განაბული ისმენს გულწარმტაცს სიმღერას. უცბად რალაც საშინელი ბრაზუნი გაისმა, იტყოდით მეზი დაეცა თეატრსაო, ყველანი შეკრთნენ, შედგა ჩოჩქოლი. მომღერალმა შესწყვიტა თავისი სიმღერა. რა მოხდა? ბევრი არაფერი, სოსიკომ თავისი დაპირება შეასრულა და ბარაბანს დანიშნულ დროს ურტყა რაც ძალი-და ღონე ჰქონდა. ორკესტრის დირიჟორად იმ დროს იყო გამოჩენილი იტალიელი მესტრო ტრუფფი. კინალამ გადაიჩია სოსიკის ასეთი საქციელით. „საკრამენტო“-ო მიამაზა და გაჭანდა სოსიკოსაყენ, თითქოს გაგლეჯას უპირებსო. მაგრამ სოსიკო უკვე ჭუნაში იყო და შლიაპა კეფაზე გადაწეული ღიღინით სახლში მიდიოდა, კმაყოფილი, რომ ასეთი საგმირო საქმე ჩაიდინა და ხეალ ქალაქი ამაზე დაიწყებს ლაპარაკს.

ილია თუმცა ხელმოჭერილი იყო, მაგრამ პურადობით, მასპინძლობით სხვებს არ ჩამოუვარდებოდა. თითონაც უყვარდა სმა და ჭამა, „ფრიად კარგი“, იცოდა ჭამა საფუძვლიანად და სტუმრებსაც გულუხვად, ხელგაშლილად დაუხვდებოდა ხოლმე. მეტსაც ვიტყვი: ილიას პურადობა, მასპინძლობა, მართალია, ნამდვილი ქართველური იყო, „ჩვენებური, ძველებური“, მაგრამ ხშირად ქართველურ ბედოვლათობასაც მოგაგონებდათ. აიღეთ თუ გინდა მისი დღეობა, ილიაობა, ოცს იელისს. როგორ გადაიხდიდა ხოლმე ილია ამ დღეობას?

უნ ასწერს ამ დღისათვის სამზადისს, სიუხვეს სასმელ-საჭმელისას, სანოვაგისას?

დღეობის მზადებას შეუდგებოდნენ ხოლმე რამდენიმე დღით ადრე. მერე, რა მზადებას? იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატო, ინდაური, აუარებალი ქათამი, უთვალავი ვარია, წიწილა. იდგა მთელი ზროვა სხვადასხვა მწვანელიულისა, გატენილი ტომრები ბოსტნეულისა, სავსე ფოდრები ხაღეულისა. ცხვებოდა აუარებელი პური, შოთი, ნახუჭი. იხდებოდა საგურამოს და ყვარლის ღვინოებით სავსე ქვევრები. მახსოვს, ერთ დღეობას სამი საპალნე ღვინო დაიხარჯა, ე. ი. 2.250 ბოთლი, თითო საპალნეში რომ 750 ბოთლი ვიანგარიშით. ცოცხალი ზუთხი მოდიოდა საპალნოთადან ეპისკოპოსს გრიგოლ დადიანისაგან. არაგვიდან ცოცხალი ორა-

გული მიჰქონდათ საგურამოელ გლეხებს. აქა-იქ ელაგა ჰოლანდიური ტკბილუღულით და ნამცხვარებით საესე სინები. სამოცი ხელი ლოჯიანი იყო დამზადებული იმ სტუმრებისათვის, რომელნიც რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ხოლმე საგურამოში.

სტუმრები წინა, დღითვე დაიწყებდნენ მოსვლას. აქ იყვნენ ილიასი და მისი შეუღლის შორეული და მახლობელი ნათესაეები, ნაცნობნი, რედაქციის თანამშრომელნი, ბანკის მსახურნი, მწერალნი, საზოგადო მოღვაწენი. იყვნენ ჩამოსულები იმერეთიდან, კახეთიდან.

წინად დღითვე გაიგზავნებოდა ხოლმე აგვალას და მცხეთას ეტლები, ლინუკები, "წევასმული ცხენები სტუმრებისათვის და ურმები ბარგისათვის. ასევე თვით დღეობას, დილით.

ნახსოვს ერთი ამისთანა დღეობა, მგონი, 1886 თუ 1887 წელს. ოთხწინის ასამდე იყო ქელაქებიდან ჩამოსული ინტელიგენტი სტუმარი მათ შორის მახსოვან: ნიკოლოზ ბერიძე და პეტრე ნაკაშიძე იმერეთიდან, ანდრონიკაშვილი და შალიკაშვილი კახეთიდან, ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, მოხუცი რაფიელ ერისთავი, პროფ. ილია ოქროშვილი და შალიკაშვილი, ლ. მაღალაშვილი, გ. ქართველიშვილი, ძვირფასიანი „გეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი, და ბევრი სხვანი. ზოგი ეტლით და ზოგიც ცხენით მოვიდა. აგერ ნოისმა შორიდან ზურნის ხმა, ერთი ყვირია და კივილ-ხივილი. მივხვდით: მოდის ჩვენი ასიკოცაგარელი. ცნობილი დრამატურგო, თავისი დამკაშვებით, უკვე კარგად შეზარხოშებული და ამიტომ კაი გუნებაზე მყოფი.

აგერ მოისმა მშვენიერი მწყობრი ქართული სიმღერა, ახალგაზრდა ხმები: მოდიან და მოიმღერიენ წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის მოწაფენი თავიანთი მასწავლებლებით, წინ მოუძღვით თვით ილია წინამძღვარიშვილი, ამ სკოლის დამფუძნებელი და მისი მუღმივი, დედულავე მზრუნველი და გულშემატკივარი.

აგერ კიდევ გაისმა მრავალხმიანი გუგუნით სიმღერა; მოდის საგურამოს და წიწამურის გლეხობა, სამასამდე კაცი ილიასთან დღეობის მოსალოცავად.

გაიშალა ოთხი-ხუთი სუფრა კაკლის ქვეშ ქალაქის სტუმრებისათვის. კაკლის გაყოლებაზე ზეებქვეშ წინამძღვარიანთკარის სკოლის მოწაფეთათვის და იქვე გაყოლებით—გლეხებისათვის.

დაიწყო ქამა-სმა. საჭმელი საჭმელს მოსდევს, ერთი თავი მეორესა სცელის. ერთ კერძს მოჰყვება მეორე და ისე დაუსრულებლად. ტოლუმბაშად ჩვენი შეუღარებალი თამადა რაფ. ერისთავი აიჩრიეს. სვამდნენ ღვინოს ჭიქებით, მალე ჭიქები გვერდზე ვადიდვა და მოაყოლეს თასები, ჯამები. ჯამებს მოჰყვია ყანწები. პირველი ყანწი დალია ილიამ, როგორც მასპინძელმა. ბევრი არაფერი შეეტყო, მხოლოდ კუნძივით იჯდა ერთ

ალაგას. გადავიდა დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს თ ა ნ, ისტორიკოსთან. ეს იყო კუსტი, ნაზი აგებულობის კაცი, ხეხელა. ამას ყანწისთვის სუკი არ მოსდევდა. მამრამ მაინც უარი არა სთქვე. გამოცალა ყანწი. გამოჰყარა მსგავსი იქვე კი კინწი წასწყდა და მუხლები ჩაეკეტა, მოქეფეთა ჩაქმს მსგავსკლდა. წაიყვანეს ოთახში დასასვენებლად და გამოსაფხიზლებლად.

ყანწმა თავისი ქნა: აირია მონასტერი, გაიწყო ბაბილონის გოდოლის შენება „ენათა აღრევა ანუ, უკეთ, ენათა დაბმა. ერთს მეორისა აღარ, ეს-მოდა. თამადას ვინღა უგდებდა ყურს! ცალ-ცალკე ჯგუფებად დაიყვნენ, ყველა თავისებურად ღზინობდა, თავის გუნებაზე სვამდა.

აგერ ასიკო ც ა გ ა რ ე ლ ი თავის დამქაშებით, უკვე ძალზე შეზარხოშებული, შესძახის თავის მეზურნეს: ჩაპბერე დუდუკს, გამაგონე მისი ტკბილი ხმა. დუდუკის ხმა, მართალია, ტკბილია, მაგრამ ასიკო რომ ზედ დაპკივის თავისი ჩახლეჩილი ხმით რაღაც შიქასტას, ეს კი, უნდა მოგახსენოთ, სიტკბოებას სრულებით არა ჰგავს, ეს უფრო ტურების ყმუილს მოგაგონებს, თუმცა მის დამქაშებს, ეტყობა, ძალიან მოსწონთ, რადგან სულ „ჰაჯანს“ მისძახიან.

ანათეე ჯგუფშია ყველასაგან კარგად ცნობილი ვ ი გ ო ყ ა რ ა ნ გ ო ზ ი შ ე ი ლ ი, გენთქმული მოქეფე, დარდიმანდი, ლოთი ფოთი. სმაში ჰკუას არ ჰკარგავდა, მხოლოდ სმა თავისებური ფოკუსებით იცოდა. მაგალითად, ღვინით სავსე ჰიქას დაიდგამდა ხელის გულზე, მერე ხელს ისე მოიღრეცდა, გადმოატრიალებდა, რომ ხელის გული ზემოდ მოიჭკეოდა, ჰიქაც ზედვე იდგა და არც ღვინო დაიღვრებოდა. ახლა ეს ღვინო უნდა დაეღია. ეს არც ისე ადვილი იყო: გადმობრუნებულ ხელს და მკლავს ისე ადვილად ვერ მიიტანდი პირთან. ვიგო ამასაც ახერხებდა: მოიხრიდა კისრის რაც ძალი და ღონე ჰქონდა — ვშიშობდით, კისრის ძარღვები არ დაუწყდესო, იმდენად გადმოიხრიდა წინ, რომ ნიკაბი თითქოს გულის ფიცარს მიებჯინებოდა, ამგვიარად ხელის გულზე მდგარ ჰიქას ტუჩებს მიუახლოვებდა და დაიწყებდა ნელ-ნელა ღვინის წრუპვას. ჰიქას რომ ნახტქრამდე მიიყვანდა, კბილებით სწვდებოდა თვით ჰიქას, ღვინოს გამოაცარიელებდა და მერე დაიწყებდა ჰიქას კენეტას. აქაც დიდი ხელოვნებას იჩენდა: ისე კენეტდა და ჰყრიდა პირიდან შუშის ნამტკრევეებს, რომ ოდნავაც არ გაიკაწრავდა არც ღრძილებს, არც ტუჩებს. ბევრისთვის ეს არა ესთეტიური სანახავე იყო, უნდოდათ ეთქვათ: ვიგო, კმარა შედექი! მაგრამ ვიგო არტისტი იყო, ხელოვნურად ასრულებდა თავის როლს, თავი მოსწონდა, და აბა ვინ ეტყვის არტისტს: მოაჩი, არ მოგეწონს შენი თამაშიო!

სალამო მოახლოვდა. ყველაზე ადრე წამოიშალენ სკოლის მოწაფენი. ესენი უნდა აჩქარებულიყვნენ, რომ დღიურად მიესწროთ შინ, სკოლამდე შეიფი ვერსი ჰქონდათ გასაველელი.

ბინდისას გლებებიც დაიშალნენ.

კაკლის ქვეშ რაღა ამბავია, რას აპირებენ? აქ ძაღლი პატრონს ვე-
ლარ იცნობს: ზოგს თავი ჩაუქინდრია და რაღასაც ლულულუტებს, ზოგს
იქვე სუფრაზე თავი მოუღვია და მისძინებია, ზოგი მჭკვქქნქნქნ ქვეშ
მიწოლილა და უძრავად ძევს. განაგრძობენ სმას მხაროდ ^{სმას} ქინც
ისე არიან ღვინით შეზულილები, როგორც კაი მოთელილი ნაბადი, ისე
არიან გაწითობილი, როგორც მავარი ფოლადი.

დაღამდა. დრო კარგად გადასულია. ყველას ძილი სძლევეს, მოსვენებას
ეძებს. გაეშურნენ სახლშე. ორი დიდი მოზრდილი ოთახი მზად არის. სა-
მოცამდე ლოგინი გაშლილია მწკრივად პირდაპირ იატაკზე. ბევრი ტანთ-
გაუხდელი მიწვა და იქვე მიეძინა. ზოგნი კი იქაც არ ისვენებენ. საინ-
ტერესო და თან სასაცილო სანახავი იყო, რომ ეს ხანში შესული, ჭალარა
მორეული ვაჟკაცი ცელტობენ, ეშმაკობენ, როგორც პატარა ბავშვები:
კორწიალობდნენ, მაღაყებს გადადიოდნენ, ბალიშებს ესროდნენ ერთ-
მანეთს, დაწოლილებს საბნებსა ხდიდნენ, ფეხით ათრევდნენ, — ერთის
სიტყვით, მოგაგონდებოდათ ყველა ის, რაც ბევრს თქვენგანს უძვევლია,
ყმაწვილობაში გამოუვლიათ. ასეა: დალეული, ნასევამი კაცი და ბავშვი
ერთ ბარაში გამოვლენ. მხოლოდ ძაღში გაისმოდა მძიმე ოხვრა, ხენემა,
ხმა მალლა ხვრინვა და რაღაც ბოდვის მავგარი ბუტბუტი.

ჯერ კიდევ აღრიანი დილა იყო, რომ ნამძინარევი ხალხი გარეთ გა-
მოიშალა, დაღვრემილი, დათუნთილი, ტანში მოშლილი. ილია უკვე ფეხ-
ზე იყო. არ ეტყობოდა გუშინდელი ნასევამობა. ჯიშისაა: რაც უნდა დაღ-
ლილი იყოს, ერთი კი გაგორდება. მერე მხრებს შეიბერტყავს, და არც
ილია ყოფილა, ისევ ის ილიაა.

წყაროსთან კაკლის ქვეშ უკვე მზად არის ყველაფერი, რაც პირის
საბანად არის საჭირო. ნამძინარეებმა პირი დაიბანეს, შუბლი გაიგრილეს
და ცოტა გონს მოვიდნენ. შეუდგნენ დილის საუზმეს: ზოგი ჩაის თხოუ-
ლობს, ზოგი ღვინოს და ზოგიც კრიანტელას, ე. ი. ტყემლის წვეს, რომ
უფრო ადვილად შეუდგეს ახალ სუფრას, სმას და ჭამას.

ილია უკვე გაშლილ სუფრას უჯდა და ყველას ურჩევდა ხელი არა-
ფრისათვის ეხლოთ: ეხლავ მსუქანი ხაში იქნებოდა. მართლაც, ჩქარა მოი-
ტანეს საუცხოვო ხაში, რომელსაც სიმსუქნე ქარვასავით მოაკიდებოდა
ზედაპირზე. ილიამ მოიდგა დიდი ორჯამიანი, ჩაყარა შიგ ფარაში პური
და პირთამდე ხაშით შეავსო. მოუჯდა და ძველქურად ჩვენებურათ დაი-
წყო უკოვზოდ ჭამა, და ისე გემრილად, მადიანად შეეჭყოდა, რომ სხვე-
ბსაც საღერლელი აეშალათ.

ამ მცირე საუზმის შემდეგ ბევრი გამოემშვიდობა ილიას და შინსა-
კენ გაეშურა. ეტლები და ცხენები მზად იყო. დარჩა ოცდაათამდე კაცი.
სადილი ნაადრევად იყო მომზადებული, რადგან ზედაქენში ვაპირებდით
წასვლას, სადაც ღამე უნდა გაგვეტარებინა. ზედაქენამდე კაი შორი გზა
იყო შეიდ-რვა ვერსამდე, ამასთან გზა მეტად მძიმე, უვალი, დაბურული

ტყეები, ურმისა და ცხენოსანი კაცის შეტვი ამ გზას ვერ დასძლევს, ეტლი
 აქ ვერ გაივლის.

სადილი მსუბუქი იყო. ან კაცის ჰქონდა მადა დღეობისთვის, ან მისი მემ-
 დეგ. სმასაც აღარაფერ ეტანებოდა, გუშინდელი სმის ნალი დღესაც ბევრს
 მოსდევდა. დატვირთეს ურმები ღვინით და სანოვაგით, საგზალი ისე უხ-
 ვად იყო, იტყოდით ერთი ღამით კი არა, მთელი კვირით მივედიოდით სა-
 დმე.

თითქმის შებინძურებული იყო, რომ ზედაძენს მივედით. ზედაძენი მონას-
 ტერია, შენობა ყარგად შენახული, ეკლესიის გარდა პატარა სახლიც არის
 მიშენებული ბერების საცხოვრებლად. პირველად აქ ამ მიუვალ მაღალ
 ადგილას, უღრან ტყეში, ფეხი მოუყიდნია იოანესს. ერთ იმ თორმეტ სო-
 რიელ მამათაგანს, რომელნიც მეცამეტე საუკუნეში მოვიდნენ საქართვე-
 ლოში ქრისტეს მოძღვრების განსამტკიცებლად. საცხოვრებლად ირჩე-
 დნენ ასეთ მაღალ მთიან და ტყვიან ადგილებს ან კლდიან უდაბნოებს, მათ
 შორის იყვნენ შიო მღვიმელი, ანტონ მარტოლდმყოფელი, დავით გარე-
 ჯელი. ამ უკანასკნელმა დაარსა ის მონასტერი, რომელიც დღესაც იმყო-
 ფება, რასაკვირველია, შეკეთებული, შელამაზებული, ტფილისში, მთაწ-
 მინდის გორაზე.

ზედაძენიდან შეუდარებელი, თვალწარმატაცი გადასახედა. ტფილისი,
 ყარაიის უდაბნო და ზედ გაკლანკილი მტკვარი, თითქოს შემდგარი ერთ
 ალაგასო, მცხეთა, არაგვის ხეობა ისე მოსჩანს, თითქო ხელის გულზე
 წიწყვიანო. მეტადრე მომზიბლავ სანახაობას წარმოადგენს აქედან ტფი-
 ლისი ღამეობით: შენობები არა სჩანს, და ეს უშველებელი ქალაქი ისე
 გჩვენებათ, თითქოს შორს მანძილზე უთვალავი ჩირაღდნებით გაუნათე-
 ბიათო.

გაიშალა სუფრა სავახშმოდ. მაგრამ ჭამის მადა ვიღას ჰქონდა. გუ-
 შინდელი ნაჭეითარნი, შორი და ძნელი გზით დაღლილნი იმას ეფიქრო-
 ბდით მხოლოდ, რომ როგორმე დაგვესვენა. შევწყადით ცოტათი და სა-
 ძალოდ მოვეშაღდეთ ლოგინი, რომელიც საკმარისად იყო წამოღებული,
 გაშალეს მიწაზე, პირდაპირ ცის ქვეშ. ბევრმა უკვე დაიძინა, მაგრამ აღ-
 მოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ძილს ღვინო არჩიეს. შეჭეიდნენ და ისე-
 თი ყვივნა ასტებეს, მრავალკამიერს ისე გაჰკიოდნენ, რომ არა თუ ტყეში
 წადირი და ფრინველი უნდა დამფრთხალიყო, მგონი, ტფილისშიაც კი
 უნდა ჩასულიყო მათი ხმა. მთელი ღამე ამით გამო ჩვენს თვალს ძილი
 არ მიჰკარებია. პეტრე უმიკაშვილიც კი, ეს პაწაწინა, უჩინარი,
 სუსტი კაცი, ესეც კი აიყოლია ღვინომ და მთელ ღამეს დაფროტიალეზდა
 და მძინარეებს თავს დასტრიალებდა. პეტრეს ცოტა ქალაჩუნა ხასიათი
 ჰქონდა, კარგი ლალასავით სურდა ყველასათვის მოეველო: ვის საბანს გა-
 დახურავდა, თუ გადახდილს ნახავდა, ვის ბალიშს გაუსწორებდა. მეტად-
 რე თავს ვეველებოდა დ. ბაქრაძეს და ილია ოქრომჭედლიშვილს.

— აბა, ილიაჯან, კარგად დაიხურე, არ შეგცივდება, — და თან საბანს უსწორებდა. ერთი ხელით საბანს უსწორებდა, მეორე ხელით კი ლენით საესე აზარფეშა ეჭირა. და რადგამ ლენის კარგად დაიხურა და ხელში სიმაგრე აღარა ჰქონდა, ამიტომ აზარფეშა და ლენი ეღვრებოდა და ოქრომჭედლიშვილს, რომლისთვისაც პეტრე ასე ზრუნავდა, თავზე და პირზე დასდიოდა. კაცს ეგონებოდა, ოქრომჭედლიშვილი მძიმედ ავადმყოფია და პეტრე მის საზიარებლად მოსულაო. ოქრომჭედლიშვილი ერთდებოდა პეტრეს წყენას და ვერა ეთქვა რა. მხოლოდ ამას კი ეუბნებოდა:

— გმადლობთ, პეტრეჯან, გმადლობთ! მაკმარე. ჯერ საქმე იქამდე არ გამჭირვებია რომ საზიარებელი ვიყო.

ღილით, ლამის უძილონი, ნამციენი დაეადეკით გზას. თუ ამოსვლა ძნელი იყო, ჩასვლა უფრო ძნელი გამოდგა. ურემში ჯდომა არ შეიძლებოდა: ახლა-დახლაში გულ-მუცელს გინგრედა. ცხენზე შეჯდებოდით: ასე გარყევდა, რომ წელი და მუხლი გამტვრეოდა. ფეხით მიდიოდი და მუხლები გეკეცებოდა.

შუალდე გადასული იყო, რომ საგურამოში ჩავედით. იქაც სუფრა გაშლილი დაგვხვდა, მაგრამ ჭამას ვილა ფიჭრობდა. ისე ვიყავით ლამის თეობით, უძილობით და მერე გზით დამტვრეულები დაღლილები, რომ ჭამა კი არა, ლაპარაკიც კი გვეზარებოდა. სადილს უკან დღეობის მესამე დღეს გამოვემშვიდობებთ ჩვენს გულუბზე, პურად მასპინძელს და დაეადეკით თავთავიანთ გზას.

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ილიას მეუღლეზე. ოღონდ თადეოზის ასულზე. თუმცა ილია გულუბზე მასპინძელი იყო ამ სამ დღეს, მაგრამ ის მაინც მზა-მზარეულზე გულუბზეობდა. ყველა წერილმანი, მიუღლი მოვალეობა, თადარიგი, შრომა, ვაი-ვაგლახი ამოდენა ხალხის დასახვედრად და გასაძლოლად კისრად ეღვა ილიას მეუღლეს — ოღლას. მისთვის ეს ვალდებულება არც ისე მძიმე იყო, რადგან იცოდა, რომ ყველა ეს ილიასთვის სასიამოვნო იყო.

უნდა იცოდეთ, რა განწყობილება იყო ილიასა და მის მეუღლეს შორის. ილია როგორც ვიცი, გულჩახვეული კაცი იყო, შებლ-შეკრული, გულცივი, ცოლსაც კი გულს მაგრე რიგად არ უხსნიდა, თუმცა პატივისცემით კი ეპყრობოდა. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ თავისი საუკეთესო პოემა „განდგვილი“ თავის ცოლს უძღვნა.

ილიას ცოლი, ოღონდ სულ სხვა ხასიათისა იყო: გულჩვილი, მშვიდი, სათნოიანი, გულშემბატკივარი, თავდაბალი. მის გულკეთილობას საზღვარი არა ჰქონდა. თუ კი რამ შეეძლო, არას დაზოგავდა გაჭირვებაში შევლა მიეცა, ხელი გაემართა. ილიას ხომ სულ თვალ-წარბში შეპყრებდა. ილიას სიტყვა მისთვის კანონი იყო. ილიას ერთი წარბის შეხვრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიშვდარიყო მის გულის წადილს და

მყისვე აესრულებინა. ოღონდ ბედნიერად სთვლიდა თავს რომ ზედმა არ-
გუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდ-ბუნებოვანი ადამიანი და ამით
სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრობდა. მისთვის მისთვის
სათაყვანო კერა იყო, რომლის წინ მუხლს იღრეკდა.

ილიას საგურამოში არა ჰქონდა რა. მისი მამაპაპეული მამული კა-
ხეთში იყო, სოფ. ყვარელში, საგურამო სრული საკუთრება იყო ილიას
მეუღლისა, მემკვიდრეობით მიღებული მამისაგან, თადეოზ გურამიშვი-
ლისაგან.

1875 წელი შევბედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში.
ეს ის წელია, როდესაც ილიამ პირველად ფეხი შესდგა ახლად დაარ-
სებულ ქართულ საადგილ-მამულო ბანკში.

პირველად ბანკის დაარსება განიზრახა პატარა წრემ, რომლის მო-
თავე და სულის ჩამდგმელი იყო ქართველების ცნობილი საზოგადო მოღ-
ვაწე — დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი.

ყიფიანი ჭკვიანი კაცი იყო. გამოცდილი, დინჯი, საქმის მცოდნე,
შრომის მოყვარე და, ვგონებ, ჩვენი ბანკის საქმეს კარგადაც გაუძღვე-
ბოდა. ასეც იყო პირველში საქმე დაყენებული: ბანკის მოთავედ უნდა
ყოფილიყო ყიფიანი. მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, საარჩევნო
კრებაზე გაჩნდა ილია, რომელიც ამ დრომდე დღეშეთში იყო მომრიგებელ
მოსამართლედ. ილია ყიფიანის მეტოქედ გამოვიდა. მისმა ბრწყინვალე
ჭკუამ, მისმა მკვექარე ორატორულმა ნიჭმა, ახალგაზრდულმა აღფრთო-
ვანებამ და მისმა დიდად მოხვეჭილმა სახელმა მწერლობაში, რასაკვირ-
ველია, დაჩრდილა უკვე ხანში შესული ყიფიანი, და საქმის მოთავედ არ-
ჩეულ იქნა ილია.

ილიას კარგი ნიჭიერი თანამშრომელი გამოუჩნდა და გვერდში ამო-
უდგა. ეს იყო ვ ა ნ ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

ვინ იყო ვ ა ნ ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი? მოვიყვანთ თვით ილიას სიტყვებს,
რომელიც ერთ თავის წერილში ასე ახასიათებს ვ. მაჩაბელს: „ვანო ჭკვი-
ანი ბიჭია, ამასთანავე კარგი კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუ-
გეში იქნებოდა“.

ამ დახასიათებას შემდეგიც უნდა დავუმატოთ. ვანო მაჩაბელი კარ-
გად განათლებული კაცი იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის
დამთავრების შემდეგ რამდენსამე წელს საზღვარგარეთ განაგრძობდა
სწავლას. ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ფრანგული, გერმანული
ინგლისური ენები, იცოდა იტალიურიც. ქართულ ენისაც საუცხოვო
მცოდნე იყო. ჯერ ისევე პეტერბურგში სცადა თავისი კალამი და ილიას-
თან ერთად სთარგმნა ლექსად შექსპირის დრამა „მეფე ლირი“. თარგმან-
ი ეკუთვნის მაჩაბელს, როგორც ინგლისური ენის მცოდნეს, ილიამ მხო-
ლოდ შალაშინი გაკჭრა, თავისებური შნოთი ვაალამაზა, შიკაჰმა. თუ რა
ლირსებისა იყო ეს თარგმანი, მოწმად მოვიყვან ქართული ენისა და მწი-

გნობრობის ისეთ მკოდნეს, როგორც იყო დ ი მ ი ტ რ ი ც ი ფ ი ა ნ ი, რომელსაც უფრო ადრე ჰქონდა ნათარგმნი იგივე „მეფე ლიტა“, ყოფიანს დიდად მოეწონა თარგმანი და ასე სწერდა: „თარგმანმა სწავლულმა და თავს გადივლო კრიტიკა უღმობელი მიუდგომელი. შრომა ვაგაწვევით დიდი, ნიჭი გამოვიჩენიათ შესანიშნავი“.

ცხადია, ყოფიანს აქ სახეში ჰყავს უფრო მაჩაბელი, როგორც ახლად მოვლინებული ნიჭი. ილიას ნიჭის დადასტურება საჭირო არ იყო, რადგან ვაჟა-ფშაველასი არ იყოს:

არწივსა მალაო შოისასა
ნეტავ რათ უნდა ჰქებანი!

ილიას ზემოთ მოყვანილი სიტყვები ვანოს შესახებ საცხებით გამარჯულდა. ვანო მართლაც, დაბრუნდა თუ არა ტფილისში, მხარში ამოუღდა ილიას და მასთან ერთად მიჰყავდა ქართული ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“. ძალიან ხალისიანი მუშაკი აღმოჩნდა, ცოცხალი მარჯვე, ცქვიტი. ხელიდან სულ ცეცხლი სდიოდა. იშვიათად შეხვედებოდა ქართველებში ასეთს ჩქარს, მარდს და ამასთანავე დაუღალავ, ხანგრძლივ შრომის ატანს. ასეთი აზრი მაჩაბლის მუშაობის უნარიანობაზე გამოვიწვინა თვით იმის მტრებისაგან. მაგალითად, გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ე ი ლ ი ს ა ვ ა ნ, რომელიც რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა, არა ერთხელ მსმენია: დანაშაულს სჩადიან ქართველები, რომ მაჩაბელს სდევნიან. იშვიათად შემხედრია იმისთანა მუშაკი: შრომაც უყვარს და ხელიდან ბარაქაც გამოსდის. უნდა დაეუმატო, რომ ეს თუმანიშვილი არ იყო მაჩაბლის მომხრე.

ერთი იყო მაჩაბლის ნაკლი: ძალიან ფიცხი იყო, აჩქარებული, სწრაფი. რაც, უნდა რთული საქმე ყოფილიყო, დიდხანს არ დააყოვნებდა, ფიცხლად გადააველებდა თვალს და უმაღლვე დასკენას გამოუტანდა. დამხანება, გადადება საქმისა არ უყვარდა, დღეისა დღესვე უნდა გათავებულყო, სახვლიოდ არ უნდა გადადებულყო.

ილია, როგორც ერთი, სულ სხვა ბუნებისა იყო: მუდამ დინჯი, მუდამ აუჩქარებელი, საქმის ბევრჯერ ამწონ-დამწონი, დაფიქრებული, მოთმინებით აღჭურვილი.

ერთის სიტყვით, ვანო ცეცხლი იყო, მუდამ დუღდა და გადმოდიოდა. ილია კი ნელად მიმდინარე წყალი იყო, რომელიც პირველს აჭრობდა და ანელებდა. ვანო ჭურციკით ხტოდა, მიითამაშებდა, მირობდა, ილია კი ფეხს არ ააჩქარებდა, ნელის, აუჩქარებელის ნაბიჯით მიდიოდა.

კაცი ისე იფიქრებდა: რაც ერთს აკლია, ის მეორეს გარდამეტებით აქვს, მაშასადამე, ერთი მეორეს ნაკლს შეავსებს. ერთმანეთს ხელს შეუწყობენ, მუშაობა გაუდვილდებათ და საქმე მწყობრად, სასურველი წარმატებით და წარჩინებით წინ წავაო.

მაგრამ ასე არ მოხდა, ილიას სიღინჯე ვანოს სიზანტელ მიაჩნდა,

ილია კიდევ ენოს სიჩქარეს და სიმარდეს ცუნცრუკობაჲ სთქლიდა. ეს იყო მხოლოდ პირველი ათვალისწინება. ამას მალე ზედ დაეკრთა შემდეგი გარემოება.

იმ დროს ქართულ მწერლობაში მუშაობა თითქმის სრულიადაა ჩუი. დღიური ლექსა პური სხვა გზით უნდა ეშოვა ამ გვარ მუშაკს. ამიტომ მაჩაბელიც იძულებული გახდა სამსახური მოეძებნა და ბანკში იკისრა მოლარის თანამდებობა. მერე დამფასებელ წევრად იყო არჩეული საზოგადო კრებაზე. შემდეგ დირექტორადაც აირჩიეს და ვ ი თ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს მ ა ვ ი ე რ . ილიას ეს არ მოეწონა თურმე: ავალიშვილს სამსახური მიუძღვის ბანკის წინაშე და ასე არ უნდა მოქცეოდნო. მაგრამ თავი და თავი ეს არ იყო: ილიას საზოგადოდ არ მოსწონდა მაჩაბლის ასე სწრაფი წინ სირბილი. მით უმეტეს, რომ ყველა ეს ილიას დაუკითხავად ხდებოდა. ილიას კი თავისი თავი ბანკის სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნდა და ეუცხოვა, როდესაც მაჩაბელმა მის დაუკითხავად ასე წინ წაიწია. ილია საქვეყნოდ პირს არ უჩვენებდა. მაგრამ გულში კი, ეტყობა, მაგრად ჩაიხვია და ასეთმა გულჩახვეულმა უკმაყოფილებამ მალე თავიც იჩინა. ამ დროს აი რა მოხდა.

გაზეთის „დროების“ რედაქტორი ს. მ ე ს ხ ი ავად გახდა და გაზეთის გაძლოლა აღარ შეეძლო. გაზეთს პატრონობა უნდოდა, თორემ მთელი ქართველობა უგაზეთოდ დარჩებოდა. გაზეთის ოთხასი თუმანი ვალი ედო, და ვინც გაზეთს ხელს მოაკიდებდა, ეს ვალიც იმას უნდა გაესტუმრებინა. ილიამ იკისრა ფულის შოვნა და გაზეთის გაძლოლაც. მაჩაბელს იმედი ჰქონდა, რომ ილია რედაქტორად მას მიიწვევდა. წარმოიდგინეთ მაჩაბლის ვანცვიფრება და თან გულისწყრომაც, როდესაც ილიას განცხადება გამოვიდა, რომ ის კისრულობდა „დროების“ პატრონობას და რედაქტორად ასახელებდა არა მაჩაბელს, არამედ ნ. ქ ა ნ ა ნ ო ვ ს . ვინ იყო ეს ქ ა ნ ა ნ ო ვ ი ? ჰქონდა მას რაიმე დამოკიდებულება ქართულ მწერლობასთან, იყო მცოდნე ქართული ენისა თუ არა? არაეინ არ იცოდა, არავის გაგონილი არა ჰქონდა რა ამის შესახებ. ეს ქანანოვი მოგაგონებთ დამადებაში მოხსენებულ, საიდუმლოებით გარემოცულ, მეღქმისედეგს, რომელიც გზად მიმავალ მამათმთავარს ამრამს უეცრად გამოეგება, ორიოდ რაღაც სიტყვა უთხრა და მყისვე უკვალოდ გაქრა. ქანანოვიც როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ისე ანახდევულად გაქრა. შემდეგ ბაქოში შეეხვდი ამ ქანანოვს, სხელმწიფო ბანკის განყოფილების გამგედ იყო.

რად ჩაიღინა ეს ილიამ? იგი გულისთქმის აჰყვა, რომლის სათავე ბანკში უნდა ვეძიოთ. მით უფრო მიუტოვებელი იყო ილიას შეცდომა, რომ მან კარვად იცოდა მაჩაბლის ნიჭიც, კალამიც, ცოდნაც და ენაც. მაჩაბელი მარჯვენა ხელი იყო ილიასი მწერლობაში. ეურნალ „ივერიის“, რომლის რედაქტორად იყო ილია, თითქმის საესებით მაჩაბელი უძღვებოდა და გა-

ზეთისათვის ასეთი მომზადებული კაცი, რომელსაც ყველა საქმის მართავე ორივე ხელით მოექიდებოდა, უკუაგდო.

სანამ მძიმე ილია გაინძროდა და ფულს იშოვიდა, ^{ქრისტეშვილი} კანკინი ეწინააღმდეგებოდა დატრიალდა, ფული იშოვა და ილიას გაზეთი პირიდან გამოაგლიჯა — „დროების“ რედაქტორად თითონ გახდა. ესეც ილიამ კარგად დაიხსოვა და ხელზე დაიხვია.

1885 წელს მთავრობამ სამუდამოდ მიხურა „დროება“ „მავნე მიმართულებისათვის“. დარჩა ქართველობა უგაზეთოდ. ილიამ კვლავ განიზრახა თავის ჟურნალ „ივერიის“ დღიურ გაზეთად გადაკეთება. ერთ კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო ამის თაობაზე მოსალაპარაკებლად, მანჩაბელი, რომელიც აგრეთვე დაესწრო, ამ კრებას, დარწმუნებული იყო, რომ ყოველდღიური გაზეთი ილიას საქმე არ იყო, და მოურიდებლად უთხრა: შემ ხომ არ იმუშავებ გაზეთში და ტყუილად რად ჰკიდებ ხელსაო. ილიამ იუცხოვა ვანოს ასეთი გაკადნიერება და თავგამოდებით უპასუხა: ვიმუშავებ კიდევ და გავუძღვებ კიდევცაო. და ილიამ მართლაც სისრულეში მოიყვანა თავისი დანაქალი.

ზემოთმოყვანილი ცნობები ილიასა და მანაბლის ურთიერთ განწყობილების შესახებ მწერლობაში მოთავსებულია გ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიერ შედგენილ ილიას ბიოგრაფიაში. ყიფშიძე ახლო ედგა ამ საქმეს იმ ხანებში და მისი ყოველი წვლილი დაახლოებით იცოდა. ამ ცნობათა მოყვანა საქიროდ ვიცანი იმიტომ, რომ აქ იყო სათავე იმ განხეთქილებისა, რომელიც შემდეგ ასე გამწვავდა ილიასა და მანაბელს შორის ბანკის საქმეების გამო. ეს განხეთქილება უფრო ცხადი და ადვილად გასაგები შეიქნება, როდესაც ზემოთმოყვანილი ცნობებს თვალწინ ვიქონიებთ.

ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორი თავგამოდებით, როგორი ახალგაზრდური ვატაცებით მუშაობდა ილია გაზეთ „ივერიაში“ პირველ ხანებში. ამ მუშაობაში ვართულმა ილიამ ბანკის საქმეებს ცოტა საბელი მიუშვა, და ბანკში ხშირად კეირაობით არ შეიხედავდა ზოლმე. მანაბელი კი, პირიქით, ნებისით თუ უნებლიეთ განდევნილი მწერლობიდან, მთლად ბანკის საქმეებში ჩაება. ჯერ მოღარე, მერე დამფასებელი და ბოლოს დირექტორი, — ყველა ეს საკმარისი სტატი იყო, რომ მანაბელს კარგად ჰქონოდა გაცნობილი და ვათვალისწინებული ყოველი მხარე ბანკის საქმისა. დანარჩენი შეაქვს ნიკმა, მუყაითობამ და მუშაობის უნარმა. ამ სახით მანაბელი შეუღარებელი და მარჯვე მუშაკი შეიქნა ბანკისა. საოცარი შესხიერება ჰქონდა: არც ერთი წვრილი მიწერ-მოწერა, არც ერთი ქალაქი არ გამოეპარებოდა. ხშირად დაგვეკირებია რაიმე საქირო ქალაქის გადასინჯვა, არქივარქის თავგადავლველი შეუღებოდა ძებნას, აქეთ ეცემოდა, იქით, მაგრამ ვერას ხდებოდა. მიმართედნენ მანაბელს. ასეთ შემთხვევაში ვანო გაკირების ტალკვისი იყო. მოთხოვდა ხაქმეს ამა და ამ წლისას, ამა და ამ სათაურით, სწრაფად გადაფურცლავდა და საქირო

ქალაქს ზედ მიადგებოდა. ზეპირად და დაწერილებით ახსოვდა ქთელი ისტორია თითქმის თითოეული საქმისა, გარემოება გაკვეთილურ სესხისა, ვიროდ მიღებული მამულისა სოფლად თუ ქალაქად.

ზემოთაც მოვიხსენიეთ და აქაც ვიმეორებთ, რომ ქართველებში იზომოგროვდებოდა ოციოდე საქმე, სესხის გასაცემად დამზადებული, რომელთაც გადასინჯვა უნდოდა, შესწავლა შემოწმება და დადგენილების დაწერა. არც სახვლიოდ გადასდებდა და არც საქმის სიმრავლეს შეუშინდებოდა. შეუდგებოდა მუშაობას, თითქმის ხუთს-ექვს საათს თავს მალა არ აიღებდა და მეორე დღისთვის ყველა საქმე დამზადებული ჰქონდა გამგვობისათვის მოსახსენებლად.

ბევრი ასეთი მაგალითის მნახველიც ვყოფილვარ. ბუნჯალტერია შეადგენდა სესხის გასაცემ ფურცელს, სადაც დაწერილებით იყო ჩამოთვლილი, თუ რამდენი ჰქონდა გადაწვეტილი მისაცემად, რამდენი უნდა დაეჭირა სარგებელი, სხვადასხვა გადასახადი, ვალი და სხვა, ასე რომ მთელი დიდი თაბახი იყო ხოლმე ციფრებით აქრელებული. დირექტორს უნდა შეემოწმებინა თავისი ხელის მოწერით ის საერთო ჯამი, რაც დასაქერი იყო, და, ამის გამოკლებით, რაოდენობა იმ ფულისა, რაც ხელში უნდა მისცემოდა მსესხებელს. სხვები გადასდებდნენ, გავსინჯავთო, და ზშირად საათობით ეჭირათ ანგარიში. მაჩაბელმა დახანება არ იცოდა, არც საანგარიშო უნდოდა. სწრაფად ააელებდა-ჩააელებდა თვალს იმის წინევიც ანგარიშს შეუტანდა, გაჰკრავდა ფანქარს — ეს სწორე არ არისო, აქ შეცდომაო, ჯამსაც შეუსწორებდა და სულ ხუთიოდე წამის განმავლობაში დაუბრუნებდა უკან შესასწორებლად. თითონ ბუნჯალტრებს უქვირდათ ასეთი სისწრაფე და მარჯვე თვალი.

ილიას, ბუნებით დინჯს და შიძიმს, ამასთან ბევრ საქმეში გაბმულს, უკვე ხანში შესულს, მაჩაბელსავით ზედმიწევნით საქმის ცოდნა და მუშაობა ემძიმებოდა. სამაგიეროდ ილიას ვალად ედო ბანკის საქმეების საერთო წარმოება, როგორც მაგალითად, საზოგადო კრებებისათვის მოხსენების შედგენა, სამინისტროში წარსადგენად ქალაქლების დაწერა ამა თუ იმ საპასუხისმგებლო საკითხების შესახებ და სხვა ამ გვარი.

ასე მიდიოდა საქმე, ილია ვაზეთსა და სხვა საზოგადო საქმეებს დასტრიალებდა თავს, მაჩაბელი ბანკის საქმეებს მართავდა. გარეგნად ასე იყო, თითქოს ერთი მეორეს შეელოდა, ერთმანეთს ხელს უწყობდნენ, რასაც ერთი აკლებდა, იმას მეორე ავსებდა, ერთი მეორეს დამატება იყო, შეესება. გარეშე მაყურებელი იტყოდა, რომ ამ ორ ნიჭიერ მოღვაწეს შორის სრული თანხმობაა, მეგობრული განწყობილებაო. მაგრამ ეს მხოლოდ თვალისმოტყუება იყო. ის უსიამოვნება, რომელიც ილიამ მიაყენა მაჩაბელს სალიტერატურო ნიადაგზე, არ დავიწყებოდა ამ უკანასკნელს, ნაღვერდალი სრულად არ ჩამქრალიყო, მხოლოდ ნაცარში

იყო ჩაფლული და მიმალული. და დაფარულმა წყლულმა მარცხ თავისი კმნა, თავი იჩინა.

ქართველნი

დაიწყო ჯერ წვრილმანებიდან. რაც ერთს მოსწონდა, ყველა მეორე იწუნებდა, რაც ერთს სასარგებლოდ მიიჩნდა საქმისათვის, იმას მეორე დანიღუპველად სცნობდა. ასე ჩაუდგნენ ერთმანეთს კვალში, ჯიბრში, ერთი მეორეს აღარაფერს უთმენდა. გაჩნდა ჰირვეულობა, გამწვავდა ურთიერთშორის განწყობილება. აქ გარეშეებიც ჩაერივნენ საქმეში, ფიქრობდნენ, ხელს მოვითბობთო. ერთსაც და მეორესაც გამოუჩნდნენ მომხრეები, მეგობრები, თანამგრძობლები ბანკშიაც და გარეშეც. გაჩნდა შენ-ჩემობა, გაიყო ქართველობა ორ ბანაკად: ჰავეკავადისტები და მაჩაბლისტები. ჩვენმა ძველმა ისტორიულმა სენმა თავი წამოჰყო: აქაო და ილია კახელიაო, ხოლო მაჩაბელი ქართლელი, კახელები პირველს უჭერდნენ მხარეს, თანაო თავს ჰავეკავადისტებს უწოდებდნენ, ქართლები—მეორეს, მაჩაბლისტები იყვნენ. შეიქმნა მათ შორის შუღლი, განხეთქილება.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ მაჩაბელმა დიდი სახელი გაითქვა, დიდი სიყვარული მოიპოვა მათ შორის, ვისაც ბანკთან საქმე ჰქონდა. მაჩაბელი ადვილი სანახავე იყო, ყველასათვის ხელმისაწვდომი. არ უყვარდა ილიასავეით კაბინეტში უძრავად ჯდომა, მიუტარებლობა. ყველას პასუხს ვასცემდა, ყველას დარიგებას მისცემდა. თუ საქმეს წინ რაიმე დაბრკობა გადაეღობებოდა, მაჩაბელი აქაც დაუხარებელი იყო: დაწვრილებით გაურკვეველ საქმეს, აუხსნიდა მიზეზს, უჩვენებდა გზას და ვასაველს, საიდანაც საქმეს მოეცლებოდა. ამით გაითქვა მაჩაბელმა სახელი. ამიტომაც, თუ წინათ ქართულ ბანკს ჰავეკავადის ბანკს უძახდნენ, ახლა მაჩაბლის ბანკს უწოდებდნენ. ილიას ეს, რასაკვირველია, არ ეკაშნიკა, იტყბოვა, გულში ძვირი ჩაიდო და ისეც გამწვავებული განწყობილება უფრო მეტად გამწვავდა.

ილია და მაჩაბელი ერთმანეთს ხმას აღარა სცემდნენ, ხელს არ აოთმევდნენ, სალამს არ აძლევდნენ. გული გტკიოდა და თანაც გრცხვენოდა ასეთს საქციელს რომ უყურებდი, რომელიც რძალდღეამთილის გაბურჯას და ბუზლუნს მოგაგონებდათ. ასეთი საქციელი უფრო შეპფეროდა ლუარსაბ თათქარიძისა და მისი ძმის ოჯახებს, რომელთა შორისაც განუწყვეტელი ჩხუბი და შემოწყრომა არ სცხრებოდა.

3. გოჯალიშვილი — „1832 წლის შეთქმულება. ტ. I სახუნთის
ბამოცემა. გვ. 518, 1935 წ. ტფილისი

ისტორიული საბუთების პუბლიკაცია უაღრესად რთულ და იმევე
დროს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა. პუბლიკაციის მიზანია —
შეიტანოს სამეცნიერო ხმარებაში, როგორც უტყუარი წყარო, კრიტიკუ-
ლად დამუშავებული და ყოველმხრივ შესწავლილ-შემოწმებული საარქივო
მასალები. მეცნიერული პუბლიკაცია უნდა წარმოადგენდეს მასალების
ისეთ კრიტიკულ დამუშავებას, რომელიც მოგვცემს გამოქვეყნებული სა-
ბუთების საესებით გასწორებულ და ადვილად გასაგებ ტექსტს, ყველა
მნიშვნელოვანი გარეგნული თავისებურების დაცვით, ისე, რომ მკვლევ-
არს აღარ დაჰქირდეს არც არქივთსაცავში დედნის ძებმა და არც გამო-
ქვეყნებული მასალების გასაგებად სხვადასხვა საშუალების გამოანახვა.
„საბუთების პუბლიკაცია არ არის არქივების თაროებიდან ჩამოღებული
საარქივო მასალების მექანიკური გადმობეჭდვა, არამედ ეს არის მეცნი-
ერულ-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ისეთი ფორმა, რომელიც დაკავ-
შირებულია კონკრეტული ისტორიული საკითხების გაფართოებასთან,
ჭარკვეული მეთოდისა და გარკვეული ტექნიკური ხერხების საფუძველ-
ზე“ (სერგეევია).

მეორეს მხრივ, საბუთების პუბლიკაციას თან უნდა ახლდეს აგრეთვე
გამოქვეყნებული დოკუმენტების ისტორიული და პოლიტიკური შინაარ-
სის კრიტიკულად შესწავლა-შეფასება, ამ საბუთების კლასობრივი რაო-
ბის გამოაშკარავებით, საბუთების შინაარსის ეს კრიტიკული შესწავლა
დამყარებული უნდა იყოს არამარტო ამ საბუთების ჩვენებებზე, არამედ
სხვა წყაროებზედაც. პირველ რიგში კი თვით ფაქტებსა და საქმეზე,
რადგან პირთა და ორგანიზაციათა „შემოწმება საქიროა უპირველესად

ყოველისა მათი საქმეების მიხედვით და არა მხოლოდ წაბი ტრეკრაციების მიხედვით" (სტალინი).

ასეთია ზოგადად თანამედროვე მარქსისტულ-ლენინისტულ-სოციალისტურ-ბოლშევიკურ-საბჭოთა მოთხოვნები საბჭოთაების მეცნიერულ პუბლიკაციისადმი.

განვიხილოდ მოკლედ ამ თეალსაზრისით ზემოთ დასახელებული წიგნი.

ეს წიგნი წარმოადგენს 1832 წლის შეთქმულების შესახებ მასალების მხოლოდ ერთი ნაწილის პუბლიკაციას. დანარჩენი ნაწილი ამ მასალებისა, ავტორის განცხადებით, განზრახულია გამოიყოს მომავალში „რამდენიმე ასეთივე ტომად“.

გამოცემულ პირველ ტომს, შესავალის სახით (გვ.3—99), დართული აქვს ავტორის მიერ შედგენილი მიმოხილვა 1832 წლის შეთქმულებისა.

შესავალში ავტორი ცდილობს მოგვეცეს 1832 წლის შეთქმულების შეფასება. აქ იგი ეხება შემდეგ საკითხებს: 1) „შეთქმულთა მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია“; 2) შეთქმულთა ორგანიზაციის შემადგენლობა, წარჩინებულ ქართველთა და უცხოელთა მონაწილეობა“; 3) „როგორ და რა საშუალებით განიზრახავენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას“ და 4) „როდის და როგორ ფიქრობდნენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას“.

1832 წლის შეთქმულების გაშუქების დროს მოსალოდნელი იყო, უპირველესად ყოველისა, დასმა და გამოკვლევა საკითხისა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ის სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომლებმაც წარმოშვეს ეს შეთქმულება და რომლებმაც, შეიძლება ითქვას, უზრუნველყვეს მისი უშედეგოდ დამთავრება ასევე მოსალოდნელი იყო მეორე საკითხის დასმა და გამოკვლევა, სახელდობრ, საკითხისა იმის შესახებ, თუ რომელ სოციალურ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ის პირები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შეთქმულებაში და რა მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ ამ თეალსაზრისით: დასასრულ, საჭიროა ყო ავტორის მოეცა საკითხის ახსნის ცდა მაინც იმის შესახებ, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ შეთქმულებას (მაშინდელი პირობების გათვალისწინებით), უკეთეს ამ გაიმარჯვებდა ან ვაცემული არიქნებოდა ფალავანდიშვილის მიერ.

სამწუხაროდ, ავტორს არც ერთი ეს საკითხი არ დაუყენებია და არც უცდია, მაშასადამე, შეთქმულების ამ თეალსაზრისით შესწავლა, ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ავტორს, რაც მთავარია, თვით იმ საკითხების განხილვის დროსაც, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, საჭიროდ არ დაუნახავს ისტორიულ მატერიალისტური თეალსაზრისით ფაქტებისა და მოვლენების ახსნა. ასე, მაგალითად, პირველი საკითხის (შეთქმულების მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია) განხილვის დროს ავტორი ემაყოფილდება ისეთი ფაქტების აღწერებით, როგორცაა, პეტერბურგში

შეთქმულთა 1-ლი წრის ჩამოყალიბება; საქართველოში ასეთივე წრის ორგანიზაცია; ამ წრეებს შორის არსებული კავშირი და ურთიერთობა; ბატონიშვილების ან კიდევ სხვა შეთქმულთა ჩამოსვლა საქართველიდან ტფილისს შეთქმულების „გასაერცვლებლად“ და სხვ. ყველაფერი ეს თვით საბუთებიდანაც კარგად სჩანს და შესავალში ამ ფაქტებზე ცალკე და სავანგებოდ ლაპარაკი, კრიტიკული ანალიზის გარეშე, რა თქმა უნდა, ზედმეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი არ იყო, მით უფრო, რომ ამ ფაქტებს ავტორი „ადგენს“ არა საბუთების ჩვენების ანალიზითა და დაპირისპირებით, არამედ ამავე წიგნში დაბეჭდილი საბუთების მთლიანად და უცვლელად მოყვანით.

ასევე იქცევა ავტორი მეორე საკითხზე — შეთქმულთა ორგანიზაციის შემადგენლობისა და მასში მონაწილეთა ვინაობის საკითხზე მსჯელობის დროს. აქ ავტორი აღნიშნავს მხოლოდ იმას, თუ ვინ შედიოდა პერსონალურად პეტერბურგში პირველად დაარსებულ წრეში და ვინ იყო ამ წრის შექმნის ინიციატორი ან ვინ იღებდა მონაწილეობას საქართველოში ჩამოყალიბებულ ამგვარსავე ორგანიზაციაში, ვისთან ჰქონდათ მათ კავშირი და სხვა. ამავე დროს ის სრულად არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, თუ რომელი კლასისა და რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ დასახელებული პირები, რამ აიძულა ისინი მონაწილეობა მიეღოთ შეთქმულებაში, რა მიზნით შედიოდნენ ორგანიზაციაში, ვის ინტერესებს გამოხატავდნენ ისინი და სხვა.

სამაგიროოდ ავტორს ხელოვნურად და, სჩანს, წინასწარი განზრახვით რამდენადმე გაზვიადებული და გაბერილი აქვს შეთქმულების ხედვითი წონა, როგორც მისი ორგანიზაციული რაობისა და შემადგენლობის მხრივ, ისე აგრეთვე მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის მხრივ: შეთქმულების მონაწილედ დასახელებული არიან ისეთი პირები, როგორცაა ლეტლიე (საფრანგეთის საკონსულოს მდივანი), ზაველიესკი (ტფ. ყოფილი გუბერნატორი), მელნიკოვი (ტფ. პოლიცემისტერი), ბროსე, პაუშენკო და ზოგიერთი სხვა, რომელთა მონაწილეობა შეთქმულებაში, შეიძლება ითქვას, თუ სავსებით საიქვეო არა, ყოველ შემთხვევაში, ფიქტიური და ნომინალური იყო იმ მხრივ, რომ ეს მონაწილეობა არ აიხსნება შეთქმულების ვითომდა ინტერნაციონალური და ფართო მოძრაობის ხასიათით, როგორც ამას ავტორი ცდილობს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ამ პირთა რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილებით, ან პირადი უკმაყოფილებით, ან კიდევ ქართულ თავადებთან მეგობრული თუ მოყვრულ-ნათესაური კავშირით. ყოველ შემთხვევაში, თუ რომელიმე ამ პირთაგანმა იცოდა შეთქმულების არსებობა (ხოლო ზოგიერთმა მართლაც იცოდა ეს) და რამდენიმე მათგანი საერთოდ თანაუგრძობდა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობას, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს პირი შეთქმულების ნამდვილი მონაწილე და საქართველოს განთავისუფლებისათვის

აქტიური მებრძოლი იყო. საერთოდ, ავტორის მსჯელობასა და ანგუმენტაციას ამ ნაწილში დამაჯერებლობა აკლია.

ასევე დაუსაბუთებლად გამოსჩანს ავტორის სურვილი, რომ 1832 წლის შეთქმულება პროგრესული და განმანათლებელი მოძრაობა იყო და რომ ამ მოძრაობას ერთგვარი კავშირი ჰქონდა დეკაბრისტების მოძრაობასთან რუსეთში, ან კიდევ პოლონეთის აჯანყებასა და საფრანგეთის დიდ რევოლუციასთანაც კი (გვ. 62 შემ.).

თავისთავად ცხადია, რომ შეთქმულების მონაწილეებს არ შეიძლებოდა არ ცოდნოდათ და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით არ განეცადათ (ზოგიერთ მარგანს მაინც) დეკაბრისტების მოძრაობისა, პოლონეთის აჯანყებისა და საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავლენა, რადგან ზოგიერთის ყველა ისინი ამ მოვლენების თანამედროვენი იყვნენ (და სწორედ ამით აიხსნება ამ საკითხებზე მათი ლაპარაკი დაკითხვის დროს), მაგრამ ამ გარემოების ნათელსაყოფად საჭირო იყო უფრო ღრმა ანალიზის გაკეთება და პარალელის გაყვანა დასახელებულ მოძრაობებსა და 1832 წლის შეთქმულებას შორის, რათა ასეთი ანალიზისა და შედარების საფუძველზე შესაძლებელი ყოფილიყო მათ შორის იდეური კავშირის ცალკე მოამენტების აღმოჩენა.

მაგრამ მთავარი შეცდომა ავტორისა აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი 1832 წლის შეთქმულებას და მის მონაწილეებს იღებს, როგორც ორგანიზაციულად და იდეურად ნთლიან და მონოლიტურ მოვლენას, მაშინ, როდესაც სინამდვილეში საქმის ვითარება უფრო სრულიად სხვაანაირად უნდა წარმოვიდგინოთ. 1832 წლის მონაწილენი, ყოველ შემთხვევაში, ორ ჯგუფად მაინც უნდა გაიყოს: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ ისინი, ვინც საქართველოს თავად-აზნაურობის მაღალ ფენას ეკუთვნოდა და ამ ფენის ინტერესებს ემსახურებოდა, (ბატონიშვილები, წარჩინებული და დიდგვარიანი ფეოდალები), ხოლო მეორეს—ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელსაც ახალი იდეების სიო ჰქონდა მოხვედრილი (ფეოდალურ-ლიბერალური ინტელიგენცია). შეთქმულების მთავარი სულის ჩამღვმელნი, მისთვის ტონის მიმცემნი და სოციალური შინაარსის წამდენნი, ბოლოს და ბოლოს, ისინი იყვნენ, ვინც პირველ ჯგუფში შედიოდა. ამით კი, ვიფარცა მოსივლილი კლასის წარმომადგენლებს, არ შეიძლებოდა რაიმე პროგრესული მიზნები ჰქონოდათ და საქართველოს მართლაც განთავისუფლების იდეებით ყოფილიყვნენ ისინი გამსჭვალული.

შეთქმულების მთავარ მონაწილეთა ჩვენებაში პირდაპირაა ნათქვამი, თუ რა მიზანს ისახავდნენ ისინი, ხოლო ამ მიზნის ხასიათის მიხედვით გარკვევით ითქვას, რომ მათ საერთო არაფერი ჰქონდათ—და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ—რევოლუციონერ ან უბრალო პროგრესულ მოძრაობასთან. ასე, მაგალითად, ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი უჩვენებს: „ჩვენ გვსურდა ესრეთ, ოდესცა აქ არეულობა მომხდარიყო, მაშინ თ ა მ ა რ ბ ა ტ ო ნ ი

შვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისთვის უნდა გვიჩვენებოდეს, რომ აი ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონი ქალი თამარ... ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ, და რაც გვიბრძანოს, უნდა ავასრულოთ... უნდა გავიგებოთ—ალ. ბატონი შვილი უნდა მხოლოდ მისთვის იყოს (გვ. 91) და მეფედ უნდა დაგვესვაო. გიორგი ერისთავის ნიერ შედგენილი პროექტის მიხედვითაც „განთავისუფლებულ“ საქართველოს სათავეში (ე. წ. „ზედა სამთავრობო“ ადგილზე) უნდა დაეყენებიათ „თვით მეფე, რომელსაც ალ. ბატონი შვილს ჰგულისხმობდნენ“—ო (გვ. 92). ბერ ფილადელფოს კიკნაძის ჩვენებაშიაც ნათქვამია: მეფის ძე ოქროპირ ბატონი შვილმა „გამიცხადა მე პაზრი საქართველოსა შინა მეფობის აღდგენისა, რომელ უკეთეს საქართველოსა შინა მოხდების რაიმე აღრეულობა ანუ წინააღმდეგობა, მაშინ ხელმწიფე როსიისა დაუტევებს საქართველოსა“ (გვ. 91) და ჩვენც საშუალება მოგვეცემა ჩვენი მეფე დავსვათო.

ეს ჩვენებები ნათლად მოწმობენ იმას, რომ შეთქმულების მთავარ მონაწილეთ უნდოდათ საქართველოდან „რუსების განდევნა“ არა საქართველოს განთავისუფლების, არამედ საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიისა და მეფობის აღდგენის მიზნით. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამათი ინტერესების თვალსაზრისით შეთქმულების სოციალური შინაარსი და მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში უწინდელი მდგომარეობა აღდგენილიყო და თავად-აზნაურობის მაღალ ფენას თავისი პრივილეგიები დაბრუნებოდა.

ყველა აღნიშნულის უთქმელობა და მხოლოდ მშრალი ფაქტების „ობიექტური“ გამოცემა არა მარტო მნიშვნელობას უკარგავს ავტორის მიერ შედგენილ შესავალს, რომელიც ამის გამო თავის დანიშნულებას ოდნავადაც ვერ ამართლებს, არამედ მიუღებლად და გაუმართლებლად ხდის საერთოდ მთელს გამომცემლობასაც.

საქმე ისაა, რომ ყოველი პუბლიკაციის ისტორიული შესავალი უნდა აადვილებდეს გამოქვეყნებული მასალის სწორად გაგებასა და ამ მასალებში მოცემულ ფაქტებში სწორ ორაენტაციას. ყოველი პუბლიკაციის ასეთი შესავალი უნდა წარმოადგენდეს მასალებს ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული საბუთების ჩვენებათა შესასწავლად და გასაცნობად. ეს კი მაშინ არის ხოლმე ასე, როდესაც შესავალში მოცემულია გამომცემლი საბუთების კრიტიკული ანალიზი მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ავტორის შესავალი იმდენად არა სწორ თვალსაზრისსა და არა სწორ კონცეპციას შეიცავს.

თვით საბუთების ტექსტებიც არ არის ოდნავ დამაკმაყოფილებლად გამოქვეყნებული. ავტორი, სწანს, სათანადოდ არ იცნობს არა თუ თანაშედროვე არქეოგრაფიის პრინციპებსა და მოთხოვნებს, არამედ, საერთოდ,

არქეოგრაფიის ელემენტალურ წესებსაც კი. ამ თვალსაზრისით ეს გამოცემა, ძალზე დაბლა სდგას.

რადგან ბიბლიოგრაფიის ფარგლებს საშვალებას არ გვაქვს, ქვემოთ გამოცემის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან დეტალს ჩვენ შენაერთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

1. პუბლიკაციის სისტემა (მასალების თანამიმდევრობა) მოკლებულია ყოველგვარ პრინციპს. არც ერთი შესაძლებელი (ქრონოლოგიური, თემატიკური, ალფაბეტური და სხვა) პრინციპი პუბლიკაციისა გამომცემლის მიერ მხედველობაში მიღებული და გამოყენებული არ არის: გამოცემაში საბუთები ერთმანეთს მისდევენ არა რაიმე ნიშნისა და პრინციპის მიხედვით, არამედ სრულიად უწყესრიგოდ, შანს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვადმოუწერია გამომცემელს ეს საბუთები დედნიდან. ან როგორ ვადაუცია ისინი დასაბუქდალ სტამბაში. ამის გამო გამოცემაში ერთმანეთში არეულია სხვადასხვა წლის, სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა ადგილისა და სხვადასხვა შინაარსის მასალა, რაც ძალზე აძნელებს გამოცემით სარგებლობას.

2. გამოქვეყნებული საბუთები არქეოგრაფიულად დამუშავებულნი და შესწავლილი არ არის. 1832 წლის შეთქმულების მასალა მარტო გენერალ-აუდიტორის ფონდისა რამოდენიმე (27) სველტანიან ტომს შეიცავს. ამას გარდა, დაცულია აგრეთვე სხვა ფონდების მასალა თითქმის ასეთივე რაოდენობით. თავის თავად ცხადია, რომ მთელ ამ მასალას ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს, ზოგი სრულიად არავითარ ღირსებულებას არ წარმოადგენს იმის გამო, რომ მისი შინაარსი სხვა საბუთებშია შესული. ან იმის გამო, რომ მას არა სწორი ცნობები აქვს შემონახული. ან კიდევ იმის გამო, რომ ის თავის და თავად უმნიშვნელოა. გამოცემის დროს საჭირო იყო 1832 წლის საბუთების მთლიანად შესწავლა და მათი ერთმეორესთან, შინაარსისა და ღირსებულების თვალსაზრისით, შეჯერება იმ მიზნით, რომ მრავალ საბუთიდან შერჩეულიყო მხოლოდ უფრო აქტიური და მნიშვნელოვანი. გამომცემელს, სამწუხაროდ, არ მოუხდენია არც საბუთების შერჩევა, არც მათი ტექსტების ე. წ. რეცენზია. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გამოცემაში მრავალი ან სრულიად უმნიშვნელო ან ნაკლებ მნიშვნელოვანი საბუთია გამოქვეყნებული. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ გამოცემა „რამდენიმე ტომად“ არის განზრახული, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა და უკეთესიც იქნებოდა გამომცემელს მოეხდინა აქტუალური საბუთების შერჩევა და მთელი მასალის ერთ ან ორ ტომად გამოცემა. ეს განტვირთვდა გამოცემას ზედმეტი საბუთებისაგან, შეამცირებდა ენერგიისა და სახსრების ხარჯებს, გაუადვილებდა შეკვლევარს გამოცემის გამოყენებას.

3. საბუთები გამოქვეყნებულია ტექსტების შემდგომი გარეშე. პუბლიკაციებში უნივერსალური დანიშნულებით

დიდი ხანია არქეოგრაფიამ უარპყოს: ყოველ პუბლიკაციას ვარსკვლავი მიზანი და დანიშნულება უნდა ჰქონდეს, სახელდობრ, საბუთების შესწავლა: ან ისტორიული და მეცნიერი, ან პოლიტიკური და სოციალური ან კიდევ ლინგვისტური და პალეოგრაფიული მიზნით. ისტორიული მიზნით გამოქვეყნებულ საბუთებს უეჭველად სჭირდებათ ტექსტების ორთოგრაფიული და გრამატიკულ-სინტაქსური გამართვა: მართლწერა, სასენი ნიშნები, ტექსტის ლოლიკური დაყოფა (აბზაცები), სიტყვების დაბოლოება-ნი და სხვა — ყველაფერი ეს გამოცემაში მოცემული უნდა იყოს რედაქტორ-გამომცემლის მიერ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე არქეოგრაფიის წესები. დოკუმენტების სრულიად უცვლელად გადმოცემა (მთელი თავისი შეცდომებით) დასაშვები და საპირო არის მხოლოდ მაშინ. როდესაც პუბლიკაცია ისახავს სპეციალურ ვიწრო მიზანს — საბუთების შესწავლას პალეოგრაფიული, დიპლომატიური ან კიდევ ლინგვისტური თვალსაზრისით. და ასეთი შემთხვევებში პუბლიკაცია სწარმოებს არა სტამბის წესით, არამედ ფოტოტექნიკური საშუალებით. 1832 წლის შეთქმულების მასალებს უმთავრესად საინტერესო მნიშვნელობა აქვთ და მათი გამოქვეყნებაც უმთავრესად ამ დანიშნულებას ემსახურება. ამის გამო აქ რედაქტორის (პუბლიკატორის) მთავარი ყურადღება და მუშაობის ცენტრი სწორედ ტექსტების ემენდაციაზე უნდა ყოფილიყო გადატანილი. სამწუხაროდ, რედაქტორს ამაზე სრულიად არ უფიქრია, საბუთების ტექსტები მის მიერ მოყვანილია ყოველგვარი ემენდაციის გარეშე: არც ერთი შეცდომა და ლაპსუსი დედნისა გამოცემლის მიერ შესწორებული ან შენიშვნაში მიანიჭ აღნიშნული არ არის. პირიქით, დედნის შეცდომები უფრო გამრავლებულია გამომცემლის საკუთარი შეცდომით. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე გამომცემლის მიერ წინწკლების გამოყენების წესების დარღვევა: ზოგჯერ წინწკლები დაბურული არ არის, ზოგჯერ საბუთების ტექსტის ნაკვლად (ან საბუთების ტექსტთან ერთად) გამომცემლის სიტყვებია ჩასმული წინწკლებში. ზოგჯერ სრულიად უწინწკლოდაა მოყვანილი საბუთები და სხვ. ამის გამო შეითხველს ერთობ უძნელდება გაგება იმისა, თუ სად იწყება ან თავდება საბუთის ტექსტი და სად გამომცემლის სიტყვები.

4. პუბლიკაციას არა აქვს შედგენილი და დართული საცნობო საკანტროლო აპარატი. საბუთებს შედგენილი არა აქვს შენიშვნები და საძიებლები. საბუთების სათაურები შედგენილია ყოველად დაუშვებლად, უანოტაციოდ, უთარილოდ, პუბლიკაციის რიგისა და საბუთის საკანცელარიო ნომრის აღუნიშნავედ. გამოცემაში ნაჩვენები არ არის, თუ საიდან (რომელ საბუთიდან) არის გადმოწერილი ტექსტი შავი, თეთრი, დედანი, პირი და სხვა.) როგორი იყო ნაწერი დედანი ხელნაწერი, მანქანაზე გადნაწერი, გექტოგრაფირებული, დასტამბული და სხვა), რა მასალაზე იყო დაწერილი დედანი (უბრალო ქაღალდი, ოფი-

ციალური ბლანკი, რვეულის ფურცლები და სხვა), როგორც დაცული. დედანი, როგორც საქმისწარმოებითი და საკანცელარიო შენიშვნები იყო გაკეთებული საბუთზე და სხვა; საბუთებს არა აქვთ შენიშვნები: გამოცემიდან არა სჩანს, თუ სად ინახება გამოქვეყნებული საბუთები; ტექსტებს, იშვიათ გამოაქლისის გარდა (და ისიც არქეოგრაფიული წესების დაუცვად), არა აქვთ ისტორიულ-ბიოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული და კრიტიკული შენიშვნები. გამოცემას წამბღვარებული არა აქვს ყოველი ბუბლიკაციისათვის აუცილებელი არქეოგრაფიულ-რედაქციული შესავალი.

5. თარგმანის წესები დაცული არ არის და თვით თარგმანიც არა დამაკმაყოფილებელია. თანამედროვე არქეოგრაფიის მოთხოვნის მიხედვით, საბუთი უნდა გამოიცეს იმ ენაზე, რომელზედაც იგი დაწერილია. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთი უცხო ენაზეა შედგენილი, გამოცემაში მოყვანილი უნდა იყოს მისი თარგმანი დედაენაზე. ავტორს (იმ წესის საწინააღმდეგოდ) განუზრახავს მოცუა საბუთები მხოლოდ ქართულ ენაზე, ე. ი. ეთარგმა ქართულად ის საბუთები, რომლებიც რუსულად არის შედგენილი. მაგრამ ეს წესიც ვერ დაუცავს, სჩანს, იმის გამო, რომ რუსულიდან ქართულად გადათარგმნა ზოგიერთ საბუთებისა ვერ მოუხერხებია. ამის გამო გამოცემაში ზოგი საბუთი რუსულად არის მოყვანილი, ზოგი ქართულად, რაც სრულიად დაუშვებელია. თარგმნილი საბუთებიც სწორი არ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ პარალელურად ორივე ენაზე მოყვანილი ტექსტების შესაფერი ადგილები არაა სწორად გადათარგმნილი; ასე, მაგ., სიტყვა

важинники გადათარგმნილია წამქეზებელნი (გვ. 37), სიტყვა связь — დამოკიდებულება (გვ. 39), „многие сожалеют“ — ძლიერ ნანობენ (გვ. 60), лопнуло — დაირღვა (გვ. 62), наверное надеялись — ალბად ფიქრობდნენ (გვ. 74), начальни — გამგე (გვ. 155), из Грузии — საქართველოში (გვ. 162), предложение — შემდგომი (გვ. 167), увещание — შთაგონება (გვ. 173) და სხვა,

6. დასასრულ, გამოცემის ტექნიკური და გარეგნული გაფორმება სრულიად არა დამაკმაყოფილებელია. ტექსტისა, სათაურისა, ხელრთვისა და შენიშვნებისათვის აღებული შრიფტები ისეა ერთი-მეორეში არეული, რომ არავითარი პრინციპი და წესი არ არის დაცული: სათაური ზოგჯერ შავი ციკეროთი არის აწყობილი, ზოგჯერ კი შავი კორპუსით; ზოგჯერ სათაური და ხელრთვა ერთი და იმავე შრიფტით არის აწყობილი. თვით ტექსტი საშინლად აპრელებულია: ზოგი სიტყვები შავად არის აწყობილი, ზოგი კი-თეთრად, და მკითხველებმა ამის გამო არ იცის—ხაზგასმული დედანში იყო საბუთი თუ გამოცემლისა ან ასოთამწყობის თვითნებობასთან აქვს მას საქმე; საბუთები ისე უშუალოდ და

ახლო მისდევენ ერთიმეორეს, რომ მკითხველს უძნელდება გამოარკვევა იმისა, თუ სად თავდება ერთი საბუთი და სად იწყება მარქსისტულ-სოციალისტური შეცდომების სიმრავლის მხრივ გამოცემა სარტყელისა? მარქსის ყოველ გვერდზე და ფურცელზე რამდენიმე ტლანქი და დაუშვებელი კორექტურული შეცდომაა დაშვებული.

ნათქვამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოცემა მთლიანად, თანამედროვე, მარქსისტულ-ლენინური არქეოგრაფიის თვალსაზრისით, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ეს არქეოგრაფია საბუთების პუბლიკაციას უყენებს.

შ. ჩხეტიანი

1935 წლის „მათობები“ მოთავსებული ნაწარმოებები:

მოცემები და ლექსები.

- | | |
|------------------------|--|
| 1. ვრ. აბაშიძე — | გამოლოცება, № 4, გურამიშვილის სამყოფელოში, № 9. |
| 2. ა. ადამია | კოლხეთის ქრონიკები, № 6. |
| 3. ა. აღქსანდროვიჩი | ფიქვი (თარგ. დ. გაჩეჩილაძის) № 6. |
| 4. კ. ბობოხიძე | სანატორიუმში № 7—8. |
| 5. ვ. გაფრინდაშვილი | საღამო საგურაშოში, № 2, ქუთაისი № 3. ლექსები № 7—8. |
| 6. ვ. გორგაძე | მაისის დილა № 4. |
| 7. ა. გომიანიშვილი | ლექსები სნაიერზე № 9. |
| 8. ალიბიერ დანტი | საღმრთოებელი (თარგ. კ. გამსახურდიასი) № 7—8. |
| 9. ხანდრო ეული | ბოლშევიკი პარტია № 6. |
| 10. იონა ვაკელი | კოლხეთი № 1. |
| 11. ხარიტონ ვარდოშვილი | კოლხეთის სიმღერები № 10. |
| 12. ვაკიფი | შენთან ერთად (თარგ. პ. იაშვილის) № 7—8. |
| 13. გ. კაკაბიძე | განახლებული ქვეყნის ბინადარი № 1, წერბელების გამყიდველი № 3, სანაპირო ქუჩა № 5, ევკალიპტები № 6, ვაგა № 10, პუშკინი ადესაში № 11—12. |
| 14. ვლ. კოვალსკი | აღლა (თარგ. მ. პატარაიძის) № 6. |
| 15. კატრული | ლექსები (თარგ. გ. გაჩეჩილაძის) № 10. |
| 16. გ. ლეონიძე | ორი ლექსი № 9. |
| 17. ლ. მაკავარაძი | ჩელუსკინელების ხიდი № 7—8. |
| 18. ნიკ. მიწიშვილი | ახალი ლექსები № 5. |
| 19. ვ. მაიაკოვსკი | ამხ. ნეტრეს ხომალდს და ადამიანს (თარგ. დ. გაჩეჩილაძის) № 4. |
| 20. ი. მისაშვილი | სიყვარული უცებ, № 3, ღია ბარათები, № 5. |
| 21. ა. პუშკინი | ბახჩისარაის შადრევანი (თარგ. ვ. რუხაძის) № 5. |
| 22. ვ. რუხაძე | მტკვარი № 2, საუბარი № 6, კოლხეთი № 9. |
| 23. ხუდემიან რუსტამი | ჩაპაევი (თარგ. მ. პატარაიძის) № 7—8. |
| 24. მ. რაგიში | ჩემი გოგონა (თარგ. კ. ნადირაძის) № 7—8. |
| 25. ვ. საბანოვი | ბაკალის თქმულება (თარგ. ა. სიკინავასი) № 5. |
| 26. პ. სამსონიძე | მთა—გმირები, № 5, მდინარეს № 10, შემოძახილი განთიადებზე № 11—12. |
| 27. ტ. ტაბიძე | ორდენოსან საქართველოს, № 7—8. |
| 28. ტიხონოვი | ღურჯი პაკეტი, ბაღდადა ღურსმნებზე, (თარგ. ვ. გაფრინდაშვილის) № 3. |
| 29. მ. ფოფხაძე | ურსან, № 3. |
| 30. აღ. ქუთათელი | იაღლებზე № 4, ბელორუსია № 9. |
| 31. გ. ქუჩიშვილი | სამი ლექსი № 5. |

32. ს. ჩიქოვანი
შემოდგომის დილა კახეთში, № 1, კოლხეთის/გვირგვინი № 2, ორი ლექსი № 4, ორი ლექსი № 7, დონბასის ლაშე № 10.
33. ვ. ცეცხლაძე
მრისხანე ქარი № 6.
34. მ. ხვედარაძე
ესკადრონის უფროსის გუშაროვის დაღუპვა (თარგ. ვ. გაფრინდაშვილის) № 6.
35. ომარ ხაყანი
რეზიუმეები № 1.
36. ჰაფიზი
სამი ლექსი (თარგ. ა. ტელიძის) № 3.
37. ვ. შიშველი
ორი ლექსი (თარგ. ვ. გაფრინდაშვილი და გ. ცეცხლაძის) № 6.
38. სომხეთის პოეტები
№ 11—12.

მოთხრობები და რომანები

1. ა. ბულიაშვილი
წერილი და გვირგვინი № 2, ხევი № 11—12.
2. ბ. ბაკუნც
ალბიური ია № 1.
3. კ. ვაშაბურდია
მოთხრობის მოტაცება №№ 1, 2, 3, 4, 7—8, 9, 10, 11—12
4. მ. გვახალაია
აბრაგი № 1, მუჯღაფე № 4, ჯარისკაცი № 10.
5. რ. გვეტაძე
ლაშაურს საღამოები №№ 4, 5, 6, 7—8, 9, 10.
6. შალვა დადიანი
ურდუები №№ 2, 3, 4, 5, 10, 11—12.
7. ი. დიომიდე
თანამედროვე ქრონიკები № 3, 5, 6.
8. ხ. კლდიაშვილი
ხალდე № 1.
9. ე. პოლუმორაძე-ინოვი
ახალ მიწაზე № 2.
10. აგნეს სმეჯლი
მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიასზე (თარგ. ილ. ალღაძის) № 9.
11. ი. ტაბაშვილი
დები №№ 6, 7—8, 9.
12. დ. შენგელაია
სტელლა № 3, 4, 6.
13. ბ. ჩხეიძე
ალღაძის ღეშტაში № 1.
14. პ. ჩხიკვაძე
მურზაყან დაღმწელოანი № № 9, 10, 11—12.
15. მ. ჯავახიშვილი
ცხრა ქალწული № 7—8.
16. ვეშაღ-ზაღე
ნოველები (თარგ. მ. ხუბუასი) № 5.
17. პ. ჯოხია
ძველი ქიათურა № 3.

ლიტერატურის ისტორია, თეორია, კრიტიკა

1. მ. ტორთქელიძე
აკაკი წერეთელი № 2.
2. ახაშვილი
აკაკი შარვაშიძევი № 2.
3. მ. დუდუჩივა
აკაკი წერეთლის პოემა „ომის“ შესახებ № 2.
4. ი. ენიკოლოპოვი
აკაკი წერეთლის იუბილეს გამოცხადილი რუსეთისა და საზღვარგარედ № 2.
5. ალი არბენიშვილი
სტენდალი ქართულად № 3, ჯვანი ონეგინის ქართული თარგმნებისათვის № 5.
6. შალვა რადიანი
რ. ერისთავის პოეზია № 4, ვ. რუხაძე № 10, სოციალისტური რეალიზმის პოეზიისათვის № 11—12.
7. ვლ. ამათიანი
აკაკი ბელეტრისტი № 5, ლ. ტოლსტოი და სკართელო № 11—12.
8. ვ. ლუარსაბიძე
„ნაბიჯები“ № 6.
9. ბ. ძღვინტი
ნამდვილი და თანმიმდევრული გარდაქმნისათვის № 6.

10. ალ. კვიციანი ბათა კეჭია № 1, ანრი ბარბიუსი № 9, თანატანტინე ლორთქიფანიძის პროზა—№ 11—12.
11. ს. დანელია თარგმანი მაღალი კულტურისა—№ 13
12. ი. მურგულიძე აკად. 6. შარტი № 1. გიგლიძის
13. პ. ბუაჩიძე კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ლიტერატურულ ფრონტზე № 2.
14. კ. კახანელი იდეები და სახეები თანამედროვე ფრანგულ პურ. ლიტერატურაში № 5.
15. ნ. ურუშაძე მარქსი, ენგელსი და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები № 5, ვაფ. ფშაველა № 10.
16. მ. შენაბდე ვიქტორ ჰილგო № 6.
17. მიხ. ზანდუკელი ნ. ლომოურის შემ. სოც. საფუძვლები № 6.
18. ვ. ზავთახი გოეთეს პროფილი ბურჟუაზიულ გოეთიანაში № 7—8
19. ალ. ჩიქლიაშვილი ლიტერატურული სახის პრობლემები № 7—8, 10.
20. დევან ახათიანი ვაფ. ფშაველა № 10.
21. ვ. კაკაბაძე ლავრ. არდახიანის შემოქმედების სოციალური საფუძვლები № 10.

რევოლუციური მოძრაობა

1. კ. გორდუღაძე მესამე დასი № 2, 3.
2. ლ. ბერია ამიერ კავკასიის ბოლშევიკური თარგმანიხატიების ისტორიის საკითხისათვის (მოხსენება ტფილისის პარტაკტივის კრებაზე 21—22 ივლისს) № 7—8. მგზნებარე მებრძოლი 11—12
3. დ. სულიაშვილი მოგონებანი სტალინზე № 9.

მემუარები და დოკუმენტები.

1. ლ. მესხი მოგონებანი № 1, 2.
2. კაკი ახაშიძე დიდი მსახიობის სილუეტი № 3.
3. მანჯეტაშვილი ზემი წარსულიდან № 6, 10, 11—12.

სალიტერატურო არქივი

1. ი. გრიშაშვილი აკაკის ფორინციოვის გამო № 1.
2. აკაკი „ფორინცივი“ № 1.

სალიტერატურო პოლიტიკის საკითხები

1. არაეთიარი დანდობა კლასიურ მტერს № 4.
2. ვ. პ. პოსტიშევი უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის გზები (სიტყვა, წარმოთქმული უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე) № 7—8.
3. მ. კოლდოვი მწერალი და მკითხველი საბჭოთა კავშირში (სიტყვა წარმოთქმული კულტურის დაცვის კონგრესზე პარიზში № 7—8)

თეატრი, მხატვრობა, ხელოვნობები

1. ვ. ნაღარაძე
2. ვ. ბერაძე
3. დ. ჯანელიძე

პარადოქსი აქტიონის შესახებ, პეტრე პირველი
საბჭოთა საქართველოს ხელოვნობების
საბჭოთა მხატვრობის მორიგი გამოცემა № 3.

ბიბლიოგრაფია

1. მა — ლი უიარაღო „მამულეკი“ № 2.
2. მ. გ. ბ. ჩხეიძე მოთხრობები № 2;
3. ვ. ხუროძე თვითმურაზ პირველი — თხზულებათა სრული კრებული № 3.
4. ვ. მ. — ვ. პოლემორფიზმი — „ილიძეებზე მთები“
5. მ. გ. — დამალიძეილი — „ძველ ყაშირებზე“ № 4.
6. — „ პ. პავლეშვილი — „ბარიადები“ № 4.
7. მკითხველი — ნიკო ლორთქიფანიძე — „თხზულებანი“ ტ. № 6.
8. მ. გ. — ვ. ნინოშვილი — „ჯანყი გურიისი“ № 6.
9. ვ. მ. გ. ბაბუაძე — „ფეთხანი“ № 9.
10. კ. ჯავახიშვილი — ალ. ტალსტაი — „პეტრე პირველი“ № 9.
11. ვ. ნუცუბიძე — მ. შოლოხოვი — ნატეხილი ყაშირი № 10.
12. მ. გ. — ვ. წერეთელი — „გულქან“ № 10.

